

საქართველო & მსოფლიო

www.geworld.net

ბაზარის მთხუბებით ფასი | დარი. | ელ.ფოსტა: info@geworld.net

ასრულებდა თუ არა სამხარული ზურაბ ადგივილის დავალებას ჟვანიას საქმის გაყალბებაში?

6-7



სააკაშვილმა ფიროსმანის ნახაზი არაბებს არჩუქა?

2

მათი სახელი ლევიონია ვინ და რაზე ებრძვის კაპრიარძს?

4

რისთვის მიაკითხა უგულავას კუდა?

8

ელჩი ქათამაძე პრეზიდენტის მოყვრებისა და ქმის შესახებ

14

ქარქუსოვებმა თხასავით გაგვიყიდეს

16

რედაქციისათვის:

2009 წლის 26 თებერვალს, დამით, თბილისის ცენტრში, სახელმწიფო კანცელარიიდან ორიოდ ნაბიჯში, გააქურდეს გაზეთი „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქცია.

ზოროტომოქმედებმა ჯერ შეამტვრიეს რედაქციის გვერდით მდებარე დაწესებულების რკინის კარი, შემდეგ კი სამშენებლო ინსტრუმენტების გამოყენებით კედლის ნაწილთან ერთად გამოანგრიეს რკინის გისოსებიანი ფანჯარა. საბულისგან, რომ ზოროტომოქმედებმა მიზანმიმართულად გაანადგურეს შიდა საკომუნიკაციო ქსელი და საოფისო ტექნიკიდან „ხელს გააყალბეს“ უკლებლივ ყველა პროცესორი.

ეს ფაქტი განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ერთი თვეაღწიან ბარამოვის გამომცემის ზოროტომოქმედებმა პროცესორების წაღებით თითქმის შეუქმლებელი გასაღეს „საქართველო და მსოფლიოს“ წინამდებარე, მესამე ნომრის გამოცემა, რადგანაც რედაქცია სანარკოვო საშუალებების, აგრეთვე ნომრის გამოსაცემად აუცილებელი ფოტოგრაფიებისა და სხვა მასალების გარეშე დარჩა. ამასთან, მათ არ წაუღიათ არანაქვებ კვირფასი ციფრული ტექნიკა, რომელიც, როგორც ჩანს, მათთვის სინტეზის ინფორმაციას არ ატარებდა. გამოქმედების ოფიციალურად დასრულებამდე რედაქცია თავს იკავებს მომხდარის შეფასებისაგან. თუმცა, ზემოთ მოყვანილ

ფაქტებზე დაყრდნობით, ლოგიკურად ჩნდება ვერსია, რომ ზოროტომოქმედებმა კარგად იცოდნენ, რასაც აკეთებდნენ და მათ მიზანს არა განაღებული ქურდობა, არამედ ჩვენი სამხიანობის საზოგადოებრივი წარმოდგენა.

„საქართველო და მსოფლიოს“ რედაქცია თანადგომისათვის მაღლოვას უხდის ყველა კოლბასს, აგრეთვე, სხვადასხვა ორგანიზაციას, ვინც მხარი დაგვიჭირა, რათა, საზოგადოების მიუხედავად, არ შეგვეჩერებინა გაზეთის გამოცემა.

რედაქცია ასევე იტოვებს უფლებას, ჩაატაროს დამოუკიდებელი ჟურნალისტური გამოძიება მომხდართან დაკავშირებით.



სააკაშვილმა ნიკო ფიროსმანის „გიორგობა ბოლნისში“ არაბებს არუქა?

„უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონპროექტის თანახმად საქართველოში 360 დღემდე ყოფნისათვის ვიზა კიდევ 26 ქვეყნის წარმომადგენლებს არ დასჭირდებათ... ანუ მიხეილ სააკაშვილის ტრიუმფალური საგარეო პოლიტიკური კურსის შედეგად საქართველომ იმასაც მიადგინა, რომ მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოთა მოქალაქეებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ბრუნის დარუსალამის, სინგაპურის რესპუბლიკის, ავსტრალიის თანამეგობრობის, მონაკოს სათავადოს, ახალი ზელანდიის, ბაჰამის თანამეგობრობის, ბარბადოსის, ანტიგუა და ბარბუდას, ტრინიდადი და ტობაგოს, სეიშელის კუნძულების, ბოტსვანას, ხორვატიის რესპუბლიკის, ჩილეს რესპუბლიკის, წმინდა კიტსი და ნევისის ფედერაციის, არგენტინის რესპუბლიკის, მალაიზიის ფედერაციის, მექსიკის შეერთებული შტატების, ურუგვაის აღმოსავლეთის რესპუბლიკის, მავრიკიის რესპუბლიკის, პანამის რესპუბლიკის, კოსტა რიკის რესპუბლიკის, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის, ბრაზილიის ფედერაციული რესპუბლიკის, ტაილანდის სამეფოს, ბელიზისა და საუდის არაბეთის სამეფოს მოქალაქეებს თითქმის ერთი წლით უფიზოდ შეეძლებათ საქართველოში ცხოვრება და ეს მაშინ, როცა საზღვარგარეთ სხვათა საცვლებისა და ჯამ-ჭურჭელის სარეცხად გადახვენილ ქართველებს, სადაც წაასწრებენ, იქიდან ერეკებიან...

ძნელი სათქმელია რა უნდა აკეთოს ბაჰამის თანამეგობრობის, ბარბადოსის ან ბელიზის მოქალაქემ საქართველოში 360 დღე... ეტყობა, ეს დრო საქართველოში მათი კულტურული ექსპანსიისთვის სავსებით საკმარისი იქნება, რათა ბელიზურად, ბარბადოსურად ან ბაჰამურად გამოწყობილი სოლოლაკელი, მთაწმინდელი ან ვერელი და ვაკელი გოგო-ბიჭები ცხვირში ბუნდღებთა და ყურის ბიბილოებში ბორბლებით ან ანტენებით კვიღლ-წივილითა და კურტუმოს ქნევით თავისუფლების მოედანს შემოირბენ და ქვეყანაში ახალი კულტურული რევოლუციის დაწყებას გვახარებენ... მე თქვენ გეტყვით და, საამისოდ ქვეყანაში ფონი არ არის შემზადებული თუ რა!..

მაგალითად, გუშინინ ექვს ნომერ ავტობუსში გოგონა ამოვიდა, რომელსაც აშკარად ეტყობოდა, რომ ჭიბი სეიშელურად ჰქონდა გახვრეტილი და ზედ მწვანეთელისა სამკაული მიემაგრებინა... იმავე გოგონას ცხვირის ერთი ნესტო ტრინიდადის და ტობაგოს სტილზე გაეზურდა, რომელზეც ოქროსფერი რგოლი ჩამოეკიდებინა, ხოლო ქვედა ტუჩს აშკარად კოსტა-რიკის გავლენა ეტყობოდა სამ ადგილას ერთმანეთის მიყოლებით ვერცხლის პატარ-პატარა ლაგამები ამოედო, — ეტყობა, პირის ასაკეტად...
ტემპერატურის მატებასა და ზაფხულის რეჟიმის მოახლოებასთან ერთად საქართველოში სულ უფრო და უფრო იზრდება ბრაზილიურად, მავრი-

**კიულად, ბოტსვანურად თუ ბელიზურად ჩაცმული ადამიანების რიცხვი... გლობალური დათბობისა და სააკაშვილის მიერ საქართველოს „პრახადნიო დვორად“ გადაქცევის ფონზე დიდია შანსი იმისა, რომ ეს ქვეყანა ერთ მშვენიერ დღეს ქართველების გარდა ყველა იმ ქვეყნის მოქალაქის საცხოვრებლად იქცეს, რომელთა უცნაური სახელები ამ წერილის დასაწყისში ჩამოვთვალეთ...
სააკაშვილის მიერ საქართველოსთან ვიზაგამარტივებულად თუ უფიზოდ დაძმაცაცებული ქვეყნების შესახებ სიტყვას არ დავასვლებდით, რომ არა ერთი ამბავი, რომელმაც ბატონი მიხეილის უახლოესი გარემოცვიდან გამოაღწია და ჩვენამდე მოაღწია!.. კერძოდ, ნიკო ფიროსმა-**

ნის ნახატი „გიორგობა ბოლნისში“, რომელიც, საყოველთაოდ გავრცელებული ცნობით, მიხეილ სააკაშვილმა თავის დაცვას მუზეუმიდან მოატაცებინა და ავლაბრის რეზიდენციაში სასთუმალთან ჩამოიკიდა, როგორც ირკვევა, საქართველოდან საერთოდ გამარაღია და იგი მიხეილ სააკაშვილმა არაბეთის გაერთიანებულ ემირატებში იმ რომელიღაც სერასქარის, შვიხსა თუ ჩილიმის დამაჩაჩავეპალს არუქა, რომელმაც ემირატებსა და საქართველოს შორის სავიზო მიმოსვლა გაამარტივა!..
როგორც ჩანს, ფიროსმანის „გიორგობა ბოლნისში“ სააკაშვილმა მართლაც სადღაც გადაკარგა და გაასხვისა, თორემ რა ამბავშიც ამ ნახატის ბარბაქო ატანს, თავმოყვარე კაცი ან სილულად, ან უხილავად აღგებოდა და სურათს იმ ჩამოკიდებულ, საიდანაც ამ ორი თუ სამი თვის წინათ დიდი ნიკალას ნაშრომ-ნაოფლარი გამოიტაცებდა, მაგრამ სად — სააკაშვილი და სად — თავმოყვარეობა...
1998 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს ერთ-ერთმა დეპუტატობის „მოქვეყნიერულმა“ კანდიდატმა იმისათვის, რომ

ერთ-ერთ სოფელში გამარჯვება გაენადლებინა, ადგა და ბაჯალლოს მსხვილი ჯაჭვი ერთი კარგი ოჯახის თავკაცს ჩამოჰკიდა ყელზე... როცა იმ კაცის შვილი ერთ ენაკვიმატ დურგალს ოჯახში მიადგა და უთხრა — არჩევნებში ხმა ამა და ამ კაცს მიეციო, იმ დურგალმა ცალი წარბი ეშმაკურად შეათამაშა და უპასუხა: — მომიწყვიტე იმ კაცის ნაჩუქარი ბაჯალლოს ჯაჭვი და მივცემო!..
იქნებ სააკაშვილის, ფიროსმანის ნახატისა და არაბების საქმე ზუსტად ისეა მოწყობილი, როგორც დეპუტატობის კანდიდატის, მისი ოქროსჯაჭვიანი ავტობუსისა და დურგალის... რაც დანამდვილებით ვიცი, ის გახლავთ, რომ იმ დურგალს ოქრო არავინ უნილად და არც დურგალმა მისცა „მოქვეყნიერულს“ ხმა, მაგრამ მთელი ამ ექვსი წლის განმავლობაში სააკაშვილმა ფიროსმანის ნახატის გარდა ვის რა მისცა და ვის რა გადასცა, ამის გარკვევასა და დაზუსტებას ერთი კაცის ჭკუა-გონება არ ეყოფა, ამას პატროსანი და გამოცდილი მოსამართლეებისაგან დეკომპლექტებული ტრიბუნალი სჭირდება!..

მალხაზ სოფროშაძე

ჟურნალისტთა კავშირმა „ობიექტივმა“ დაანება ნაზი შამანაურის სახელობის ყოველწლიური ჟურნალისტური პრემია, რომელიც ქართული ჟურნალისტიკის დღეს — 22 მარტს გადაეცემა სიმართლისთვის მებრძოლ ჟურნალისტებს. გთხოვთ, გაეცნოთ კრიტერიუმებს და მოგვანოდოთ ინფორმაცია 2009 წლის 15 მარტამდე.
რა პრიტიკირებას უნდა პასუხობდეს ნომინანტი:
1. ბოლო 5 წლის მანძილზე ეხმანებოდა თუ არა ჟურნალისტი ქვეყნის ცხოვრებაში

განვითარებულ უმთავრეს მოვლენებს?
2. პროფესიული საქმიანობის ან საზოგადოებრივი აქტიურობის, ასევე, განსხვავებული აზრის გამო იყო თუ არა ჟურნალისტი ფიზიკური და მორალური ზენოლა (ფაქტები)?
3. რა სერიოზული ფაქტები და პროცესები გამოამზეურა ჟურნალისტი, რასაც მოჰყვა საზოგადოებრივი რეზონანსი?
4. რა იყო ნომინანტის არსებობის წყარო ბოლო 5 წლის განმავლობაში (ხელფასი, გრანტი, მეგობრების შემოწირულობები)?
5. რა იარაღები დაიმსახურა ნომინანტმა რეჟიმის მხრიდან ბოლო 5 წლის განმავლობაში

(უნოდეს „გიჟი“? უნოდეს „მარგინალი“? და ა.შ.)?
6. რა გზებსა და ფორმებს მიმართავდა ნომინანტი სიმართლის გასავრცელებლად (შემშილობა, მიტინგზე გამოსვლა, სტატიის გავრცელება ინტერნეტით და პროკლამაციის სახით, ფილმების ჩვენება დახურულ დარბაზებსა და ქუჩაში, სკვერში)?
7. ჰქონდა თუ არა ნომინანტს მკაფიო მოქალაქეობრივი პოზიცია უსამართლობასთან ბრძოლის გზაზე და სად, რა ფორმით აფიქსირებდა ამ პოზიციას (გადაცემასა და სტატიებში რესპონდენტი, მასობრივ შეკრებაზე გამომსვლელი, მომიტინგე, მანიფესტანტი და ა.შ.)?

გაბაცნობთ ნომინანტებს:
1. ანთაძე ია
2. აქუბარია დავით
3. გოგოსაშვილი ირინა
4. გრიგოლია ინგა
5. ელიაშვილი ლუბა
6. ელისაშვილი ალექო
7. კომახიძე ვახტანგ
8. ლეჟავა ნანა
9. მამაცაშვილი გიორგი
10. მეფარიშვილი დარეჯან
11. მთივლიშვილი გელა
12. მამალაძე ია
13. მძინარაშვილი ბონდო
14. მოროშკინა ლალი
15. პოპიაშვილი მაგდა
16. რუხაძე თამარ
17. რამიშვილი შალვა
18. სამხარაძე რამაზ

19. ჩუბინიძე დიტო
20. ჩაფიძე ელისო
21. ჩხარტიშვილი არჩილ
22. ცხოიძე ნინო
23. ლლონტი მამუკა
24. ნინიკაშვილი საბა
25. ჭაბუკიანი რუსკა

„ობიექტივის“ ზემოწამოთვლილი კრიტერიუმებიდან გამომდინარე, გთხოვთ, დაასახელოთ თქვენი რჩეული, ვინც 2009 წელს იმსახურებს ნაზი შამანაურის სახელობის ჟურნალისტურ პრემიას! დაგვიკავშირდით და ჩავგანერეთ თქვენი ნომინანტის ვინაობა!
საორგანიზაციო ჯგუფის ხელმძღვანელი ირმა ინაშვილი.
ტელ.: 899 16 11 51;
ელ-ფოსტა: inashvili@ymail.com

საქართველო ჟურნალისტთა უემოქმედაბითი კავშირის განსხადაბა

საქართველოს ჟურნალისტთა უემოქმედაბითი კავშირი უემოქმედაბას უკანასკნელ წლებში განვითარებული ტენდენციების გამო სიტყვისა და განმარტების თავისუფლებასთან დაკავშირებით.

მსოფლიოში დემოკრატიული პროცესების საფუძველი სწორედ სიტყვის თავისუფლებაა, რომელიც, თავის მხრივ, გულისხმობს პრესის თავისუფლებას და მის მრავალფეროვნებას.

მასმედიის საშუალებების წინააღმდეგ განხორციელებული ცალკეული ფაქტი მართლაც იძლევა უემოქმედაბის საფუძველს. 26 თებერვალს გაქურდეს გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“, რაც რედაქციის ხელმძღვანელობასა და თანამშრომლებში სერიოზულ ექვევას აღძრავს.

საქართველოს ჟურნალისტთა უემოქმედაბითი კავშირი გამობს ჟურნალისტებზე უემოქმედაბის ნებისმიერ ფორმას. დარწმუნებული ვართ, რომ უემოქმედაბა და საბოტაჟი ვერ შეაჩენ-

რებს პრესის განვითარებას ქვეყანაში, რომლის თითოეულმა მოქალაქემ უკვე შეიგრძნო თავისუფლების ფასი. ამავე დროს, მივესალმებით გაზეთის რედაქციის პოზიციას, გამოძიების დამთავრებამდე თავი შეიკავონ კონკრეტული ბრალდების გამოთქმისგან. აგრეთვე მისასაღმებელია მათი მობილიზებული და მზადყოფნა, არ შეაჩერონ გაზეთის გამოცემა.

სასიხარულოა, რომ გაზეთ „საქართველო და მსოფლიო“ კვლავ იხილავს საქართველოც და მსოფლიოც. ჟურნალისტთა კავშირი იმედოვნებს, რომ საქართველო, როგორც დემოკრატიული სახელმწიფო, ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს მსოფლიოში. ამის მიღწევა კი მხოლოდ პრესისა და სიტყვის თავისუფლების, ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვით არის შესაძლებელი.

კაპლავი ვაჰიკა,
საქართველოს ჟურნალისტთა უემოქმედაბითი კავშირის თავმჯდომარე

ჟურნალისტთა კავშირ „ობიექტივის“ განსხადაბა

ჟურნალისტთა კავშირი „ობიექტივი“ გამობს გაზეთ „საქართველო და მსოფლიო“ გაძარცვისა და დარბევის ფაქტს, რომელიც 2009 წლის 26 თებერვალს, გვიან ღამით მოხდა. საგულისხმოა, რომ რედაქციის უემოქმედაბიდან გატანილია, ძირითადად, კომპიუტერის პროცესორები, სადაც ინფორმაცია ინახებოდა. „ობიექტივი“ ამ ფაქტს აფასებს როგორც გაზეთის მორიგი ნომრის ჩაგდებისა და ჟურნალისტთა კორპუსის გაფრთხილების

უემო მცდელობას. მიმოირობთ, რადაცმინდნან წაღებულნი პროცესორები, ანუ ინფორმაციის მატარებელი ავტორი კვლავ უინაბან საქმეთა სამინისტროს, რომელიც წლების განმავლობაზე წარმოაღებოს საბაკვილის რეჟიმის მთავარ დასაყრდენს! გვაქვს ინფორმაცია, რომ მოახლოებული საპროტესტო აქციების ფონზე ხელისუფლება ამზადებს

პერმანენტულ დარტყმებს ცალკეულ მედიასამუღლებებზე, რაც უბრალო კრიმინალურ ფაქტებად გასაღდება. მოუწოდებთ ქართველ ჟურნალისტებს მაქსიმალური სოლიდარობისა და მედიანზე უენოლის ფაქტების კოორდინირებული გამოძიებისა და საჯარო დაგმობისაკენ!

ჟურნალისტთა კავშირი
„ობიექტივის“ სახელით,
ირაკლი ინაუშვილი
თბილისი. 2009 წლის
27 თებერვალი

ვიდახას ხელს აქლავს ამ ტენდენციის უენარჩუნება

გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქტორს, ბატონ ირაკლი თოდუას

ბატონო ირაკლი,
ტელევიზიით შევიტყვეთ თქვენი გაზეთის რედაქციის ვანდალური დარბევის შესახებ. მასმედიის სივრცეში მიმდინარე მრავალი ძალადობის, უენოლის, დაშინებისა და შანტაჟის ფონზე ეს შესაძლოა, გასაკვირი არც იყოს, მაგრამ ფრიად აღმამფოთებელია. ამავე დროს, ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ სწორედ გუშინ გამოქვეყნდა ოფიციალურად აშშ-ში მომზადებული მოხსენება 2008 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ, სადაც 70-გვერდიან მოხსენებაში 7 გვერდი სწორედ სიტყვისა და მასმედიის თავისუფლების სფეროში არსებულ დარღვევებს ეძღვნება. მოხსენებაში პირდაპირაა მითითებული, რომ 21 მაისის არ-

ჩვენების უემდეგ მასმედიის თავისუფლების ხარისხი უემცირდა, ისევე, როგორც მისი მრავალფეროვნება. როგორც ჩანს, ჩვენს ქვეყანაში ვიდახას ხელს აქლავს ამ ტენდენციის უენარჩუნება.

„ერეკლე მეორის საზოგადოების“ ნევერი უემფოთებას გამოეხატავთ უემოქმედაბის ფაქტის გამო და მიგვანია, რომ მისი სამართლიანი და მიუკერძოებელი გამოძიება თვით ხელისუფლების ინტერესებში უემდის. წინააღმდეგ უემთხვევაში, მომავალი წლის ანალოგიურ მოხსენებაში გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ იმავე კონტექსტში იქნება მოხსენიებული, როგორც ახლა გაზეთები — „ბათუმელი“, „ხალხის გაზეთი“ და „თავისუფალი სიტყვა“, რომელთა მიმართ ჩადენილი დანაშაულის გამოძიებისათვის ან

დარღვევათა გამოსწორებისათვის კომპეტენტურ ორგანოებს თავი არ უემუნებიათ.

ნებისმიერი გაზეთი საზოგადოების აზრს გამოხატავს, თუნდაც, მისი მცირე ნაწილის, რომელსაც აქვს არსებობის უფლება და ეს უფლება მრავალი საერთაშორისო კონვენციითა და ცალკე, რომ აღარავთი ვთქვათ საქართველოს კონსტიტუციაცაზე. ჩვენი ორგანიზაციის ნევერები გიცხადებთ თანადგომას და დარწმუნებული ვართ, რომ ეს უცნაური ძარცვა ხელს არ უემულის თქვენი გაზეთის უემდგომი ნომრების გამოსვლას, რომელიც უკვე შეიყვარა მკითხველმა.


პატივისცემით,
არჩილ ჭყონია
„ერეკლე მეორის საზოგადოების“
თავმჯდომარე

СВОБОДНАЯ ГРУЗИЯ

28 февраля 2009 г.
СУББОТА
13-14 (24059)
Цена 1 лари

ОГРАБЛЕНИЕ РЕДАКЦИИ

В НОЧЬ НА 26 ФЕВРАЛЯ ОГРАБЛЕНА РЕДАКЦИЯ ГАЗЕТЫ «САХАРТВЕლო & Мსოფლიო» (ГРУЗИЯ & МИР), КОТОРАЯ СТАЛА ВНЕШАИТЬ НЕАВНО, НО УСПЕЛА ЗА КОРОТКИЙ СРОК ПРИВЛЕЧЬ ВНИМАНИЕ ЧИТАТЕЛЬСКОЙ АУДИТОРИИ



საქართველოს რედაქციის ირანული ღამის, უემოქმედაბითი კავშირი უემოქმედაბას უკანასკნელ წლებში განვითარებული ტენდენციების გამო სიტყვისა და განმარტების თავისუფლებასთან დაკავშირებით.

უბრალო კრიმინალი. თუ დამოუკიდებელი გაზეთისთვის მოწყობილი საბოტაჟი

გაზეთ „საქართველო და მსოფლიო“ — რედაქტორი აცხადებს, რომ რედაქციის გაძარცვის მიზანი გაზეთის მორიგი ნომრის ჩაგდება იყო

ლანა ბერიძე

ობიექტივის რედაქციის გაძარცვის ფაქტი, რომელიც 26 თებერვალს, გვიან ღამით მოხდა, საგულისხმოა, რომ რედაქციის უემოქმედაბიდან გატანილია, ძირითადად, კომპიუტერის პროცესორები, სადაც ინფორმაცია ინახებოდა. „ობიექტივი“ ამ ფაქტს აფასებს როგორც გაზეთის მორიგი ნომრის ჩაგდებისა და ჟურნალისტთა კორპუსის გაფრთხილების უემო მცდელობას.

გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქტორი ირაკლი თოდუა გაზეთის რედაქციის გაძარცვის ფაქტს ხელსუფლების ინტერესებს უკავშირებს.


„ობიექტივის“ რედაქტორი ირაკლი თოდუა მარცხელების მიერ მოხდენილ მოძველებულ პროცესორებზე აქტივობას მიიჩნევს, რომელიც უემოქმედაბის საფუძველს უემცირებს. თოდუა აცხადებს, რომ რედაქციის გაძარცვის ფაქტი, რომელიც 26 თებერვალს, გვიან ღამით მოხდა, საგულისხმოა, რომ რედაქციის უემოქმედაბიდან გატანილია, ძირითადად, კომპიუტერის პროცესორები, სადაც ინფორმაცია ინახებოდა. „ობიექტივი“ ამ ფაქტს აფასებს როგორც გაზეთის მორიგი ნომრის ჩაგდებისა და ჟურნალისტთა კორპუსის გაფრთხილების უემო მცდელობას.

ვინ და რატომ ებრძვის პატრიარქს?

„მე არ შემიძლია უთქვენოდ და თქვენ არ შეგიძლიათ უჩემოდ“ — ასე მიმართა ილია II მრევლს დროის საკმაოდ დაძაბული მონაკვეთის დასასრულს, რომელიც მის ავადმყოფობას და ეკლესიის წინააღმდეგ გაჩაღებულ უპრეცედენტო კამპანიას უკავშირდებოდა. შეხვედრის სიხარულთან ერთად, მის სიტყვებში აირეკლა ის განწყობაც, რომელიც ამ პერიოდში საზოგადოებაში სუფევდა.

აღსანიშნავია, რომ გასულ თვეში რამდენიმე პოლიტიკოსმა და საზოგადო მოღვაწემ თითქმის ერთდროულად, მკაფიოდ მიუთითა იმაზე, რომ საქმე გვაქვს აშკარა შეთქმულებასთან პატრიარქისა და ეკლესიის წინააღმდეგ. არსებობს თუ არა ეს შეთქმულება? ვინ და რატომ ებრძვის პატრიარქს? საუბარი ამ თემაზე გარკვეულ სიფრთხილეს მოითხოვს, რათა ფაქტები და ჭორები ერთმანეთში არ აგვერიოს. ეს ერთობ ჰგავს იმ მკვლევარის სამუშაოს, რომელმაც რამდენიმე ძვლის მიხედვით უნდა აღადგინოს დინოზავრის ჩონჩხი, ან ერთ ნაფეხურზე დაყრდნობით მთელი პოპულაციის ბედი აღწეროს.

შეცდომებისგან დაზღვეული ამ შემთხვევაში ვერავინ იქნება. მთავარი კითხვა კი, ალბათ, შემდეგია: რა უნდათ პატრიარქის მონინააღმდეგეებს კონკრეტულად? რა (ვინ) აიძულებთ მათ, მკვეთრად გააქტიურდნენ?



მათი სახელი ლეგიონია

დასაწყისისთვის მიზანშეწონილია, ჩამოვთვალოთ ის ჯგუფები, რომლებიც მონაწილეობდნენ პატრიარქის ან მისი იდეების მწვავე კრიტიკაში, მის წინააღმდეგ მიმართულ სხვადასხვა ტიპის აქციებში, როგორც ამ ბოლო დროს, ისე ადრე.

1) **ლიბერალური შეხედულებების მქონე სეკულარისტების ჯგუფი.** მის ბირთვს ხელისუფლებასთან დაახლოებული რამდენიმე ინტელექტუალი წარმოადგენს. იდეაში მათი მთავარი საზრუნავია ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის მოწყობა საკუთარი რწმენის წარმოდგენების მიხედვით. თუმცა, ბოლო დაპირისპირებაში ამ ჯგუფის მთავარ ფუნქციას წარმოადგენდა მოვლენების წარმოჩენა ბუნებრივ კონფლიქტად „პროგრესულ საზოგადოებასა და რეტროგრად საპატრიარქოს შორის“, მთავარ ასპარეზს კი — ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი მედია.

2) **ყოფილ სასულიერო პირთა და საპატრიარქოს სასწავლო დაწესებულებების ყოფილ სტუდენტთა ერთი, ფრიად კონსოლიდირებული ჯგუფი.** მათ სურთ ეკლესიის გარდაქმნა საკუთარი შეხედულებების მიხედვით, „დროის მოთხოვნების შესაბამისად“ და საეკლესიო სტრუქტურაში დამკვიდრება. ამ ჯგუფის წინაშე ბოლო დროს რამდენიმე ტიპის ამოცანა დგას ა) ინფორმაციის შერეობა საპატრიარქოს შიგნით მიმდინარე პროცესებზე; ბ) აპტიური ღონისძიებები პატრიარქის დისკრედიტაციისათვის; გ) საკუთარი რიგების გაფართოება ახალგაზრდების გადმოზარების გზით როგორც საპატრიარქოს სტრუქტურის შიგნით, ისე მრავალში; დ) ჭორების გავრცელება და ა.შ.

3) **ცალკეული სასულიერო პირები, რომლებმაც საკუთარი გავლენის გაფართოებისათვის გადაწყვიტეს, მოკავშირეები**

ეკლესიის გარეთ მოეძებნათ. ამ ჯგუფის მთავარი (სამომავლო) ფუნქცია დაახლოებით ისეთია, შუა საკუნეებში რომ ჰქონდათ იმ ადამიანებს, რომელნიც გადამწყვეტი შტურმის დროს მონაწილეობდნენ უღებდნენ კარიბჭეს. დღეს ისინი დაკავებული არიან ინფორმაციის შეგროვებით და უკმაყოფილოთა ფრთხილი გადმოხივებით. თუმცა, მათ ჯერ არ შეუძლიათ ეკლესიის შიგნით მძლავრი, განხეთქილებისთვის საკმარისი ოპოზიციური ფრაქცია შექმნან.

4) **მიხილ სააკაშვილის თანაგზაურებისა და მომხრეების ჯგუფი, რომლის წევრები მიიჩნევენ, რომ ილია II ავტორიტეტი და ეკლესიის მზარდი ბავშვია საზრთხეს უშემის მათი მიზნების განხორციელებას. მათ ხელში უზარმაზარი სახელისუფლებო და მადიარესის, თუმცა ისინი ნაწილობრივ შეზღუდული არიან მის გამომყენებაში, რადგან პატრიარქის წინააღმდეგ მიმართული ქმედებები**

მიუხედავად იმისა, რომ მისი იდეები პრინციპულ წინააღმდეგობაში მოდის ხელისუფლების პოლიტიკასთან, ეს თავისთავად არ არის საკმარისი მიზეზი იმ მასშტაბის მტრული მოქმედებისთვის, რომელიც გასულ თვეებში განხორციელდა.

გაბის გამოსაყარავება საზოგადოების მკვეთრად უარყოფით რეაქციას გამოიწვევს. ამ ჯგუფის წევრებს შეუძლია მიხეილ სააკაშვილზე ზეგავლენის მოხდენაც, რათა დაარწმუნონ ამა თუ იმ განცხადების ან მოქმედების აუცილებლობაში.

5) **გარკვეული ჯგუფი ადამიანებისა, რომლებიც საკუთარ თავს პრეზიდენტ გამსახურდიას მომხრეებს უწოდებენ, თუმცა დღეს უკვე საკმაოდ შორს დგანან მისი იდეებისგან და „ზვიადისტების“ ძირითადი**

ნაწილისაგან. ისინი სავსებით გულწრფელად თვლიან, რომ ილია II პოპულარული 1991-93 წლების კრიზისის დროს არასწორი იყო. მათ ძირითად ფუნქციას წარმოადგენს მოქმედება პატრიარქის იმიჯის შესაღებად. ჯგუფის ასპარეზი შეზღუდულია, თუმცა მას აქტიურობა ახასიათებს.

6) **რადიკალების ჯგუფი ეკლესიის შიგნით, რომლებიც პატრიარქს „ზედმეტი ლიბერალიზმისათვის“ აკრიტიკებენ. მათი მთავარი ამოცანა ეკლესიის ფუნდამენტალისტურ პოზიციებზე გადაყვანაა. ისინი გულწრფელად მოქმედებენ და არ იმყოფებიან კავშირში ჩამოთვლილ ჯგუფებთან, თუმცა ეს არ გამორიცხავს მათ ირიბ გამოყენებას სავარაუდო შეთქმულების მიზნებიდან გამომდინარე.**

7) **უცხო კონფესიების ის წარმომადგენლები, რომლებიც ტრადიციულ დაპირისპირებაში იმყოფებიან საქართველოს საპატრიარქოსთან. მართალია, ამ დაპირისპირებას აქვს გარკვეული შემზღუდავი წესები,**

ათ შუასრულს მნიშვნელოვანი როლი სხვადასხვა ჯგუფების კოორდინაციის, მათ შორის ინფორმაციის შედეგად და ა.შ. (ამ ჯგუფის საქმიანობის ანალიზის დროს ილია, გადავარდნა შეთქმულების თეორიაში, ასე რომ, აღვნიშნოთ, რომ ისტორიაში უამრავი მაგალითია იმისა, თუ როგორ ცდილობდა ესა თუ ის სახელმწიფო დაპყრობილი ან დასაპყრობი ქვეყნის იერარქების და საეკლესიო სტრუქტურების გამოყენებას).

9) **ჯგუფი, რომელსაც პირობითად შეიძლება „მომავლის რეზერვი“ ვუწოდოთ. იგი აერთიანებს იმ პოლიტიკოსებს და არასამთავრობო ორგანიზაციების აქტივისტებს, რომლებიც დღეს ტაქტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე არ უპირისპირდებიან პატრიარქს პიროვნულად. ჯერჯერობით მათი მთავარი ფუნქცია მისი იდეების (მონარქიის აღდგენა, განათლების სისტემის გაჯანსაღება და ა.შ.) დისკრედიტაციაა. ეს ადამიანები ესტაფეტას სააკაშვილის ხელისუფლებიდან ნასვლის შემდეგ მიიღებენ.**

ყველა ეს ჯგუფი ადრეც აწარმოებდა საკუთარ, ერთგვარ პარტიზანულ ომს ეკლესიის წინააღმდეგ. თუმცა ბოლო თვეებში მათი ძალისხმევა აშკარად კოორდინირებული, ერთი გეგმის ფარგლებში მოქმედებით გახდა (რასაც თავად ჩამოთვლილი აქტივისტების დიდი ნაწილი, ალბათ, ნაკლებად აცნობიერებს) და სერიოზული საინფორმაციო უზრუნველყოფა მიიღო. შეიძლება გაჩნდეს კითხვა, ვინ ახდენს ამ ჯგუფების კოორდინირებას? ვინ ხელმძღვანელობს ოპერაციას?

ამასთან, იბადება ერთი კითხვაც — რატომ არ ხდება საპატრიარქოს მიერ საკუთარი მონინააღმდეგეების სახელობითი ჩამოთვლა, მხილება, საკითხების დაკონკრეტება. ჩამოთვლილ ჯგუფებს საზოგადოება ხომ

ისედაც აღიქვამს, როგორც მარგინალურს და უბრალოდ საბოლოოდ მოიკვეთს მათ, რაც ერთობ განმუხტავს დაძაბულობას. ეს, თითქოსდა, ლოგიკური იქნებოდა. რატომ არ აკეთებს ამას პატრიარქი? ამასთან დაკავშირებით, ერთი ძველი ისტორია გამახსენდა:

კათილი უყავით თქვენს მოქალაქე...
1945-46 წლებში ნიურნბერგის პროცესის პარალელურად ევროპაში სხვა, დღეს ნაკლებად ცნობილი სასამართლო პროცესები იმართებოდა, ასამართლებდნენ დამნაშავეებს საკონცენტრაციო ბანაკების პერსონალიდან. ერთ-ერთ ასეთ პროცესზე საგულისხმო შემთხვევა მოხდა.

ყველაფერი მარტივად: ა, ბატონო, სამართლიანობის ზემოთ, — განსასჯელთა სკამზე „სს“-ის ოფიცერი, მკვლეელი და სადისტი; მონმის ადგილზე კი მისი მსხვერპლი, ცოცხალ-მკვდარი, აწრდილად ქცეული ყოფილი პატიმარი, რომლის თვალწინ ბრალდებული დიდ-დან დღემდე ხოცავდა ადამიანებს, ხოლო თავად მას ისე აწამებდა, რომ ალბათ ჯობდა, თავიდანვე მოეკლა. მოყვება მონმე თავის ამბავს — აღსრულდება მართლმსაჯულება და იზეიმებს სამართლიანობა, ელოდება საზოგადოება და მოსამართლე; თითქოს ყველა ის პატიმარიც, ყველა ის ბავშვიც, რომელიც მოკლა ამ არაკაცმა, აქვე დარბაზშია და ელოდება, რას იტყვის მონმე.

და მოწმეც თქვა... „მე არ მოგვებთ ჩვენებს ამ ადამიანის წინააღმდეგ“. რატომ? — იკითხა (ალბათ გაოგნებულმა) მოსამართლემ.

„იმიტომ, რომ მე მივხვდი, თქვა მონმემ, — მივხვდი, რომ გამჩენისათვის მისი სული, ისეთივე ძვირფასია, როგორც ჩემი“, — თქვა და გავიდა დარბაზიდან.

რა თქმა უნდა, მოიძებნენ სხვა მოწმეებიც. რაღა თქმა უნდა, ზედამხედველი გაასამართლეს, განაჩენი გამოუტანეს და ჩამოახრევს კიდევაც. ერთია მხოლოდ, სიკვდილის წინ მან მღვდელთან შეხვედრა ითხოვა, აღსარება ჩააბარა და ეზიარა.

უკანონობა სირუბაში

„გიყვარდეთ თქვენი მტრები და კეთილი უყავით თქვენს მოძულეთ“...

თითქოსდა, ყველაფერი გაივლიდა, თუ მკაფიოდ გაჟღერდებოდა, ვინ ებრძვის პატრიარქს და ეკლესიას. ორიოდე საათში პრობლემა — გამარტივებული, საერო გაგებით, მოიხსნებოდა. მაგრამ ეს არ მოხდება. რამდენადაც მესმის, ილია II იმით განსხვავდება თავისი მტრებისგან, რომ არ სძულს, მათ შიშობს და დაამატებთ დროს აქლავს. ეს შიშობი და პირისპირაობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს, კონფლიქტის ანატომია კი ცოტა უფრო რთულია, ვიდრე ჩანს.

რატომ ჩაბრუნდა ასა?

თითოეული ჩვენ მიერ ჩამოთვლილი ჯგუფებიდან ცალკე აღებული საშიშროებას არ წარმოადგენს. მეტიც, მათ ნაწილთან პოლემიკა ალბათ სასარგებლოცაა პოსტსექულარული ეპოქის კონტურების გამოკვეთის პროცესში, რომელზეც დღეს ამდენს საუბრობენ. საშიშნი ისინი მხოლოდ მაშინ ხდებიან, როდესაც ერთი სტრატეგიული გეგმის ფარგლებში მოქმედებენ.

ეკლესიის გავლენის ზრდიდან ავტომატურად არ გამომდინარეობს მასთან ბრძოლის აუცილებლობა. თუ ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის (ისტორიაში ბევრი მაგალითია) რიგ პრინციპულ საკითხებზე მაინც კონსენსუსი არსებობს, მასშტაბურ შეტაკებას მათ შორის ადგილი არ ექნება. საქართველოში ასე არ არის.

პატრიარქის ქადაგებებში შეიძლება გამოიყოს რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი, რომელიც უკავშირდება საქართველოს მომავალ განვითარებას, ახალგაზრდობის ბედს. იგი საუბრობს ტრადიციების ერთგულებაზე, როგორც ერის გადარჩენის მთავარ წინაპირობაზე, მიზანმიმართულ შეტევაზე, რომელიც ეროვნული ცნობიერების წინააღმდეგ ხორციელდება, იმაზე, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებებმა თავიანთი საქმიანობა უნდა წარმართონ საზოგადოების უმრავლესობის (მართლმადიდებელი ქრისტიანების) ინტერესების შესაბამისად. მის ქადაგებებში და ბოლო წლების ეპისტოლეებში ძალიან ბევრი საინტერესო ინიციატივაა — დემოგრაფიული პრობლემის გადაწყვეტის, განათლების, ეკონომიკის განვითარების, სოფლის მეურნეობის აღორძინების, ადამიანის უფლებების დაცვის და სხვა სფეროში.

მიუხედავად იმისა, რომ მისი იდეები პრინციპულ წინააღმდეგობაში მოდის ხელისუფლების პოლიტიკასთან, ეს თავისთავად არ არის საკმარისი მიზეზი იმ მასშტაბის მტრული მოქმედებისთვის, რომელიც გასულ თვეებში განხორციელდა.

არის კიდევ ერთი იდეა, რომელთან მიმართებაშიც პატრიარქის პოზიცია არა მხოლოდ გამაღიზიანებელია მისი მტრებისთვის, არამედ შეიცავს პოტენციურ საფრთხეს უცხო ქვეყნების ინტერესების განხორციელებისათვის. ეს, ერთი შეხედვით უწყინარი, მონარქიის აღდგენის იდეაა. საქმე ის არის, რომ ხელისუფლების ლეგიტიმაციის წყარო ჩვენთან, ისევე როგორც სხვა სუსტ სახელმწიფოებში, ქვეყნის ფარგ-

ლებს გარეთ მდებარეობს. ჩვენს პოლიტიკოსებს ხელისუფლებაში მოსვლისთვის ყოველთვის სჭირდებათ არაფორმალური, მაგრამ გადამწყვეტი თანხმობა მოსკოვიდან, შემდგომ — ვაშინგტონიდან. მეფე ამ თვალსაზრისით თავისუფალია, იგი არ არის დამოკიდებული გარე ძალაზე. ეს, თითქოს, არაფერს ცვლის, რადგან მათთვის, ვინც რეალურად აკონტროლებს ხელისუფლებას ბერკეტებს, ყველაფერი ძველებურად დარჩება. მაგრამ განხილვა ხელისუფლების ახალი ცენტრი, რომელსაც შეეძლება განახორციელოს მედიაცია გავლენის სხვადასხვა ჯგუფებს შორის, და, მანვეირების პროცესში თანდათან გამოიყვანოს მათი (და გარე) კონტროლიდან ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სფეროები; წამოაყენოს გარკვეული პირობები, იმ პრინციპების შესაბამისად, რომელსაც იზიარებენ საზოგადოების მართლმადიდებელი უმრავლესობა, საქართველოს მდგომარეობა გაუმჯობესდება.

ამ ტრილში მონარქიის აღდგენა შეიძლება განიხილოთ როგორც რეალური დამოუკიდებლობის მიღწევისათვის, დეკლონიზაციისათვის აუცილებელი რევოლუციური იდეა, რომელიც არ მოსწონთ მათ, ვინც მიზნებიც საპირისპიროა.

ფაქტია, რომ პატრიარქის მოვანეობის შედეგად ეკლესიის გავლენა ძალიან გაიზარდა. მისი მონინალმდეგეები ცდილობენ, დაასუსტონ ეკლესია ან საკუთარი იდეები რუპორად აქციონ. ეს არ გამოსდის, ავანსურაში კი, წარსულისაგან და სინდისისაგან თავისუფალი „ახალი ტიპის ქართველები“, რომელთა შიშობა ასე ზრუნავდნენ „პარლამენტის რეპლუციის“ მთავარი არქიტექტორები, სინჯარაშივე სულს დაფარვენ და ურინად სამარცხვინოდ წამოშენებან (დეტალები სოციოლოგებთან).

გააფრებული ბრძოლის დაწყების მთავარი მიზეზი კი დროის დეფიციტია, ვინაიდან ა) ეკლესიის მხარდაჭერის პირობებში ქართული საზოგადოება უბრუნდება ტრადიციულ ღირებულებებს და იწყებს აქტიურ ბრძოლას მათი დამკვიდრებისთვის. ეს პროცესი შეუქცევად ხასიათს იქნეს ბ) სასაპარლამენტო სეპარატიზმი უფროს დრო კალენა სწრაფად იწურება, სოლო ქვეყნის მომავალ მმართველად მათი ორიენტაციისა, ობიექტური მიზანმიმართული გამოფინარა, ეკლესიის მიმართ გაცილებით უფროსი პოლიტიკის გატარება, მათი, ამაჟამად მიფინარა ანტისაქლავიო კავშირის მოწინააღმდეგეობის შეწყვეტა, ისევე როგორც სხვა სუსტ სახელმწიფოებში, ქვეყნის ფარგ-

ლიბიტირი მონიაკა

ხელისუფლება ყველაზე მიმზიდველი და სარფიანი ბიზნესია ნებისმიერ ქვეყანაში, განსაკუთრებით კი, პოსტსაბჭოურ სივრცეში. მას არც ერთი საათი, არც ერთი წუთი არ შეუძლია არსებობა შესაბამისი კაპიტალდაბანდების გარეშე. მით უმეტეს, ფინანსური კრიზისის პირობებში, რომელიც აურაცხელ სახსარს მოითხოვს. ისმის კითხვა, რა კაპიტალით არსებობს ჩვენი სახელმწიფო სისტემა? პასუხი ნათელია — რეგულარული უცხოური ფინანსური დახმარებების ხარჯზე. საერთაშორისო ინსტიტუტების „სიმპათია“ ქართული ხელისუფლების მიმართ გამყარებულია მრავალმილიარდანი სესხით, რომელიც ჩვენი შთამომავლების თავსატეხი გახდება.



დაუშვებელია, რომ ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში რეფორმების აუცილებლობაზე მოსთქვამდეს ის პოლიტიკური ისტაბლიშმენტი, რომელმაც ქვეყანა სავალალო მდგომარეობაში მიიყვანა.

იმ სახელმწიფოთა რიცხვი, ფინანსური თვალსაზრისით მსოფლიოს ექსპლუატაციას რომ ეწევა, მინიმუმამდე შემცირდა, ექსპლუატირებულ ქვეყანათა რაოდენობა კი გაიზარდა და, ამავდროულად, აისახა ამ სახელმწიფოების შიდა-პოლიტიკურ პროცესებზე.

თავი უნდა დავაღწიოთ ილუზიების ტყვეობას და გვეყოს ვაჟკაცობა, თვლი გავუსწოროთ რეალობას, ვალიაროთ, რომ იმადია, დროებით, მაგრამ მაინც აღმოვჩნდით დამოკიდებული მთლიანად გარდა ამ მართულ პირაზე, რომელიც სიკეთის განუღებან. გზა გაუხსნეს რა ბოროტებას, მათი მფარველები, ალბათ, არც კი დაფიქრებულან, რომ არ შეიძლება მიანდო საპასუხისმგებლო საქმე ადამიანებს, რომელთაც არ გააჩნიათ შინაგანი ზნეობრივი ბარიერი. მათ, ვინც თავს ხალხის ხელახლა აღზრდის, ხოლო მოუთვინიერებელთა დათრგუნვის უფლება მისცა. მათ, ვინც ადამიანებს სტანჯავს ციხეებში, სტანჯავს „მათ მიერვე მიღებული კანონებით“, სტანჯავს არა ურთულესებს და ათეულებს, არამედ ასობით და ათასობით ადამიანს, ვინც პროფესიად აქცია ზენოლა და ამ მიზნით ათათასობით „სპეციალისტს“ ამზადებს.

ლუბრევილივ სნამთ, რომ ხალხს არ შეუძლია სიცრუის ზღვარში ჭაშმარტაბის მარცვლის პოვნა და ამიტომ თვლიან, რომ საზოგადოება ხმას არ ამოიღებს. მაგრამ ამ გზით საკუთარი უვიცობის გარდა ვერაფერს დაამტკიცებ.

პროვოკაცია ნებისმიერი ხელისუფლების ნაცადი ხარხია, მაგრამ, ცივილიზებულ სამყაროში ჩინოვნიკები მას არსად ისე თავსადურად და შეუზღუდავად არ მიმართავენ, როგორც ჩვენთან. აღსაქმელად ძნელია, მაგრამ ფაქტია და ამის შენიღბვა ყველაზე დახვეწილი პიარიტაც კი შეუძლებელია.

აღსანიშნავია, რომ მზარდი ფინანსური კრიზისის პირობებში ხელისუფლებას, რომელიც ვალდებულია, საგარეო ვალდების მომსახურების პროცენტები იხადოს, ალტერნატივა და დაპირებების მიუხედავად, ისლა დარჩენია, რეპრესიული აპარატის გამოყენებით კვლავაც ხალხისგან ამოიღოს ფული.

ამაჟამად შისაქმლან მოსახლეობის საპროტესტო მუხტის ზრდა და, შედეგად, პოლიტიკური კრიზისი ბამონინში.

და ჩვენ, ვისაც სიდუხჭირემ მრავალი დამცირება გვაგვამა,

პროვოკაცია ნებისმიერი ხელისუფლების ნაცადი ხარხია, მაგრამ, ცივილიზებულ სამყაროში ჩინოვნიკები მას არსად ისე თავსადურად და შეუზღუდავად არ მიმართავენ, როგორც ჩვენთან. აღსაქმელად ძნელია, მაგრამ ფაქტია და ამის შენიღბვა ყველაზე დახვეწილი ფიარტატ კი შეუძლებელია.

ისლა დავრჩენია, აღმფრთვება გამოვხატოთ იმის ხილვისას, თუ როგორ ებრძვიან ადამიანები საკუთარ ფანტაზიებს, როგორ ამსხვრევენ თავისსავე გამოწინააღმდეგეობას და, ამავდროს, გაცხარებით ამტკიცებენ, რომ ანადგურებენ მეტოქეს.

ორიდან ერთია: ან თავს იტყუებან, ან ანგარიში-უცემლად ირჯებიან, გუ-

სამწუხაროდ, კვლავ მოგვინევს დაპირისპირებისათვის მზადება. პოლიტიკურ ბრძოლაში კი სწორედ საერთო-საქვეყნო ინტერესებმა უნდა გაგვავითანოს.

კრიზისი ხელისუფლებაში — ესაა დაძაბული, ღია ბრძოლა ძალაუფლებისთვის. საზოგადოება ამ კრიზისს არა ფორმალურად, არამედ პრაგმატულად უნდა მიუდგეს.

მთავარი ამოცანაა, ხალხი დარწმუნდეს ძირეული ცვლილებების აუცილებლობაში. სადღეისოდ, დიდი სურვილის მიუხედავად, საზოგადოება სათანადოდ არ არის მზად არსებული ვითარების შესაცვლელად. ამიტომ პოლიტიკურმა სექტორმა მოსახლეობის ყველა ფენას უნდა განუმარტოს, რომ ხელისუფლებიდან დილეთანტების მოუშორებლად ქვეყანას პერსპექტივა არ გააჩნია.

თუ შიშობს ჩვენთვის, რომ კრიზისი ძალაუფლებისთვის ბრძოლა, დროა, საზოგადოებაში უკანასკნელს კითხვას: რომელი პოლიტიკური ძალა უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში?

უეტყველია, რომ არ შეიძლება კვლავაც ავირჩიოთ გარედან მართული ხელისუფლება.

პოლიტიკოსთა ერთი ნაწილი არ ურიგდება ხელისუფლებას და ცდილობს, მოამზადოს პირობები მის შესაცვლელად. მაგრამ არიან ისეთებიც, ჩინოვნიკებთან რომ თანამშრომლობენ და, უფრო მეტიც, ფარულად ებრძვიან მათ, ვინც ხელისუფლების უპირობოდ გადადგომის მომხრეა. როგორც ჩანს, მათ ეიმედებათ, რომ ავტორიტარიზმი თანდათან შესუსტდება და ახალი პოლიტიკური ძალების ინტერესებს გაითვალისწინებს. ასეთი მოსყიდული ოპოზიცია ვერ გახდება ამ პროცესების მამოძრავებელი ძალა და, მით უმეტეს, — ლიდერი.

ასევე დაუშვებელია, რომ ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში რეფორმების აუცილებლობაზე მოსთქვამდეს ის პოლიტიკური ისტაბლიშმენტი, რომელმაც ქვეყანა სავალალო მდგომარეობაში მიიყვანა.

მიზნის მისაღწევად არ გვჭირდება უსაგნოდ მოლაყებები, რომლებიც გარკვეული საფასურის სანაცვლოდ მზად არიან, მოვლენები უმაღლეს მოხელეთა სურვილისამებრ განავითარონ. დროა, გამოჩნდნენ საქმიანი ადამიანები, ვისაც კარგად აქვს გააზრებული, რომ ქვეყნის ხელისუფლების უმთავრესი ამოცანაა ეროვნული ინტერესების დაცვა.

უკანონობა სირუბაში არ აღიკვეთება. პირიქით, დუმილი ნოყიერ ნიადაგს უქმნის და აძლიერებს მას. ქვეყანაში თვითნებობის აღსაკვეთად არა მხოლოდ უნდა გავაცნობიაროთ პროფესიონალების საჭიროება, არამედ მისნავლეთ მათი მოსმენა, მათი აზრის დაფასება და გაზიარება. ერთად უნდა ვიქიმოთ გზები მიზნის მისაღწევად, ვიბრძოლოთ და დავპლიროთ სირუბაში.

ნუ დავიწყებთ, რომ ცა ყოველთვის არ არის უღრუბლო.

ტატო ლასხივილი,
გაზეთ „სოფობონა გრუზიას“
მთავარი რედაქტორი.

ასრულდება თუ არა ლევან სამხარაულის ზურაბ ადგიშვილის დავალებას „შვანიას საქმის“ გაყალბებაში?

ვახტანგ კომახიძე: ზურაბ შვანიას ტანსაცმელი „აორთქლდა“!



2005 წლის გაზაფხულზე, ზურაბ შვანიას გაზით „დროულად“ გაგუდვის შემდეგ, ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ხელმძღვანელი ლევან სამხარაული მოკლეს. არსებობს მოსაზრება, რომ სამხარაული, როგორც საშიში მონქე, გზიდან ჩამოიცილეს. შეგახსენებთ, რომ ბატონი ლევანი ზურაბ ადგიშვილის კადრად ითვლებოდა და კულუარებში იმაზეც საუბრობენ, რომ იგი ყოველთვის უსიტყვოდ ემორჩილებოდა ადგიშვილის ყველა მითითებას... როგორც ცნობილია, ზურაბ შვანიას ცხედრის თუ იმ მასალების ექსპერტიზის დასკვნებში, რაც შემთხვევის ადგილზე იქნა ამოღებული, არა ერთი საეჭვო დეტალი გამოიძიების, ანუ ხელისუფლების ინტერესების თანახმად „გაპრავებული“... შეგახსენებთ, რომ სამხარაულის მკვლელობის მოტივად მეტად ბანალური ისტორია დასახელდა. იგი ბავშვობის მეგობარმა მოკლა, რომელთანაც, თურმე, 10 წლის წინ უთანხმოება მოსვლია... საეჭვოა ის გარემოებაც, რომ სამხარაულის მკვლელობა დავით მჭედლიძემ მკვლელობიდან რამდენიმე წუთში 2 ტყვიით მოიკლა თავი. ორივე ქრილობა მომენტალურ სიკვდილს იწვევდა... „საქართველო და მსოფლიო“ სამხარაულის საეჭვო მკვლელობის შესახებ სტუდია „რეპორტიორის“ ხელმძღვანელს ვახტანგ კომახიძეს ესაუბრა, რომელიც შვანიას საქმის კიდევ ერთ გაუმართლებელ დეტალზე პირველად ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ისაუბრებს.

— არსებობს მოსაზრება, რომ ლევან სამხარაულის მკვლელობა ზურაბ შვანიას გაუკვირებელი ვითარებაში გარდაცვალებას და მისი ცხედრის ექსპერტიზის საეჭვო გარემოებებს უკავშირდება...

— ნამდვილად არსებობს ეჭვი, რომ ეს ორი საქმე ერთმანეთთან კავშირშია და სწორედ ამიტომ უნდა ჩატარდეს სერიოზული გამოძიება. ეჭვს აძლიერებს ის ფაქტიც, რომ ლევან სამხარაულის მკვლეელი გაურკვეველ გარემოებაში დაიღუპა. დავით მჭედლიძე ორი ტყვიითაა მოკლული და ეს საქმე კვალიფიციონრებმა როგორც თვითმკვლელობა, მაშინ, როდესაც ორივე ქრილობა მომენტალურ სიკვდილს იწვევდა... მოკლედ, სამხარაულის მკვლელობაში ძალიან ბევრი საეჭვო გარემოებაა.

— რას გულისხმობთ?
— ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, რომელიც დღეს ლევან სამხარაულის სახელს ატარებს, მიტანილ იქნა ზურაბ შვანიას საქმეში არსებული ყველა ის მასალა, რაზეც ექსპერტიზა უნდა ჩატარებულიყო. დაიდო ექსპერტიზის დასკვნები. მაშინ ამ პროცესს ბიუროში ლევან სამხარაული ხელმძღვანელობდა. ვერ დავასახელებ იმ პიროვნების ვინაობას, ვინც ამ პროცესში იყო ჩართული, მაგრამ არსებობს თვითმხილველი, რომელმაც იცის, რომ ზურაბ შვანიას ტანსაცმელი ექსპერტიზის ბიუროში მტვერში ამოგანგლული მიიტანეს.

— საიდან მიიტანეს?
— სავარაუდოდ, პროექტურ-რიდან. უნდა ჩატარებულიყო ფიზიკოტექნიკური დათვალიერება და ტანსაცმელზე არსებული მიკრონაწილაკები შეესწავლათ, მაგრამ ექსპერტიზის ოთახში, სადაც პრემიერ-მინისტრის მტვერში ამოსვრილი ტანსაცმელი იყო, მივიდა ლევან სამხარაული და თქვა, რომ შვანიას ტანსაცმელი მას უნდა წაეღო. შემდეგ ექსპერტი სამხარაულის ოთახში დაიბარეს და სამოსი გამოატანეს, მერე ისევ წაიღო სამხარაულმა და საბოლოოდ მოხდა ისე, რომ ტანსაცმელი „აორთქლდა“. ოჯახის წევრებს

„უშიშროების ერთ-ერთი თანამშრომლისგან ვიცი, რომ გარდაცვლილ შვანიას მტვერში ამოსვრილი პიჯაკი ეცვა“...

უთხრეს, რომ პრემიერ-მინისტრის ტანსაცმელი ფედერალური ბიუროს ამბულატორიაში გადაიგზავნა ექსპერტიზაზე, თუმცა ამ კონკრეტული მიმართულებით კვლევის არანაირი შედეგი არ არის ცნობილი. მოკლედ, ეს საკითხი დღემდე ბურუსით მოცულია.
— საზოგადოებისთვის დღემდე უცნობ დეტალებზე საუბრობთ...

— უშიშროების ერთ-ერთი თანამშრომლისგან მაქვს ინფორმაცია, რომ შემთხვევის ადგილზე მოხდა ფოტოგადაღება და არსებობს სურათები, სადაც კარგად ჩანს, რომ შვანიას მტვერში ამოსვრილი პიჯაკი ეცვა. თუ პრემიერ-მინისტრი ბინაში გარდაიცვალა და, როგორც ამბობენ, სავარაუდოდ, როგორ შეიძლება, პიჯაკი მტვერში ყოფილიყო ამოსვრილი?
— კობა ხარშილაძე პროკურატურისთვის მიცემულ ჩვენებაში ამბობს, რომ მან ზურაბ შვანიას სავარაუდოდ გადმოასვენა და ხელოვნური სუნთქვა

ჩაუტარა... შესაძლოა, პრემიერ-მინისტრის პიჯაკის მტვერში ამოსვრა ამით ახსნან?
— ხარშილაძე ამბობს: — სავარაუდოდ, გადმოვასვენე იატაკზე და ხელოვნური სუნთქვა ჩავეუტარეო. მაგრამ, მითხარით, თუნდაც ასეთ ვითარებაში როგორ უნდა ამოსვრილიყო მტვერში შვანიას ტანსაცმელი?! ასეთი რამ გამორიცხვია! მოკ-

ლედ, არსებობს ინფორმაცია და სურათებიც კი, რომ პრემიერ-მინისტრის პიჯაკი იყო მტვერში ამოსვრილი და სამხარაული ცდილობს, რაღაც მანიპულაციები განხორციელებს იმ ტანსაცმელზე, ექსპერტს არ აკარებს გარდაცვლილი პრემიერ-მინისტრის ტანსაცმელს. მისი ამგვარი ქმედების მოტივი გაუგებარია. ბიუროს ნამდვილად ჰქონდა ის კვალიფიკაცია, რომ ფიზიკოტექნიკური ექსპერტიზა ჩატარებულიყო. ამ ტანსაცმლის კვლევის ისტორია შემდგომშიც ბუნდოვანი თუ გასაიდუმლოებულია. ჩვენ არ ვიცით, კიდევ რამდენი ასეთი საინტერესო დეტალი შეიძლება იყოს საექსპერტო ნაწილში, რასთანაც ლევან სამხარაული იყო დაკავშირებული. შესაბამისად, ეჭვი იმის შესახებ, რომ ლევან სამხარაული მართლა ზურაბ შვანიას საქმის გამო შეიძლება იყოს მოშორებული, მომდინარეობს იქიდან, რომ ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ხელმძღვანელი ვილაცის მითითებით მანიპულაციების ჩატარებას ცდილობდა.

— როგორ ფიქრობთ, ვის მითითებას ასრულებდა ლევან სამხარაული?
— მოდი, მივყვით მოვლენებს და ერთ დეტალსაც შეგახსენებთ. გახსოვთ, ალბათ, ფილმში „ტყვიის გარეშე“ გამოძიების ფედერალური ბიუროს მიერ მომზადებული დოკუმენტის ფალსიფიკაციის შესახებაც არის საუბარი, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვან

ნი დეტალია. „ეფ-ბი-აი“-ს დასკვნის ინგლისურ ვარიანტში ეწერა, რომ კვლევის დროს ნახშირბადის მონოქსიდის დონეს, რამაც თითქოს პრემიერ-მინისტრი და რაულ უსუფოვი მოწამლა, ექსპერიმენტის დროს არ მიუღწევია და გადაუჭარბებია სიცოცხლისთვის სახიფათო ზღვარისთვის. პროკურატურამ კი თარგმანა, რომ, თურმე, გაზის კონცენტრაციამ მიაღწია და გადააჭარბა სიცოცხლისთვის სახიფათო ზღვარს. როდესაც ამის გამო სკანდალი ატყდა, თქვეს, რომ თარგმანის შეცდომა იყო. წარმოუდგენელია, მაგრამ დავეშვათ, ასეთი რამ მართლა მოხდა და ეს ტექნიკური შეცდომა იყო, მაგრამ დასკვნაში ასევე წერია, რომ ძალიან მოკლე პერიოდში მოხდა. საიდან გაჩნდა ფრაზა — „ძალიან მოკლე პერიოდში“? მაშინ, როდესაც დასკვნის ინგლისურ ვარიანტში ასეთი რამ არსად წერია. პროკურატურამ ძალზე უსუსური კომენტარი გააკეთა, რომ ეს იყო სამუშაო ვარიანტი და ის აღმოჩნდა ყურნალისტის ხელში. თუ სხვა ყველაფერი სწორი იყო და ერთი წინადადება იყო დასასრულებელი, ამის გამო გადადეს დოკუმენტზე მუშაობა? როცა ერთი წინადადება გაქვთ დასაწერი, მეორე დღისთვის გადადებთ ხოლმე სტატიის დასრულებას? ეს ხომ აბსურდია?! პროკურატურა რომ ცრუობდა, დასტურდება იმიტომ, რომ დოკუმენტი ოფიციალურად გააგრძელეს და გადას-

რატომ იუმორებს პრეზიდენტი თბილისის მერს და



რისთვის მიაკითხა კუდაა უგულავას?

თბილისის მერიას კუდი შეასია. ამ ინფორმაციას ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენელი სოსო შატბერაშვილი ავრცელებს. სადაც კუდი შედის, იქ მხოლოდ ცარიელი ადგილი რჩება. თუმცა, როგორც ამგვარად, უგულავას საკითხი ჯერჯერობით პოლიტიკური სიტუაციის გამო შეჩერებულია.

უგულავას რომ პრეზიდენტობის ამბიციები ანუხებდა, ეს შეუიარაღებელი თვალთვალ ადვილად შეიმჩნეოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მის ერთგულებაში მიხეილ სააკაშვილს ეჭვი მხოლოდ ახლა შეეპარა. სააკაშვილის გუნდიდან პრეზიდენტობის ყველაზე აშკარა ამბიციის და შესაძლებლობა სამ ჩინოვნიკს ჰქონდა: ზურაბ ჟვანიას, ირაკლი ოქრუაშვილს და გიგი უგულავას. დანარჩენი ორის მისამართი მოგეხსენებათ. უგულავა კი ჯერჯერობით ისევე ინარჩუნებს „არჩეული“ მერის სტატუსს, თუმცა, თუ ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს გავითვალისწინებთ, იგი, ფაქტობრივად, მძევლობაში იმყოფება და ერთი არასწორი ნაბიჯით შესაძლოა, ციხეშიც კი ამოყოს თავი. არადა, აქამდე მას არა ერთ კანონდარღვევაში ადასტურებდა და ქვეყნის იმიჯიც საერთაშორისო ასპარეზზე შელახა, არავის შეუჩერებია, იმის მიუხედავად, რომ ზოგიერთი საქმე საერთაშორისო სასამართლოს გზით ქვეყანას არა მარტო ავტო-

რიტეტის შელახვად, არამედ ფინანსურადაც ძვირი დაუჯდა. ცოტა ხნის წინათ „ახალგაზრდული ფრონტის“ ერთ-ერთი ლიდერი დაჩი ცაგურია აცხადებდა, რომ თბილისის მერმა და ვიცე-მერმა ახვლედიანმა 400 მილიონად შეფასებული კომპანია „ჯი ემ თი“-ს 35% საკუთარ თავს მილიონად მიჰყიდეს. არც ამ ფაქტით დაინტერესებულა გამოძიება. ლეიბორისტი სოსო შატბერაშვილი ჯერ კიდევ წლების წინ აქვეყნებდა გიგი უგულავას ძვირადღირებული ვოიაჟების შესახებ, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტით ფინანსდებოდა. თუმცა უგულავას ლეიბორისტების მონიტორინგი არაფრად ჩაუგდია და მაშინაც კი, როცა პრეზიდენტი სახელმწიფო მოხელეებს „ქამრის შემოჭერისკენ მოუწოდებდა“, უგულავამ არც მეტი, არც ნაკლები, მაშინდელ პრემიერ-მინისტრ გეგა მგალობლიშვილთან ერთად თურქეთში სამთავრობო ვიზიტზე მიუღწევია იახლა და თურქეთში მისი გასეირნების ფულიც სახელმწიფო ბიუჯეტს აანაზღაურებინა. საინტერესოა, რა სახელმწიფოებრივ მისიას ასრულებდა გიგი უგულავას მეუღლე, სამთავრობო დელეგაციაში რომ მოხვდა?

ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენელი სოსო შატბერაშვილი ირწმუნება, რომ გიგი უგულავა ახლა მხოლოდ დე ფაქტო მერია და რეალურად აღარაფერს წყვეტს, ამისთვის კი ვერის ბაღში მდებარე სახლის მაგალითი მოჰყავს, რომელიც, უგულავას გადაწყვეტილებით, დანგრევისთვის იყო გამოზადებული. **სოსო შატბერაშვილი:** — „როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ვერის ბაღში, სასტუმრო „მუზასა“ და ჟორდანის სახელობის რეპროდუქციულ ინსტიტუტს შორის მდებარე შენობის დანგრევის პროცესი შეჩერებულია ამ რაიონის გამგებლის მიერ. მან შეაჩერა პროცესი, რომელიც აქ მცხოვრებთა გამოსახლებას და შენობის დანგრევას ითვალისწინებდა და გამოყო სახსრები მისი გამაგრებისა და ფასადის აღსადგენად. ეს მოწმობს იმას, რომ უგულავა პრაქტიკულად აღარ არის ქალაქის მერი. ის დე ფაქტო ასრულებს მოვალეობას, რადგან რაიონის გამგებელი, რომელიც რამდენიმე კვირის წინ უგულავას მონა-მორჩილი უნდა ყოფილიყო, დღეს ბედავს და იმ შენობას, რომელიც უნდა დანგრეულიყო, რეკონსტრუქციას უპირებს“.

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ რამდენიმე კვირის წინ მერიაში შევიდა შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის საგამოძიებო ჯგუფი, რომელიც უგულავას უკანონო ქმედებებს იძიებს. მისი დანაშაული კი არა მხოლოდ იმით გამოიხატება, რომ მისიანგრ-მოანგრია მთელი თბილისი და უკანონოდ დაშალა არა მარტო ლოჯიები, აივნები

ლა ადამიანები, ერთსა და იმავე დღეს, ერთსა და იმავე დროს დაენერათ განცხადება, რომ თავიანთ კუთვნილ ობიექტს საჩუქრად გადასცემდნენ ეკონომიკის სამინისტროს. აბანოთუბანში ნგრევას დიდი საერთაშორისო რეზონანსი მოჰყვა და მნიშვნელოვნად შეილახა საქართველოს, როგორც საკუთრების უფლების ჩამომრთმევი ქვეყნის იმიჯი. უგულავამ ასევე დაარბია ტრანსნაციონალური კორპორაცია „სონი“ და უკანონოდ, ყოველგვარი ნორმების დარღვევით გამოასახლა იგი კუთვნილი ტერიტორიიდან. „სონიმ“ ამასთან დაკავშირებით საერთაშორისო სასამართლოში პროცესი მოიგო. გიგი უგულავა ამ შენობებს საკუთარი ხუმტურების გამო როდი ანგრევდა. იგი სამშენებლო ბიზნესითაა დაკავებული. ცხადია, მისი გვარი არსად ფიგურირებს, მაგრამ ის მსხვილი სამშენებლო მაგნატი და თავის სამსახურებრივ მდგომარეობას იყენებდა, რომ ძვირადღირებული ნაკვეთები გამოეთავისუფლებინა, შემდეგ იქ საკუთარი ობიექტები აეშენებინა. რიყის ტერიტორიის მიწასთან გასწორება ნიშნავდა იმას, რომ იქ უნდა წამომართულიყო გიგი უგულავას სასტუმროები, რესტორნები, კაზინოები და, საერთოდ, გასართობი ცენტრი. ამის პროექტი არსებობდა. — **სადაც კუდი შედის, იქ მყოფი ადამიანების ბედი ყოველთვის ცუდად მთავრდება, მოსალოდნელია, უგულავა ციხეში ვიხილოთ?** — არათუ მოსალოდნელი, მისასაღებელიცაა! ჩვენ, ლეიბორისტები, ყოველგვარი ვე-ლური კანონისა და ანგარიშსწორების წინააღმდეგი ვართ, მაგრამ ობიექტურმა სასამართლომ უნდა განიხილოს ყველა დამნაშავეს საქმე „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში. უგულავა არა მარტო შენობებისა და კერძო საკუთრების დამანგრეველ-დამრბევია; მას საკმაოდ სერიოზული კომპრომატები დაუდეს, რასაც მოჰყვა ერთ-ერთი სამსახურის უფროსის ლაშა მაქაცარიას გათავისუფლება, რომელიც ამ საქმის მთავარი შემსრულებელი იყო. მაგრამ, როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, უგულავამ რაღაც მცდელობების შედეგად მო-

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ რამდენიმე კვირის წინ მერიასში შევიდა შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის საგამოძიებო ჯგუფი, რომელიც უგულავას უკანონო ქმედებებს იძიებს.

თუ ავტოფარეხები, არამედ აბსოლუტურად უკანონოდ გაუკეთა დემონტაჟი მთელ კორპუსს, რომელზეც არსებობდა სასამართლო გადაწყვეტილება, რომ თაბუკაშვილის ქუჩაზე მდებარე სახლი კანონის სრული დაცვით იყო აშენებული, ასევე არსებობდა ექსპერტების დასკვნა სახლის მდგრადობის შესახებ. უგულავამ დაანგრია ბიზნესობიექტები, დაარბია რიყეზე მდებარე ყველა შენობა-ნაგებობა, აიძუ-

ახერხა ძიების პროცესის დროებით შეჩერება. თუმცა ცხადია, ეს არის დროებითი, რადგან დღეს მთელი ხელისუფლება დასაფრთხის წინაშე, ქართველი ხალხის რისხვის წინაშე. — **ცნობილია, რომ ბოკერისა და კირკიტაძის მამებსაც აქვთ სამშენებლო კომპანიები, ასევე საუბრობდნენ გივი თარგამაძეზეც, რომ იგი ერთ-ერთ სამშენებლო კომპანიას ლობი-**

რებს. ეს იმაზე მეტყველებს, რომ საკმაოდ მომგებიანი ბიზნესი სახელისუფლებო წრეებში გადინადა?

— უგულავა რამდენიმე სამშენებლო კომპანიის პროცენტის წილში ზის. მსოფლიო კრიზისის დაწყებამდე ბინათმშენებლობა საკმაოდ მომგებიანი ბიზნესი იყო, ახლა მათაც კრიზისი დაუდგათ. ასევე მომგებიანი სანავის შემოტანა საქართველოში და ფარმაცევტული ბიზნესი. მათ მწარმოებელ მსხვილ კომპანიებს წილში უზით ხელისუფლების წარმომადგენლები. ჩვენ არაერთხელ განგვიცხადებია, რომ „ვისოლის“ რეალური მფლობელი გახლავთ მიხეილ სააკაშვილის ძმა. თვითონ „ვისოლისგან“ მოგვივიდა პასუხი, რომ ამ კომპანიაში მიშა სააკაშვილის ძმა მართლაც ირიცხება რიგით წევრად. წარმოგიდგენიათ, მიშა სააკაშვილის ძმა რომელიმე კომპანიის რიგითი წევრი იყოს?! ასევე სამშენებლო კომპანიებშიც. იგივე გივი თარგამაძე, გივი უგულავა, გიგა ბოკერია და სხვები თითქმის ყველა მსხვილი კომპანიის წილში სხედან, თუმცა ეს არსად ჩანს, რადგან მათ კანონით ბიზნესის წარმოების უფლება არ აქვთ.

— ადრე აცხადებდით, რომ „ენერგო პროს“ ნოლიდელი ლობიზებდა. ახლა ვინ ჩაიგდო ხელში ეს კომპანია?

— „ენერგო პროს“ ისევე ნოლიდელის მფლობელობაში რჩება, მაგრამ ოფიციალურად ის არ ჩანს. ნოლიდელმა ჩაიღინა უზარმაზარი დანაშაული და ელექტროსადგურების მთელი კასკადი საკუთარ მფლობელობაში მოაქცია. შუამავალი პირია ვითომდა ჩეხური კომპანია „ენერგო პროს“, სინამდვილეში იგი ნოლიდელისაა და რომ არ მიმდინარეობს მისთვის ამ უკანონოდ მითვისებული ობიექტების ჩამორთმევისა და ნაციონალიზაციის პროცესი, მეტყველებს იმაზე, რომ ნოლიდელი მოქმედებს ხელისუფლებასთან შეთანხმებით. ის არანაირი ოპოზიციონერი არ გახლავთ. ნებისმიერ ოპოზიციონერს ჩამორთმევენ „ენერგო პროს“. ნოლიდელს კი ხელს არ ჰკიდებენ, ისევე, როგორც ბურჯანაძეს არ ართმევენ ერთ ლარად ნაჩუქარ 30-მილიონიან მიწის ნაკვეთებს და სხვა უამრავ რამეს, თუნდაც თურქულ კრედიტს, რომელიც მამამისმა მიითვისა.

— თუკი უგულავა აღმოჩნდება შავ სიაში, მას, ალბათ, ბევრი ჩინოვნიკი მიჰყვება, რადგან ცნობილია, რომ მერიაში ჩატარებული ტენდერების შედეგად ხშირად გამარჯვება სწორედ ის კომპანიებს ხვდება, რომელთაც სახელისუფლებო წრეები ლობიზებდნენ.

— გივი უგულავას მიჰყვება ჩინოვნიკთა მთელი არმია! საქართველოში არანაირი ტენდერი არ არსებობს. ჩვენთან ყველა ტენდერი არის შირმა, და გამარჯვებული ყოველთვის წინასწარაა ცნობილი. სწორედ ამიტომ მოხდა ამ პროცესის შეჩერება, რომ უგულავას მიჰყვებოდა მთელი არმია. მერისა და მისი ჩინოვნიკების დასჯა და რეპრესირება სრულ პარალიზებას გამოიწვევდა სახელისუფლებო ელიტაში. ამიტომ დროებით თავი შეიკავებს, რადგან თვითონ ხელისუფლებაში მძიმე სიტუაციაა და ჩემოდნების ჩალაგების პროცესში არიან.

ანანა ჭელიძე

რატომ ერჩის თავისუფლების ინსტიტუტი ვანო მერაბიშვილს და გადაინაცვლებს თუ არა ალასანიასთან კეზი კოღუაზი?

„ნაციონალური მოძრაობა“ მარტივ მამრავლებად იშლება. პოსტრევოლუციურ საქართველოში „ნაციონალიზმიდან“ გაქცეული ბევრი პოლიტიკოსი ახსოვს, მრავალი გადაჯგუფება და დაჯგუფება, მაგრამ ასეთი მასშტაბის გაქცევა დღემდე არ განხორციელებულა.

ირაკლი ალასანია — საქართველოს ყოფილი ელჩი გაეროში, არასდროს ყოფილი მნიშვნელოვანი ფიგურა და, შესაბამისად, არც მის გუნდსა და გავლენაზე საუბრობდა ვინმე, მაგრამ უცებ აღმოჩნდა, რომ სახელისუფლებო გუნდიდან მის პარტიაში გადასვლა „ნაციონალიზმის“ ბევრი საქმე გამოუჩნდა. ჯერ იყო და, ნიკა რურუამ გაუჩინა მათ თავსატეხი, თუმცა რურუა რა მოსატანია იმ ამალასთან, რომელიც შესაძლოა, ალასანიასთან გადაბარდეს. ბოლო დროს ვრცელდება ინფორმაცია, რომ ალასანიას გუნდში ერთერთი ყოფილი ფინანსთა მინისტრიც გადადის. მაგრამ მთავრი ის არის, რომ ეს ყოფილი მინისტრი არის კოდუების კუთვნილი მსხვილი კომპანიის ენერჯალური დირექტორი, ანუ მათ ბიზნესს წარმოადგენს და ყველანაირი ლოგიკით, მათივე თანაგუნდელი და თანამოაზრე უნდა იყოს.

ირაკლი კოდუას ბადრი პატარკაციშვილთან საუბრის გულწრფელობის საკითხი დღემდე ბურუსითაა მოცული და, შესაბამისად, არ არის გამორიცხული, მას მართლაც ოპოზიციისკენ ეჭიროს თვალი, რაც ხელისუფლებისთვის სერიოზული პრობლემა შეიძლება გახდეს. მითუმეტეს, რომ მისი ოჯახის ბიზნესი ხელისუფლების ცალკეული ჩინოვნიკების თავდასხმის საგანი არაერთხელ გამხდარა. მას ჯერ „ოპიზას“ გამო შეექმნა პრობლემები ყოფილ დეპუტატ ბექაურთან, შემდეგ იყო „ნაციონალური ავიახაზების“ გამო ატეხილი სკანდალი, როცა გიორგი კოდუამ მისი კომპანიისთვის რეისების დაბლოკვაში პრეზიდენტის ადმინისტრაციის ყოფილი უფროსი ირაკლი ჩუბინიშვილი დაადანაშაულა. მოგვიანებით, როგორც ირაკლი კოდუა პატარკაციშვილთან საუბარში ამბობდა, დედამისის „პირიზის“ გარემონტებული შენობა დაუნგრეს და წაართვეს, ინგლისში იყო გაქეული მისი ძმაც. ახლა კი დედამისს უკვე „სასტუმრო საქართველოსთან“ დაკავშირებით შეექმნა პრობლემა და აცხადებს, რომ მისმა ბიზნესპარტნიორმა საბუთებიც კი გაუყარა. ამ ხელისუფლებაში ქაღალტონი ბურჯანაძის მაგალითიც კმარა იმისთვის, თუ როგორ შეიძლება ოჯახის წევრებიდან ერთი რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენელი იყოს, მეორე კი — სახელმწიფო ჩინოვნიკი, მაგრამ მაინც არ არის გამორიცხული, ბოლოს და ბოლოს, ირაკლი კოდუას მართლაც ჰქონდეს გული აცრუებული ხელისუფლებასზე.

თავის დროზე ნიკა რურუას საკითხი ადვილად გადაწყვიტა ხელისუფლებამ; ვინაიდან პარლამენტარი რურუა გაოპოზიციონერების შემთხვევაში მათთვის უფრო საშიში იყო, მინისტრის პორტფელი გადასცეს და იმუნიტეტიც მოაცილეს ყოველი შემთხვევისთვის. თუ რურუას ალასანიას პარტიაში გადაუცდება ფეხი, მისი შაშკინის ახალი სამინისტროს დაქვემდებარებაში გადაგზავნა რომ არ გართულებულიყო, პრობლემა ამით ამოიწურა, ხოლო კოდუას პრობლემა ასე ადვილად მოსაგვარებელი არ იქნება, რადგან მას საკმაოდ გავლენა აქვს ძალოვან უწყებაში. ბადრი პატარკაციშვილის გონებრივ შესაძლებლობებში ეჭვი ალბათ არაფერს ეპარებოდა, ხოლო კოდუას შესაძლებლობებზე ბევრი რომ აღარ ვისაუბროთ, საკ-

მენტარი რურუა გაოპოზიციონერების შემთხვევაში მათთვის უფრო საშიში იყო, მინისტრის პორტფელი გადასცეს და იმუნიტეტიც მოაცილეს ყოველი შემთხვევისთვის. თუ რურუას ალასანიას პარტიაში გადაუცდება ფეხი, მისი შაშკინის ახალი სამინისტროს დაქვემდებარებაში გადაგზავნა რომ არ გართულებულიყო, პრობლემა ამით ამოიწურა, ხოლო კოდუას პრობლემა ასე ადვილად მოსაგვარებელი არ იქნება, რადგან მას საკმაოდ გავლენა აქვს ძალოვან უწყებაში. ბადრი პატარკაციშვილის გონებრივ შესაძლებლობებში ეჭვი ალბათ არაფერს ეპარებოდა, ხოლო კოდუას შესაძლებლობებზე ბევრი რომ აღარ ვისაუბროთ, საკ-



ერთიანობის მითიც დამსხვრეულია და ხელისუფლებაც კველებურად აღარ ცდილობს, ოქრუაშვილ-მერაბიშვილის თუ სხვათა დაპირისპირებაში უარყოფს, მაგრამ მერაბიშვილთან დაპირისპირება რომ კრახით სრულდება, როგორც ჩანს, კვლავ არ გაუთავისებია უგულავას და თავისუფლების ინსტიტუტის ფრთას ხელისუფლებას. მართალია, ამჯერად საფუძვლიანად არ ნაუტახავთ ცხვირი, მაგრამ არ არის გამორიცხული, ეს ბრძოლაც მერაბიშვილის გამარჯვებით დასრულდეს.

მარისა, მისივე საუბარი გავისხენოთ ოლიგარქთან მისი გავლენის, სპეცრაზმებისა და კონტროლის მექანიზმების შესახებ. სწორედ ამის გამო დაუკავშირდა პატარკაციშვილი სოდ-ის უფროსს.

შიდა დაპირისპირებები სახელისუფლებო გუნდში რევოლუციის პირველსავე დღეებში დაიწყო. დღეს, როცა ექს-პრემიერ-მინისტრი უგანია გარდაცვლილია, მისი სავარძელმემკვიდრე ნოლიდელი, ჰარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ბურჯანაძე და შინაგან საქმეთა, თავდაცვისა და ეკონომიკის ექს-მინისტრი ოქრუაშვილი ოპოზიციისკენ არიან და თითოეული მათგანი „გულწრფელად“ საუბრობს წარსულ ურთიერთობებზე, ეს საკითხი საკამათო აღარ არის. ერთიანობის მითიც დამსხვრეულია და ხელისუფლებაც ძველებურად აღარ ცდილობს, ოქრუაშვილ-მერაბიშვილის თუ სხვათა დაპირისპირებები უარყოფს, მაგრამ მერაბიშვილთან დაპირისპირება რომ კრახით სრულდება, როგორც ჩანს, კვლავ არ გაუთავისებია უგულავას და თავისუფლების ინსტიტუტის ფრთას ხელისუფლებას. მართალია, მათ ჯერ საფუძვლიანად არ ნაუტახავთ ცხვირი, მაგრამ არ არის გამორიცხული, ეს ბრძოლაც მერაბიშვილის გამარჯვებით დასრულდეს. ამის ბოლო მაგალითად კეზურაშვილ-მერაბიშვილის ფარული ბრძოლაც გამოდგება. როცა ორივე მათგანი უთანასწოროდ ებრძოდა ერთმან-

ნეთის კადრებს და საკუთარ უწყებებში საკადრო წმენდებს აწყობდნენ. თუ მორეულ წარსულს გავისხენებთ, ამის დადასტურებაა კოტე კემულარიას მინისტრობის დასასრული. ოლონდ მაშინ მერაბიშვილი მარტო არ ყოფილა; თავისუფლების ინსტიტუტიც აქტიურად უჭერდა მხარს და ამის შედეგი იყო, რომ შავი სამუშაო თავისუფლების ინსტიტუტის შვილობილმა ონიანმა შეასრულა, სასჯელად-

უგულავა-მერაბიშვილის გზები ამის შემდეგ მალე გაიყო, ისევე, როგორც ბაჩო ახალაიას და გიორგი ონიანის გზები. ონიანი წავიდა, ახალია დარჩა.....

როგორც ამბობენ, პრეზიდენტის კარზე კომპრომატების ომს ყოველთვის მერაბიშვილი იგებს, და არა მხოლოდ იმიტომ, რომ მას მტკიცებულებების მოპოვების მეტი მექანიზმები აქვს. სად არის მისი წინამორბედი ოქრუაშვილი, გადმოცემით მაინც ვიცით, ხოლო კემულარიასა და კეზურაშვილის ადგილსამყოფელი ბუერისთვისაა უცნობი....

პოლიტიკურ წონასა და გავლენას დღემდე არც კახა ბენდუქიძე უწიოდა, თუმცა ახლად გამინისტრებული ლაშა უგანისა განაცხადის შემდეგ — ბენდუქიძეს მალე დაეჩუქავო, ყველასთვის ნათელი იყო, რომ პრეზიდენტი ბენდუქიძეს თავიდან მოიცილებდა. ბენდუქიძეც წავიდა, თუმცა მისი გუნდი საკმაოდ მასშტაბებით დარჩა პოლიტიკურ სცენაზე. მისი ერთ-ერთი რჩეული, გიორგი ცხაკაია, რომელიც თანამდებობაზე ლამის სკოლის მერხიდან მოხვდა, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტის ბიუროს უფროსად დაინიშნა, მანამდე კი იგი ბენდუქიძის მოადგილე გახლდა. ცხაკაია დიდი ვერაფერი პოლიტიკური ფიგურაა,

მაშინ მერაბიშვილი მარტო არ ყოფილა; თავისუფლების ინსტიტუტის აქტიურად უჭერდა მხარს და ამის შედეგი იყო, რომ შავი სამუშაო თავისუფლების ინსტიტუტის შვილობილმა ონიანმა შეასრულა, სასჯელად კი ახალია მოგვქვლინა.

რულების სისტემის შეფად კი ახალია მოგვევლინა. არადა, შოთა კოპაძისა და კოტე კემულარიას თავიდან მოსაშორებლად თავისუფლების ინსტიტუტის მთელი ძალები ამ სტრუქტურაში დარღვევების გამოვლენისთვის იყო მობილიზებული. ამისთვის ონიანმა მცირეხანი „პატიმრობაც“ კი გამოიგონა. თუმცა ეს ამბავი მაშინ მერაბიშვილის ჩარევის გარეშე მაინც ვერ მოგვარდა: იუსტიციის მინისტრის გადადგომისთვის პატიმრობაში მყოფი კანონიერი ქურდის — „წრაპას“ გასეირნება გახდა საჭირო ორთაქალის აბანოებში.

მაგრამ ბენდუქიძეს საკმაოდ დიდი და ჭკვიანი გუნდი ჰყავს. ძნელი სათქმელია, მისი წონის ბრალია, რომ ისინი დღეს კვლავ თანამდებობებზე რჩებიან, თუ კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის — ლევან ჭოლაძის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე დანიშნისა არ იყოს, ხელისუფლება ცდილობს, ოპოზიციისკენ მაცქერალ ჩინოვნიკებს თბილი ადგილები შეუწარმოოს, რომ მათი მზერა მხოლოდ კანცელარიისკენ იყოს მიმართული.

ანანა ჭელიძე

მარინა ბალიაშვილი:

მატერიალურმა მიზნებმა ნინო ბურჯანაძის პიროვნებაში მოკალური და ზნეობრივი უნარები მიაყურა

ლიდერობა არა მარტო დიდი პატივია, არამედ უდიდესი ტვირთი და უზარმაზარი პასუხისმგებლობაა. პოლიტიკაში ლიდერის მთელ მოღვაწეობას ერისა და ქვეყნის მოთხოვნები უნდა განსაზღვრავდეს. ბოლო წლებში ბევრი, ძალიან ბევრი დაგვიგროვდა გასაკეთებელი. მომვალის გზა მამულზე, ეროვნულ სიძლიერესა და ტერიტორიულ მთლიანობაზე გადის. ერს სურს, აირჩიოს მოსაწონი ლიდერი, ენდოს, იწინამძღვროს და გააყვეს. საბას სიბრძნით თუ ვიხელმძღვანელებთ, ერის გზის მაჩვენებელი და მისი მოძღვარი „თავად უნდა იყოს უმნიშვნელო, ყოველი ბოროტებისაგან შორს მდგომი, ყოველისა უხამსობისა განვერე, ავ ზრახვათა საკუთარ წიაღში დამორგუნავი, დიდსულოვანი და თავმდაბალი, ერისთვის უანგარი მოღვაწე და ერთგული კეთილობისა“. საინტერესოა, როგორი ლიდერია ნინო ბურჯანაძე?! მის ფსიქოტიპზე გვესაუბრება დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი მარინა ბალიაშვილი:

— ძალიან ძნელია, განსაზღვროს ნინო ბურჯანაძის ფსიქოტიპის კონკრეტულობა. იგი გულგრილი ტემპერამენტის მატარებელია, რომელიც მულავენდება თითქმის შეუმჩნეველ მგრძობელობაში. ამგვარი ფსიქოტიპი ჯიუტი სექტანტივით არ იცვლის გარეგნული მოქმედების მანერას. ფსიქოლოგიაში გაურკვეველები ამ თვისებას აფასებენ როგორც მშვიდ გონიერულობას. სინამდვილეში კი მას აკლია სულიერი სიმსუბუქე, სილაღე. ხშირად იძაბება, რაც მის ფიზიონომიას, მითუმეტეს, სახის ზედაპირს წამახვილებულ გამომეტყველებას აძლევს. ნინოს მოქმედება და სიტყვები ყოველთვის ემორჩილება წინასწარ განსაზღვრულ სქემებს, რაც უფლებას გვაძლევს, მას სქემატური პიროვნება ვუწოდოთ. ყოველთვის ცდილობს, შენიღბოს ან შეალამაზოს თავისი შეხედულებები. ეს არ მტყვევებს მის აღზრდასა და კულტურაზე ან განსწავლულობაზე, პირიქით — ის ამით აწელებს და მთლიანად სპობს ბუნებრივი გრძობის სილამაზეს, ანუ ნატურალიზმს. ამიტომ ჩანს უფერული. მის საუბარს, გამოსვლებს ყოველთვის აკლია მკვეთრად გამოხატული კონკრეტულობა, ხოლო ფსიქოტიპს — სრულყოფილება. განწინასწორებული ცივისსიხლიანობა, მწირი ლექსიკა მასზე დამკვირვებელს აგრძობინებს, რომ პიროვნებაში გონებისა და გრძობის ჰარმონია დარღვეულია. მის სწორხაზოვანსა და ზედპირულ შეფასებებში საკვებით გამორიცხულია პიროვნული ხიბლი, ბუნებრივი სითბო, ქალური შარმი, გაღიმებაც კი. ორატორიაში არ იგრძობა ემოციური ფონი, მოულოდნელი მომენტი, ეფექტი. ამიტომ, როგორც ლიდერი, კარგავს მსმენელს, მიმზიდველობას. ამ პოლიტიკოს ქალბატონსა და აუდიტორიას შორის კონტაქტი არ მყარდება. ამის საფუძველი კი მისი სულიერი გარიყულობაა. ჩაკეტილია, დაკომპლექსებულია, დაძაბული, რომ რამე არ შეეშალოს. მას არ გააჩნია პიროვნული სითბო, ადამიანებთან ჰარმონიაში ყოფნის უნარი, სწორედ ამიტომ ვერ ახდენს მასებზე შთაბეჭდილებას. საუბრობს მონოტონურად და ყველაფერს ოფიციალურ შეფასებას აძლევს. მასსოვს, ალიევის დაკრძალვიდან ჩამოსულმა ნინო ბურჯანაძემ სამგლოვიარო რიტუალი ასე მოიხსენია: — „ძა-

ნინო ბურჯანაძემ სამგლოვიარო რიტუალი ასე მოიხსენია: — „ძალიან კარგი ღონისძიება გახლდათ“.

ლიან კარგი ღონისძიება გახლდათ“. ქალური ინტუიციით გრძობს საზოგადოების დამოკიდებულებას, ღიზინდება და ხშირად პუბლიკას იგნორირებით პასუხობს. პოლიტიკურ სარბიელზე დაშვებული უხეში შეცდომები ამკარად და ნათლად აჩენს მის ინდიფერენტულობას.

— ქალბატონო მარინა, მეტიმეტად მკაცრი შეფასება ხომ არაა გულგრილობა?

— ამბობენ, ფსიქოტიპებში ყველაზე საშიში გულგრილი ადამიანია, რადგან მათი განურჩეველი დამოკიდებულება გზას უხსნის მრავალ ბოროტებას. პოლიტიკა გარკვეულ ზნეობრივ კოდექსს მოითხოვს. მან კი გირგვლიანის დედას მორალური თანაგრძობაც არ გამოუცხადა. ჩვენს ეროვნულ ხასიათსა და ტრადიციებში შეიღმკვედარი დედა ვეფხესაც კი სამძიმარს ეუბნება — „იქნება ვეფხვის დედა ჩემზედ მწარედა ტირისა“... მისი სიჩუმე ამ შემადრწუნებელი ფაქტის ირგვ-



ლივ, შიშით საკუთარ თავში ჩაკეცვა, გაურკვეველი დამოკიდებულება ზოგადადამიანურ განცდათა მიმართ, რბილად რომ ვთქვათ, გულგრილობაა. ის სხვა პოლიტიკოსებისგან განსხვავებით, არის ქალი — დედა. ზურაბ ჟვანიას იდუმალებით მოცულ გარდაცვალებაზეც კი ოფიციალური შეფასების სურვილიც არ აღმოაჩნდა. მისაღებში მყოფ მოშიშმიღებებს ცივ ამინდში პლედირ არ გადააფარა. მასში ქალური ზრუნვისა და თანაგრძობის ნაპერწკალიც კი არ გაკრთა. ის ვერაფრით გასცდა ოფიციალურ, იერარქიულ დამოკიდებულებას. უბრალოდ, შინაგანად არ შეუძლია თანაგრძობა, შეჭირვებულთათვის ხელის განოდება, სოლიდარობა. საზოგადოებას ახსოვს, შენობებიდან ბარბაროსულად გამოყრილი ლტოლვილი ქალბატონ-

ნები როგორ მოიხსენია „სამშობლოს მოღალატეებად“. მოყვანილი ფაქტები სულიერი ინერტულობის, სინდისთან კომპრომისისა და მოქალაქეობრივი ინდიფერენტულობის დასტურია. ამგვარი მენტალობის ლიდერი ვერ იქნება, უფრო მეტიც, შემდგარი პიროვნება არაა. ადამიანს, რომელსაც არ ძალუძს სხვისი (მეორე ადამიანის) გრძობასთან და ფიქრთან, გნებავთ, განცდასთან თანაზიარობა, ცხადზე ცხადია, რომ გულგრილია. ქალბატონ ნინოს, როგორც პოლიტიკოსს, უდიდესი ნაკლი აქვს: გაჭირვებულთა უპატივცემულობა, მათდამი სნობური დამოკიდებულება, ლიტონი ესთეტიკა. არ შეიძლება ლიდერი იყო, პირველკაცობის პრეტენზია გქონდეს და ეყრდნობოდე მხოლოდ შენს გარემოცვასა და 2-3 ავტორიტეტს. დინჯი, შორსმხედველი, ჭეშმარიტი პოლიტიკოსი ასე არ იქცევა. გაეხსენოთ 7 ნოემბრის დღეები. ხმამაღლა აცხადებს: — „მე ვიღებ პასუხისმგებლობას“... იურისტია და კარგად იცის, რას ნიშნავს პასუხისმგებლობა. მისი პოლიტიკური მოღვაწეობის მანძილზე მის შესახებ ბევრი ცუდი დაგროვდა: არაგულწრფელობა, უპრინციპობა, არაკეთილსინდისიერება და არაკომპეტენტურობა, რაც მისადმი უნდობლობაში გადაიზარდა. ის ვერ ფლობს მანიპულირების ხელოვნებას, აქ უკვე გარკვეულწილად ამბიციურ უნიჭობასთან გვაქვს საქმე. პოლიტიკაში ყოფნამ ბევრი მარცხი და ცოტა გამარჯვება იცის. პოლიტიკაში ყველაზე დიდი, ტრიუმფალური გამარჯვება ხალხის მხრიდან აღიარებაა.

— ქალბატონო მარინა, რა არის მაინც ქალბატონი ნინოს ფსიქოტიპში ცენტრალური ხაზი, რომლის ირგვლივ ყველა დანარჩენი მახასიათებელი იკრებიება?

— თვითკერძობა, ეგოცენტრიზმი, რამაც ის თავის თავში ჩა-

კეტა. მის შემეცნებაში მატერიალური ფაქტორი ყველაზე წინდგას როგორც პირად, ისე სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ასპექტში. მატერიალურმა მიზნებმა ნინო ბურჯანაძის პიროვნებაში მორალური და ზნეობრივი უნარები მიაყურა. ეგოცენტრიზმით და ამბიციით დაავადებული გამუდმებით ესწრაფვის თავის გამოვლენასა და გამოცალკევებას. მიუწვდომელ სიმაღლეზე აცოცება სურს. მან მამამისი დახმარებით დიდი ხნის წინათ შეადგინა თავისი მატერიალური კეთილდღეობის პროგრამა. მისი პოლიტიკური კარიერა ამ პროგრამის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. მისი გავლილი და გაუვლელი გზაც, ყველა დასახული მიზანი ეკონომიკური სიძლიერის სიბრტყეში დევს. მოპოვებული სიმდიდრის შენარჩუნების გამო ის აქტიური და შეუპოვარია. გახსოვთ, 1 ლარის ფასად როგორ იჩუქა პრეზიდენტისაგან წყნეთში აგარაკი?.. უტიფრად ამტკიცებდა, რომ მან ეს საჩუქარი დაიმსახურა. სწორედ მომხვეჭველობამ მიიყვანა ქალბატონი ნინო სულიერ ფასეულობათა უგულვებლყოფამდე. დღეს კი სიმდიდრის შენარჩუნების მცდელობით ის ახალ პოლიტიკურ ნოვაციას მიუახლოვდა. სახელმწიფოს მაღალჩინოსანი მოხელე ოპოზიციაში წავიდა და კლასიკური დემოკრატიის დამყარებასაც გვპირდება. ამ მცდელობითა და „არაადეკვატური“ პრეტენზიით თამამი, მაგრამ ფრიად მოსაწყენი თამამი წამოიწყო. მისმა პათოლოგიურმა სწრაფვამ ქონების შენარჩუნებისკენ ბევრი გააოცა.

რწმენის მერყეობა საშიშია, სუბიექტის სულიერ ძალებზე ანაბეჭდს ტოვებს და ადამიანს ფსიქოზით აავადებს. ქალბატონ ნინოს ისიც ავინყდება, რომ რაც უფრო მასშტაბურია ქვეყანაში მერყევი პოლიტიკოსების რიცხვი,



ფსიქოტიპს, რომელსაც ინდივიდუალიზმი აკლია, მდარე გამოვნება აქვს და საკუთარ სტილს ვერაფერში ქმნის. მას მიჯაჭვის გარდა აღარაფერი რჩება. მიჯაჭვა პაროღია და იმის არსნაც ამაინჯავს, ვისაც აპაავს. ამიტომ მიჯაჭვის ოჯიქტის ყოლა ერთგვარად პროვინციალიზმი, ანუ თვალსაწიარის შეფუძულობა.

საქართველო

ბსუტო, გაზვიანობა თქვენი მოსაზრებები? დაგვიჩვენეთ: 92-37-58, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

მათადმი სკეპტიკური დამოკიდებულების დონე ამ რიცხვის პირდაპირპროპორციულია, ხოლო პოლიტიკურ ქამელეონად გადაქცევა ნერვების დიდ გამძლეობას მოითხოვს. ის კი ნლობით დაგროვილი ქონების დაკარგვის შიშით შეპყრობილი ყველა ბარიერისთვის მზად არის. ულტრათანამედროვე ნიღბით პოლიტიკურ ტრიუნაზე ადის და სხვათა შეცდომებზე აღშფოთებას ვერ მალავს.

— ქალბატონ ნინოს თავის იდეალი ჰყავს — მარგარეტ ტეტჩერი, თანაც ღრმად რელიგიურია, რასაც ნმ. ნინოს სახელობის ბოღბის მონასტრის აღორძინებაც მოწმობს. ამას როგორ ახსნიო?

— ფსიქოტიპს, რომელსაც ინდივიდუალიზმი აკლია, მდარე გემოვნება აქვს და საკუთარ სტილს ვერაფერში ქმნის. მას მიზანძვის გარდა აღარაფერი რჩება. მიზანძვა პაროდიას და იმის არსსაც ამახინჯებს, ვისაც ბაძავს. ამიტომ მიზანძვის ობიექტის ყოლა ერთგვარად პროვინციალიზმია, ანუ თვალსაწიერის შეზღუდულობა. ფსიქოლოგიაში კი ინფანტილიზმი, ანუ პიროვნების ფსიქიკური განვითარების შეჩერება ბავშვობის საფეხურზე, უფრო გასაგებად — უმნიშვარი პიროვნებაა. ჩვენ ყველა ვბავშვობით ბავშვობაში ვინც მოგვცნა. შემდეგ გავიზარდეთ, პიროვნებად ჩამოვყალიბდით და ვიცით, ვინც ვართ და რაც გვინდა. ტეტჩერი იდეების პოლიტიკოსია, მისი მოღვაწეობით ქვეყანა და ხალხი გაამდიდრა, თავისი დროის ზნეობრივი არსენალი შექმნა და შეუწყო ხელი ქვეყნის სასიკეთოდ მოპოვებას. ქალბატონი ნინო კი, როდესაც ქვეყანა თავზე გვენგრეოდა, დანაშაულებრივი ქმედებები ზედმედ ფრთხილად იხსამდა, თავისი მალე ტახტზე მჯდომარე საეჭვოდ დგებდა. არასოდეს გამოუთქვამს პროტესტი იმისადმი, რაც ჩვენს ყოფას აუფასურებდა.

მომხვეჭილობა მიიყვანა ქალბატონი ნინო სულიერ ფასეულობათა უშუაგაყვამდე.

რელიგიურობა სულიერი მხარეა. მაგრამ ძნელია მის რელიგიური მონამსში ჩემი მხრიდან შეუმცდარი ორიენტირება, მაგრამ ისევ სახარებისეულ სიბრძნეს მოვიშველიებ: „საქმემან შენმან გამოგაჩინოს“. თუ შენი ნაკეთები საქმე ღვთიერია, წმინდა მადლი არ არის, რამდენი მონასტერიც უნდა ააშენო, რამდენი სანთელიც უნდა აანთო, ღვთის საქმე მაინც არ იქნება. ანგარიშის სუბიექტი ღრმად რელიგიური ვერ იქნება. მისი ეკლესიასთან დამოკიდებულება იქნება: გამიკეთე — გაგიკეთებ!

ნინო ბურჯანაძე იდეებისაგან გაძარცვული პოლიტიკოსია. აკლია ინდივიდუალიზმი, პრიმიტიული და სწორხაზოვანია. მრავალი წლის განმავლობაში საქართველოს პოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზე „დედოფალი“ იყო, მან თავისი რესურსები მთლიანად ამოწურა, მაგრამ ვერ „თამარქალა“. დროა, დიდი პოლიტიკიდან წავიდეს.

— და თუ მაინც გამიარჯვია, რას უნდა ველოდეთ მისგან?

— გარანტირებულ სტაბილურობას, ოღონდ — ჭაობის-მაგვარს.

ესაუბრა ლალი შაშიაშვილი



ლობი თუ ლობიო? საქითხაპი, აი, ეს არის!

„ზოგიერთს პოლიტიკა ლობიოს ქამა ჰგონია!“ — ჯაბა იოსელიანის ეს „ფრთიანი“ სიტყვები გასხენდება, როცა გსურს გაგება იმისა, რუსეთში მილიონნახევრიანი ქართულ დიასპორას რატომ არ ჰყავს იქ გავლენიანი ქართული ლობი, თუ ქურდულს არ მივიღებთ მხედველობაში?! ასევეა სხვა ქვეყნებშიც — საფრანგეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ესპანეთში, საბერძნეთში, თურქეთში, სადაც საკმარაო რაოდენობის ქართველები ცხოვრობენ (აზერბაიჯანელებისა და სომხებისაგან განსხვავებით, რომლებსაც ჰყავთ თავიანთი ლობი არა მხოლოდ რუსეთში, არამედ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესშიც კი!).

ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, ვფიქრობ, უნდა ვეძებოთ ქართული მენტალიტეტის უარყოფით თავისებურებაში, რომელიც, სამწუხაროდ, ცნობილია ისტორიულადაც (მთავრების ადგილუფროსობა და ეგოიზმი), რასაც წინ აღუდგა ჯერ კიდევ XII საუკუნეში მეფე დავით აღმაშენებელი. ამ თავისებურებას მაშინაც მივყავით საქართველოს დანაწევრებამდე.

არის კიდევ ერთი მიზეზი: ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში რუსეთში ცხოვრობდა 500 ათასამდე ქართველი, დღეს კი ქართული დიასპორა დაახლოებით მილიონნახევარს ითვლის... საქართველოს ოდესღაც ხუთმილიონიანი მოსახლეობიდან დღეისათვის დარჩა მხოლოდ 2,5 მილიონამდე, რომელთაგან მილიონი ეროვნული უმცირესობაა. გამოდის, რომ საქართველოსა და რუსეთში დღეს თანაბარი ოდენობის ქართველი ცხოვრობს — დაახლოებით 1,5 მილიონი! აი, რატომაა, რომ ადრეც და ახლაც საქართველოს ხელისუფლებას ხელს არ აძლევდა საზღვარგარეთის ქართული დიასპორის აღიარება — იგი ყოველმხრივ ეწინააღმდეგებოდა ქართველების გაერთიანებას, ვინაიდან ძლიერ ქართულ ლობის რუსეთში, მისი დაპირისპირებად გადაქცევის შემთხვევაში, შეეძლო სერიოზული ზეგავლენის მოხდენა საქართველოში ბალანსსა და ძალთა განაწილებაზე, წაერთმია ხელისუფლებისათვის ელექტორატი.

ამიტომაც დღეს რუსეთში მილიონნახევრიანი ქართული დიასპორისათვის ბრალდება უსამართლობად მიმართა: ჩვენი თანამემამულეები — ესაა ქართული საზოგადოების ის საუკეთესო და ენერგიული ნაწილი, ვინც ჯერ კიდევ კომუნისტების ეპოქაში წაივარდა უკეთესი პირობებისათვის და გადაიქცა ნამდვილ ლტოლვილად, ვინც იძულებული იყო, დაეტოვებინა სამშობლო და წასულიყო რუსეთში საშოვარზე. რუსეთმა მიიღო ისინი, მისცა შესაძლებლობა (თუნდაც მძიმე შრომით!), არა თუ ღირსეულად მოწყობილიყვნენ მეორე სამშობლოში (უმთავრესად, მოსკოვში), არამედ მუდმივად დახმარებოდნენ საქართველოში მცხოვრებ ნა-

თესაგებებსა და ახლობლებს. მილიონი დოლარი წელიწადში (ყველაზე მოკრძალებული შეფასებით) — დახმარების ამ ნაკადს რუსეთი არასოდეს გვიკეტავდა — არც „საჯაშუშო სკანდალის“ დროს შარშანწინ, არც შარშან, საქართველოსთან ომის დროს.

დავებმართე კი ჩვენ მათ რითმე, რომ უცხოეთში უკეთეს ცხოვრება? გავხსენით იქ თუნდაც ერთი ქართული სკოლა?! არა! სამაგიეროდ, მოსკოვში გაყიდეთ ქართული კულტურის ერთადერთი ცენტრი „მზიური“, ნავარაუთნად ჩვენს თანამემამულეებს შეხვედრების ერთადერთი ადგილი (გარდა ეკლესიისა ბოლშაია გრუზინსკაიაზე)! საქართველოში დარჩენილმა ქართველებმა ჩვენი მოქმედებით თუ უმოქმედობით 5 წლის წინათ ხელი შევუწყვეთ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების მოსვლას და მის მმართველობას მთელი ამ ხუთი წლის განმავლობაში, ხელისუფლებას, რომელმაც, ნებით თუ უნებლიეთ, მიგვიყვანა რუსეთთან ომამდე, რითაც დიდი პრობლემები შეუქმნა ჩვენს თანამემამულეებს, რომლებიც იქ პრაქტიკულად შეიძლება მძევლებად ქცეულიყვნენ! მაგრამ ეს არ მოხდა, და ეს რუსეთის უმაღლესი პოლიტიკური ხელმძღვანელობის დამსახურებაა. ნურც იმას დავივინყებთ, რომ საქართველოდან წასულს, ვისაც სურდა იქ მუდმივ საცხოვრებლად დარჩენა, რუსეთმა მიანიჭა თავისი მოქალაქეობა, მისცა ინტეგრირების შესაძლებლობა რუსეთის საზოგადოებაში (ბევრი სხვა ხალხისაგან, მაგალითად, თურქი-მესხებისგან განსხვავებით, მაგრამ მოქალაქეობა მარტო უფლებები როდია, არამედ ვალდებულებებიცაა! საქართველოს პარლამენტმა კი, რომელიც ჩვენ ავირჩიეთ, წაართვა მათ საქართველოს მოქალაქეობა: სანტიტერესო რამ გამოიღო — მოწყალებით ვაძლევთ მათ საშუალებას, დაგვეხმარონ და საქართველოს საშინაო ფულად მიმოქცევაში „ჩაგვისხან“ მილიარდზე მეტი დოლარი, ჩვენ კი ვაიძულებთ მათ, უარი თქვან საქართველოს მოქალაქეობაზე რუსეთის მოქალაქეობის მიღებამდე — აუცილებელ პირობაზე რუსეთში მათი ლეგალური ცხოვრებისათვის!

თუმცა მიმანია, რომ ქართული ლობი რუსეთში მაინც არსებობს, თუნდაც, არც ისეთი ძლიერი, როგორც სომხური. ამისი ბევრი მიზეზია. ერთ-ერთი მათგანი, ზემოაღნიშნული ქართული მენტალიტეტის უარყოფითი თავისებურების გარდა, არის წმინდა პოლიტიკური რეალია: სომხეთი ყოველთვის იყო და რჩება კავკასიაში რუსეთის სტრატეგიულ პარტნიორად და, მიუხედავად ძლიერი ლობისა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც თვით სომხეთზე ოთხჯერ მეტი სომეხი ცხოვრობს, იგი არასოდეს ღალატობდა პრორუსულ ორიენტაციას (საქართველოსაგან განსხვავებით). გავიხსენოთ, თუნდაც, ის, რომ როდესაც სომხეთის ხელისუფლებაში მოსვლას შეეცადნენ პროამერიკულად განწყობილი პოლიტიკოსები დემირჩიანის ხელმძღვანელობით, სომხებმა უარი არ თქვეს უპრეცედენტო ნაბიჯზე — შეიჭრნენ პარლამენტში და მოახდინეს არასასურველთა ლიკვიდაცია ავტომატების ვერით...

სომხები და აზერბაიჯანელები ჩვენზე — ქართველებზე ჭკვიანად ამჯერადაც იქცევიან, როცა შუამავლად და გარანტად ყარაბაღის კონფლიქტის მონესრიგებაში რუსეთს ირჩევენ. ჯერ კიდევ 2005 წლიდან, ტერიტორიული მთლიანობის პრობლემების გადაწყვეტის თვალსაზრისით, ვთავაზობდი ყველასათვის გაცილებით უფრო მისაღებ ვარიანტს — სახელმწიფო ნეიტრალიტეტის გზას არა მხოლოდ რუსეთის, არამედ გაეროს, ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების გარანტიითაც! მაგრამ მთელი ამ წლების განმავლობაში ჩვენი ხელისუფლება და მისი „ჯიბის პოლიტიკოლოგები“, რომლებსაც მე, პროქტოლოგების ანალოგიით, შევარქვი პროქტოპოლიტოლოგები, ჩემს იდეებში ხედავდნენ მხოლოდ „შულავერის კომიტეტს“, „კრემლის ხელს“, „რუსეთის ეფეს“ და ასე შემდეგ... შედეგად კი მივიღეთ დღეს იგივე „ფეხი“, მაგრამ უკვე ჩექმებში, ჩვენ ცხვირწინ — დედაქალაქიდან ერთი საათის სავალზე...)

მაგრამ ეს კარგი გავითილია რუსეთისთვისაც, რომელმაც ამდენი ხნის განმავლობაში ვერ

შეძლო, შეექმნა საქართველოში რუსული ლობი ყველა ეროვნების ღირსეული ადამიანებისაგან, პირველ რიგში კი, ქართველებისაგან! საქართველოს პარლამენტში (ყოფილი და ახლანდელი მოწვევის) არ არის არც ერთი რუსი. სამაგიეროდ, ამის ნაცვლად არჩევანი კეთდებოდა „საიდუმლო რაშებზე“, ვისთანაც რუსეთის ჩინოვნიკებსა და დიპლომატებს კომფორტულად შეეძლოთ „გაერეცხათ“ საქართველოში მცირე, მაგრამ მაინც სხვადასხვა ჰუმანიტარული პროგრამით რუსი თანამემამულეების დასახმარებლად შემოსული ფული, ოდიოზურ, მაგრამ „საქმეში“ შემონახულ ყოფილ პარტიულ ფუნქციონერებზე, უშიშროების სახელმწიფო კომიტეტისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებზე, ინტელიგენციის წარმომადგენლებზე, რომლებსაც ჰქონდათ ორი პასპორტი, ბინა მოსკოვში და საკუთარი „სავაგასტროლო ინტერესები“ რუსეთში...

სამწუხაროდ, დარწმუნებული ვარ, რუსეთის ხელმძღვანელობამ ვერ გამოიტანა სათანადო დასკვნა, და როდესაც მონესრიგდება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, იგი კვლავ „დაანგება იმავე ფორცხებს“: „მოუფეროს“ ფიციონების მკვეთრად შემცველ „ინტელიგენტებს და „სინათლეზე“ კვლავ გამოსულ „თბილისური ჩამოსხმის რუსეთულ პატრიოტებს“...

„ძუნწი ორჯერ იხდის“, ბატონო რუსო ჩინოვნიკო: „თოფიანი კაცი“ თქვენ გაცილებით უფრო ძვირი დაგიჯდათ (და კიდევ იზარალებთ!), ვიდრე რუსული მშვიდობის მხარდაჭერა საქართველოში! ამიტომ შეეცადეთ, ყოველი კვირის პარასკევის მეორე ნახევრამდე, როდესაც მიეჩქარებათ მოსკოვის საგარეუბნო აგარაკებისაკენ, და ორშაბათის პირველი ნახევრიდან, როდესაც, ავტოსაცობების გავლით, ჩააღწევთ თქვენს კაბინეტებამდე, იფიქროთ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე „არა აღნიშვნისათვის“ (რუსულად — გალოჩისათვის), არამედ — გულით! ვინაიდან ეს თქვენთვის, ამერიკელი ან ევროპელი ჩინოვნიკებისაგან განსხვავებით, უფრო მეტია, ვიდრე უბრალო მუშაობა!..

P.S და სანამ საქართველოს მინისტრი უცხოური დიასპორების საკითხებში იულონ გაგომიძე ფუსფუსებს: ყალბი საბაბით ბოიკოტს უცხადებს რუსეთში ქართველთა კავშირის ყრილობას და ამავე დროს მიესალმება თურქეთში ახალი ჟურნალის „ფიროსმანის“ გამოცემას, რომელმაც, მისი აზრით, უნდა შეასრულოს ლამის ისტორიული როლი თურქეთში მცხოვრები ქართველების დაახლოებაში, გრძელდება ველურობა: საქართველო და რუსეთი — ქვეყანა, სადაც ცხოვრობს მილიონზე მეტი ქართველი, ერთმანეთს წაეკიდნენ და აღარ აქვთ არანაირი ურთიერთობა...

არსო სიღირებუპილი

კახა კუკავა:

პრილის ბოლოვდა სააკაშვილი პრეზიდენტი აღარ იქნება

26 თებერვლის ღამეს გაზეთ „საქართველოს და მსოფლიოს“ რედაქცია „გაიქურდა“, რაც მედიასაშუალებებით გახმოვანდა და პოლიტიკოსთა გარკვეულმა ნაწილმა მხარდაჭერაც გამოგვიცხადა... არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ეს არ იყო რიგითი კრიმინალი და ადგილი ჰქონდა გაზეთის მუშაობისთვის ხელის შეშლის მცდელობას, თუმცა იმ „კეთილის მოსურნეთა“ გასაგონად, ვინც შესაძლოა, ფიქრობდა, რომ გაზეთი გარკვეული პერიოდით მაინც შეწყვეტდა მუშაობას, „ჩვენ ვცოცხლობთ!“ გაზეთის დარბევისა და ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შეფასება „კონსერვატიული პარტიის“ ერთ-ერთ ლიდერს კახა კუკავას ვთხოვეთ.



**„სააკაშვილს უმზადებენ პრესის კალი-
ბრ დეტალურ ანალიზს და „გამოხმაურება-
ში“ მიორა დღესვე ხდება სოლმი“..**

— ბატონო კახა, პირველ რიგში, ჩვენს პრობლემაზე გკითხავთ. მოგეხსენებათ, 26 თებერვლის ღამეს გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქცია „გაიქურდა“, საგულისხმო ამ ფაქტში ის არის, რომ „ქურდებმა“ განსაკუთრებული ყურადღება „პროცესორებს“ მიაქციეს, სადაც, ინფორმაცია ინახება...

არევა არ შეიძლება. ეს სიმბოლური თარიღი იყო და ქუჩაში პროტესტის გამოხატვის მიზნით გამოვედით და არა — კონკრეტული მოთხოვნებით.

დღეში შეიძლება უფრო სამართლიანი აღმოჩნდეს.

— არსებობს ასეთი შეფასება, რომ გაერთიანებულმა ოპოზიციამ საზოგადოების დაკვეთა ვერ შეასრულა, რადგან ხალხი ქუჩაში სააკაშვილის ნასვლის მოთხოვნით გამოვიდა...

— არ ვიცი ვართიანი ძალებით გეგმობდათ სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ?

— არსებობს ასეთი შეფასება, რომ გაერთიანებულმა ოპოზიციამ საზოგადოების დაკვეთა ვერ შეასრულა, რადგან ხალხი ქუჩაში სააკაშვილის ნასვლის მოთხოვნით გამოვიდა... — ფიქრობ, ეს ხელისუფლების მოსაზრება უფროა, ვიდრე საზოგადოების, რადგან ასეთი განწყობა საზოგადოებაში არ შეინიშნავს. ფაქტია, რომ საპარლამენტო არჩევნებშიც კი გაერთიანებულმა ოპოზიციამ ხელისუფლებასთან შედარებით მიიღო ბევრად უფრო მეტი ხმა, რაც ადასტურებს, რომ საზოგადოებამ ხმა მაინც ერთობას მისცა.

— ნამდვილად ვიცი და ჩვენს მეგობრებს ეს რამდენჯერმე შევთავაზეთ. დღესაც და 9 აპრილამდეც ვიქნებით თანახმა — ერთიანობას მივადგებით.

— ხელისუფლება ყოველთვის მიანიშნებს, რომ ოპოზიციამ გაერთიანება ვერ მოახერხა და იქნებ ეს გახდეს ის ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორი, რომ ვერ მოიპოვოთ საზოგადოების ისეთივე მხარდაჭერა, როგორც ერთი წლის წინ გქონდათ...

— 9 აპრილის შემდეგ? — 9 აპრილის შემდეგ სხვა პოლიტიკური ვითარება შეიქმნება და დღეს ვერ გავაკეთებ პროგნოზს, იქნება თუ არა მეტი შესაძლებელი გაერთიანება.

— როგორ გგონიათ, სააკაშვილი პრესას მართლა არ კითხულობს? — შეიძლება თვითონ არ კითხულობს, მაგრამ აშკარაა, რომ მას უმზადებენ ძალიან დეტალურ ანალიზს და მეორე დღესვე ხდება ხოლმე გამოხმაურებები...

— მაინც, რამდენად მასშტაბური იქნება საპროტესტო აქციები? — ვერ გეტყვი, ეს არავის დაუთვლია, მაგრამ ვვარაუდობთ, რომ ის რაოდენობა ხალხისა, 2 ნოემბერს რომ გამოვიდა ქუჩაში, ახლაც მხარს დაგვიჭერს.

— 9 აპრილიდან ქუჩის აქციებს გეგმავთ და აცხადებთ, რომ სააკაშვილის გადადგომამდე არ დაიშლებით. არსებობს იმის გარანტია, რომ საზოგადოება კიდევ ერთხელ გამოვა ქუჩაში გასული წლის მოვლენების შემდეგ?

— თქვენი მოთხოვნები ამ დღეებში არა ერთხელ გააუღრმეთ, მაგრამ მაინც გკითხავთ — თქვენი უპირობო მოთხოვნა პრეზიდენტის გადადგომა და ამის შემდეგ ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების ჩატარებაა?

— ეს არის კარგად გაპიარებული თემა, როდესაც ერთი წლის წინანდელ ამბებზე აპელირებენ. მინდა, ყველას შევახსენო, რომ ჩვენ საზოგადოება გვერდით დაგვიდგა. ხელისუფლება ცდილობს იმის წარმოჩენას, რომ ხალხი აღარ დავიჭერს მხარს, მაგრამ იანვარში, გასაგები მიზეზების გამო, აქციების შეწყვეტის შესახებ რომ მივიღეთ გადაწყვეტილება, რატომღაც არ მახსენდება, ამას საზოგადოებაში დიდი პროტესტი გამოეწვია.

— დიახ. საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები ერთად ჩატარდება თუ არა, ეს მოლაპარაკების საგანია და ამაზე კონსულტაციებს დავინებებ, მეტი კი ჩვენს მოსაზრებებს საზოგადოებას ვავაცნობთ. მაგრამ პრინციპი, რომ არჩევნები სააკაშვილის გადადგომის შემდეგ უნდა ჩატარდეს, შეთანხმებულია.

— ერთი მხრივ, დაბნეულობას იწვევს ისიც, რომ ოპოზიციის ერთი ნაწილი პრეზიდენტის ნასვლას პლემბისციტით ითხოვს, თქვენ კი ქუჩის აქციებით გადაწყვიტეთ სააკაშვილის უპირობო გადადგომა...

— თქვენი ყოფილი თანამებრძოლები ასეთ შეკითხვასაც სვამენ: რას ფიქრობენ დღეს გაერთიანებული ოპოზიციის წარმომადგენლები კონსტიტუციური მოწყობაზე... მართლაც, როგორია დღეს თქვენი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით — საპრეზიდენტო მოწყობას ემხრობით თუ საპარლამენტოს?

— ფაქტია, რომ გასული წლის 7 ნოემბერს რუსთაველის გამზირზე არცთუ ბევრი ადამიანი მოვიდა... — 7 ნოემბრისადმი მიძღვნილი საპროტესტო აქციისა და ერთი წლის წინანდელი 2 ნოემბრის, გენბავთ 20 იანვრის, ერთმანეთში

— „კონსერვატიული პარტია“ ჩამოყალიბებულია თავის გადაწყვეტილებაში და ჩვენ მხარს საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელს ვუჭერთ. ღრმად ვარ დარწმუნებული, საგურამოს მანიფესტის მსგავსად, ახლაც შევქმნათ დიდი კოალიცია საპარლამენტო რესპუბლიკის მოთხოვნით.

— რატომ გახდა კობა დავითაშვილი მიუღებელი ზოგიერთი პარტიისთვის და რატომ ხდება ისე, რომ ვილაცასთან შეიძლება დიალოგი და ვილაცასთან არა?

— სხვის ნაცვლად ვერ ვილაპარაკებ, მაგრამ ჩვენ გვაქვს გამოკვეთილი პოზიცია და თანამებრძოლს შუა გზაზე არ მივატოვებთ. ეს არის „კონსერვატიული პარტიის“ პრინციპი და ჩვენ მხარს დავუჭერთ ყველა იმ ძალას, ვისთან ერთადაც გამოვიარეთ 7 ნოემბერი. ჩვენთვის სრულიად გაუგებარია, დღეს მათ გაერთიანების კარი დაუხსნოთ.

ლი მოანერგეს დავით გამყრელიძემ და დავით უსუფაშვილმა, უფრო სწორად, მათი ინიციატივით მოვანერგეთ ჩვენ.

— თქვენ იმასაც ვსაყვედურობ, რომ მოლაპარაკებებს აწარმოებთ ნინო ბურჯანაძესთან... მართლაც, მორალურად რამდენად გამართლებულია, რომ პრეზიდენტის მოვალეობის ყოფილი შემსრულებელი, რომელმაც 5 იანვარს საპრეზიდენტო არჩევნები ჩაატარა, იდგეს თქვენს რიგებში? არც იმას გამოირიცხავენ, რომ თქვენი საპრეზიდენტო კანდიდატი შეიძლება ნინო ბურჯანაძე გახდეს...

— ასევე გულწრფელად უნდა მიპასუხოთ, მართლა გჯერათ, რომ თქვენი აქციების შედეგად მიხილ სააკაშვილი წავა?

— თორთლადე რომ ამას ლაპარაკობს, წესით, მეც და თქვენც სიცილით უნდა გავიგუდოთ. ჩვენ გვსაყვედურებს, პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარესთან რატომ გაქვთ ურთიერთობა, თავად კი პრეზიდენტთან ზის ყოველდღე კაბინეტში, თვითონ და ანტიკორუპციული ჯგუფი. თუ ბურჯანაძესთან ურთიერთობის შესახებ საყვედურს რადიკალური ოპოზიცია გვეტყვის, კიდევ გავიგებთ, მაგრამ სააკაშვილის კაბინეტის ოპოზიცია რომ ვილაცასთან დიალოგზე საუბრობს, ეს სასაცილოა. რაც შეეხება ამ საკითხს, ბურჯანაძე არ დგას ჩვენს რიგებში. ის არ არის ჩვენი საპრეზიდენტო კანდიდატი და არც არასდროს იქნება! ეს არის პიარტრიუკი იმისთვის, რომ 9 აპრილს ხალხს ქუჩაში არ გამოვიდეს. სხვათაშორის, პოლიტიკური პარტიები, რომლებსაც 2 ნოემბერს ქუჩაში გამოვსვლა არ უნდოდათ ამბობდნენ, რომ ოქრუაშვილი ედგათ სათავეში, მაგრამ საზოგადოებამ ნახა, რომ ოქრუაშვილი არ დაგვიყენებდა საპრეზიდენტო კანდიდატად. მერე გავბარდებდნენ, თითქოს ეს იყო პატარაკაციშვილის ჯგუფი და ამაშიც დარწმუნდა საზოგადოება, რომ ბადრი პატარაკაციშვილის გუნდს არ წარმოვადგენდით. ახლაც იაფფასიან ტრიუკს მიმართავთ — თითქოს ჩვენ ბურჯანაძის გუნდი ვართ და საზოგადოებაში ამ ილუზიას ქმნიან. მაგრამ ყველამ კარგად იცის, რომ ჩვენი გუნდი 7 ნოემბრიდან ერთად მოდის, გვყავდა ჩვენი საპრეზიდენტო კანდიდატი 5 იანვარს და გარწმუნებთ, ჩვენი კანდიდატი გვეყოლება მიხილ სააკაშვილის გადადგომის შემდეგაც. ვისაც პირადი მოტივაცია ამოძრავებს ნინო ბურჯანაძესთან, პირადად ვაარკვიონ ეს. ჩვენთვის პარლიკების მოწვევა უპერსპექტივო მცდელობაა.

— დიახ, ღრმად ვართ ამაში დარწმუნებული!

— რა გაძლევთ ამ რწმენის საფუძველს?

— არის შეუიარაღებელი თვალთვალ ადვილად შესამჩნევი ფაქტორები, კერძოდ, სააკაშვილის მიმართ ვითარება მკვეთრად შეიცვალა. რამდენიმე დღის წინ ბარაკ ობამამ ძალიან საინტერესო განცხადება გააკეთა — ამ რეგიონის მიმართ მცდარი პოლიტიკა იყო გატარებული და აუცილებელია ახალი პოლიტიკის შემუშავება. ძალიან მნიშვნელოვანი განცხადება გამოაქვეყნა სახელმწიფო დეპარტამენტმა, რომელმაც პრაქტიკულად აღიარა 5 იანვრის არჩევნების გაყალბება და საქართველოში ავტოკრატის ჩამოყალიბება. ძალზე სერიოზული პროტესტია ქართულ საზოგადოებაში და ეს ნათლად ჩანს. უკეთ 9 აპრილს გამოჩნდება.

— გამოირიცხავთ 7 ნოემბრის განმეორებას და სააკაშვილის რეჟიმის მიერ აქციების კვლავ ხელკეტებითა და გაზით დარბევას?

— თეორიულად გამოირიცხული არაფერია და ყოველთვის არსებობს მეტი მიზეზი იმისთვის, რომ რამე არ გააკეთო, ვიდრე მიზეზი იმისთვის, რამე გააკეთო. მილიონი მიზეზი მოიძებნება, რომ პოლიცია დაგვარბევს, რომ ბურჯანაძის გუნდი ვართ, რომ არ შეიძლება ვითარების დესტაბილიზაცია და ასე შემდეგ, მაგრამ ვაცხადებთ, რომ 9 აპრილს ქუჩაში გამოვალთ და ხელისუფლების გადადგომამდე არ დავიშლებით!

— როდესაც ოპოზიცია ქუჩის აქციებისთვის ემზადება, ხელისუფლება რუსეთთან და მომდინარე საფრთხეებზე იწყებს საუბარს...

— საქართველოს უმთავრესი საფრთხე მიხილ სააკაშვილია. ამ რეჟიმს არ შეუძლია არც საფრთხისა და პროვოკაციის თავიდან აცილება და არც ქვეყნის დაცვა. ჩვენ ეს ავგისტრობს კარგად ვნახეთ.

— რამდენ ხანს იქნება სააკაშვილი საქართველოს პრეზიდენტი?


— სააკაშვილი არალეგიტიმური და თვითმარქვია პრეზიდენტი. ამიტომაც ვაიძულებთ, 9 აპრილამდე გადადგეს!

— ამბობთ, 9 აპრილს სააკაშვილი პრეზიდენტი აღარ იქნება...

— 9 აპრილს გადააყენებენ, 10-ში თუ 11-ში, ამას პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, ჩვენ მივალწვეთ მიზანს.

— როდის?

— 9 აპრილს მჯდომარე საპროტესტო აქციებს დავიწყებთ. არ დავიშლებით არც დღე და არც ღამე და აპრილის ბოლომდე სააკაშვილი პრეზიდენტი აღარ იქნება.



ნეიტრალიტეტი - საქართველოს სხვა ალტერნატივა არ გააჩნია!

ძვირფასო მკითხველო! ეს პუბლიკაცია ეძღვნება სახელმწიფო ნეიტრალიტეტის თემს, რის შესახებაც ქართულ საზოგადოებაში ბევრი მოთქმა-მოთქმა, ჭორი და აზრია. მამ ასე: რა არის ნეიტრალიტეტი და რა სარგებელი შეუძლია მას მოუტანოს საქართველოს?

ნეიტრალიტეტი (გერმ. „Neutralitet“, ლათ. „neuter“-ისაგან — „არც ის, არც სხვა“) საერთაშორისო სამართლით, ესაა ომში მონაწილეობის მიუღებლობის პოლიტიკა, მშვიდობიან დროს კი — უარის თქმა სამხედრო ბლოკებში მონაწილეობაზე (ჰააგის 2007 წლის V კონვენცია). ინტერნეტში ყველას შეუძლია გაეცნოს გლობალიზაციის პრობლემების გამოკვლევათა ცენტრის ხელმძღვანელის, მეცნიერებათა დოქტორის ალექსანდრე ჭაჭიას ბრწყინვალე პუბლიკაციებს საქართველოსთან დაკავშირებით ნეიტრალიტეტის თემაზე. იგი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოდან მეცნიერულად ასაბუთებდა საქართველოსთვის სახელმწიფო და სამხედრო ნეიტრალიტეტის პოლიტიკის ხელსაყრელობას.

მინდა, აღვნიშნო, რომ საქართველოსთვის ნეიტრალიტეტი მისაღებია საერთაშორისო „კვარტეტის“ — გაეროს, ევროკავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის ფედერაციის გარანტიების პირობებში. მაგრამ, შესაძლებელია კი ეს „გარანტიების კვარტეტი“ 08.08.08-ის შემდეგ თანახმანი არიან კი დღეს სავარაუდო გარანტორები?!

არა! იმიტომ, რომ გაერო და ეუთო, როგორც ცნობილია, იმყოფებიან აქ „გადამფრენის“ უფლებებით, ამერიკის შეერთებული შტატებს საქართველოში უნდა სწორედ სამხედრო ბაზები, რუსეთს აქ უკვე აქვს სამხედრო ბაზები — აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, თუ ძველებურად შეიძლება ჩავთვალოთ ისინი საქართველოდ! და თუ არა — მაშინ რისთვის გვინდა ჩვენ ნეიტრალიტეტი და გარანტორების მეურვეობის მსგავსნი?!

განა ნეიტრალურ ქვეყნებს, რომელთა სტატუსიც დადასტურებული იყო საერთაშორისო ხელშეკრულებებში, არ განუცდიათ თავდასხმები და ოკუპაციები, როგორც, მაგალითად, ბელგია და ლუქსემბურგს 1914 წელს, ნორვეგიას, დანიას, ბალტიის ქვეყნებს — 1940 წელს, ფინეთს კი — 1939 წელს?! განა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში შევდეთს არ მოუწია წასულიყო ნეიტრალიტეტის არსებით დარღვევაზე და გაეცხრებინა თავის ტერიტორიაზე პიტლერული გერმანიის ჯარები? 1945 წლის შემდეგ ბელგიამ და ლუქსემბურგმა უარი განაცხადეს თავიანთ ნეიტრალურ სტატუსზე

და შევიდნენ ნატოში, ხოლო ფინეთი და შვედეთი დღეს ცდილობენ, გააფორმონ ურთიერთობა ნატოსთან („de facto“ ისინი უკვე დიდი ხანია ინტეგრირებული არიან და მჭიდროდ თანამშრომლობენ ბლოკის სამხედრო სტრუქტურებთან). საქართველოსგან განსხვავებით, ისინი მართლაც შეიძლება მიიღონ ნატოში მასის პროცედურების გაუფლვლად („Membership Action Plan“) იქ საზოგადოების დემოკრატიზაციის მაღალი დონის გათვალისწინებით. ირლანდია, შვედეთი, შვეიცარია, ავსტრია, ფინეთი, კვიპროსი, მალტა, ლაოსი, კამბოჯა, თურქმენეთი — ნეიტრალიტეტის მხარდამჭერ ყველა ამ ქვეყანაში სრულიად სხვადასხვაგვარი გეოპოლიტიკური მდგომარეობა და დემოკრატიის დონეა, ამიტომ საქართველოსთვის რომელიმე მათგანთან გატოლება არ შეიძლება.

ძვირფასო მკითხველო, თუ ინტერნეტში გაეცნობით პუბლიკაციას „ოქროსთავიანთა შეხვედრები მოსკოვში“ (ესაა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე კარასინთან რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროს ბალუევსკისთან და სხვებთან 2007 წლის აპრილში ჩემი საუბრების ჩანაწერები), დარწმუნდებით, რომ საქართველოსთვის ნეიტრალიტეტი მისაღებია საერთაშორისო „კვარტეტის“ — გაეროს, ევროკავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის ფედერაციის გარანტიების პირობებში.

საქართველოსთვის ნეიტრალიტეტი მისაღებია საერთაშორისო „კვარტეტის“ — გაეროს, ევროკავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის ფედერაციის გარანტიების პირობებში.

მუნდებით, რომ საქართველოს სურვილს, დადგეს ნეიტრალიტეტის გზაზე, რუსეთის ოფიციალური სიხარულით აღიქვამდა და მაშინ კრემლთან შეიძლებოდა შეთანხმება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით. ოღონდ ამაზე უნდა შეთანხმებულიყო არა პოლიტიკური ხიზნობის მქონე მხარე, არამედ — საქართველოს პრეზიდენტი სააკაშვილი!

გაგანდობთ ერთ საიდუმლოს: აფხაზეთში ომის შემდეგ კრემლი საიდუმლოდ სთავაზობდა ნეიტრალიტეტს პრეზიდენტ შევარდნაძესაც, და შევარდნაძე თანახმა იყო!!! შეთანხმება არ შედგა, რადგან აფხაზეთის დე ფაქტო ხელმძღვანელობა საქართველოს წიაღში აფხაზეთის კონფედერაციის უფლებით დაბრუნების სანაცვლოდ ითხოვდა საქართველოს ნეიტრალიტეტის საერთაშორისო გარანტიებს (კერძოდ — რუსეთისა), რასაც „ბალანსირების ფრთხილი მეტრი“ შევარდნაძე არ თანხმდებოდა... ეს მე სულ ახლახან შევიტყვევ კარგი საინფორმაციო წყაროებიდან. მაგრამ, 2007 წელს პირადად რომ ვკითხე შევარდნაძეს ნეიტრალიტეტის პოლიტიკის შესახებ საქართველოსთან დაკავშირებით, ბატონმა ედუარდმა იმემაკა: „ღიას, როცა პრეზიდენტი ვიყავი, თავად ვლაპარაკობდი აქტიურ ნეიტრალიტეტზე, მაგრამ შემდეგ მასზე უარი ვთქვი, იმიტომ, რომ მეტად მოუსვენარ გარემოცვაში არის საქართველო, მეტად ძლიერი ქვეყნები ხედავენ აქ თავიანთ ინტერესებს. როცა ნეიტრალური ვახდებოდა, იგი მეტად დაუცველი იქნება მათ წინაშე...“



მე კი საქართველოს ნეიტრალიტეტის შესახებ პირველად საჯაროდ განაცხადე 2005 წელს ტელეარხ „კავკასიაზე“ პოლიტიკური თოქშოუს დროს (მაშინ ჯერ კიდევ არ ეშინოდათ ჩემი მიწვევა): „მომისმინე, რა დროს ნეიტრალიტეტი და თავისუფალი ეკონომიკური ზონაა? შენ ძალიან დაგაგვიანდა — ჩვენ ცალი ფეხით ნატოში ვართ!“ - უხეშად გამაწყვეტინა მაშინ თოქშოუს სხვა მონაწილემ — პოლიტოლოგმა ცინცაძემ, რომელსაც მაშინ, სხვათა შორის, მხარი დაუჭირა საქართველოს ერთერთი გაზეთის რედაქტორმა (სამი წელი გავიდა და დღემდე ვერ გამიგია, სად და რომელი ფეხითაა ცინცაძე, მაგრამ ნატო საქართველოს ჯერჯერობით აშკარად „არ ემუქრება“! თუმცა ვიცი — სკკპ ისტორიის ყოფილი ლექტორი, დღეს პროპაგანდისტი...

ნატოს აპოლოგეტა და სათავეში უდგას მეცნიერებას იდეოლოგიასთან ერთად ნინო ბურჯანაძის პარტიაში, რომელიც, ძველი ქართული სიბრძნის მიუხედავად, აპირებს „მაჭარი ძველ ტიკში ჩაასხას“).

დიდი იყო ჩემი გაოცება, როდესაც ზემოხსენებული ტელეეთერიდან ორი წლის შემდეგ, 2007 წელს, საქართველოს სტრატეგია-სა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდში წინადადება აფხაზეთში თავისუფალი ეკონომიკური ზონების შესახებ, რომელსაც შეიცავდა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა, პოლიტოლოგმა საყვარელიძემ და ექსპერტმა არემიძემ გამოაცხადეს... ერთ-ერთი ქართული გაზეთის სწორედ იმ რედაქტორის იდეა!!

სწორად გამიგეთ — მთავარი ის კი არაა, პირველად ვინ გამოთქვა იდეა, მნიშვნელოვანია, მომავალში არ მოვახდინოთ მისი დისკრედიტაცია საზოგადოების თვალში, „არ მოვკლათ ჩანახახში“, თუ სათანადოდ არ იცნობ საკითხს, არ გაქვს ზუსტად შემუშავებული კონცეფცია — მისი რეალიზაციის საკუთარი ხედვა და ახდენ სხვათა კონცეფციების (როგორც ზემოაღნიშნულ შემთხვევაში), თანაც — ცალკეული, საერთო კონცეფციიდან ამოყრდინი დებულებების დეკლარირებას.

ხოლო ნეიტრალური საქართველოს იდეის „პრივატიზებას“ დღეს ახდენენ ამხანაგები, რომლებსაც, ვფიქრობ, სახელმწიფო ნეიტრალიტეტი წარმოუდგენიათ ნეიტრალური სიჩქარის მსგავს ატრიბუტად ავტომობილის ტრანსმისიაში, ურომლისოდაც ადგილიდანაც ვერ დაძრავ! (მაგალითად, „სამი ფერის პარტიის“ ლიდერი გოჩა ფიფია, პარტიისა, რომელსაც თავისი მცირერიცხოვნობის გამო ამ სახელსაც ვერ უწოდებ, გასულ ოთხშაბათს ხმამაღლა ლაღადებდა ნეიტრალიტეტის შესახებ „კავკასიის“ ტელეეთერში.) საინტერესოა, სად იყვნენ ეს ბატონები თუ ამხანაგები, როდესაც საქართველოს ნეიტრალიტეტის მომხრეები ითვლებოდნენ არა ქართველებად, არამედ „შულავენი კომიტეტის“ წევრები ხომ არა?!

აი, ასე ცხოვრობენ შემოქმედებითი იმპოტენციით დაავადებული ბატონი პოლიტიკანები და „პოლიტოლოგები“ (რომელთაც მე, რაკილა ისინი „პოსტფაქტუმ“ ასაბუთებენ მოქმედი ხელისუფლების ნებისმიერ ბოქმედებას, პროქტოლოგებთან ანალოგიით, „პროქტოპოლიტოლოგებს“ ვუწოდებ!), კითხულობენ სხვათა პუბლიკაციებს და, მცირე პაუზის

(უსაფრთხოებისათვის!) შემდეგ საქართველოს საზოგადოებას საკუთრად წარუდგენენ მოპარულ იდეებს, რაშიც მათ ეხმარებათ ჩვენი „ჯიბის“ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. და რა არის დამახასიათებელი ასეთი ტიპის პოლიტიკური გვამებისათვის? — ისინი ყოველ კუთხეში ტრიაზობენ, რომ „თვით ნეიტრალურები არიან და არ იღებენ ფულს არც ამერიკელებისაგან, არც რუსებისაგან“. და იცით, რატომ? — ფულს მათ არაფერ აძლევს — თეთრ სახლსა და კრემლში არ არიან იდიოტები, ვინც გადაიხდის ფულს „გრუზ 200“-ში!

სამაგიეროდ, მე ახლას გავიგე, რომ პოლიტიკას, თურმე, აქვს ეროვნება — მაგალითად, არსებობს ქართული პოლიტიკა! იმედი მაქვს, გამოთქმა „ქართული პოლიტიკა“ ამ ხალხის წყალობით არ გახდება დროთა განმავლობაში ისეთივე სამწუხარო ფენომენი, როგორც „ქართული ბიზნესია“...

მრავალჯერ გავიმეორებ: როდესაც შიშისა და რისკის გამო ვლაპარაკობდი ნეიტრალიტეტის შესახებ, ეს აუცილებელი იყო საქართველოსთვის, მაგრამ პასუხად ხელისუფლება, პროქტოპოლიტოლოგების დამატებით, ეშმაკის ხსენებით იწყებდნენ და... „მატარებელი ნავიდა!“ დღეს კი საჭიროა, ვფიქროთ უკვე საქართველოს ფედერაციული რესპუბლიკაზე (სფრ), სადაც ფედერაციის (კონფედერაციის) უფლებით შევლენ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი — აი, ერთადერთი გამოსავალი შექმნილი სიტუაციიდან, მაგრამ მისი განხორციელება შეუძლია მხოლოდ სრულიად ახალ ხელისუფლებას!

ამასაც ვნახავთ: როცა ჩვენი ფსევდო-ოპოზიციონერებისათვის ეს ხელსაყრელი გახდება, უმადვე დაიწყებენ ამაზე „სიმღერას“, მაგრამ დღევანდელი ხელისუფლების შემთხვევაში ეს იდეა, უეჭველია, არ იქნება პოპულარული. ამის შესახებ მათაც შესანიშნავად იციათ, ისევე, როგორც ის, რომ საქართველოს ახალ ნამდვილ ხელისუფლებაში მათთვის ადგილი არ იქნება! კვლავ დაიწყებთ ეშმაკის ხსენებით წყევლას ან გავიბუტვებით, როგორც პენტაგონელი ქალიშვილები, და ხელიდან გაუშვებთ ამ შესაძლებლობასაც, ვინაიდან „ორჯერ ერთ მდინარეში შესვლა შეუძლებელია“. დრო ძალიან სწრაფად გადის და გადანაწილება შეიძლება შეიცვალოს უარესობისაკენ იმდენად, რომ აღარ გვეცლება დაკარგული ტერიტორიებისათვის! და კიდევ იმიტომ, რომ ჩვენ მდინარიდან არც ამოვსულვართ — ისევ იქ ვხედვართ და ხავსს ვეჭვიდებით...

რა განსხვავდა ბრიგოლ ქათამაძემ პრეზიდენტის სიღადრ-სიმაგრზე, ძმასა და კალსტუხის ღაჭვასზე

საგულისხმოა, რომ საქართველოშიც და უკრაინაშიც ამჟამინდელი პრეზიდენტების დამცველი კაცი აღარ დარჩა, ვინაიდან ერთმან და მეორეც მმართველობის რამდენიმე წლის განმავლობაში საკუთარი რეიტინგი უმონყალოდ გაანადგურა. ვესაუბრებით საქართველოს ელჩს უკრაინაში, ბრიგოლ ქათამაძეს.

— დაუშვით, ჩვენთვის გასაგებია, როგორ დაცვა ვიქტორ ანდრეის ძის რეიტინგი 3 პროცენტამდე, მაგრამ საკითხავია, როგორ მოახერხა ეს მიხეილ ნიკოლოზის ძემ? — ვკითხე საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს უკრაინაში გრიგოლ ქათამაძეს.

— არა მგონია, რომ სამი პროცენტი რეალობას ასახავდეს. ჯერ ერთი, მასმედიაში გამოქვეყნებული გამოკითხვების ნაკლებად მჭერა. მეორეც, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ უკრაინისთვის ვიქტორ იუშჩენკო ისეთსავე როლს ასრულებს, როგორსაც ჩეხეთისთვის — ვაცლავ ჰაველი. საქართველოს თაობაზე კი გეტყვი: ყველა სოციოლოგიური გამოკვლევა, მათ შორის, დამოუკიდებელიც, პრეზიდენტ სააკაშვილის მაღალ რეიტინგზე მეტყველებს.

— რატომ ირწმუნება ერთ დროს თქვენი პრეზიდენტის მხურვალე თანამოაზრე ნინო ბურჯანაძე, რომ დემოკრატია საქართველოში თითქმის ნულის ტოლია და პრეზიდენტი სააკაშვილი თავისი პოლიტიკით ქვეყანა კრიზისამდე მიიყვანა?

— მადლობა ღმერთს, რომ მსოფლიო ფინანსურ კრიზისშიც არ ადანაშაულებს!

— ლაპარაკია ხელისუფლების კრიზისზე.

— ამას მხოლოდ ზოგიერთი პოლიტიკოსი ამბობს.

— როგორ თუ ზოგიერთი? საქართველოს 12 პოლიტიკური პარტია იმისთვის გაერთიანდა, რომ იმპიჩმენტის პროცედურა წამოიწყოს.

— ჩვენი უმთავრესი პრობლემა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობაა. როცა 2008 წლის აგვისტოში საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაციის საფრთხე დაემუქრა, ყველა, ვისაც თავისი ხალხი უყვარს, ხელისუფლებას ამოუდგა მხარში.

— ბურჯანაძე ორჯერ იყო პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი... ისევე სანუგეშოდ უდრს, როგორც მეფისნაცვალის ფიქრობთ, მას პრეზიდენტობა სურს?

— ვფიქრობ, რომ პოლიტიკური ძალის ნებისმიერი წარმომადგენელი, მით უფრო მისი ხელმძღვანელი, ხელისუფლებაში მოსვლისკენ მიისწრაფვის.

— უკრაინაში დიდ ხნის წინ მოაწყობდნენ იმპიჩმენტს, მაგრამ, როგორც პოლიტიკოსები ირწმუნებიან, საკანონმდებლო ბაზა არ არსებობს. საქართველოში, თუკი პროცედურა დაწყებულია, სამართლებრივი საფუძველი ალბათ არსებობს...

— იმპიჩმენტის პროცედურა, ალბათ — კი. მაგრამ ეს საკითხი ქუჩაში არ უნდა გადაწყდეს. საქართველოს მდიდარი ისტორია და სახელმწიფოებრიობის გამოცდილება აქვს. ამიტომაც ახლა იმის დემონს-

ტრირება უნდა მოვხდინოთ, მათ შორის, ევროპელი პარტნიორების თვალშიც, რომ არსებული ხელი-სუფლების დამხობა მეთოდი არ არის. ხელისუფლებაში მოსვლის დემოკრატიული გზა არჩევნებია.

— იმპიჩმენტის სწორედაც რომ დემოკრატიის ელემენტია.

— გეთანხმებით, და თუ ეს პროცედურა გაამართლებს, საკამათოც არაფერი იქნება. თუმცა, ჩემი ღრმა რწმენით, საქართველო 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებამდე ნორმალურად მივა.

ბილეთი ერთი მიმართულებით

— უკრაინაში ყველაზე ხმაურიანი ბოლო აქციები, ხატოვნად რომ ვთქვათ, იუშჩენკოსთვის ბილეთის ფულის შეგროვებაა აშშ-ში გასამგზავრებლად. მართალია, საქართველოში მსგავსი არაფერი ხდება...

— რას ამბობთ!

— თქვენი პრეზიდენტი ფსონს გამუდმებით აშშ-ზე ჩამოდის. ორიოდე დღის წინ მან განაცხადა და სიამოვნებით გავიმეორებ: აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი ბაიდენი საქართველოს დაპირდა, რომ აშშ მას კვლავ დაეხმარება ფინანსურად.

— ჩვენი პარტნიორების, მათ შორის, აშშ-ის იმედიც გვაქვს... თუმცა, ამავე დროს, არ უნდა დავუშვათ ის შეცდომები, რომლებსაც უკვე ადგილი ჰქონდა მე-19 საუკუნის შუა ხანებში და მე-20 საუკუნის დასაწყისში. ფინანსური დახმარების აღმოჩენისას არ შეიძლება იმის დაშვება, რომ მეზობელი სახელმწიფოს მხრიდან — მხედველობაში მაქვს რუსეთი, ადგილი ჰქონდეს ქმედებებს, რომლებიც საქართველოს ტერიტორიულ ერთიანობას დაარღვევს. ამიტომ სიგნალი, რომელიც 2008 წლის აპრილში ბუქარესტში გაისმა, იმედის მომცემია.

— მხედველობაში გავითვალისწინოთ? როცა მიღებული იქნა გადაწყვეტილება საქართველოსა და უკრაინის ნატოში გაწევრების შესახებ? მაგრამ ჩვენც და თქვენც სამოქმედო გეგმის მიღება გადავიდეთ. აი, ასეთი იყო სიგნალი. მიუხედავად კონფერენციაზე კი ტიმოშენკომ განაცხადა, რომ რაკილა უკრაინის მოსახლეობის დიდი ნაწილი ნატოს წინააღმდეგია, საკითხი ასე მალე ვერ მოგვარდება. სხვათა შორის, ბურჯანაძეც სკეპტიკურად უდგება თქვენი პრეზიდენტის სურვილს, რაც შეიძლება მალე შეუერთდეთ ალიანსს.

— კიდევ ვიმეორებ: საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი საკითხი მისი ტერიტორიული მთლიანობაა.


— უკრაინაში ნატოს მომხრეთა არგუმენტია: ეს საჭიროა არმიის ხელახლა არსაჭიროვად, მისი კარგად გამოსაკვება და ა.შ. საქართველოს კი ნატო ამისთვის როდი სჭირდება — თქვენ ისედაც ყველაფერი მოგცეს, ოღონდ იმისთვის, რომ, ვინცობა რა-

დაც მოხდეს, რუს სამხედროებს გაუმკლავდეთ. ასეა?

— საქართველომ ერთხელ და სამუდამოდ უნდა უზრუნველყოს ქვეყნის უსაფრთხოება. რათა ჩვენმა ბავშვებმა: აფხაზებმა, ქართველებმა, ოსებმა აღარ იღაონ ტერიტორიის გამოყოფისა თუ მიერთების საკითხზე. გარდა ამისა, ვერავინ უარყოფს იმ ფაქტს, რომ საქართველოს მოსახლეობის 70 პროცენტმა ხმა მისცა ნატოში გაწევრებას. ასე რომ, ალიანსისკენ სწრაფვა სააკაშვილის ერთპიროვნული გადაწყვეტილება როდია.

„გრადის“ გამო დასაჭირია

— რაკილა საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე იყავით საერთაშორისო სამხედრო თანამშრომლობის საკითხში, ალბათ, ყურმოკვრით როდი იცით ამერიკული სამხედრო ბაზების



გრიგოლ ქათამაძე: ძალიან მნიშვნელოვანი ზარი იყო. თქვენს, რომ თბილისს აღვიდნენ პირისაგან მიწისა!

შესახებ, მართალია, რომ მიხილ სააკაშვილი მოლაპარაკებებს აწარმოებდა აშშ-ის ადმინისტრაციის ერთ-ერთ ფგუფთან საქართველოში სამხედრო ბაზების განთავსების შესახებ 90 წლის ვადით? თანაც, იჯარაში ფული არ ექნება გადასახდელი...

— არაფერი მსმენია ასეთ მოლაპარაკებებზე.

— ბატონმა ბაიდენმა კი მიუხედავად განაცხადა: აშშ საქართველოს ერთ-ერთ სერიოზულ პარტნიორად განიხილავს, იქნებ ეს კავკასიური ბაზების გამო თქვა?

— არა მგონია... ჩვენ არ გვაქვს რუსეთის ფედერაციასთან მოლაპარაკებების წარმოების საშუალება იმის თაობაზე, რომ რუსმა სამხედროებმა ჩვენი ტერიტორია დატოვონ, გაიყვანონ ბაზები ჩვენი მიწა-წყლიდან, გაიტანონ შეიარაღება და ტექნიკა.

— ოსეთი, შარშანდელს აქეთ, დამოუკიდებელია.

— ვისთვის? მისი დამოუკიდებლობა მხოლოდ რუსეთმა აღიარა.

— არა მართო.

— სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე საქართველოს დაუკითხავად ბაზებისა და სამხედრო ტექნიკის განთავსება რუსეთის მხრიდან, სულ რომ არაფერი, არასოლიდური.

— მოდი, ასე ვთქვათ: ეს იმ „გრადების“ საპასუხო მოხდა, რითაც ზალპური ცეცხლი გაუხსნეს ცხინვალს. ვგონებ, საქართველოს საპარლამენტო კომისიამ დამნაშავეები აღმოაჩინა: ვინ გაუხსნა ცეცხლი ქალაქს?

— კომისიის დასკვნის საფუძველზე თანამდებობის რამდენიმე პირი გაათავისუფლეს, მაგრამ იმის თქმა, რომ მათ „გრადი“ გამოიყენეს, არასწორი იქნება.

— განა არ გამოიყენეს?

— ისიც უნდა ითქვას, როდის მოხდა ეს.

— დილაუთენია, 4 საათზე, როცა ყველას ეძინა.

— ეს რატომღა მოხდა? მოდი, შევთანხმდეთ: სამხრეთ ოსეთის ტერიტორია, სადაც თქვენ იყავით... მე წავიკითხე სტატია „2000“-ში... სხვათა შორის, თქვენ სახელმწიფო საზღვარი დაარღვიეთ.

— როგორ დავარღვიეთ?

— საქართველოს ხელისუფლებისგან მალულად გადაკვეთეთ. ცხინვალამდე თქვენ მიერ შერჩეული მარშრუტი მოწმობს, რომ მოსკოვი დაგეხმარათ. თქვენ ხომ თბილისიდან კი არა, ვლადიკავკაზიდან ჩახვედით ოსეთში. ესე იგი, როკის გვირაბთან საზღვარი დაარღვიეთ. იქ ქართველი მესაზღვრეები არ დგანან! ვინ გირჩიათ უღელტეხილით მგზავრობა?

— თბილისის ცნობათა ბიურომ.

— აი, ვინაა დასასჯელი! მე მათ ციხეში ჩავსვამდი!

— „გრადის“ გამო ვინ ჩასვეს?

— სანყის პოზიციებს ვუბრუნდებით: საქართველოს ტერიტორია მსოფლიო თანამეგობრობამ იმ საზღვრებში აღიარა, რომლებშიც ის 1991 წლიდან არსებობს. ოსეთი საქართველოს ტერიტორიაა! იცით, რომ 8 აგვისტომდე ერთი კვირით ადრე, ანუ საომარ მოქმედებებამდე, სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულმა რეჟიმმა ავტომატურად გაიყვანა თითქმის მთელი მოსახლეობა?

— მაშ, საიდან ამდენი დაჭრილი და მოკლული? რატომ „დააუთოეს“ ქართულმა ტანკებმა ის მსუბუქი მანქანები, რომლებიც თაც ოსები ოჯახების გარიდებას ცდილობდნენ ცხინვალისგან? მძინარე ბავშვებს სვამდნენ მანქანებში...

— იქ არავის ეძინა!

— მანქანებს კი ტანკებით გადაუარეს და მუხლუხობით კიდევ ერთხელ დაჭყლიტეს.. გაიარეთ ცხინვალისგან ცუნარამდე, ჰკითხეთ ადგილობრივებს, რა ხდებოდა იქ.

— საქმე აქამდე არ უნდა მიყვანათ! რატომ არავინ ლაპარაკობს გამუდმებულ პროვოკაციებზე, საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე სროლებზე? იმაზე, რომ გამოყენებული იქნა კასეტური ბომბები, რაც „გრადზე“ არანაკლებ საშიშია.

— საქართველოს პრეზიდენტი უმაღლესი მთავარსარდალია?

— დიახ.

— „გრადის“ შესახებ ბრძანებაც მან გასცა?

— ჩვენ ვლაპარაკობთ იმაზე, რომ საქართველოს მხარეში აღიარა ამ ტექნიკის გამოყენების ფაქტი, მაგრამ მონიშნა, რომ მხარე, კასეტური ბომბები რომ გამოიყენა, რატომ არ აგო პასუხი ამაზე? დაე, პასუხი აგოს და მაშინ ყველაფერი ობიექტური იქნება. გარდა ამისა, თუ ფიქრობთ, რომ საქართველოს ხელისუფლება, იგივე პრეზიდენტი იყო დაინტერესებული, ცდებით. უკაცრავად, მაგრამ ჩვენ რა, შემოვიღებთ? თბილისიდან, რატომ დავხარჯავდით ათობით მილიონს დოლარს სამხრეთ ოსეთის ინფრასტრუქტურის განვითარებაზე ბოლო სამი წლის მანძილზე, რატომ გავიყვანდით გზებსა და კომუნიკაციებს? ნუთუ იმისთვის, რომ დაგვენგრია? რასაკვირველია, არა! სამაგიეროდ, რუსეთის მხარე ემზადებოდა ამ მოვლენებისთვის: ტყუილუბრალოდ ხომ არ მოახდინა სამხედრო ხომალდების კონცენტრირება საქართველოს სანაპიროებთან? 58-ე არმიაც მაშინვე გამოიწინა. თუმცა თბილისიდან 25 კმ-ში მხოლოდ იმეტიმ არ გაჩერებულა,

საქართველო

ბსუტო, გაზვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვიკავშირეთ: #2-#7-58, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

რომ საქართველოს ძლიერი არ-
მია ჰყავს.

— ძლიერი — არა, ჩინებუ-
ლად აღჭურვილი.

— არაფერიც, ძლიერი!

— მეომრები იარაღს ყრიდ-
ნენ და გარბოდნენ.

— არ გაქცეულან. ამას იმი-
ტომ არ ვამბობ, რომ ქართველი
ვარ. ახლა ერთ რამეს გეტყვით
საიდუმლოდ. მოვლენების ბო-
ბოქარი განვითარებისას როკის
გვირაბის გადაკეტვამდე ვიფიქ-
რეთ, იქიდან რომ სამხედრო
ტექნიკა და ცოცხალი ძალა არ
შემოსულიყო... ალბათ ეს არ უნ-
და მეთქვა?

— ჩვენ არ გაგამხელთ.

— ჰოდა, სწორედ ამ დროს
დარეკეს მოსკოვიდან: თუ
უღელტეხილის დაკეტვას შეეც-
დებით, იცით, თბილისს რა მოე-
ლის?

— პუტინმა დარეკა?

— უფლება არ მაქვს, ეს
ვთქვა, მაგრამ ძალიან მინიშნე-
ლოვანი ზარი იყო. თქვენ, რომ
თბილისს პირისაგან მინისა აღ-
გვიდნენ! სხვათა შორის, საქარ-
თველოს დედაქალაქს ბომბავ-
დნენ!

ჰალსტუხის ღეჭვა სჯობს

— სამხედრო დაზვერვის
კომისიამ, რომელიც აგვისტოს
მოვლენებისა და უკრაინის მი-
ერ საქართველოსთვის იარა-
ღის უკანონო მიწოდების გამო
შექმნა, თავისი დასკვნები გაა-
კეთა. თუმცა, თავდაცვის სამი-
ნისტრო და პრეზიდენტი ამ
დასკვნებს არ ეთანხმებიან. სა-
მაგიეროდ, ესანუროვი ამბობს:
საქართველოს ტერიტორიაზე
ჩვენს სამხედროები იყვნენ,
მაგრამ ისინი კიევი გაამგზავ-
რეს. ჰოდა, გეკითხებით, რას
აკეთებდნენ ისინი საქართვე-
ლოში?

— ვიმედოვნებ, არ შეეძლე-
ბოთ, თუ ვიტყვი: რაკი მსოფლიო-
ში არსებობს ისეთი ბიზნესი, რო-
გორც იარაღის გაყიდვა —
ცხადია, კანონიერ საფუძველზე,
მაშინ გასაკიცხს ვერაფერს ვხე-
დავ იმაში, რომ საქართველოს
ასეთი ეკონომიკური და სავაჭრო
ურთიერთობები აქვს პარტნიო-
რებთან და მათ შორის, უკრაი-
ნასთან.

— იძიებდნენ იარაღის უკა-
ნონო მიწოდებას და არა ხელ-
შეკრულებით გათვალისწინე-
ბულ პირობებს.

— ვეჭვობ, უკრაინიდან თუნ-
დაც ერთი ნემსის გატანა იყოს
შესაძლებელი არაღებულად.
ყოველ შემთხვევაში, მეზაყუებსა
და შესაზღვრებებთან ჩემი ურთი-
ერთობის გამოცდილება ამას
მონიშნავს. რაც შეეხება „დაქირავე-
ბულებს“, ვილაცას ხელს აძლევს,
რომ ასე იყოს. სინამდვილეში სა-
ქართველოს ტერიტორიაზე იმ-
ყოფებოდნენ ტექნიკის თანმხ-
ლები სპეციალისტები, რომლე-
ბიც ხელს აწერდნენ მიღების აქ-
ტებს. საომარი მოქმედებების
დანწყებისთანავე კი ისინი უკან
გაიხმეს.

— თუმცა, უკრაინის თავ-
დაცვის მინისტრის განცხადე-
ბით, „კონფლიქტის დაწყების
დღეს 21 უკრაინელი სამხედ-
რო მოსამსახურე საქართვე-
ლოში მომზადებას გადიოდა.
ცოტა შეუსაბამობაა, არა?
თუმცა არა უშავს. ახლა დღე-
ვანდობას დაუბრუნდით.
„მთელმა მსოფლიომ გაიგო,
რა მოხდა, — მიშამ უდიდესი
სისულელე ჩაიდინა.“ ეს
თქვენმა თანამემამულემ და
უკრაინელმა დეპუტატმა, ბა-
ტონმა უვანია თქვა. „არსე-

ბობს პირდაპირი და ირიბი
მტკიცებულებები იმისა, რომ
მიხეილ სააკაშვილი უბრალოდ
გიჟია. იმიტომ, რომ რაც მან
ჩაიდინა საქართველოში, მხო-
ლოდ ფსიქიკურად დაავადე-
ბულ ადამიანს შეეძლო.“ ეს
უვანია „2000“-თან ინტერვიუ-
ში განაცხადა. შეგიძლიათ მი-
სი სიტყვების კომენტარება?

— არ მსურს ცნობილი უკრა-
ინელი პოლიტიკოსის სიტყვების
კომენტარება, თუმცა როცა მის
გამოსვლებს ვუსმენ, მომწონს,
ოპონენტებთან კამათისას რომ
ამბობს: „მოდი, ტოლერანტულე-
ბი ვიყოთ და პიროვნებებს ნუ შე-
ვებებით.“

— ნარინჯისფერი რევო-
ლუციის შემდეგ იუშენკოს ევ-
როპაში ლამის ხელისუფლებ-
ა ატარებდნენ, ახლა კი აუდიენ-
ციაზე უარს ეუბნებიან. თანაც,
არა მარტო ევროპაში: სულ უფ-
რო ცოტა დარჩა ქვეყნები, რომ-
ლებიც მიღებაზე უარს არ ეუბ-
ნებიან.

— არ გეთანხმებით.

— ასეთები მხოლოდ საქარ-
თველო, ლიტვა და პოლონეთია.

— ახლახან ის ბრიუსელში
იყო. სატელევიზიო სიუჟეტი
ვნახე.

— ეს იანვარში იყო. ბელგი-
აში კი ის ევროკომისიის მიწვე-
ვით და არა მეფე ალბერტ მეო-
რის მიწვევით ჩავიდა. თქვენს
პრეზიდენტს უწინდებურად ინ-
ვევინ?

— რა თქმა უნდა. სხვათა შო-
რის, ის ახლა ესპანეთშია... რაც
შეეხება ვიქტორ ანდრეის ძეს,
არა მგონია, ეს ინფორმაცია სწო-
რი იყოს. ის მოგზაურობს...

— ბრიუსელის გარდა, ვარ-
შავაში. თუმცა, სავარაუდოდ,
ნაციონალური უსაფრთხოების
საბჭოს ლეგენდარული სხდო-
მის შემდეგ მსოფლიოს სხვა-
დასხვა ქვეყანაში ინტერესი
უკრაინის პრეზიდენტის მი-
მართ მკვეთრად გაიზარდა.

— იცით, რას გეტყვით? სა-
კუთარი თავის პატივისმცემელი
მამაკაცი ცხოვრებაში ერთხელ
მან კარგავს მოთმინებას და
იღანძვლება.

— რატომ ღეჭავს თქვენი
პრეზიდენტი ჰალსტუხს? ჩვენ-
სას, ყოველ შემთხვევაში,
ასეთი რამ არ გაუკეთებია.

— მიხეილ სააკაშვილთან 24-
წლიანი ურთიერთობის მანძილ-
ზე ასეთი ჩვევა მისთვის არ შემე-
ნიშნავს.

— მაგრამ ეს კადრები ხომ
ნახეთ?

— რუსეთის ტელევიზიით.

— რა მნიშვნელობა აქვს. მე
„სი-ენ-ენ“-ზე ვუყურე.

— გახსოვთ, „ORT“-მ უჩვენა
სიუჟეტი, როგორ გარბის სა-
ქართველოს პრეზიდენტი თავ-
დასხმისას, დაცვა კი ზედ გადა-
ეფარება? რა არის აქ გასაკვი-
რი? ვფიქრობ, ფრონტის წინა
ხაზზე თვითმფრინავის დანახ-
ვისას, რომელიც ბომბების ჩა-
მოყრას აპირებს, პრეზიდენტს
ნორმალური რეაქცია ჰქონდა.
დაცვამაც პროფესიონალურად
იმუშავა.

— გნებავთ, ეგ სიუჟეტი
განვიხილოთ?

— სხვადასხვა რაკურსით
ნაჩვენები ერთი და იგივე რამ
სხვადასხვაგვარად აღიქმება. შე-
იძლება სიუჟეტი ისე გადაიღო,
რომ მაყურებელს მცდარი წარ-
მოდგენა შეექმნას.

— როცა ტელევიზიით ვუ-
ყურებდი, როგორ ღეჭავდა
პრეზიდენტი სააკაშვილი ჰალ-
სტუხს, მე მცდარი წარმოდგენა
შემექმნა, რომ ის ჰალსტუხს
ღეჭავდა?

— იცით, როგორც კი ის პრე-
ზიდენტი გახდა, გზების მშენებ-
ლობა დაიწყო. რუსეთის მსობრი-
ვი ინფორმაციის საშუალებებში
კი თხრილებს აჩვენებდნენ. „შე-
ხედეთ, რა მდგომარეობაშია
გზები!“ მოასფალტებულ მონაკ-
ვეთებს კი არა, იმ გზებს აჩვენებ-
დნენ, სადაც ჯერ კიდევ რომოე-
ბი იყო, რათა შეექმნათ შთაბეჭ-
დილება, რომ ყველაფერი დანგ-
რეულია.

— ვიცით, რომ დიპლომატი-
ურ საქმიანობაში ხანმოკლე
შესვენება გქონდათ, რადგან
2008 წელს საქართველოს ბანკ-
ში მუშაობდით. ამიტომ ჩვენი
და თქვენი ქვეყნისთვისაც
მნიშვნელოვან საკითხზე გადა-
ვიდეთ: რამდენად შეეხო მსოფ-
ლიო ფინანსური კრიზისი ქარ-
თულ ბანკებს?

— სიტუაცია უდავოდ აისა-
ხა საბანკო სექტორზეც, თუმცა
ძირითად დარტყმის მიუხედავად,
მხედველობაში მაქვს თბილის-
ში უცხოური ჯარების შემოსე-
ლა, ალბათ იმედოვნებდნენ,
რომ პანიკა დაიწყებოდა და მო-
სახლეობა ბანკებს გაძარცვავ-
და, მაგრამ მსგავსი არაფერი
მომხდარა. ახლა საბანკო სექ-
ტორი საქართველოს ეკონომი-
კის სხვა სექტორებთან შედა-
რებით ერთ-ერთი ყველაზე
წარმატებულია.

— როგორია ამჟამად ნაცი-
ონალური ვალუტის კურსი დო-
ლართან მიმართებაში?

— ფინანსურ კრიზისამდე 1
დოლარი 1,43 ლარს უდრიდა, ახ-
ლა 1 დოლარი 1,63 ლარია

— უკრაინამ მსოფლიო სა-
ვალუტო ფონდს 16,5 მლრდ
დოლარი სთხოვა. ნაწილი მის-
ცეს. საქართველომაც მიმართა
დახმარებისთვის მსოფლიო სა-
ვალუტო ფონდს?

— ქართული ბანკებიდან
კონფლიქტის დროს ერთი ცენ-
ტიც კი არავის გაუტანია!

— ანუ, საქართველოს
მსოფლიო სავალუტო ფონდის-
თვის დახმარება არ უთხოვია?

— მთელი შემოდგომის გან-
მავლობაში პრობლემებს თავად
გავუმკლავდით, დახმარება
მხოლოდ დეკემბრის ბოლოს
ვითხოვეთ.

— ბევრი სთხოვით?

— 3 მლნ დოლარი.

პორტფელსა და შემცროს ძმას

— იმ 3 მლნ დოლარზე მინ-
დოდა, მეთქვა. ოპოზიცია ირწ-
მუნება, რომ სწორედ ეს თანხა
გადაიხდა თქვენმა პრეზიდენ-
ტმა თავისი პერსონის ლობიო-
რებსა და აშშ-ის ახალი აღმინის-
ტრაციის მხარდაჭერის მოპო-
ვებაში. სააკაშვილმა გააფორმა
კონტრაქტი, — საქართველოს
ლეიბორისტების ციტირებას
ვახდენ, — გლუვერ პარკ გრო-
უპ-ის პიარკომპანიასთან, რო-
მელიც ობამას აღმინისტრაცი-
ის სახელმწიფო მდივანთან, ჰი-
ლარი კლინტონთან თანამშ-
რომლობს. ნამდვილი „მადრი-
ლის სამეფო კარის“ საიდუმ-
ლოებაა...

— მე კი ნავიკითხე, რომ ბო-
ლო წლის განმავლობაში მიხეილ
საკაშვილმა 300 მლნ დოლარი
დახარჯა. ეს დღემდე რამდენი გა-
მოდის — მილიონი?

— თუ მხედველობაში მივი-
ღებთ წყალქვეშა ნავით ვოია-
ჟებს აფრიკის გარშემო, პლუს
თვითმფრინავით მოგზაურო-
ბას მსოფლიოს ირგვლივ, თა-
ნაც, მთელი ოჯახით, სიდდერ-
ისა და სიმამრის ჩათვლით, და
ამას დაუმატებთ პარიზის სა-
უკეთესო ოტელ „გეორგ მე-5“-

ში დასვენებას, სადაც დღე-ღა-
მე 30 ათასი ევრო ღირს...

— თუ სიდდერ-სიმამრზე ვი-
ლაპარაკებთ, ისინი ძალიან მოკ-
რძალეულები ადამიანები არიან.
როცა ჰოლანდიიდან ჩამოფრინ-
დნენ, იმ დროს ბანკირი ვიყავი,
შევეცადე „ბორისპოლის“ აერო-
პორტში, ოფიციალური დღეღა-
ციის დარბაზში მათ ნაცვლად
გადაამხადა ფული, მაგრამ უფ-
ლება არ მომცეს. სანდრას დედ-
მამა ისე არიან აღზრდილი, რომ
ასეთ რამეს შეურაცხყოფად მი-
იჩნევენ. ჰოლანდიაშიც ძალიან
მოკრძალებულად ცხოვრობენ,
თითოეულ კაპიკს...

— თითოეულ გულდენს...

— ითვლიან, მფლანგველი
აღმოსავლელი ხალხისგან გასხ-
ვავებით.

— ჩვენი ქვეყნის მეთაური,
მიუხედავად იმისა, რომ აღმო-
სავლელი არ არის, სახელმწი-
ფოს ხარჯზე ფუფუნების მოყვა-
რულად მიიჩნეის არა მხოლოდ
წინამორბედებთან, არამედ ევ-
როპის ქვეყნების კოლეგა-პრე-
ზიდენტებთან შედარებით.

— ყველა ადამიანი სიმდიდ-
რისკენ მიისწრაფვის და ეს ნორ-
მალურია.

— ბოლო დროს მთავრობა-
ში გადაადგილებები ხდება რო-
გორც უკრაინაში, ასევე საქარ-
თველოში, ოღონდ ჩვენთან ფი-
ნანსთა მინისტრი ვიქტორ პინ-
ზენიკი საავადმყოფოში მოხე-
და და გადადგა. თქვენთან კი
ფინანსთა მინისტრი ნიკა გი-
ლაური დანინაურდა — პრემი-
ერ-მინისტრის პოსტი დაიკავა,
რადგან მის წინამორბედს
მკვეთრად შეერყა ჯანმრთე-
ლობა.

— ვხვდები, რისი კითხვა გინ-
დათ.

— პორტფელზე მინდა,
გკითხოთ. მართალია, რომ
თქვენმა პრეზიდენტმა განრის-
ხებისას პორტფელი ესროლა
პრემიერს? და კიდევ, მონშეთა
თანდასწრებით სილა გააწნა.
მართალია? თუმცა, როგორც
დიპლომატმა, შეგიძლიათ არ
მიპასუხოთ.

— რატომაც არა? სიამოვნე-
ბით. მე კი ნავიკითხე, რომ პორტ-
ფელი კი არა, მობილური ტელე-
ფონი ესროლა. ყველაზე საინტე-
რესო ის არის, რომ ყველა, ვინც
ასეთ სისულელეებს ჰყვება, ამ
სცენებს არ შესწრება. ვილაც-
ვილაცებს ზღაპრების შეთხზვა
უყვართ. რაც შეეხება პრემიერ-
მინისტრის პოსტს... შეიძლება
უხერხულიც კი იყოს ამის გან-
ცხადება, მაგრამ ჩემთვის რომ
შემოთავაზებინათ, კატეგორი-
ულ უარს ვიტყვით.

— სწორადაც მოიტყვიდით.
თუმცა უარი არ გითქვამთ მეო-
რე ვადით ელრობაზე. არადა,
ბანკში უფრო მშვიდი სამუ-
შაა. თვითონ გამოთქვით სურ-
ვილი თუ?

— ეს წინადადება ჩემთვის
ერთობ მოულოდნელი იყო. პრე-
ზიდენტმა დამირეკა. მისი ხასია-
თი და ის თვისებები რომ ვიცი,
რომელიც მომწონს, უარი ვერ
ვუთხარა.

— მართალია, რომ 2008
წელს საელროში მისი ღვიძლი
ძმა მუშაობდა?

— რატომ „მუშაობდა“? ის ახ-
ლაც იქ მუშაობს. გიორგი სააკაშ-
ვილი, მიხეილის უმცროსი ძმა,
კვალიფიციური იურისტი და
ეკონომისტი. სხვათა შორის, დი-
დი ხანია ვიცნობ. მერე რა, რომ
პრეზიდენტის ძმაა? რა მოხდა?

ლიდია დენისენკო,
„გაზეტა 2000“, 26 თებერვალი,
2009 წ.

საქართველო და უკრაინის საბაკო უწყებთა ხელშეწყობა გამოსავალი მოხსნა

უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტ-
რი ვლადიმერ ოგრიზკო (რომელიც
თბილისიდან დაბრუნებისთანავე რადამ
თანამდებობიდან მოხსნა) და მისი ქარ-
თველი კოლეგა გრიგოლ ვაშაძე ერთობ-
ლივ პრესკონფერენციაზე იძულებული
შეიქნენ, რუსულად ელაპარაკათ. ოგ-
რიზკომ ეს დროს უკმაირსობით ახსნა.

„ჩვენ შევთანხმდით, რომ თარგმნის-
თვის განკუთვნილი დრო დაგვეზოგა,
ამიტომ პრესასთან ურთიერთობისთვის
ერთ ენას გამოვიყენებთ, კერძოდ — რუ-
სულს. ამიტომ ძალიან გთხოვთ, ამას გა-
გებით მოეკიდეთ, მასობრივი ინფორმა-
ციის საშუალებებთან ურთიერთობისთვის
მხოლოდ 15 წუთი გვაქვს“, — თქვა უკრა-
ინელმა მინისტრმა. ამის შემდეგ ოგრიზ-
კო რუსულზე გადავიდა და დამსწრეთ
მოუთხრო, რამდენად კონსტრუქციული
იყო მისი მოლაპარაკება ვაშაძესთან.

„დღეს ჩვენ უკრაინის და საქართველოს
საგარეო საქმეთა სამინისტროების დო-
ნეზე კონსულტაციების შესახებ პროტო-
კოლს მოვანერეთ ხელი, უმაღლეს დონე-
ზე ორმხრივი ვიზიტების გრაფიკი შევა-
თანხმეთ. დარწმუნებული ვარ, რომ რო-
გორც ნატოში, ისე ევროკავშირში ინტეგ-
რაციის საერთო პერსპექტივები გვაქვს“.

საპასუხო სიტყვაში ქართველმა მი-
ნისტრმაც რუსულად გადაუხადა მად-
ლობა უკრაინულ კოლეგას თბილისი მიღე-
ბისთვის და კიევისა და თბილისის ევრო-
ატლანტიკურ პერსპექტივებსაც შეხე-
ს.

შეგახსენებთ, რომ ყოველივე რუსუ-
ლისადმი არაერთმნიშვნელოვანი დამო-
კიდებულებით ცნობილმა ოგრიზკომ
2008 წლის დეკემბერში უარი თქვა რუსი
ჟურნალისტისათვის რუსულად ან თუნ-
დაც ინგლისურად პასუხის გაცემაზე. მა-
შინ მან ასეთი რამ განაცხადა: „ვფიქრობ,
გამონახავთ თარგმნის საშუალებას“.

„უკრაინა“ პოლიტიკური კონტაქტის მქონე სიმლაქების უსრულებას არ დაუშვებს

„პოლიტიკური სიმლაქები „ევროვი-
ზიაზე“ არასოდეს დაიშვებოდა და არც
მომავალში დაიშვება, მაგრამ ამ კონკ-
რეტული სიმლაქის შინაარსის შეფასე-
ბას მხოლოდ 16 მარტის შემდეგ შევძ-
ლებთ, როდესაც განცხადებული სიმლა-
ქების მიღება დამთავრდება“, — გა-
ნაცხადა „ევროვიზიის“ ადმინისტრაცი-
ის წარმომადგენელმა იანარმო სიმმა.

მანამდე ევროვიზიის პრესმდივანმა
სიტესე ბაკერმა ასევე განაცხადა, რომ
ევროპის სამაუწყებლო კავშირი კომენ-
ტარს არ აკეთებს საქართველოს მიერ
„ევროვიზია 2009“-ის კონკურსზე ანტი-
რუსული სიმლაქის წარდგენის გამო.

„დადგენილი წესების თანახმად, 16
მარტამდე კონკურსის მონაწილეებს შე-
უძლიათ სიმლაქები შეცვალონ, გამოც-
ვალონ, საერთოდ, ის აკეთონ, რაც მოე-
სურებათ... ეს მხოლოდ ამის შემდეგ
შეისწავლის სიმლაქების შინაარსს წე-
სებთან მათი შესაბამისობის დასადგე-
ნად“, — თქვა ბაკერმა.

„ევროვიზია 2009“ მოსკოვში მასში
ჩატარდება. საქართველომ კონკურსზე
ქვეყნის წარსადგენად ჯგუფი Stephane
& 3G (3 Girls ათრჩია სიმლაქით We
Don't Wanna Put In, რომლის სახელწო-
დება რუსეთის პრემიერ-მინისტრის
ვლადიმერ პუტინის გვარს ემთხვევა.

We don't want to put in/ The nega-
tive mood/ It's killing the groove, ნათქ-
ვამია სიმლაქის ტექსტში (სიტყვასიტყ-
ვით: „ჩვენ არ გვინდა დავეშვათ ცული
განწყობა, რადგან ის კაიფს კლავს“).

ჯამალ ქარქუსოვი:

ჩეხეთის სნობილია სამი გადაადგმარი გენერალი ისრაელიდან, როგორც საქართველოში მუშაობდნენ

ძმებმა ქარქუსოვებმა თხასავით გაგვიყიდეს. მათ სანაკოვეის ადმინისტრაციაში შინაგან საქმეთა მინისტრისა და პრეზიდენტის მრჩეველის თანამდებობები ეკავათ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, კვლავ კოკოთის ბანაკში გადაბარდნენ და სკანდალური განცხადებებიც გააკეთეს. მათ არა ერთ მეტად საინტერესო საიდუმლოს ახადეს ფარდა. გაზეთ „კომსომოლსკია პრავდას“ დახმარებით, ხელთ ჩავიკვირდა ძმები ქარქუსოვების აღსარების სრული ტექსტი.

„საქართველო და მსოფლიო“ მადლობას უხდის კოლეგებს და ხსენებულ ტექსტსაც უკომენტაროდ გთავაზობთ. მისი გაცნობის შემდეგ უნებურად გაგიჩნდებათ კითხვა, საიდან აღმოჩნდნენ, როგორც ახლა დანამდვილებით ირკვევა, მსუბუქად რომ ვთქვათ, ნაძირლური მორალის მქონე ძმები ასეთ მაღალ თანამდებობებზე? რატომ იხარჯება სანაკოვეის ადმინისტრაციაზე დიდძალი თანხა მაშინ, როცა სამაჩაბლოს ქართული მოსახლეობა ულუკმაპუროდაა დარჩენილი?! ასევე საინტერესოა, ვისთვის მაუწყებლობს ტელეკომპანია „ალანია“ და რა მოტივაციით ფინანსდება სახელმწიფო ხაზინიდან?!



ჯამალ ქარქუსოვი, „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ალტერნატიული მთავრობის“ შინაგან საქმეთა მინისტრი.

ცნობისათვის: ქარქუსოვების მესამე ძმა დღემდე საქართველოში მუშაობს. ქარქუსოვების მაგალითზე ნათლად გამოჩნდა, რომ სანაკოვეის ალტერნატიული მთავრობა სახელმწიფო პიარმანქანის მიერ „ხსნად“ გასაღებული ბლეფია. რაც მთავარია, რა გზას დავადებთ, თუკი ძმები ქარქუსოვების კვალდაკვალ კოკოთის სანაკოვეიც შეურიგდება და ისიც ცხინვალს გადაბარდება?! თუ რა სავალალო შედეგი შეიძლება მოჰყვეს სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტ კოკოთისა და ჩვენ მიერვე დე იურე პრეზიდენტად შერაცხილი სანაკოვეის გაერთიანებას, ვფიქრობ, ძნელი მისახვედრი არ არის.

ალტერნატიული მთავრობა

ჯ. ქარქუსოვი: „ალტერნატიული მთავრობის შექმნის გეგმა წმინდად ამერიკული იყო. ადგილზე მას თბილისის სპეცსამსახურები ახორციელებდნენ, კერძოდ, საქართველოს შსს კონტრდაზვერვის დეპარტამენტი. ანკლავში ყველა არჩევნები კონტრდაზვერვის ორგანიზებული და ჩატარებულია“.

ი. ქარქუსოვი: „ალტერნატიული მთავრობის შექმნის იდეოლოგი გახლდათ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ამირან მესხელი“.

ჯ. ქარქუსოვი: „2006 წლის შემოდგომაზე არჩევნები ტარდებოდა, მე უშუალოდ მათი დაწყების წინ, სადაც 10-15 დღით ადრე გამოიმძახეს. ა. მესხელი და კონტრდაზვერვის უფროსი შალვა ფლენტი მესაუბრნენ, პრეზიდენტის პოსტის დაკავება შემომთავაზეს, მე უარი ვთქვი. საბოლოო გასაუბრება კონტრდაზვერვის უფროსის მოადგილემ გელა ჩხარტიშვილმა ჩაატარა, მაგრამ ისევ უარი ვთქვი. მერე ა. მესხელმა დარეკა და თქვა, რომ დ. სანაკოვეი დათანხმდა და სადაცა ჩამოვა“.

ჯ. ქარქუსოვი: „ალტერნატიული მთავრობის“ არჩევნები მთლიანად საქართველოს შსს-ს მიერ იყო ორგანიზებული. რეალურად ანკლავებში 18 ათასი ადამიანი იყო, მათგან მხოლოდ 3 ათასი — ზრდასრული მამაკაცი. არჩევნებში მამაკაცი 10 ათასი ამომრჩეველი მონაწილეობდა, მაგრამ ოფიციალურმა საქართველომ გამოაცხადა, რომ არჩევნებში 54 ათასმა მიიღო მონაწილეობა, რათა ეს ციფრი სამხრეთ

ოსეთში ამომრჩეველების რაოდენობის შესაბამისი ყოფილიყო“.

ი. ქარქუსოვი: „ყველაფერი მოსაჩვენებლად გაკეთდა. ისიც, თითქოს მე ჯავის რაიონიდან ცხენით ჩამოვიტანე ბიულეტენები (ეს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გადაიდეს) და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მცხოვრებთა რაოდენობაც, რომლებიც არჩევნებში მონაწილეობდნენ. ამ არჩევნებში მონაწილეობის მიღება საქართველოს შიდა რაიონებში მცხოვრებ ოსებს აიძულეს“.

ი. ქარქუსოვი: „დროებითი ადმინისტრაციული ერთეულის შექმნის შესახებ ბრძანების ხელმოწერამდე ალტერნატიულ მთავრობას საქართველოს შსს

და. 2006 წელს მანდარინის შესყიდვისთვის საქართველოს შსს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ოპერატიული სახსრებიდან 1 მილიონი ლარი გამოიყო. მთლიანად სამოქალაქო მშენებლობაზე 64 მილიონი დოლარი დაიხარჯა, გარდა ამისა, დანერგილი იყო სპონსორული დახმარება, რომელიც შემდეგი სქემით ხორციელდებოდა: დეპარტამენტში ინვესტირებდნენ მენარმეს, რომელსაც ალტერნატიული მთავრობის ტერიტორიაზე რაიმე ობიექტის აშენებას სთხოვდნენ, რასაც ეს უკანასკნელი ეთანხმებოდა და აუცილებელ მშენებლობებს აფინანსებდა. მთელ თანხებს საქ. შსს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ფინანსისტები აკონტროლებდნენ, მათი თანხმობის გარეშე ერთი კაპიკიც არ გაიცემოდა“.

ჯ. ქარქუსოვი: „არჩევნების შემდეგ შემუშავდა ალტერნატიული მთავრობის შტაბები და დაიწყო მისი ჩამოყალიბება. მინისტრების დანიშვნის რეკომენდა-

ცია-ში დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილების თბილისიდან დანიშნული უფროსი, ის აკონტროლებდა აგრეთვე ყველას დ. სანაკოვეის მთავრობაში“.

ი. ქარქუსოვი: „ალტერნატიული მთავრობა საქართველოს სპეცსამსახურების მეშვეობით ყალიბდებოდა. ისინი არჩევდნენ და სწავლობდნენ კანდიდატებს, რის შემდეგაც დ. სანაკოვეს ურეკავდნენ, რომელიც დანიშვნის შესახებ ბრძანებას ხელს აწერდა. საქართველოს ყველა სამინისტრო და უწყება ალტერნატიული მთავრობის პროექტებს თავისი ხაზით კურატორობდა. პროექტის ოპერატიულ თანხლებას შ. ფლენტი ახორციელებდა, რომელიც უშუალოდ კურატორობდა დ. სანაკოვესაც“.

ჯ. ქარქუსოვი: „ალტერნატიული მთავრობის საქმიანობის ყველა საკითხს საქართველოს შსს მინისტრის მოადგილე ა. მესხელი უძღვებოდა. ამ პროექტის ძირითადი მიზანი იყო, მსოფლიოს დაენახა, რომ სამხრეთ ოსეთში არსებობს მოსახლეობის პროქართული ნაწილი, რომელმაც მთავრობა ჩამოაყალიბა. პირველ ეტაპზე ალტერნატიული მთავრობა საქართველოს შსს-ს ხაზით ფინანსდებოდა მუხლით „ოპერატიული ხარჯები“. ალტერნატიული მთავრობის შსს ანგარიშვალდებული იყო დ. სანაკოვეის წინაშე, ხოლო მატერიალური უზრუნველყოფა პირდაპირ თბილისიდან ხდებოდა“.

ი. ქარქუსოვი: „ალტერნატიული მთავრობის თითქმის მთელი ხელმძღვანელობა არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლებისგან ჩამოყალიბდა და ყველა მათგანმა საქართველოს სპეცსამსახურების ხელში გაიარა, მათ შორის ზურა ბენდიანიშვილმა, მარინა მეშვილიშვილმა, ზაირა მარანელმა, მაია ჩიგოევა-ცაბოშვილმა, ლალი უფხაევამ და სხვებმა“.

ჯ. ქარქუსოვი: „ეუთოს არასდროს ჰქონია პრობლემა ალტერნატიული მთავრობის ხელმძღვანელობასთან შეხვედრებში. თბილისში ეუთოს ოფისის ამჟამინდელი ხელმძღვანელი ტერი ჰაკალა არასოდეს მალავდა ალტერნატიული პროექტისადმი მხარდაჭერას, მას ევროკავშირის რწმუნებული ადამიანთა უფლებების საკითხში ჰამარბერგიც უჭერდა მხარს. ჩემთვის ცნობილია, რომ თბილისში ვიღაც ბერძენი დაიჭირა, რომელიც ევროსაბჭოში ალტერნატიული მთავრობის ინტერესებს ლობირებდა. ამერიკელები ხშირად ჩამოდიოდნენ. მოღური იყო მინისტრების მისვლა-მოსვლა. მ. სააკაშვილი ანკლავში 6-ჯერ ჩამოვიდა“.

ჯ. ქარქუსოვი: „დ. სანაკოვეისთვის სულერთია, სად რა ხდება. ის თამაშობს, ვალები აქვს.

მაგრამ ქართველები აკონტროლებენ, რომ არ ითამაშოს“.

ი. ქარქუსოვი: „დ. სანაკოვეის ადამიანია, რომელიც პირად კეთილდღეობას პირველ პლანზე აყენებს, უამრავ ფულს ახარჯავს თავის საყვარელს ლუდა კოტლოვას. კაზინოში თამაშის ნებას არ აძლევენ, გარეშე ზეგავლენას ექვემდებარება. სჯერა, რომ საქართველოს ნატოს ბლოკში შესვლის შემდეგ სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში იქნება და ის სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი გახდება“.


ი. ქარქუსოვი: „ალტერნატიული მთავრობაში მუშაობის წინადადება ა. პარასტაევმა მიიღო. შავნაბადას ქვედანაყოფებმა ქ. ცხინვალის ციხიდან პარასტაევის გათავისუფლების დეტალური გეგმა შეიმუშავეს. ამისათვის შავნაბადას ბაზაზე ციხის სასწავლო მაკეტი გაკეთდა, რომელზეც ქვეჯგუფების ურთიერთქმედების საკითხებს ხვდნენ“.

ჯ. ქარქუსოვი: „ალტერნატიული მთავრობის შტაბი და ხარჯები შემცირდება. 2008 წელს მისი ბიუჯეტი 18 მილიონი ლარი იყო, 2009 წლისთვის კი დაახლოებით 12 მილიონი ლარია გამოყოფილი. ძველი გეგმების მიხედვით, 2009 წელს შტაბი თითქმის 1000 ადამიანამდე უნდა გაზრდილიყო. აგვისტოს მოვლენების შემდეგ შტაბი 70 კაცამდე შეკვეცეს. ალტერნატიული მთავრობის სტრუქტურა მთლიანობაში შენარჩუნებულია. ამჟამად დ. სანაკოვეს და მის მომხრეებს გამოყოფილი აქვთ თბილისში, თავისუფლების მოედანზე მდებარე ძველებური შენობის მე-4 და მე-5 სართულები, სანაკოვეს შეუნარჩუნდა პირადი დაცვა“.

დივერსიული საქმიანობა

ჯ. ქარქუსოვი: „ალტერნატიული მთავრობის შსს-ს სტრუქტურაში შექმნილი იყო სპეცრაზმი, რომლის შტაბში ჯერ 150 ადამიანი შედიოდა, შემდეგ კი — 190. ოსური სახელმწიფო „ცაბ“ (ჯიქი). რაზმის პირველი მეთაური გახლდათ მირიან გოჩაძე გორიდან (მამით — ცხოვრებოვი). ის პროვოკატორი აღმოჩნდა, მას დავალებებს ჩემი გვერდის ავლით, პირდაპირ თბილისიდან აძლევდნენ“.

ი. ქარქუსოვი: „სპეცრაზმში ჯგუფებს ყველა მიმართულებით ამზადებენ. დანაღმვა და აფეთქება, დივერსიები, დაზვერვა, ქალაქში მოქმედება. ისინი, ვინც აშშ-ში გაიარა კურსები, ახლა თვითონ ამზადებენ დანარჩენებს. სპეცრაზმი სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის „ომონის“ საპრონუნდ შეიქმნა და შსს-ს ემორჩილებოდა. სამხრეთ ოსეთის რეს-



კონტრდაზვერვის დეპარტამენტი აფინანსებდა, ხოლო დაეს შექმნის შემდეგ ჩამოყალიბდა ბიუჯეტი, რომელიც საქართველოს ბიუჯეტიდან ფინანსდებო-

ციები სანაკოვეს თბილისიდან ჩამოსდიოდა. გადაწყვეტილებას ვინმესთვის ფულის გამოყოფის შესახებ ა. მექმარიაშვილი იღებდა (ალტერნატიული მთავრობის

იანიკ ქარქუსოვი:

საქართველოში უკრაინის სპეცრაზმი „კობრა“ ჩამოვიდა დაეონსტრასიების დაუღაპი მონაწილეობის მისაღებად

პუბლიკის ტერიტორიაზე ჩატარებულ სპეცოპერაციებში მხოლოდ თბილისიდან ჩამოსული სპეცრაზმი მონაწილეობდა.

ი. ქარქუსოვი: „ქართული სპეცსამსახურები მთლიანად აკონტროლებდნენ საქართველოს პოლიტიკას ამ რეგიონში. ალტერნატიული მთავრობის მთელი თავდაპირველი დაფინანსება საქართველოს შსს-ს ოპერატიულ ხარჯებზე მოდიოდა. ტელეარხი „ალანია“ შსს-დან ფინანსდებოდა, პროექტს პირადად ა. მესხელი უძღვებოდა.“

ჯ. ქარქუსოვი: „ტელეკომპანია „ალანია“ პროექტს ია ბარათელი ხელმძღვანელობდა, მას სპეცსამსახურის თანამშრომელი გელა ილიას ძე ჩხარტივილი კურატორობდა. პროგრამის ტექსტმა, რომელთაგან ერთ-ერთს ნიკა ჰქვია, მულტიფილმიც კი შექმნეს. რაც შეეხება ვ. სანაკოევს (შ. ჟღენტი) და გელა ჩხარტივილის მეკავშირე, ის ფსიქიკურად არანორმალურია.“

ჯ. ქარქუსოვი: „ოპერატიული თვალსაზრისით, კონტრდაზვერვა სერიოზულად მუშაობდა სამხრეთ ოსეთის მიმართულეობით. მათი ნებართვის გარეშე ანკლავებში ნებისმიერი ტვირთის შეტანაც კი შეუძლებელი იყო. ა. მესხელი და შ. ჟღენტი თავიდანვე მთავაზობდნენ პროკურატურაში, სახელმწიფო დანებსებულეობებში ტერაქტების ორგანიზებას. მეგრე და მეგრე ჩვენთან ტერაქტებზე აღარ მსჯელობდნენ, ამისთვის ცხინვალში საკმარისი ხალხი ჰყავდათ.“

ჯ. ქარქუსოვი: „ის, რომ ჟღენტი და მისი ხელქვეითები ტერორიზმით არიან დაკავებული — ასპროცენტინია.“

ჯ. ქარქუსოვი: „პირველი შემოთავაზება სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში ტერაქტების განხორციელების შესახებ ა. მესხელისგან შემოვიდა (ის შსს-ში ოპერატიული ღონისძიებების და პოლიტიკურ პარტიებთან მუშაობის ორგანიზაციას კურატორობდა), მაგრამ თვითონ ამ საქმისა არაფერი გაეგება. ზოგჯერ ფოტოებს მაჩვენებდნენ და მეკითხებოდნენ, ვიცნობ თუ არა ამ ადამიანს. ძალიან აინტერესებდათ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მრჩეველი სისოევი. სხვა შემთხვევებში ძირითადად სახელმწიფო დაცვის თანამშრომლებით ინტერესდებოდნენ. მათ სიები ჰქონდათ. ასევე აინტერესებდათ ობიექტები ცხინვალში, 2006 წლის შემოდგომაზე სახელმწიფო დაცვის დისლოკაციის ადგილზე თავდასხმის მოწყობა უნდოდათ. 2006 წლის ზაფხულში ამ თავდასხმის ვარიანტებს ჩემთან განიხილავდნენ შს მინისტრის მოადგილე ა. მესხელი და შსს-ს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის უფროსი შ.

ჟღენტი. დაახლოებით იმავე დროს მათ ცხინვალის კოსმოსიდან გადაღებული ფოტო მაჩვენეს, სადაც ქართულად იყო აღნიშნული ყველა სახელმწიფო დანებსებულეობა და იარაღის საწყობი. თან წუნუნებდნენ, რომ ამერიკელები რეალურ დროში ცხინვალის ნახვის საშუალებას არ აძლევენ. ვფიქრობ, ფოტოები ამერიკელების მონაწილეობის იყო.“

ჯ. ქარქუსოვი: „როდესაც ქურთაში კონტრდაზვერვის განყოფილება შეიქმნა — დაახლოებით 20 ადამიანი — მისი ხელმძღვანელი ალექსანდრე მეძმარიაშვილი იყო. ის სასტიკად ექიმებოდა ურუხმაგ ქარქუსოვს. საბოლოოდ ურუხმაგის მოშორება ა. მეძმარიაშვილის ინიციატივა იყო. კონფლიქტი სამსახურში მიღების ნიადაგზე წარმოიშვა. ის ხალხის განთავსებას ცდილობდა. არ ანებებდნენ. შსს-ში თავის ხალხს წერგავდა. კადრების განყოფილების უფროსის თანამდებობაზე ნარკომანი ნიკა დათაშვილის მოწყობას ცდილობდა (ერეკ მამაევის გატაცება „შეინერა“ მეგრე ერეკის მანქანით დადიოდა. ვანო მერაბიშვილმა ამ ღონისძიებისთვის ბინა მისცა. ახლა დათაშვილი თბილისში არასაუნყებო დაცვაში მუშაობს).“

ი. ქარქუსოვი: „ე. მამაევის შეპყრობის ოპერაცია ა. მეძმარიაშვილის მოადგილის ლევან ახობაძის ორგანიზებული და დაგეგმილი იყო. ორგანიზატორები და შემსრულებლები ამჟამად სამსახურიდან დათხოვილი არი-



იანიკ ქარქუსოვი, ალტერნატიული მთავრობის თავმჯდომარის მრჩეველი.

ხურის ერიკ დუდაევის, ქართული ციხის პატიმრის მარიკ დუდაევის ძმის შესაპყრობად. 2007 წლის დეკემბერში ე. დუდაევის მანქანის აფეთქება საქართველოს შსს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მოწყობილი იყო. შენიშვნას, რომ ავტომობილის აფეთქებისას შესაძლოა უდანაშაულო ადამიანები დაზარალებულიყვნენ, შ. ჟღენტმა ყურიც არ ათხოვა.“

ჯ. ქარქუსოვი: „ჩემთვის ცნობილია, რომ მეძმარიაშვილი ცხინვალის მკვიდრის, „ტექსტილის“ რაიონში მცხოვრები „ყურშას“ შეპყრობას გეგმავდა. ვიცი, რომ მეძმარიაშვილი ყველაფერზე წავა. მას სამინლად არ უყვარს ოსები.“

ჯ. ქარქუსოვი: „ჩემთვის ცნობილია ერთი დაკვეთილი

საზოგადოებაში ნებისმიერი უკმაყოფილების ჩასახშობად. ახლა საქართველოს შსს-ში მოდურია იარაღისა და ნარკოტიკის მიგდება, შემდეგ კი — გადაბირება. ძირითადად ნარკოტიკებს „უდებენ“. საყოველთაოდ არის გავრცელებული ქრთამის ოფიციალური ფორმა — ე.წ. „საპროცესო შეთანხმება“, როდესაც განსასჯელის ნათესავების მიერ მსხვილი თანხის შეტანის შემდეგ ის სასჯელის მოსახდელად ციხეში არ გადააჰყავთ.“

ი. ქარქუსოვი: „დ. სანაკოევზე თავდასხმა 2008 წლის აგვისტოში თავად ქართველებმა დაგეგმეს და ჩაატარეს, რადგან ჩვეულებრივ დ. სანაკოევი შავი „ნისანით“ დადიოდა, იმ დღეს კი დაცვის თეთრ „ჯიპში“ იჯდა, რომელიც „ნისანის“ წინ მიდიოდა. მანამდე ასეთი რამ არასდროს მომხდარა.“

საქართველოს სამხედრო ძალები

ჯ. ქარქუსოვი: „საომარი მოქმედებების დაწყებამდე ამბობდნენ, რომ საქართველოში მთელი ჰაერსანიანალმდეგო თავდაცვა უკრაინულია. ძალიან კარგად აჩვენა თავი ჰაერსანიანალმდეგო თავდაცვის მობილურმა კომპლექსებმა — ისრაელის ნარმოების „სპაიდერების“ ნ-დე ერთეულმა „ტატრას“ ბაზაზე. ამის შესახებ 10-11 აგვისტოს შს მინისტრის მოადგილე ჯანაშვილი მიყვებოდა. რუსული თვითმფრინავები მათ ვერ პოულობდნენ, რადარსანიანალმდეგო დაცვა არ მოქმედებდა. თვითმფრინავების მხრიდან „სპაიდერების“ მიმართულებით ერთი გასროლაც არ ყოფილა, ექვსივე ერთეული ომის შემდეგ შენარჩუნებულია.“

ჯ. ქარქუსოვი: „აქტიური სამხედრო თანამშრომლობა თავდაცვის მინისტრის პოსტზე დავით კეხერაშვილის დანიშნის შემდეგ დაიწყო. მაშინ დამყარდა აქტიური კონტაქტები უცხოელ მრჩეველებთან. ჩემთვის ცნობილია ვ. გადამდგარი გენერალი ისრაელიდან, რომლებიც საქართველოში მუშაობდნენ.“

ი. ქარქუსოვი: „2008 წლის აგვისტოში საბრძოლო მოქმედებების დაწყების წინა პირობები და ნიშნები არსებობდა, მაგრამ ასეთ შემთხვევებულ ვადებში ჯარების გადმოსროლა ჩვენთვის მოულოდნელი იყო. მოგვიანებით შევითქვე, რომ დ. სანაკოევს ეს უთხრეს, მაგრამ მან ინფორმაცია არ მოგვანოდა. 10.07.08 თბილისისკენ მიმავალმა იგოეთთან დაახლოებით ხუთასი კვადრაციკული ვნახე გადასატანი საზენიტოსარაკეტო კომპლექსებით (მძლოლის გარდა უკანა მხარეს ადგილზე მბრუნავი დანადგარი დავლანდე ოპერატორითა და მეტრნახე ვარი სიგრძის რაკეტით).“

„დ. სანაკოევზე თავდასხმა 2008 წლის აგვისტოში თავად ქართველებმა დაგეგმეს და ჩაატარეს, რადგან ჩვეულებრივ დ. სანაკოევი შავი „ნისანით“ დადიოდა, იმ დღეს კი დაცვის თეთრ „ჯიპში“ იჯდა, რომელიც „ნისანის“ წინ მიდიოდა. მანამდე ასეთი რამ არასდროს მომხდარა.“

ან და თბილისში იმყოფებიან“.

ი. ქარქუსოვი: „შ. ჟღენტი საპასპორტო-სავიზო სამსახურის და, აგრეთვე, ბ. ჩოჩიევის ავტომანქანის დაწვას ითხოვდა. გარდა ამისა, ა. მეძმარიაშვილმა თავისი ავტომანქანის მეშვეობით პარტია „ედინსტოს“ ხელმძღვანელის ზ. კოკოევის მანქანა დაწვა. ამასთან, 2006 წელს ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ თათბირზე შ. ჟღენტმა ყველა შეახურა სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში ძირგამომთხრელი საქმიანობის სუსტად ორგანიზების გამო“.

ი. ქარქუსოვი: „2007 წლის ზაფხულში სპეცრაზმი „შავნაბადა“ ქ. ცხინვალის სამხრეთ შემოგარენში ოპერაციას ატარებდა სამხრეთ ოსეთის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსა-

ჯ. ქარქუსოვი: „ახლა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში მზადების პრინციპი მთლიანად შეცვალეს. იქმნება მძლავრი ჰაერსანიანალმდეგო სისტემა, ამბობენ — „ცას ჩავეკავთ და მერე ვნახოთ“. არსებობდა სარადადარო დანადგარი მავშებში, რომელსაც ალადაგენენ. ფრანგებმა თბილისის მახლობლად რადიოლოკაციური სადგური ალადაგინეს, ის სამხედრო ამოცანებს შეასრულებს.“

ჯ. ქარქუსოვი: „ამერიკული ტექნიკის მონაწილეობა ომის შემდეგ მკვეთრად გაიზარდა. აგვისტოში თბილისის აეროდრომზე განუწყვეტილად ეშვებოდნენ „ჰერკულესები“, რაღაც ჩამოქონდათ ყუთებით და ვაზიანში გადაჰქონდათ, სადაც ამერიკელი ინსტრუქტორები იმყოფებიან. ახლა ვაზიანის ბაზიდან ყველა ქართველი მოაშორეს. ამერიკელები უკვე დაცვა კი საკუთარი ჰყავთ. ბაზაზე დაახლოებით 150 ადამიანია. ტვირთი იქ გადაჰქონდათ.“

ჯ. ქარქუსოვი: „არმიის უმაღლეს წრეებში რევანშისტული განწყობა ჭარბობს. რუსეთის მხარდასაჭერად გამოთქმული ნებისმიერ აზრზე ყალბე შემდგარი ხედებიან. სამხედრო ვერტმფრენები ახლა თბილისში ქარხანასთან, მოედანზე დგანან. შსს-ს სპეცდანიშნულების ბაზა კარაღეთში აღდგენილია. ყოფილ საბჭოთა სამხედრო ბაზაზე უფლისციხეში საბრძოლო მასალის უმსხვილესი მარაგია თავმოყრილი. ქართველებს ყველაზე მეტად იმის ეშინოდათ, რომ რუსები მას დაიკავებდნენ ან ააფეთქებდნენ.“

ი. ქარქუსოვი: „ქართველი სამხედროები რევანშს ელიან. მაგრამ ამერიკის ახალი ადმინისტრაციის ჩამოყალიბების შემდეგ“.

უცხოეთის სახელმწიფოებთან თანამშრომლობა

ი. ქარქუსოვი: „2007 წელს, ნოემბრის არეულობის დროს, საქართველოში უკრაინის სპეცრაზმი „კობრა“ ჩამოვიდა კოლეგების მხარდასაჭერად და დემონსტრაციების დაშლაში მონაწილეობის მისაღებად“.

ი. ქარქუსოვი: „უკრაინა საქართველოს ტანკებსა და ჯავშანტრანსპორტიორებს აწვდიდა, თურქეთი — ჯავშანტრანსპორტიორ „კობრას“, ისრაელი — უპილოტო თვითმფრინავებს, გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებს, ავტომატებს, სნაიპერის შაშხანებს და პისტოლეტებს. ამჟამად ისრაელმა იარაღის მონაწილეობა მთლიანად შეწყვიტა, მაგრამ გააქტიურდა ჩინეთიდან მონაწილეობა“.

თუ ჟურნალისტებს საშუალო არ დაუბრუნეს, ბონდო ქურდაძე მარჯვენას მოიჭრის

გავერცხვებულმა ინფორმაციამ, — ბონდო ქურდაძემ მარჯვენა ხელის მოკვეთა გადაწყვიტა, — არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ვინც მას იცნობს, იცის, რომ გაზეთ „შანსის“ მთავარი რედაქტორი, სამი შვილის მამა ასეთ გადაწყვეტილებას ცხელ გულზე არ მიიღებდა. ვინც არ იცნობს, — არ ვიცი, რა იფიქრა. მე ვიცი, თანაც, დიდი ხანია და მჯერა, ქართული ჟურნალისტიკის მათემატიკა — ნოდარ ტაბიძის მოწაფეთაგან დაუფიქრებლად არავინ გაიჩვენებდა. ამიტომ რედაქციაში მოვიწვიე და ჩვენი საუბრის ნაწილს თქვენც გთავაზობთ.

— ბონდო, ჟურნალისტური წრეები ძალიან შეაშფოთა შენმა განცხადებამ — ხელისუფლების მხრიდან უყურადღებობის შემთხვევაში მარჯვენა ხელის მოკვეთის შესახებ. რამ მიგიყვანა ასეთ უკიდურესობამდე?

— ათი წელია, რაც სასამართლო პროცესი მოვიგეთ. ყველაფერი კი 1992 წელს დაიწყო. საქართველოში პირველი დამოუკიდებელი და თავისუფალი გაზეთი „შანსის“ არსებობისთვის კონკრეტული ხელშეკრულება გავაფორმეთ ერთ-ერთი საწარმოსთან და იმით დაიმედებულენი, რომ პარტნიორი პატიოსნად შეასრულებდა ნაკისრ ვალდებულებებს, აფხაზეთში ომში წავედით მთელი რედაქცია — 18 კაცი. გეხსოვება, ფრონტის ხაზზე, ბოლოს კი ალყაშემორტყმულ სოხუმში ვაკეთებდით გაზეთს. არ მინდა, ამ გადასახედიდან პათეტიკურად ვილაპარაკო, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა: იმ დროისთვის „შანსის“ გადაწყვეტილება, რედაქცია სოხუმში გადაგვტანა და იქვე გამოგვეშვა გაზეთი, არა მარტო უჩვეულო, არამედ პატრიოტული განაცხადიც იყო.

სხვათა შორის, 1993 წლის 26 სექტემბერს, სოხუმის დაცემის წინა დღეს, ხუთთვიანი კონიაკი ჩავფალით სანაპიროზე და დავთქვით, რომ როცა დაბრუნდებოდით, ყველას ერთად სწორედ ამ კონიაკით დაგველოცა საქართველოს მინა-წყალი.

მოკლედ, ომიდან დაბრუნებულებს უმძიმესი ვითარება

დაგვხვდა. ჩვენს პარტნიორს ეკონომიკური მდგომარეობა გაურთულდა, რაც გაზეთ „შანსის“ გამოცემაზეც აისახა. თუმცა, სასამართლო პროცესების მიმდინარეობის პარალელურად, გაზეთის გამოცემა არ შეგვიჩერებია. ასე გაგრძელდა 2002 წლამდე. 1999 წელს სასამართლო პროცესები დამთავრდა ჩვენს სასარგებლოდ და საქმე აღსასრულებლად გადაეცა იუსტიციის სამინისტროს აღსრულების სამსახურს. მაგრამ აღსრულება ისე გაჭიანურდა, რომ დღემდე ერთი თეთრიც არ მიგვიღია. ამ პერიოდში კი დაყადაღებული საწარმო სახელმწიფომ გაყიდა. მას სწორედ ჩვენი პარტნიორი დაეუფლა. წესით, მისი გადასახდელი არაფერია, ჩვენ სახელმწიფომ უნდა აგვინაზღაუროს კუთვნილი თანხა, რომელიც სასამართლომ მოგვაკუთვნა. ახლა სახელმწიფოს ვედავებით ამ ფულს, მაგრამ უკვე შვიდი წელია, სასამართლო ვერ ბედავს გადაწყვეტილების მიღებას. ჩვენ კი უმძიმეს მდგომარეობაში ვართ წლების მანძილზე.

აი, ეს არის ძალიან მოკლედ საქმის ისტორია. ათეულობით ჟურნალისტი უმუშევარი დავრჩით, თუმცა იმედი გვაქვს, რომ ჩვენს კუთვნილს დაგიბრუნებთ. რედაქციის თანამშრომლების ერთსულფენება ჩემს იმედს კიდევ უფრო განამტკიცებს და ძალიან მახარებს, რომ ეს ერთობა ამდენი წელია, არ დაგვიკარგავს.

— მართალია გითხრა, არ მჯერა ჩვენი მართლმსაჯულებ



პრეზიდენტის და საერთოდ ხელისუფლების რეაქციული დამოკიდებულება გვაფიქრებინებს, რომ გაზეთ „საქართველო და მსოფლიო“ რედაქციიდან კომპიუტერების ნაღება შესაძლოა განაღებულ პირდაპირად მოინათლოს მარჯვენა ხელს დაიჭიროებს?

ბისა და ასეთი უკიდურესი გადაწყვეტილების მიღებასაც არა მგონია, ხელისუფლების მხრიდან ადეკვატური გამოხმაურება მოჰყვება...

— სხვა რა გზა დამრჩა! „ვარდების რევოლუცია“ მოხდა და იმედი მქონდა, რომ მიხილდნენ სააკაშვილი ამჯერად მაინც მოგვაცეცდა ყურადღებას. ყველაფრის საქმის კურსში იყო და თავის დროზე გაზეთ „შანსის“ რედაქტორადაც მოვიწვიეთ, თვითონ მოამზადა ერთი ნომერი.

— ვიცი, მახსოვს ეგ ნომერი და შემიძლია ვთქვა, რომ ერთ-ერთი საუკეთესო გაზეთი იყო... რისი თქმა გინდოდა ამით?

— გვინდოდა, პოლიტიკოსები უშუალოდ ჩაგვეერთო ჟურნალისტურ საქმეში და თავიანთი თვალთ ენახათ, რა მიმე სამუშაოა. მერე თითო-თითო ნომერს ვახტანგ რჩეულიშვილმა და შალვა ნათელაშვილმაც ურედაქტორეს 1998 წელს. მას შემდეგ ათ წელზე მეტი გავიდა და მარტო ჩემი კი არა, ალბათ, მთელი ქვეყნის გაოცება გამოიწვია მიხილდნენ სააკაშვილის ასეთმა ტრანსფორმაციამ; ერთ დროს დემოკრატიული ფასეულობების აქტიური პროპაგანდისტი ერთპიროვნული მმართველი გახდა.

პრეზიდენტის და, საერთოდ, ხელისუფლების რეაქციული დამოკიდებულება გვაფიქრებინებს, რომ გაზეთ „საქართველო და მსოფლიო“ რედაქციიდან კომპიუტერების ნაღება შესაძლოა განაღებულ პირდაპირად მოინათლოს, მაგრამ ამას ვინ დაიჯერებს? როგორც ვიცი, მხოლოდ ის ტექნიკაა ნაღებული, რომელიც გაზეთის გამოსაცემად საჭირო მასალები ინახებოდა. ჟურნალისტური წრეებისთვისაც კი მოულოდნელი გაბედულობით გამორჩეული თქვენი გაზეთი ხელისუფლების ყურადღებას რომ მიიპყრობდა, ეჭვი არავის ეპარება. ამიტომაც არ გამორიცხოთ, რომ კომპიუტერების ნაღება ერთგვარი გაფრთხილებაა არის. თუმცა, იმედი მაქვს, კვლავაც წარმატებით გააგრძელებთ გაზეთის გამოცემას.

— დიდი მადლობა მხარდაჭერისა და თანაგრძობისთვის, მაგრამ, აბა, ამ სიტუაციაში რისი იმედი უნდა გქონდეს კაცს, კინალამ ისიც კი გითხრა, — შესწირე შენი მარჯვენა, იქნებ ამან მაინც უშველოს ქართველი ჟურნალისტების უმძიმეს ყოფას მეთქი, მაგრამ თან ენა არ მიბრუნდება ამის სათქმელად. როგორც ვიცი, პარლამენტის ანტიკორიზისულ საბჭოს და სახალხო დამცველსაც მიმართე. თუ შეგეხმებიან და რა გითხრეს?

— შევხვდი დეპუტატებს — საბჭოს თავმჯდომარეს ვიათორთაძეს და ვია ცაგარეიშვილს, ასევე შევხვდი და ვესაუბ

ლის“ შექმნას, რომელიც ყველა ჟურნალისტის სახლი იქნება და მთელ ქალაქში გაფანტული რედაქციები კვლავ ერთად შევიკრიბებით. შენობა 22 ათასი კვადრატული მეტრია და რედაქციები და სტამბები თავისუფლად განთავსდება.

— მაგრამ სახელმწიფო, რომელსაც ყველაფრის გაყიდვის არნახული ტემპი აქვს აღებულო, ჟურნალისტებს აჩუქებს იმ უზარმაზარ შენობას ქალაქის ცენტრში?

— ჩვენ მხოლოდ ჩუქებას არ ვითხოვთ. თუ სიმბოლურ ფასად ვერ დავგვითმობენ, მაშინ საბალანსო ღირებულებით მოგვყიფონ, ანდა იჯარა-გამოსყიდვის წესით გადმოგვცენ. მედიაჰოლდინგი შეძლებს შენობის მოვლა-პატრონობას და ქალაქის ცენტრში გვექნება არა მარტო ქართველთათვის, დარწმუნებული



რე სოზარ სუბარს. პარლამენტშიც და სახალხო დამცველის ოფისშიც სპეციალური კომისიები შეიქმნა როგორც „შანსის“ რედაქციის, ასევე გამოცემლობა „სამშობლოს“ საკითხთან დაკავშირებით. კარგად გეხსოვება, როგორი ძალადობით გამოგვაპანდურეს შენობიდან, სადაც ათეულობით წელი ვმუშაობდით. პრესისა და ტელევიზიის მიმართ ამგვარი დამოკიდებულება, მის მიმართ ასეთი აგრესიის გამოვლენა იმ ფონზეც კი გასაკვირი იყო, რასაც ლტოლვილებსა და კერძო მესაკუთრეების მიმართ იჩენდნენ. მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ჩვენი ერთობით ყველა წინააღმდეგობა დაგვიღვეთ. აქვე მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო კოლეგებს უდიდესი თანადგომისთვის, თითქმის ყველა რედაქტორი და ჟურნალისტი შემომხმენა და თანამიგრძობს. გამომცემლობა „სამშობლოს“ ჟურნალისტებისთვის დაბრუნება კი ყველას საქმეა და ამ საქმეში ჩვენს ერთიანობას გადაამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. პარლამენტის ანტიკორიზისული საბჭოსა და სახალხო დამცველისგან თანადგომას ვგრძობთ და, ალბათ, არც ისე შორს ვართ „მასმედიის სახლის“ შექმნის იდეის ხორცშესხმისაგან. თუკი ხელისუფლებას რაღაც განსაკუთრებული აკვიატებული წინააღმდეგობის სურვილი არ აქვს, მანაც მხარი უნდა დაუჭიროს „მასმედიის სახ-

ვარ, სტუმრებისთვის — უცხოეთიდან ჩამოსული ჩვენი კოლეგების წინაშე თავმოსანონებელი „მასმედიის სახლი“, სადაც აქაურ თუ მონვეულ პოლიტიკოსებს ქართველ და უცხოელ ჟურნალისტებთან შეხვედრისა და პრესკონფერენციის ჩატარებისთვის კომფორტული პირობები შეექმნებათ.

— თუ ყველაფერი კარგად დამთავრდება, და იმედი ვიქონიოთ, რომ ასეც იქნება, საქართველო „მასმედიის სახლით“ იამაყებს, ბონდო ქურდაძის — რედაქტორის მარჯვენა კი ამპუტაციას გადაურჩება.

— ყველამ სწორად გამიგეთ: ჩემი თვითმზანი ხელის მოკვეთა არ არის! მინდა, ხელისუფლება კარგად დაფიქრდეს, რომ კანონის უზუნაესობა სახელმწიფოს არსებობის უპირველესი გარანტია, ამ ქვეყნის მოქალაქეებისთვის ცხოვრებისა და მუშაობის უფლება კი დაცული უნდა იყოს.

— დაბოლოს, თუკი მიხილ სააკაშვილი გაზეთი „შანსის“ ერთი ნომრის რედაქტორობას კიდევ ისურვებს, დაუთმობ რედაქტორის სავარძელს?

— დავუთმობ! საინტერესო ნომერსაც ვაკეთებ. მთავარია, რედაქციაში გამოცემლობა „სამშობლოს“ შენობაში მოვიდეს და აღდგენილი „შანსის“ თუნდაც პირველივე ნომერს ურედაქტორის.



რატომ გამოასხადა ხელისუფლებამ დეზერტირებად ის ჯარისკაცები, ვისაც აბვიტოში გმირებად მოიხსენიებდა?

„ხელისუფლებამ აგვისტოს თმზე პასუხისმგებლობას თავი აარიდა და ჯოხი რიგითებსა და უმცროს ოფიცრებზე გადატეხა“



აგვისტოს ომის დროს ბრძოლა მოვიგეთ, მაგრამ ომი წავაგეთ, რაც ხელისუფლების არაგვემართო და არაკოორდინირებული სამხედრო პოლიტიკის ბრალი იყო, — ასე აფასებენ აგვისტოს ომის მონაწილე დეზერტირებად გამოცხადებული ჯარისკაცები გასული წლის ზაფხულის მოვლენებს, რომლებმაც ცხინვალის მისადგომებთან ბრძოლის გამო ხელისუფლებისგან მადლობის ნიშნად ქვეყნის მოლაღატებების სტატუსი მიიღეს.

ჯარისკაცები დეზერტირებად მას შემდეგ გამოაცხადეს, რაც პრეზიდენტმა სააკაშვილმა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ბრძანებას მოაწერა ხელი. იურისტი, პარტია „ნინ, საქართველოს“ პოლიტიკური მდივანი ეკა ბესელია თვლის, რომ ხელისუფლება ცდილობს, საკუთარი უსუსურობა და ომის დროს არაგვემართო ქმედება ჯარისკაცებს გადააბრალოს. დეზერტირებად გამოცხადებული ჯარისკაცები კი თავს მოლაღატებებად არ თვლიან და ამბობენ, რომ ისინი ხელმძღვანელებისა და ხელისუფლების გარეშე იბრძოდნენ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად.

მეოთხე ბატალიონის ყოფილი რიგითი ჩვენთან საუბარში ამბობს, რომ ომის დანებების პირველივე დღიდან უმეთაუროდ დარჩენილი მეოთხე ბატალიონის ჯარისკაცები ცხინვალში იყვნენ და პირველ ხაზზე იბრძოდნენ.

— „უკანონოა, როცა დეზერტირებად გვაცხადებენ ჩვენ, ვის ხარჯზეც გადაიარა აგვისტოს ომმა. ჩვენს ლიდერებს იშვიათად თუ ვნახავდით, ისიც მაშინ, როდესაც სიტუაცია ოდნავ დამშვიდდებოდა. მათგან არავის ჰყოფნიდა ვაჟ-ვაჟობა, ტყვიების ზუზუნში ჩვენთან ერთად მდგარიყო. ამის მიუხედავად, ჯარს უკან არ დაუხევია, ბოლომდე ვიბრძოდით. გვერდით ბიჭები გვეხოცებოდა და პატრონიც არავინ იყო, ახლობლებისთვის რომ შეეტყობინებინათ. გადმოსვენებაზე აღარაფერს ვამბობ. ბოლოს, როცა ცეცხლის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება იქნა მიღებული, რაც ჩვენი ახლობლების საშუალებით

ბით შევიტყვეთ მოკლე ტექსტური შეტყობინებით, ჩვენც უკან დავიხიეთ... მე და რამდენიმე ჯარისკაცი წამოვედით. ერთი დაჭრილი მოგვყავდა, რომელმაც ბრძოლაში ფეხი დაკარგა, ბოლოს სისხლისგან დაცვალა და დაიღუპა. რამდენიმე დღის მშვიდობის მისი ტარება გვიჭირდა. თავადაც ძლივს მოვდიოდით... გორამდე ამოვალწიეთ. ხელმძღვანელობამ გაგვამტყუნა — რატომ დაბრუნდით უკანო და გვითხრეს, ისევ წინა პოზიციაზე გავსულიყავით. ჩვენ იარაღი დაგვყარეთ და ვთქვით, თუ ლიდერები არ გაგვიძღვებოდნენ წინ და არ გვეტყოდნენ, რა გეგმით უნდა გვებრძოლა, აღარ წავიდოდით ცხინვალის მისადგომებთან. ბოლოს, თბილისში ჩამოსულეებს გვითხრეს, რომ თქვენთან კონტრაქტი გაუქმებული იყო. დავრჩით ერთადერთი შემოსავლის გარეშე.“ — ამბობს მეოხე ბატალიონის ჯარისკაცი.

იურისტი ეკა ბესელია კი თვლის, რომ დეზერტირების ხარჯზე ხელისუფლება საკუთარი შეცდომების დაფარვას ცდილობს.

მისივე განმარტებით, დეზერტირებად გამოცხადებული ადამიანები გმირები არიან და მათ კანონის საწინააღმდეგო არაფერი ჩაუდენიათ.

ეკა ბესელია, პარტია „ნინ, საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი: — „ხელისუფლება აგვისტოს ომის დროს ჩადენილი დანაშაულებებისა და ბრალეულობის სიმძიმის გადატანას სხვა ადამიანებზე, ანუ დეზერტირებზე ცდილობს. ხელისუფლების მხრიდან ეს უზნეო საქციელია. ხელისუფლება ერთი

და ორი ადამიანის ჩვენების ხარჯზე იღებს გადაწყვეტილებას. თუ ჩვენი ჯარისკაცები გმირები არიან, თუ მათ შეაჩერეს თბილისისკენ მომავალი ტანკები, მაშინ — საიდან ამდენი დეზერტირი? ომის დროს ქალღმერთი და შეუთანხმებელი იყო მოქმედებები. დეზერტირების თემა არის სააკაშვილის მიერ გამოგონილი საკუთარი სკამის გადასარჩენად. ჯარისკაცებს ომის დროს მოკლე ტექსტური შეტყობინებებიც კი მისდიოდათ, რომ მათ ბანკის კრედიტები ჰქონდათ დასაფარი. ეს არის ხელისუფლების ყალბი პოლიტიკის შედეგი. მათ უთხრეს ჯარისკაცებს, რომ თუ ამოიღებთ ხმას აგვისტოს ომის

ორგანიზებული და მებრძოლია ისე, როგორც არასდროს... მიუხედავად ამისა, ქვეყანას დღეს მაინც ჰყავს დეზერტირები.

აგვისტოს ომის დროინდელ დეზერტირებს მოლაღატებებად არ მიიჩნევს სამხედრო ექსპერტი ირაკლი სესიაშვილი. მისი თქმით, უშუალოდ საომარი მოქმედებისას, სანამ პრეზიდენტი გამოაცხადებდა გადაწყვეტილებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, საქართველოს არც ერთი დეზერტირი არ ჰყოლია. ყველა გმირი იყო და ყველა იბრძოდა ბოლომდე.

ირაკლი სესიაშვილი, სამხედრო ექსპერტი: — „ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ ჯარის მართვაში კატასტროფული შეცდომე-

ბი იყო დაშვებული. საომარი მოქმედების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების მიღება ძალზე გაუაზრებლად მოხდა. ბევრი ჯარისკაცი დაიბნა. ამას ისიც დაემატა, რომ ზოგიერთმა მეთაურმა მიიღო აბსოლუტურად შეუსაბამო და უგუნური გადაწყვეტილება. ამ შემთხვევაში ხელისუფლებამ საკუთარ პასუხისმგებლობას თავი აარიდა და ჯოხი რიგითებსა და უმცროს ოფიცრებზე გადატეხა. მე მოვეწოდებ ხელისუფლებას, გამოიჩინოს კეთილგონიერება და გაათავისუფლოს ეს ჯარისკაცები პატიმრობიდან, საზოგადოებასა და ჯარს შორის ხიდი რომ არ ჩატყდეს. მე ვხედავ ამის რეალურ საფრთხეს. თუ ეს ასე მოხდება, ძალიან ცუდი შედეგის მომტანი იქნება ქართული საზოგადოებისათვის. ამ 60-70 ადამიანის მიმართ აბსოლუტურად გაუმართლებელი და არასწორი გადაწყვეტილებაა მიღებული. ეს ყველაფერი გაუმართლებელია, რადგან ის ჯარისკაცები რეალურად გმირები არიან. ცეცხლის შეწყვეტა არ ნიშნავს იმას, რომ თუ შენი მონიანადმდე გეგმის, შენ იარაღის ლულა უნდა გასკვანო. ცეცხლის შეწყვეტა ნიშნავს, რომ შენ არ უნდა გადახვიდე შეტევაზე. ცეცხლის შეწყვეტა არის ორმხრივი შეთანხმება, მაგრამ პრეზიდენტმა სააკაშვილმა ეს გადაწყვეტილება ცალმხრივად მიიღო. ეს უფრო კაპიტულაციას ჰგავდა, ვიდრე — გადაწყვეტილებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. ამ შემთხვევაში სრული უფლებამოსილება გაქვს, შენი და შენი მოქალაქეების სიცოცხლე დაიცვა. ეს უფლებამოსილება კი არა, ვალდებულებაა.“



ჩვენ იარაღი დავყარეთ და ვთქვით, თუ ლიდერები არ გაგვიძღვებოდნენ წინ და არ გვეტყოდნენ, რა გეგმით უნდა გვებრძოლა, აღარ წავიდოდით ცხინვალის მისადგომებთან.

დროინდელი ფაქტების შესახებ, თუ ისაუბრებთ იმ დეტალებზე, რაც მაშინ ხდებოდა, ნახვალთ ციხეში...“

ჩვენ შევეცადეთ, ამ მტკივნეულ საკითხთან დაკავშირებით თავდაცვის სამინისტროს ოფიციალური კომენტარი მიგველო, თუმცა აღმოჩნდა, რომ თავდაცვის უწყებაში დეზერტირების თემასთან დაკავშირებით პასუხი არ აქვთ.

აგვისტოს მოვლენების დროს ხელისუფლება ამტკიცებდა, რომ თითოეული ქართველი ჯარისკაცი გმირია, რომ ქართული ჯარი

P.S. ხელისუფლებაში მიხეილ სააკაშვილის გუნდის მოსვლის შემდეგ ქვეყნის პრიორიტეტს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება წარმოადგენდა. ამ თვალსაზრისით ბიუჯეტიდან თავდაპირველად ათეულჯერ მილიონი, მოგვიანებით კი ასეულჯერ მილიონი ლარი იხარჯებოდა, თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილი კი ხელფასს 30 000 ლარის ოდენობით იღებდა. როგორც პრეზიდენტი გვპირდება, აგვისტოს ომის შემდეგ ისევ უნდა ნამოინიოს ჯარის თემამ პირველ ადგილზე — უნდა გავწრთვინოთ ჯარი, ავაშენოთ სამხედრო ბაზები... შემდეგ პრეზიდენტი ისევ გააკეთებს ტელევიზიით არადიპლომატიურ განცხადებებს და წლების განმავლობაში ნაშენებ ბაზებს, რომლებსაც ქვეყნის ბიუჯეტის ალბათ ერთი მესამედი მოხმარდება, რუსეთის ავიაცია ისევ ორ საათში დაგვიანგრევს.

აშშ მონაწილეობას არ მიიღებს გაეროს კონფერენციაში რასიზმის წინააღმდეგ, რომელიც 2009 წლის აპრილში ფენევაში ჩატარდება. ამერიკის ადმინისტრაციის წარმომადგენლის განმარტებით, ეს გადაწყვეტილება დაკავშირებულია იმასთან, რომ აშშ არ ეთანხმება ფორუმის საბოლოო დეკლარაციის პროექტში ისრაელის შესახებ უარყოფითი დებულებების ჩართვას.

ადმინისტრაციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აშშ პოზიციას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიცვლის, თუ დოკუმენტიდან ამოღებული იქნება ისრაელზე ნებისმიერი მითითება. მანამდე რასიზმისადმი მიძღვნილი კონფერენციის ბოიკოტისაკენ ისრაელმა მოუწოდა, იმ საბაბით, რომ არაბული ქვეყნები ებრაული სახელმწიფოს დისკრედიტაციის მიზნით ამ ფორუმის გამოყენებას აპირებენ.

პირველი მსოფლიო კონფერენცია რასიზმთან ბრძოლის, რასობრივი დისკრიმინაციისა და ქსენოფობიის საკითხებზე 2001 წელს სამხრეთ აფრიკაში, დურბანში გაიმართა. ისრაელისა და სინონიზმის წინააღმდეგ გამომდომების გამო აშშ-მ ფორუმს ბოიკოტი გამოუცხადა, ისრაელმა კი კონფერენცია დაახასიათა, როგორც „მეორე მსოფლიო ომიდან მოყოლებული, ყველაზე რასისტული განცხადებებისა და წინადადებების ნაკრები“.

პენტაგონს ჯარისკაცების გამოყვანის შედეგად უკიდურესი კონტინენტის შენარჩუნება სურს



აშშ-ის თავდაცვის მინისტრს რობერტ გეიტსს ერაყში აშშ-ის მცირე სამხედრო კონტინენტის შენარჩუნება 2012 წლის შემდეგაც სურს.

როგორც პენტაგონის შეფმა განაცხადა, ამერიკელი სამხედროები ერაყელ ჯარისკაცებს განმარტებენ და სადაზვერუო ოპერაციებშიც შეეძლოთ მონაწილეობის მიღება.

ამავე დროს გეიტსმა აღნიშნა, რომ ერაყიდან ჯარების გაყვანის შესახებ ობამას მიერ დასახული სტრატეგიით კმაყოფილია. მისი თქმით, ზალდადსა და ვაჰიდის შორის შეთანხმებები ძალაში რჩება და მათი გადახედვა მხოლოდ ერაყის მთავრობის მხრიდან შესაბამისი თხოვნის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება Associated Press.

ჩრდილოეთ კაროლინაში საზღვაო ფეხოსნების წინაშე გამოსვლისას ბარაკ ობამამ გამოაცხადა, რომ აშშ-ის საბრძოლო ქვედანაყოფები ერაყს 2010 წლის 31 აგვისტოსთვის, ანუ 18 თვის განმავლობაში დატოვებენ. დანარჩენი ამერიკული ქვედანაყოფები კი ერაყიდან 20011 წლის ბოლომდე გავლენ.

მანამდე პრეზიდენტმა თავის წინამორბედს ჯორჯ ბუშს დაურეკა და ამერიკის ჯარების გამოყვანის თაობაზე ახალი ადმინისტრაციის გეგმები გააცნო. თეორი სახლის პრესმდივნის რობერტ გიბსის განმარტებით, ეს ზარი „ეტიკეტის შესაბამისად“ განხორციელდა. აშშ-ის პრეზიდენტმა ერაყის პრემიერ-მინისტრ ნური ალ-მალიქსაც დაურეკა, რათა ჯარების გაყვანის გეგმების შესახებ ინფორმაცია მიეწოდებინა.

რამდენი სამოქალაქო პირი დასოცა აშშ-ის არმიამ უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში?

მართალია მასზე უარი გვითხრეს და ნატოში შესვლის პერსპექტივამაც ჩაილურის წყალი დალია, მაგრამ ვინ იცის, იქნებ ევროატლანტიკური ალიანსის კარი ერთ მშვენიერ დღეს ჩვენთვისაც გაიღოს... სანამ ამ დღეს „მოვესწრებით“ და „ნატოს“ ასე ვთქვათ შიგნიდან დავაგვიმოვებით, ვთავაზობთ პოლონელი პუბლიცისტის ნერილს ნატოზე, პოლონურ არმიასა და სხვა ჩვენთვის მეთად საგულისხმო საკითხებზე. აქვე შეგახსენებთ რომ პოლონეთი ნატოს წევრია და თადეუშ სამიტოვსკის წერილთან ერთად ამ სამხედრო ორგანიზაციის „სემიორ საქმეთა არასრულ ჩამონათვალსაც ვებეჭადვთ.

„ნუ დაადანაშაულებთ პოლონელ ჯარისკაცებს... ჩვენმა ჯარისკაცებმა ავლანეთში აშშ-ის არმიის მსოფლმხედველობა მიიღეს! ის კი იმას ემყარება, რომ საჭიროა ეგრეთ წოდებულ „შესაძლო“ სამხედრო სამიზნეებზე შეტევა... მტრის ნებისყოფის დათრგუნვა მშვიდობიანი სამიზნეების განადგურებით და მოსახლეობის დახოცვით, რომელიც აგრესიისადმი წინააღმდეგობას უჭერს მხარს.

ნატოს ჯარებმა დამაჯერებლად გამოაჩინეს, რა შეთოდებს იყენებენ წინააღმდეგობის დასაძლევად. ამისი შესანიშნავი მაგალითია ყოფილი იუგოსლავიის დაბომბვა. 78 დღისა და ლამის განმავლობაში ნატოს პილოტები ბრძანებებს იღებდნენ, დაებომბათ სამოქალაქო ობიექტები, საცხოვრებელი კვარტალები, ლტოლვილთა კოლონიები... ზოგი მათგანი საგანგებოდ ბომბავდა ხიდებსა და ვიადუკებს, როდესაც მათზე მშვიდობიანი მოსახლეობით სავსე მატარებლები და ავტობუსები მოძრაობდნენ... სერბეთის სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ კასეტური ბომბები გამოიყენეს — ვრცელ ტერიტორიაზე მიმოფანტული ასაფეთქებელი მონოპოლიტები სხვადასხვაგვარად მოქმედებდა. ზოგი ზედ მიწის თავზე ფეთქდებოდა, ზოგი — მიწაზე დაცემისას. ზოგიერთი დარტყმისაგან საათის მექანიზმი ირთვებოდა და არავინ უწყობდა, ერთ საათზე ჰქონდათ ის დაყენებული თუ ერთ კვირაზე. იყო თერმულ-მექანიკურდეტონატორიანი ბომბებიც. მათთან უბრალო შეხება ან სითბოს წყაროს, მაგალითად, ხელის მიახლოება საკმარისი იყო, რომ...

ეს საძაგლობა ნატოს ავიაციამ, მაგალითად, ქალაქ ნიშში ჩამოაგდო, 5 ათასი მეტრი სიმაღლიდან, უღრუბლო ციდან, შუადღისას, საცხოვრებელ რაიონში!

შეგახსენებთ, რომ როდესაც ჰაგაში სამხედრო დანაშაულთა გაეროს ტრიბუნალი შეიქმნა, ჩვენი ახალი „დიდი ძმა“ ოკეანის გაღმადან დაგვემუქრა, რომ სამხედრო დანაშაულებისთვის მისი ჯარისკაცების დევნის შემთხვევაში ყველა „მი-



აშშ-ს და ნატოს დანაშაულებანი

გაზეთმა „ჰირიზის ხეამ“ ნატომ შესახებ საკამოდ თავისი აზრები გამოიხატა. ეს, უბრალოდ, სიანა ამ სამხედრო ბლოკის აზრების აქტებისა მსაფლიოს ხალხთა წინააღმდეგ, სათაურით „ეს თეთრი და ფუფუღა ნატო“. თქვენც გააცანით ამ სიანს:

- 1964 — ამერიკული საოკუპაციო ჯარების თავდასხმა პანამელი სტუდენტების მშვიდობიან დემონსტრაციაზე, 21 სტუდენტის მკვლელობა;
- 1964-1973 — შეიარაღებული აგრესია ლაოსის წინააღმდეგ;
- 1965 — დომინიკის რესპუბლიკის ოკუპაცია;
- 1965-1973 — აშშ-ის ომი ვიეტნამში ნაპალმისა და მომნამეული აირების გამოყენებით;
- 1970 — შეიარაღებული აგრესია კამბოჯის წინააღმდეგ;
- 1980 — ამერიკელი სპეცრაზმელების სამხედრო აქცია თეირანში;
- 1980 — საზღვაო ფეხოსნების გადმოსხმა ლიბანში;
- 1983 — შეიარაღებული ინტერვენცია გრენალაში;
- 1986 — ლიბიის დაბომბვა;
- 1988 — ამერიკულმა სამხედრო გემმა ირანის ტერიტორიული წყლების თავზე სამგზავრო თვითმფრინავი ჩამოაგდო — 290 ადამიანი დაიღუპა;
- 1989 — შეიარაღებული შეჭრა პანამაში;
- 1991 — შეიარაღებული შეჭრა ერაყში;
- 1993 — შეიარაღებული შეჭრა სომალში;
- 1994 — სამხედრო ოპერაციაში მონაწილეობა ბოსნიაში;
- 1999 — შეიარაღებული აგრესია იუგოსლავიაში;
- 2001 — შეიარაღებული შეჭრა ავღანეთში;
- 2002 — ერაყში განმეორებითი შეჭრა და ოკუპაცია;
- 2006 — იუგოსლავიის კანონიერად არჩეული პრეზიდენტის სლობოდან მილოშევიჩის მკვლელობა;
- 2006 — ერაყის კანონიერად არჩეული პრეზიდენტის სადამ ჰუსეინის სიკვდილით დასჯა.

სიანში“ მონაწილეობაზე უარს იტყობდა... გაერო დანებდა! არადა, დასანანი... იმი-სათვის, რაც ავღანეთში მოხ-

და, მე პოლონელ ჯარისკაცებს კი არა, პოლიტიკოსებს ვადა-ნაშაულებ, რომლებმაც პოლონეთი ავღანეთში ჩაითრი-

ეს! ავღანეთში მისიას ნატო ატარებს, რომელიც აშშ-ს ემორჩილება, რომელიც, თავის მხრივ, იქ თავის სტრატეგიულ მიზნებს ახორციელებს. შემდეგ რა იქნება? ირანი? და ისევ ასიათასობით დახოცილი ამერიკული თავისუფლების, დემოკრატიის, უაფრთხოებისა და საყოველთაო ბედნიერების სახელით?

ნატოს სახელმწიფოთა ცნობილი იურისტებისგან შემდგარმა კომისიამ, რომელიც აშშ-ის ყოფილი გენერალური პროკურორის რემსი კლარკის ხელმძღვანელობით მრავალი წელი მუშაობდა მთელ მსოფლიოში აშშ-ის არმიის მიერ ჩადენილ სამხედრო დანაშაულთა გამოძიებაზე, დაასკვნა, რომ ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ამერიკის არმიამ დაუსჯევლად დახოცა ორ მილიონზე მეტი სამოქალაქო პირი. ამას უნდა დაემატოს 600 ათასი მოკლული ერაყელი და ავღანეთში დაღუპულ სამოქალაქო პირთა უცნობი რაოდენობა. ამერიკელი ჯარისკაცი, რომელმაც ერაყში მთელი ოჯახი ამოწყვიტა, მერე კი გადაარჩენილი 13 წლის გოგონა მხეცურად გააუპატიურა, აშშ-ში სასამართლოს წინაშე წარდგა და ის გაამართლეს!

მახსენდება წარწერა აშშ-ში ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიისთვის მებრძოლი დოქტორი მარტინ ლუთერ კინგის საფლავის ქვაზე: „თავისუფალი ვარ, თავისუფალი, მადლობა ღმერთს, როგორც იქნა, თავისუფალი ვარ“...

თადეუშ სამიტოვსკი, დამოუკიდებელი პუბლიცისტი, ყოფილ იუგოსლავიაში ნატოს სამხედრო დანაშაულთა მოწმე.

Frontera Resources-მა საქართველოში ნავთობისა და აირის საბადოები აღმოაჩინა

ამერიკული კომპანია Frontera Resources-ის წარმომადგენლებმა სოფ. მირზაანის (კახეთი) ტერიტორიაზე ნავთობისა და აირის საბადოების აღმოჩენის შესახებ განაცხა-

დეს, — იუწყებოდა Trend 2009 წლის 25 თებერვალს. „ეს ფაქტი მნიშვნელოვანია არა მარტო მირზაანის საბადოების გაფართოების თვალსაზრისით, მომავალში,

ჩვენი აზრით, ეს მცირე სიღრმის საბადოებში უფრო ფართომასშტაბიანი საძიებო სამუშაოების ჩატარების საშუალებას მოგვცემს“, — ნათქვამია Frontera Resources-ს გან-

ცხადებაში. ეს კომპანია საქართველოში 1997 წლიდან მუშაობს. სააქციო საზოგადოება „საქნავთობთან“ ერთად მან Frontera astern Georgian დააარსა.

რატომ არ უაქვია რუსეთის ჯარი თბილისში?

„საშა კორეის მომავალი ასე წარმოედგინა: ის მიდის ქუჩაში და უეცრად წყლის ღართან, სადაც თუთიის ვარსკვლავები ეყარა, კედლის კუთხეში პოულაობს ალუბლისფერ ტყავის საფულეს. საფულეში ბევრი ფულია — ორი ათას ხუთასი მანეთი... შემდეგ კი ყველაფერი საუცხოოდ აენწყობა!“ — ეს სიტყვები ილფისა და პეტროვის „ოქროს კერპიდან“ შემთხვევით როდი გავისხენე: 2003 წლის ნოემბერში, მათ, ვინც მხარს უჭერდა სააკაშვილსა და მის „ნაცმოდრობას“, ეჩვენებოდათ, რომ მთავარია, არ ავირჩიოთ შევარდნაძე და კორუფციაში ამოსვრილი მისი გარემოცვა, შემდეგ კი ყველაფერი საუცხოოდ იქნება!

მაგრამ დრომ გვიჩვენა, რომ ჩვენ, ქართველებს, პოლიტიკოსების არჩევის დროს „ცუდი გემოვნება“ გვაქვს, განსხვავებულად:

— ამერიკელი ხალხისაგან, რომელმაც უარყო მაკ კეინის „ძველი ქორი“ და უპირატესობა მიანიჭა განონასწორებულ 47 წლის ობამას;

— რუსი ხალხისაგან, რომელმაც 2000 წელს ვადაძე გაისტუმრა მობერებულ ელცინი და თავისი არჩევანი გააკეთა 48 წლის პუტინზე, შემდეგ კი — 43 წლის მედვედევეზე;

— აზერბაიჯანელი ხალხისაგან, რომელმაც დღეს ხელმძღვანელობს 47 წლის ალიევი.

მთელ მსოფლიოში დღეს ხელისუფლებაში მოდიან პოლიტიკოსებისათვის ყველაზე ოპტიმალურ ასაკში — 50 წლამდე, გარდა... საქართველოსი!

და აქ საკითხი იმდენად იმას არ ეხება, სააკაშვილი პრეზიდენტი 37 წლის ასაკში რომ გახდა, არამედ თინეიჯერებს, რომლებიც მან შემოიკრიბა გარშემო: საქართველოში ხელისუფლება ხანდაზმული შევარდნაძიდან საფეხურზე გადახტომით უმაღლეს-დან 30 წლამდე ახალგაზრდების ხელში აღმოჩნდა, ხოლო თუ გაზვით „სეობონდია გრუზიას“ მთავარი რედაქტორის, ბატონ ლასხიშვილის სიტყვებს მოვიშველიებთ, „ნახტომები ევოლუციაში შობენ რევოლუციებს“!

ამიტომ მოხდა საქართველოში 2003 წლის ნოემბერში „ვარდების რევოლუცია“, ამიტომ, რომ დღეს, ექვსიოდე წლის შემდეგ, კვლავ ახალი რევოლუციების ზღვარზე ვართ, თუმცა „ვარდის შემოგვეფცქენა და დაგვრჩა მხოლოდ ეკლები და ცრემლი“ — სახელმწიფოში დაპირებული კეთილდღეობის ნაცვლად — ნგრევა და უმუშევრობა, 5 წლის წინათ დაპირებული ერთიანობის ნაცვლად — დაკარგული ტერიტორიები და მოქალაქეები — აფხაზები და ოსები... და ასე, „შენებარე სახლის საძირკველი“ იქცა ძმათა სასაფლაოდ ასეულობით ქართველი ახალგაზრდისათვის, რომლებიც დაიღუპნენ პოლიტიკური სიბუცის, მუდმივი სამხედრო პროვოკაციებისა და ავანტიურების შედეგად, რითაც დღევანდელი საქართველოს ხელისუფლება შოკში აგდებდა ბუშის ადმინისტრაციასაც კი, რომ აღარაფერი ვთქვათ ევროპაზე...

ამიტომ უნდა მოვიდეს საქართველოს ხელისუფლებაში პოლიტიკურად და აზრობრივად ჯანსაღი ძალა — 50 წლამდე ასაკის (და არა უფრო ახალგაზრდა) პოლიტიკოსების თაობა, რომელიც

ორიენტირებული იქნება რუსეთთან ძმური ურთიერთობის უსწრაფეს აღდგენასა და სახელმწიფო ნეიტრალიტეტის პოლიტიკაზე! მათ, ვისაც შესა-



ნომწავად ახსოვს რუსეთ-საქართველოს მეგობრობა, ნამდვილად არ მოუვა აზრად, თბილისში პუშკინის სკვერს შეუტყვალოს სახელი და დაარქვას ვარშავისა, მოსკოვის პროსპექტს — ცხინვალისა!..

მაგრამ ჩვენი „ცუდი გემოვნება“ გამომჟღავნდა ახალი მეგობრობის შერჩევის დროსაც: გლობალიზაციის მსოფლიო ცენტრი ამერიკა აღმოსავლეთში ყოველთვის იყო უცხო, „უცხო სხეული“, გეოპოლიტიკურად არარეგიონული მოთამაშე, ამიტომ, ბოლოს და ბოლოს, ამერიკის შეერთებული შტატების ახალი პრეზიდენტისადმი სიმპათიების მიუხედავად, ის ყოველთვის იქნება მოწყვეტილი, უარყოფილი კავკასიაში! პოლონეთი, ბალტიისპირეთის ქვეყნები, ამერიკის შეერთებული შტატები — არც ერთ მათგანს შესტკივა გული საქართველოსთვის, ისინი, უბრალოდ, იყენებენ მას, როგორც მტკიცე ულ წერტილს, რომელზე დაწოლითაც შეიძლება ტყვიანი მიაყენონ რუსეთს!

აქ ერთი ისტორია მინდა, გიამბოთ და, მაპატიოს მკითხველმა ამგვარი ნატურალიზმისათვის, თუმცა იგი არც ისეთია, ვიდრე „რუსთავი 2“-ის ნებისმიერი ტელეგადაცემა:

როგორღაც გასული საუკუნის 70-იან წლებში ერთ-ერთმა ჩინოვნიკმა ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციიდან ინდიელთა ერთ რეზერვაცი-აში ჩასვლის დროს მოახსო მი-

ტინგის მსგავსი შეკრება:

„თქვენს მინებზე ჩვენ მოვანყობთ ავტობანებს, ავაშენებთ სასტუმროებს, თქვენ და თქვენი ცოლები მიიღებენ იქ სამუშაოს!“ — პათოსით გაიძახოდა იგი, რაზეც მის წინაშე ნახევარწრედ ჩამდგარმა ინდიელმა ტომმა შუბების ქნევით უპასუხა: „ნაბუკო“!..

ჩინოვნიკმა ინდიელთა მისთვის უცნობ დიალექტზე ეს წამოძახილი მონონებად მიიჩნია და განაგრძო: „ცხენების მაგივრად, რითაც დაქრისართ მტვრიან პრერიებში, იმოგზაუ-

რივი მოთხოვნებისათვის: „რადიდი თეთრსახიანი ძმა და რა პატარა ნაბუკო აქვს...“ — თქვა მისმა შემხედვარე იქ მყოფმა მოხუცმა ინდიელმა...

ეს მოვეყვი იმ ჩემს თანამემამულეთა საყურადღებოდ, ვისაც არ ნაუკითხავს ჯონ პერკინსის „ეკონომიკური მკვლელის აღსარება“;

ეს მოვეყვი იმ ჩემს თანამემამულეთა საყურადღებოდ, ვისაც „ნაბუკო“ პროექტი საქართველოს პანაცეად მიაჩნია;

ეს მოვეყვი იმ ჩემს თანამემამულეთა საყურადღებოდ, ვისაც

რებთ მსოფლიოში საუკეთესო კონდიციონერიანი ამერიკული ავტომობილი!“ — და პასუხად კვლავ გაისმა „ნაბუკო“!..

კიდევ მეტად აღფრთოვანდა ჩინოვნიკი და შეიჭრა როლებში: „თქვენი შვილები, პანჩოს ნაცვლად, გამოეწყობიან ცივილიზებულ ტანსაცმელში, ისწავლიან ინგლისურ ენას, გახდებიან ცივილიზებული ადამიანები და დაგვეხმარებიან, ავაშენოთ ამ მინაზე ქარხნები, მოვიპოვოთ ნავთობი!“ — „ნაბუკო“! — ისევ ერთხმად წამოიყვირეს ინდიელებმა შუბების ქნევით...

ამ სიტყვის მნიშვნელობა ვაშინგტონელმა ჩინოვნიკმა მხოლოდ მიტინგის მერე გაიგო, როდესაც ტუალეტში შევიდა ბუნებ-

მიანია, რომ რუსეთის ჯარები არ შემოვიდნენ თბილისში შარშან აგვისტოში იმიტომ, რომ შეეშინდათ ამერიკის შეერთებული შტატების რეაქციისა;

ეს მოვეყვი იმ ჩემს თანამემამულეთა საყურადღებოდ, ვისაც იმედი აქვს, რომ ევროკავშირის შემოქმედებით რუსეთი უკანვე წაიღებს ახლადგამოჩეკილი რესპუბლიკების აღიარებას.

გუპასუხებ დაბნეულებს: — რუსეთის ჯარები შარშან

აგვისტოში თბილისში არ შემოვიდნენ იმიტომ, რომ ამით რუსეთი თავისი ხელით გააერთიანებდა საქართველოს, აღადგენდა მის ტერიტორიულ მთლიანობას! საქართველოს დაკავებითა და მთელი მისი ტერიტორიის კონტროლით, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ჩათვლით, რუსეთი ხელყოფდა მეზობელ სუვერენულ სახელმწიფოს, და თუ ის დაიკავებდა მთელ საქართველოს, მაშინ შეუძლებელი გახდებოდა საქართველოსგან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამოყოფა: ვისგან გამოეყო? საკუთარისგან ხომ არა?!

— რუსეთისთვის არაა ხელსაყრელი, რომ მის გარდა კიდევ ვინმემ აღიაროს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. შეუძლებელია გამოიცილოს იმისა, რომ „ალიარების ტალღით“ ფრთაშესხმული ახალგაზრდა რესპუბლიკელები შეიძლება აწყენენ მოსკოვისათვის არასასურველ „ზედმეტ ამბიციებს“ და მომავალში განახორციელონ, სულ მცირე — უფრო დამოუკიდებელი პოლიტიკა, როგორც მაქსიმუმი — მონახონ მეორე, რუსეთისაგან ალტერნატიული „ტანდემი“ რომელიმე ქვეყანასთან ან ბლოკთან! შემთხვევითი არ ყოფილა ამ თვითგამოცხადებული რესპუბლიკების ხელმძღვანელთა ერთმნიშვნელოვანი განაცხადიც, რომ არ აპირებენ რუსეთის შემადგენლობაში შესვლას, არამედ სურთ, შეინარჩუნონ თავიანთი დამოუკიდებელი არსებობა (ეს, რასაკვირველია, უკავშირდება იმასაც, რომ დამოუკიდებლად ყოფნის შემთხვევაში ისინი მეტ მოგებას მიიღებენ რუსეთისაგან, ვიდრე უბრალო გუბერნიები რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში)! — თუ ევროკავშირი თურქეთისგან არ ითხოვს ჩრდილოეთი კვიპროსის დამოუკიდებლობის აღიარების გაუქმებას ან თავად აღიარებს კოსოვოს, მაშინ, რა უფლებით მოითხოვს იგი რუსეთისაგან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებაზე უარის თქმას?!

P.S. „სწორედ იმიტომ, რომ ცოცხალი სიცოცხლე მუდამ მოძრაობს და იცვლება, ჩვენ გვჭირდება აღმასური სიმტკიცის ორიენტირი, ეს კი სიმართლეა... იგი შეიძლება იყოს არასრული, მაგრამ მას არ შეუძლია იყოს დამახინჯებული შეგნებულად — თუნდაც ყველაზე მაღალი მიზნისათვის! სხვათადად ყველაფერი დაინგრევა... მე ზღვაურს არ შეუძლია ორიენტაცია აილოს მოწყვეტილ ვარსკვლავებზე...“ — წერდა აფხაზი ხალხის გამოჩენილი შვილი ფაზილ ისკანდერი.

მამ, რა გამოდის — სიცოცხლის ცვლილებასთან ერთად იცვლება სიტყვების მნიშვნელობა? ან, იქნებ, ზოგიერთ სიტყვას თავდაპირველად სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდა სხვადასხვა ხალხისათვის? არც ორიენტირია ერთნაირი რუსებისათვის, ქართველებისა და ამერიკელებისათვის, როდესაც ისინი წარმოთქვამენ სიტყვა „სიმართლე“! ხომ არ ვამახინჯებდით სიმართლეს, როდესაც მას ოკეანის გაღმა ვეძებდით, ორიენტაციას ხომ არ ვიღებდით „მოწყვეტილ ვარსკვლავებზე“, როგორც იყო, უქვევლია, ამერიკის შეერთებული შტატების წინა ადმინისტრაცია? მივალწევდით კი ჩვენ უმაღლეს მიზანს — ერთიანი საქართველოს კეთილდღეობას, როდესაც აღმასური სიმკვრივის ორიენტორად ვირჩევდით ნატოს ოთხქიმიან ვარსკვლავს, კრემლის ხუთქიმიანი ვარსკვლავის სანაცვლოდ?!

არ მგონია... ფიქრობ მხოლოდ, რომ დღეს საქართველო და რუსეთი ერთმანეთს უნდა ეუბნებოდნენ თუნდაც არასრულ, მაგრამ შეგნებულად დაუმახინჯებელ სიმართლეს! იქნებ, მაშინ გაგვახსენდეს, რომ ერთი ძველი მეგობარი სჯობს ორ ახალს... და ამაში ორიენტირად უნდა გამოგვადგეს არა ვარსკვლავები ან ნახევარმთვარე, არამედ საქართველოს ანჩისხატის მართლმადიდებლური ტაძრის ოქროს ჯვარი, რომელსაც ბევრი უნახავს მეგობარიც და მტერიც...

აშშ-ის სენატი „საერუს“ პათოლოგს უაპოვებს

აშშ-ის სენატის დაზვერვის კომიტეტი ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საქმიანობის შემოწმებას ჩაატარებს. შემოწმების საგანი სამმართველოს აგენტების მიერ ტერორიზმში ეჭვმიტანილი პირების დაკავებისა და დაკითხვისას გამოყენებული მეთოდები იქნება. მაღალი რანგის სენატორზე დაყრდნობით ამის შესახებ Agence France-Presse იუწყება.

შემოწმებას ექვსი თვიდან ერთ წლამდე დრო დასჭირდება, აღნიშნა თანამოსაუბრემ. შემოწმების შედეგების მიხედვით სენატორები მცირე ანგარიშის გამოქვეყნებას გეგმავენ, რომელშიც „ცეერუს“ მიერ მისი საქმიანობისას დაშვებულ დარღვევებზე მიუთითებენ, იმ შემთხვევაში, თუ ასეთები გამოვლინდება.

მეორე სენატორმა, რომელმაც ვინაობის დასახელება არ ისურვა, The Washington Post-ის ჟურნალისტებს აუწყა, რომ შემოწმებას დაექვემდებარება სავარაუდო ტერორისტთა დაკავების საიდუმლო პროგრამა, რომელიც აშშ-ში ჯერ კიდევ 2002 წელს იქნა ინიცირებული. ამ პროგრამის ფარგლებში დაკავეს და სადაზვერვო სამმართველოს საზღვარგარეთულ „საიდუმლო“ ციხეებში დაამწყვდიეს ტერორიზმში ეჭვმიტანილი, სულ ცოტა, 100 ადამიანი.

შემოწმების მიმდინარეობისას სენატორებს დაუშვებენ „ცეერუს“ საიდუმლო დოკუმენტებთან, რომელთა საფუძველზე სამმართველოს მოქმედების მართლზომიერების შესახებ დასკვნას გამოიტანენ. ამასთან, ინფორმაციის წყარო მხარესთან აღნიშნა, რომ შემოწმების შედეგები სამმართველოს მოხელეთა მიმართ სასამართლო პროცესების დაწყების საბაზის არ გახდება. „ამ ინფორმაციას ჩვენ იმისთვის ვაგროვებთ, რომ სამმართველოს შემდგომ პოლიტიკაში კორექტივები შევიტანოთ“, — აღნიშნა მან.

2009 წლის 21 იანვრს, ფიცის დადებიდან ერთ დღე-ღამეში, პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ხელი მოაწერა ბრძანებას გუანტანამოს ბაზაზე განლაგებული ყველაზე ცნობილი ამერიკული ციხის დახურვის შესახებ. მეორე დღეს ობამამ განკარგულბა გასცა, დაიხუროს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყველა ქვეყნის ფარგლებს გარეთ მდებარე ციხე, რომლებშიც ტერორიზმში ეჭვმიტანილები სხედან, ამასთან აკრძალა წამების, როგორც ძიების მეთოდის გამოყენება.

დასავლეთს რუსეთი სჭირდება

დასავლეთს სჭირდება აშშ, მაგრამ მას რუსეთიც სჭირდება, განაცხადა იტალიის პრემიერ-მინისტრმა სილვიო ბერლუსკონიმ საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზისთან ერთობლივ პრესკონფერენციაზე.

„დასავლეთს სჭირდება შეერთებული შტატები, მაგრამ ასევე სჭირდება რუსეთი, როგორც ბუნებრივი რესურსების მომწოდებელი“, — აღნიშნა მან.

ბერლუსკონიმ ხაზი გაუსვა, რომ იტალიისა და საფრანგეთის საერთო ინტერესებს შორის ერთ-ერთია „გულთბილი ურთიერთდამოკიდებულება“ მოსკოვს, ბრიუსელსა და ვაშინგტონს შორის.

ბერლუსკონიმ მადლობა გადაუხადა სარკოზის გასული წლის აგვისტოში კავკასიური კონფლიქტის მოგვარებაში შეტანილი წვლილისთვის.

მისი თქმით, ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის — საფრანგეთის მოქმედებამ ხელი შეუწყო ამ კონფლიქტის შეწყვეტას.

კონფლიქტის ესკალაციის შემთხვევაში „ევროკავშირს, ნატოსა და რუსეთს შორის ურთიერთობის დრამატული განწყობისა და ცივ ომთან დაბრუნების რისკი იარსებებდა“, — დაამატა იტალიის პრემიერ-მინისტრმა.

რამდენი „იანკი ინსტრუქტორი“ დათვალეს გერმანულმა სპეცსამსახურებმა „შერატონ მებრძოლს“?



გერმანიის ერთ-ერთმა ყველაზე ავტორიტეტულმა ყოველკვირეულმა გამოცემა „შპიგელმა“ გამოაქვეყნა სამხრეთ ოსეთის მოვლენების საკუთარი გამოძიების მასალები. ვინ არის დამნაშავე ამ ომში? — ამ მთავარის საკითხის დასადგენად გერმანელებმა თავიანთი ორი ბიუროს ჟურნალისტური ძალები რუსეთისა და თბილისისკენ მიმართეს. დასკვნა მოულოდნელი აღმოჩნდა. ყველაზე სერიოზულ პუბლიკაციათაგან ერთ-ერთს „ტრაგედიის ქრონიკა“ ჰქვია. მასში მოვლენები დიდი სიზუსტითაა აღდგენილი.

„შპიგელის“ ჟურნალისტები არ მალავენ, რომ გერმანული სპეცსამსახურების მასალებიც გამოიყენეს. ეს გარემოება სტატიას უფრო ღირებულს ხდის.

სხვა ჟურნალისტებისგან განსხვავებით, „შპიგელმა“ ომიდან უკუთვლა 7 აგვისტოდან კი არა, გასული წლის პირველი დღეებიდან დაიწყო.

ქართველებმა მოიწვიეს ამერიკელები. ისინიც ჩამოვიდნენ და პრაქტიკულად თავიანთ შტაბბინად აქციეს სასტუმრო „შერატონ მეტეხი.“ გერმანელებმა იქ 160 იანკი დათვალეს.

ქართველების ომისთვის მზადება შეუმჩნეველი არ დარჩენილა და მაშინ რუსულმა ჯარებმა სამხედრო სწავლებები თავიანთ სამხრეთ საზღვრებზე გამართეს.

„შეუქცევადობის წერტილად“, ანუ დროდ, როცა სამხრეთ ოსეთის ომი გარდაუვალად იქცა, გერმანელები ნატოს სამიტის შემდგომ აპრილის დღეებს ასახელებენ. ამერიკის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ვლადიმერ პუტინის შავი ზღვის რეზიდენციას სტუმრობს, თუმცა ყურს არ იპარტყუნებს რუსეთის გაფრთხილებაზე იმ საფრთხის შესახებ, რასაც საქართველოსთან ნატოს დამოკიდებულება შეიცავს.

20 აპრილს აფხაზეთის თავზე საქართველოს უპილო-

ტო თვითმფრინავ-მზვერავი ჩამოვარდეს. იმავე დღეებში სააკაშვილს თავისი 12 ათასი ჯარისკაცი აფხაზეთის მომიჯნავე ქალაქ სენაკში შეჰყავს და მას ზემილიტარიზებულ ციხესიმაგრედ აქცევს. მოსკოვმა პასუხად აფხაზეთში სარკინიგზო არმიის 400 ჯარისკაცი შეიყვანა, რომლებმაც რელსების აღდგენა დაიწყეს სოხუმამდ. სამუშაოს დამთავრების შემდეგ ეს ჯარისკაცები უკანვე გაიყვანეს.

ამავე დროს, მწვავედა სიტუაცია საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის საზღვარზე. გაეროსა და ეუთოს დამკვირვებელთა თვალწინ ორმხრივი ცეცხლი იხსნება. თბილისში გამართულ არაფორმალურ ვახშამზე ჩამოდის აშშ-ის სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი. მის ვიზიტს რუსები მოსალოდნელი თავდასხმის წინ უკანასკნელ გაფრთხილებად აღიქვამენ. მართალია, თავად რაისმა მოგვიანებით განაცხადა, რომ ამ შეხვედრაზე ცდილობდა, სააკაშვილისთვის დამღუპველ გეგმებზე ხელი აეღებინებინა, მაგრამ, როგორც გერმანელები წერენ: „მას შემდეგ, რაც რაისმა თბილისი დატოვა, ომამდე 28 დღე დარჩა.“ 10 ივლისს საქართველომ კონსულტაციებისთვის უკანვე გამოიხმო თავისი ელჩი საქართველოში.

15 ივლისს კავკასიის ქედის ორივე მხარეს საომარი მანევრები იწყება. თბილისის შემოგარენში 100 ამერიკელი ქართულ არმიასთან ერთობლივ მანევრებში — „პირდაპირი დარტყმა-2008“ — მონაწილეობენ. იმავე დღეს კასპიისა და შავ ზღვას შორის რუსეთი იწყებს წვრთნებს — „კავკასია-2008.“

30 ივლისს დასავლელი სპეცსამსახურები აკვირდებიან, როგორ რჩება 58-ე არმია წვრთნების დასრულების შემდეგ გაძლიერებულ საბრძოლო მზადყოფნაში და ამას თავისი მიზეზი აქვს. საქართველოს ლიდერი სააკაშვილია, ამერიკელების ზედამხედველობით ჩატარებული ერთობლივი მანევრების შემდეგ თავის ჯარებს სამხრეთ ოსეთისკენ აგზავნის. ორი ქართული საარტილერიო ბრიგადა ერთმანეთს გორში ხვდება. 1 აგვისტოს სამხრეთ ოსეთში ორივე მხრიდან ისვრიან. ყუმბარის აფეთქებისგან დაიჭრა 5 ქართველი პოლიციელი, ოსების მხრიდან დანაკარგი უფრო სერიოზულია. ქართველი სნაიპერები ზედიზედ 6 ოსს კლავენ... ოსი მოსახლეობა ქალების, ბავშვებისა და მოზუტების ევაკუაციას იწყებს.

5 აგვისტოს, საღამოს 10 საათისთვის, ქართული სოფელი ნიქოზიდან, რომელიც ცხინვალისგან 3 კმ-ში მდებარეობს, სამხრეთ ოსეთის დედაქალაქის მასიური საცეცხლე შეტევა იწყება. საარტილერიო ცეცხლი ძლიერდება და აღარ წყდება. ქართული მხარე ამას იმით ამართლებს, რომ ოსების მხარეს რუსი ჯარისკაცები იბრძვიან. თუმცა, ეს არ დასტურდება.

7 აგვისტოს დილით, დასავლელი დამკვირვებლების აღი-

არებით, საქართველო თავის 12 ათას ჯარისკაცს სამხრეთ ოსეთის საზღვრისკენ გადაისვრის. საბრძოლო მზადყოფნაშია 75 ტანკი და ჯავშანტექნიკა. ბლიცკრიგში მათ განსაკუთრებული როლი ეკისრებათ: 15 საათში უნდა მიაღწიონ როკის გვირაბამდე და გადაკეტონ იგი, რათა რუსულმა ჯარებმა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე შესვლა ვერ მოასწრონ. ოსების მხრიდან ქართველებს წინააღმდეგობას უწევს 500 რუსი მშვიდობისმყოფელი და ამდენივე ოსი მილიციელი და ჯარისკაცი.

დასავლური სააგენტოების ცნობით, ცხინვალის მასიური შეტევა 7 აგვისტოს, 22.30 სთ-ზე იწყება. ქალაქს 27 ქართული „გრადი“ უტევს. 23 საათზე საქართველოს ლიდერი სააკაშვილი აცხადებს, რომ მისი მიზანი სამხრეთ ოსეთში კონსტიტუციური წესრიგის დამყარებაა. კიდევ 10 წუთში ქართული მხარე ატყობინებს რუსულს, რომ ამას სამხედრო მეთოდებით აკეთებს. ამ სიტყვების დასტურად, ნახევარი საათის შემდეგ ქართული ყუმბარა რუსი მშვიდობისმყოფელების სამხრეთ-ღმობის მხარე მხარე ატყობინებს ხვდება და ორი მშვიდობისმყოფელი იღუპება. ამის შემდეგ მშვიდობისმყოფელებს თავს ატყდება „სტალინგრადული სალუტი“ და კიდევ 18 რუსი ჯარისკაცი იღუპება.

შუალამემდე 4 წუთით ადრე „საქართველოს შეიარაღებული ძალების შტურმი ცხინვალზე“ იწყება.

გერმანელმა ჟურნალისტებმა დაადგინეს აგრეთვე, რამდენად სწრაფად უპასუხა რუსეთმა საქართველოს. 2 საათსა და 6 წუთზე პირველი რუსული ქვედანაყოფები უკვე როკის გვირაბში არიან.

რა დანერგა „ბი-ბი-სის“ კორესპონდენტმა მიუას და თევზის ფხით სავსე თევზის შესახებ

ქართული ოპოზიციის ბევრი წარმომადგენელი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ქვეყანაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო ადანაშაულებს და გადადგომისკენ მოუწოდებს. „ბი-ბი-სის“ კორესპონდენტს რეი ფურლონგს, რომელიც საქართველოს პრეზიდენტს თან ახლდა ქვეყანაში მოგზაურობისას, შთაბეჭდილება შეექმნა, რომ ეს ყველაფერი სააკაშვილს ოპტიმიზმის შენარჩუნებაში ხელს არ უშლის.

„მე პრეზიდენტ სააკაშვილის ავტომატური კორტეჟი ვიმყოფებოდი. თბილისის ქუჩებში მგზავრობისას რამდენჯერმე შეჩერდით. გამვლელი ღიმილს ვერ იკავებდნენ და ძნელი სათქმელი იყო, რა იმალეობდა ამ ღიმილის უკან — უკმაყოფილება თუ ალტაცება. ამის დაზუსტების დრო კი არ იყო. ჩვენ მოვიხილეთ ორი სამშენებლო მოედანიც, რის შემდეგაც აეროპორტში, ვიპგზავრებისთვის განკუთვნილი შესასვლელიდან გავედით და პირდაპირ პრეზიდენტის თვითმფრინავისკენ გავემართეთ. ბათუმში გაფრინდით, იქიდან კი შევუღმფრინეთ — საქართველოს ცენტრში, ქუთაისში, სადაც ერთი ინდოელი ინვესტორი სსრკ-ის დაშლის დროს მიტოვებულ ცემენტის ქარხანას ალადაგენს.

პრეზიდენტი ენერგიული ნაბიჯით მიემართებოდა მოედნისკენ, მე და ვიდეოოპერატორი კი ჩორთით მივყვებოდით, რომ არ ჩამოვრჩენოდით, თანაც, დაცვა გვაჩქარებდა.

ფოტოგრაფირებისთვის კლასიკური მომენტი იყო. ფოტოზე უნდა ასახულიყო, რომ ომის მიუხედავად, საქართველო უნდა დედაქალაქად მიიზიდვას უცხოელი ინვესტორებისთვის და ქვეყანაში ახალი სამუშაო ადგილები იქმნება.

სინამდვილეში ბევრი ინვესტორი გაიქცა, საქართველოში უმუშევრობამ 13 პროცენტს შეადგინა, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია კავკასიის რეგიონში.

სუფრა ათასი ნუგარით იყო სავსე: შამხვარი თევზი, ბადრიჯანი, ბროწეული, ქართული ნიორი ღვინო. მიუას მაღიანად მიირთმევდა და მიყვებოდა, ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში, კიევი რომო უმასპინძლებოდა მამოკრებს ცივი ჰამბურგებით.

შემდგომი გაჩერება ასევე ნინასწარ იყო დაგეგმილი. ზუგდიდში, აფხაზეთის მხლობლად დავეჯექით. მოკლედ თამაშობდა შამხვარი თევზი, მინებმეზურული უგზობობის ავტომატური კენტი გაგვაქანეს. ქალაქში გულითადად შეგვხვდნენ. ომის შემდგომ ახლად აღდგენილ სკოლაში მოსწავლეები ერთხმად სკანდირებდნენ: „მიუა, მიუა!!!“...

პლაჟზე პრეზიდენტმა დამწვარი საბავშვო საქანელები მიჩვენა. „რუსები ამის გასანადგურებლად შემოვიდნენ,“ — მითხრა მან და საქანელებისა და კარუსელების შორიხლო შეჩერდა.

„შექმდეს კი საქართველო, გლობალურ ეკონომიკურ კრიზისს გაუმკლავდეს და ქვეყანა ხელახლა ააღორძინოს?“ — ვკითხე მე.

„რა თქმა უნდა, — მომიგო პრეზიდენტმა, — ჩვენ არც ღაზის სექტორი ვართ და არც — კოსოვო.“

ბალიზიანება

საუბარი უკან — ბათუმისკენ გამოფრენილება შევუღმფრინეთ. განვაგრძეთ. პრეზიდენტს ოპოზიციის შესახებ ვკითხე, მას

რომ გადადგომისკენ მოუწოდებს. ოპოზიციის წარმომადგენელთა მტკიცებით, პრეზიდენტს არ შესწევს კრიზისიდან საქართველოს გამოყვანის უნარი, იგი ავტოკრატია და ოპოზიციას მასმედიასთან თავისუფალი ურთი-

ერთობის საშუალებას არ აძლევს. მედიის თავისუფლების თაობაზე ანალოგიური შეშფოთება გამოთქვას დასავლელმა დიპლომატებმაც.

„არსებობს ბევრი ოპოზიციური არხი, — მომიგო პრეზიდენტმა, — ისინი ჩემ შესახებ ათასგვარ სისაძაღვს ამბობენ, რაც ძალიან გულს ტყენს დედაჩემს. თუმცა მე მამხიარულებს ამ არხების ყურება.“

ვთხოვე კონკრეტული პროგრამების მაგალითის მოყვანა და ახალი სატელევიზიო რეალური შოუ დამისახელა, რომელზეც ახლა თბილისში ყველა ლაპარაკობს. შოუში ცნობილი მომღერალი ციხის საპატიმროს მსგავს საკანში ზის და აცხადებს, რომ იქიდან მხოლოდ მაშინ გამოვა, როცა საქართველოში ახალი არჩევნები ჩატარდება.

„ბოლო გადაცემა ნახეთ?“ — ვკითხე მე.

„არა, რატომ მეკითხებით?“

„იმიტომ, რომ ამ კვირაში გადაცემის სტუმარი მე ვიყავი.“

ჩემს სიტყვებს აფეთქებული ბომბის ეფექტი ჰქონდა და პრეზიდენტს გუნების ნახდენით ემუქრებოდა. მე მართლაც ვეს-

ტუმრე ამ მომღერალს და ინტერვიუც ჩამოვართვი. იმავე საღამოს ეს ტელევიზიით უჩვენეს.

საბედნიეროდ, მიუამ შეძლო ამ სიტუაციაში სასაცილო მხარის დანახვა და მოკლე ხანში ისევ მშენებლობის დათვალეობას შევუდექით. ამჯერად ეს სასტუმრო „ჰილტონი“ იყო ბათუმის შავი ზღვის სანაპიროზე.

სადილზე პრეზიდენტი სააკაშვილი ქალაქში მშენებარე ახალი ნაგებობებით აღფრთოვანებას გამოხატავდა.

„დუბაის დაემსგავსება,“ — თქვა მან და ახალგამომცხვარ პურს გადასწვდა.

სუფრა ათასი ნუგარით იყო სავსე: შამხვარი თევზი, ბადრიჯანი, ბროწეული, ქართული ნიორი ღვინო. მიუა მაღიანად მიირთმევდა და მიყვებოდა, ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში, კიევი რომო უმასპინძლებოდა მეგობრებს ცივი ჰამბურგერებით, რომელიც მოსკოვიდან, ახალგაზსნილი „მაკდონალდსიდან“ ჩაიტანა.

აი სწორედ ამ უბრალოების წყალობით მოიპოვა მან პოპულარობა.

ჩემს სიტყვებს აფეთქებული ბომბის ეფექტი ჰქონდა და პრეზიდენტს გუნების ნახდენით ემუქრებოდა. მე მართლაც ვესტუმრე ამ მომღერალს და ინტერვიუც ჩამოვართვი. იმავე საღამოს ეს ტელევიზიით უჩვენეს.

მიიმა დრო

საქართველოში ერთი კვირა დავრჩი. ვისაც მაშინ ვესაუბრე, თითქმის ყველამ მითხრა, რომ მუდმივი ქმოსავლის წყარო არ ჰქონდა. ქალაქ გორის ბაზარში, სადაც აგვისტოში ომი მძვინვარებდა, პენსიონერები მზესუმზირით ვაჭრობდნენ. შედარებით

ახალგაზრდა ქალმა მითხრა, რომ მისი ქმარი დასაქმებული არასოდეს ყოფილა. „ხალხი ძალიან გალიზიანებულია, — მითხრა მან, — არავის არაფრის გაკეთება არ უნდა.“

მომიჯნავე სოფლებში სტუმრობისას ქუჩაში შეჯგუფულ ხალხს ვხედავდი. ბევრ მათგანს ომის დროს მთელი მოსავალი გაუნადგურდა.

თბილისში კი ლტოლვილები ვნახე, რომლებიც საშინელ სიღატაკში ცხოვრობდნენ გაზისა და შუქის გარეშე. ბევრი ღია ცის ქვეშ ჯერ კიდევ პირველი ომისას — 1993 წელს დარჩა.

როდესაც ამის შესახებ პრეზიდენტს ვუთხარი, მან აღიარა, რომ ზოგიერთ ქართველს მართლაც მძიმე ხანა უდგას. თუმცა ჩვეული სიმხნევე ამ დროსაც შეინარჩუნა.

„ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ, — თქვა მან, — ნისვკისთვის სულ რამდენიმე მილიონი გვჭირდება,“ — და თევზის ფხით სავსე თევზს გაშლილი მტავანი ისა დააფარა, თითქოს ამით მთელ საქართველოს იცავდა.

ამის შემდეგ დამემშვიდობა და გერმანიაში გაფრინდა. მე კი ორი საათი ვიჯავჯავყე შევუღმფრინეთ თბილისამდე იმ ლიდერზე ფიქრით, რომელმაც გასული წლის ზაფხულის ომის შემდეგ პოსტი შეინარჩუნა, მაგრამ ახლა უდიდესი პრობლემების წინაშე დგას თავისთან — სამშობლოში...

თეთრი სახლი და საქართველოს ხელისუფლება უნისონოში სრუობდნენ

საქართველოს თავდასხმა სამხრეთ ოსეთზე მოსკოვის მიზნით „აგრესიის“ შედეგი როდით იყო — ამ მტკიცების სამართლიანობას დასავლეთში დღემდე სენსაციად მიიჩნევენ. გაზეთ „ნიუ-იორკ თაიმსში“ გამოქვეყნებული სტატია, რომელშიც ამერიკელმა ჟურნალისტებმა პირველად გამოთქვეს ეჭვი სამხრეთ ოსეთში ომის დაწყების შესახებ საქართველოს ხელისუფლების ვერსიასთან დაკავშირებით, აშშ-ის საზოგადოებრივი აზრისთვის ნამდვილ მოვლენად იქცა. ცხინვალის აგვისტოს შტურმიდან მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ აღმოჩნდა ოკეანისგალმა პრესა მზად, მომხდარი ტრა-

გიკული მოვლენების მიზეზებში გარკვეულიყო. ამასთან, დასკვნები, რომლებსაც სტატეგების ავტორები თავიანთი მკითხველს სთავაზობენ, არსებითად განსხვავდება როგორც თბილისის ოფიციალური პოზიციის, ასევე ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებებისგანაც. „ნიუ-იორკ თაიმსის“ ჟურნალისტების ხელში აღმოჩნდა უშუალოდ კონფლიქტის დაწყებისას კონფლიქტის ზონაში მომუშავე ეუთოს სამხედრო დამკვირვებელთა ანგარიშების მონაცემები. მათი მონაბობით, ქართულმა არმიამ სამხრეთ ოსეთის დედაქალაქზე იერიში მიიტანა უნესრიგო საარტილერიო და სა-

რაკეტო ცეცხლით. შედეგად, დაზარალებულნი მშვიდობიანი მოსახლეობა, რუსი მშვიდობისმყოფელები და უიარაღო საერთაშორისო დამკვირვებლები. „ნიუ-იორკ თაიმსის“ ჟურნალისტებმა არა ერთი შეუთავსებლობა და წინააღმდეგობა აღმოაჩინეს საქართველოს ხელისუფლების განცხადებებში. „პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ეს თავდასხმა დაახასიათა როგორც ზეზუსტი და თავდაცვითი ოპერაცია, მაგრამ 7 და 8 აგვისტოს დამკვირვებლებმა დააფიქსირეს, რომ ქართული საარტილერიო ცეცხლი და რაკეტები თავს ატყდებოდა ქალაქს 15-20 ნამის ინტერვალით და რომ დაბომბვის პირველი საათის გან-

მავლობაში საცხოვრებელ სექტორში 48-ზე მეტი ყუმბარა აფეთქდა. დამკვირვებლები არ ადასტურებენ იმავე საღამოს ქართულ სოფლებზე მასიური იერიშის მიტანას და ამით ეჭვქვეშ აყენებენ ერთ-ერთ უმთავრეს თეზისს, რომლითაც თავდასხმას ამართლებდა სააკაშვილი. ბრიტანული არმიის ყოფილი კაპიტანი და ომის დაწყების მომენტში ეუთოს მთავარი წარმომადგენელი საქართველოში, ამჟამად პოსტიდან გადადგარი რიან გრისტი ირწმუნება: „ეუთოსთვის ცხინვალის შტურმამდე დიდი ხნით ადრე იყო ცნობილი, რომ საქართველო იერიშისთვის ემზადებო-

და. ამის შესახებ ევროკავშირის წევრი ქვეყნების ელჩთათვის მოწყობილ ბრიფინგზეც განაცხადებ, მაგრამ უფრო მაღალ დიპლომატიურ დონეზე სიტუაციის განვითარებას აშკარად არავინ ადევნებდა თვალს“, — ირწმუნება ყოფილი ჩინოვნიკი. საქართველოს ოფიციალურმა პირებმა „ნიუ-იორკ თაიმსში“ გამოქვეყნებული ფაქტები უარყვეს და დასავლეთის ლიდერებს მოუწოდეს, ისინი მხედველობაში არ მიეღოთ. თუმცა თბილისის თავის მართლება მთლად დამაჯერებლად არ გამოსდის. სამაგიეროდ, მოსკოვს ეუთოს წარმომადგენელთა განცხადებებმა კმაყოფილება მოჰგვარა.

ამერიკელმა ჟურნალისტებმა გააბათილეს საქართველოს ხელისუფლების ვერსია სამხრეთ ოსეთში ომის დაწყების შესახებ

ეუთოს წარმომადგენლები, რუსი მშვიდობისმყოფელების მსგავსად, ქართული არმიის ცეცხლის ქვეშ აღმოჩნდნენ

ნიმო ჯანუა: მაკატიონ ამერიკელაბა, მაგრამ მათ მიმართ ზიზღს ვგრძნობ...



„დიასახლისი ისეთი მაკატიონი და უღმრთო-ბალი აღმოჩნდა, რომ გორც ყველა გონება-გაფლადული ფულიანი ბრძოლი. სამი სართული უნდა დაემატებინა, ყველა აბაზანა და ტუალეტი გაეხეხა, დღის მეორე ნახევარში კი სამზარეულოში ნაირ-ნაირი სალათები მიკეთებინა, რასაც მეორე დღეს უკვე ნაბავში ყრიდა. რაცა აღფრთო-თავულება ჩემი დამტკიცებული ინგლისურით ვუთხარი, რომ ჩემს ქვეყანაში პრესტიჟული უნივერსიტეტი ამონდა დამთავრებული, რაჟიმი უფრო გამომავარა.“

ქალის კულტის ტრადიციული ქვეყნიდან დღეს ქართველი ქალი ცხრა ზღვასა და ცხრა მთას იქით ნებაყოფლობით მიემგზავრება. სურს, მონური შრომით გადაარჩინოს გენი, ჯიში და შთამომავლობა თვითუარყოფისა და პირად კეთილდღეობაზე უარის თქმის ფასად. ემიგრანტ ქალთა ცხოვრებას თუ გადავხედავთ, თითოეული მათგანის ფსიქიკა კრიზისულ მდგომარეობაშია, ჯანმრთელობა — შერყეული, ხოლო არსებობა — ტრავიკული. ის მაინც ამ ყოფაში ხედავს თავის დღევანდელ მონოდებას. მისი სული ნოსტალგიითაა გამსჭვალული, გული — მუდმივი განგაშით და ღირსებაშელახული ტკივილით. უცხოობაში არავინაა მისი გულშემატკივარი, მონყალე და განმკითხავი. გამართლება აქვს, რომ განაცხადოს: — „ჩემმა ხელისუფლებამ მონობისთვის გამწირა!“ საქართველოს ისტორიას უამრავი უბედურება ახსოვს, მაგრამ იმ უძველეს ხალხთა მცირე რიცხვს ვეკუთვნით, რომელმაც შეინარჩუნა ცხოვრების დერიტა ქალი — დედა, მინა — სამშობლო, არასოდეს ვქცეულვართ მასობრივი მიგრაციის ქვეყნად. უფრო მეტიც, ხმამაღლა ვაცხადებდით: „უცხოობაში რაა სიამე?..“ ასეთი მძაფრი და ძალუმი ქართველთა სიყვარული მამულისადმი. მაშ, რა ძალამ და გარემოებამ აიძულა ქართველი, სამშობლოდან წასულიყო, რა შეურიგებელ წინააღმდეგობას აწყდებოდა საკუთარ მიწა-წყალზე?.. სჭირდება კი ამას კომენტარი?.. — მას გადარჩენა და არსებობის უფლება წყურია... აი, რას გვიამბობს ქალაქ რუსთავის მკვიდრი ქალბატონი ნინო ჯანუა.

— ქალბატონო ნინო, რამ გაიძულათ, უცხოეთში წასულიყავით?
— ქმარმა ჯერ კიდევ დაუბადებელი ბავშვით მიმატოვა. პროფესიით არქეოლოგი ექსპედიციაში ვმუშაობდი მეცნიერთანამშრომლად და სამომავლოდ მეცნიერებაში საკუთარი სიტყვის თქმას ვაპირებდი. ახლად მობილი შვილის ავადმყოფობამ ექსპედიციაში მუშაობაზე ხელი ამალბინა. სკოლაში დავინყე მუშაობა მასწავლებლად... საბჭოეთი დაინგრა, კუბონმა ძალა დაკარგა... ყოველ დღით კავიკებს ვითვლიდი, რომ როგორმე მიმეწოდებინა ფული სოფელში მოხუცი დედისთვის, მომეგლო ავადმყოფი ბავშვისთვის. ჯერ „ისნის“ ბაზრობას მივადექი,

მაგრამ ვაჭრობა საჩემო საქმე არ იყო. ამ დროს უცხოეთში წამსვლელთა ტალღა აგორდა. ერთი ნაცნობი დამპირდა აშშ-ში გამგზავრებასა და ფინანსურ დახმარებას. მე კაპიკი არ გამაჩნდა. ეს იყო ორგანიზებული ჯგუფი, არარეგისტრირებული, რომელიც გიღებდა ბილეთს, თუ კონსული ნებას დაგრთავდა, აშშ-ში ჩასულს კი ფირმის წარმომადგენელი გხვდებოდა, პასპორტს გართმევდა და რომელიმე ოჯახში მოსამსახურედ მიჰყავდა. ამ კოოპერატივიდან მხოლოდ ერთ კაცს ვიცნობდი. ბედისწერას ბრმად მივენდე, რადგან სხვა გზა არ მქონდა. არეულ ქვეყანაში ულუკმაპუროდ, უშუქოდ და გათბობის გარეშე დარჩენილი მოხუცი და უმწეო ბავშვი უნდა

გადამერჩინა. შევეუერთდი ამერიკის საელჩოს წინ საათობით, დღეებით, კვირებითა და თვეობით მომლოდინე ათასობით ადამიანს. ბოლოს არაფრით გამოჩნულმა ამერიკაში გამგზავრების უფლება მივიღე. ამრიგად, დაკრებული ფეხსაცმლითა და მცირე ბარგით, ფიზიკურად არცთუ ძლიერი, ენის უცოდინარი გავემგზავრე...
— რომელ ქალაქში მოხვდით და რა გზა გაიარეთ „საოცრებათა ქვეყანაში“?
— ის გზა გავიარე, ათასობით ემიგრანტი რომ გადის. შეთანხმებისამებრ, ნიუ-იორკში დამხვდა კაცი, რომელმაც ქალაქის ელიტურ უბანში, სამსართულიან ფეშენბინაში მოსამსახურედ მიმიყვანა. დიასახლისი ისეთი მკაცრი და უღმრთო აღმოჩნდა, როგორც ყველა გონებაშეზღუდული ფულიანი ბრძოლი. სამი სართული უნდა დამეტეებინა, ყველა აბაზანა და ტუალეტი გამეხეხა, დღის მეორე ნახევარში კი სამზარეულოში ნაირ-ნაირი სალათები მიკეთებინა, რასაც მეორე დღეს უკვე ნაგავში ყრიდა. როცა აღფრთოთავულება ჩემი დამტკიცებული ინგლისურით ვუთხარი, რომ ჩემს ქვეყანაში პრესტიჟული უნივერსიტეტი ამონდა დამთავრებული, რეჟიმი უფრო გამომავარა. გაუნათლებლმა, ქმრის ხარჯზე მცხოვრებმა სიბარტმა ათასი დამამტკიცებელი ზედამხედველობით გამაწვალა. პირველ ხანებში რასაც ვმოულობდი, ვალს ვიხდდი, ოჯახს კი მიზერულ თანხას ვუგზავნიდი. ვალის დაფარვის შემდეგ აღნიშნული ოჯახი მივატოვე, მტარვალი ქალისგან გავთავისუფლდი. სამ ქართველ ქალთან ერთად ბრონქსში (ნიუ-იორკის არაპრესტიჟული უბანი) ბინა

ვიქირავე და გავხდი „დამლაგებელი ქალი გამოძახებით“ — ვედროთი და ჯავრისებით, ნაირ-ნაირი ქიმიური საწმენდი საშუალებებით, რეზინის ხელთათმანითა და ჩექმებით შეიარაღებული სხვადასხვა მისამართზე დავდიოდი. ვხეხავდი უცხოთა ტუალეტებსა და აბაზანებს, იატაკს. ერთ საათში 7 დოლარს მიხდიდნენ. თავს მაღგენ „მეგობარი ქვეყნის“ ქალები — გამოპრანჭულნი, უზრუნველნი და მხიარულნი დამეხვედნენ ნაკლს გულმოდგინედ ეძებდნენ, რათა დავემცირებინე, გასამრჯელო კი დაეკლოთ. დაღლილ-დაქანცული, ნელმონწყვეტილი ვბრუნდებოდი და ვგრძნობდი, როგორ მენატრებოდა ჩემი გოგონა, 11 წლისა რომ დავტოვე... წლები კი მიქროდა... ზოგიერთი დიასახლისი მთელი დღის მძიმე მუშაობისას ბუტერბროდსა და ყავას მთავაზობდა, მაგრამ ასეთი შემთხვევები ძალზე იშვიათი იყო. უმძიმესმა ფიზიკურმა შრომამ, სტრესულმა ყოფამ ორგანიზმი დამინგრა, ქიმიურ საშუალებათა ხშირმა ხმარებამ მხედველობა დამიზიანა... დარდმა დამაბერა... მობილური ქსელის თანამედროვე ტექნოლოგიებმა ჩემიანების ხმა გამაგონა, მაგრამ ესეც ძალიან მტკივნეულია და დრამატული. არ მომწონდა ამერიკა, ამერიკელთა დამოკიდებულებები, არ მიხდებოდა ჭაობზე აშენებული ნიუ-იორკის ჰავაც. მათგან ქედმაღლობის, ამპარტავნობისა და ცივი ანგარიშიანობის გარდა, არაფერი მახსოვს. ტელევიზიით „ვარდების რევილუცია“ თვალს ვადევნებდი. პოლიტიკურმა პიარმა შემაცდინა, თან ცოტა დანაზოგიც მქონდა. ვიფიქრე, საქართველოში სიტუა-

ცია ძირფესვიანად შეიცვალათო და 8 წლის შემდეგ „განახლებულ“ სამშობლოში დავბრუნდი. ჩემი გოგონა მონიფულ ასაკში დამხვდა, უკვე შეყვარებული, დედა — მოტეხილი... იმედი, რომ სკოლაში ღირსეული ანაზღაურებით ვიმუშავებდი და საქართველოს ისტორიას თაობებს ვასწავლიდი, რეალობამ ჩაკლა. შევითან შეჩვევაც ვერ მოვასწარი — გათხოვდა. ასე გავხდი სიდედრიც და ბეზიაც... ნელ-ნელა შემოდოდა ჩემში აქაური რეალობა. საქართველოში ამ 8 წლის მანძილზე არაფერი შეცვლილიყო. გაჭირვებულთა და უმუშევართა არმია ქვეყლიყო ერი... მეორადი მოხმარების საქონელმა აავსო ქვეყანა, მათხოვრებად ქცეული ქართველების ნახვამ დამზავრა. არა, ეს არ იყო აღორძინების გზაზე დამდგარი ქვეყანა და არც ამის სურვილი ჩანდა ახალ ხელისუფლებაში.
ჩემი ქალიშვილი და მისი ქმარი სტუდენტები იყვნენ, შვილიშვილსაც და მათაც ჩემი დანაზოგით ვარჩენდი... თავი ისევ იმ ნაცნობმა პრობლემამ იჩინა. კვლავ ერთი გზა დამჩნა — საზღვარგარეთ წასვლა. თვალცრემლიანი დავემშვიდობე ჩემს გოგონას, სიძეს, უსუსურ შვილიშვილს, მოხუც დედას და აშჯერად იტალიაში გავემგზავრე.
— როგორ, რა გზით, ამერიკაში გამგზავრება აღარ გინდოდათ?
— როგორ და რა გზით, ეს ყველამ კარგად იცით — ვალით, ნვალებითა და დიდი რისკით. ამერიკაში წასვლა აღარ მინდოდა, ასეთი უსულგულო ხალხის მნახველი არა ვარ. მაპატიონ ამერიკელებმა, მაგრამ მათ მიმართ ზიზღს ვგრძნობ — სულიერება აკლიათ, იმგვარად, როგორც ჩვენ — ფული. თუმცა თავიანთი სიმართლეს აქვთ. ამერიკა „ფუტკურის სკაა“, რომელსაც ყველა ჯურის ადამიანი ესევა „თაფლისთვის“. ათი გამვლელიდან ორი თუა ადგილობრივი.
იტალიაში ჩასული არც ვიყავი, რომ დედა გარდამეცვალა. მას აღარ უნდოდა ჩემი წასვლა, ძალიან განიცადა. დედას ტელეფონში ვტიროდი და პატიებას ვთხოვდი... იცით, ისიც ბედნიერება ყოფილა, დედა სამარის კარამდე მიაცილო, მე კი ამის უფლება წამართვეს...
დღეს იტალიაში, ულამაზეს ქალაქ ფლორენციაში ვცხოვრობ. აუტიზმით დაავადებულ ახალგაზრდა კაცს ვუვლი. საბედნიეროდ, გულისხმიერი ოჯახი შემხვდა. ბევრი რამ იცინა ჩვენზე. მძიმე შრომას, ქიმიკატებთან ურთიერთობას უკვალოდ არ ჩაუვლია — კატარაქტა მაქვს, მაგრამ მკურნალობა ჩემთვის ფინანსურად შეუძლებელია. ჩემი შვილიშვილი მალე სკოლაში შევა... ტელეფონით მიცნობს... ასე ვესიყვარულენით ერთმანეთს. ჩემმა სიძემ განათლება კი მიიღო, მაგრამ სამსახური ვერ იშოვა, ქალიშვილს კი ძალიან მცირე ანაზღაურება აქვს... ჩემი გავზავნილი კავიკებით ირჩენენ თავს.
15 წელია, უცხო მიწაზე დავდივარ. ისტორიისთვის ეს დრო არაფერია, მოკვდავისთვის კი მინიერი ჯოჯოხეთია... უფიცის გაღერვას ვათვალისწინებ და გული მენვის — ჩემი ქვეყნის ორლობე მენატრება... მე და ჩემნაირი ბედის მქონენი ტრანსფორმირებული „დამოუკიდებლობის“ ზვარაკნი ვართ...

მეფე, პრეზიდენტი თუ მაოსრებელი სატრაპი?

დამფუძნებელმა მამებმა ისე გადაწყვიტეს, რომ დაარსების დღიდან შეერთებულ შტატებს პრეზიდენტი მართავდა. მმართველობის სხვა ფორმა ამ ქვეყანამ არ იცის. მას არც მონარქია გამოუცდია და არც საპარლამენტო წყობილება. როგორც წესი, ამერიკელები ზედმინებით იცნობენ თავიანთ პრეზიდენტებს და ამ თანამდებობაზე ექსპრომტად არავის ირჩევენ. მათ სჯერათ, რომ „მხოლოდ მოვლენები ავლენს პრეზიდენტს“ და ამდენად, ამა თუ იმ პიროვნების პრეზიდენტად არჩევა მოქალაქეთა უბრალო ნება-სურვილზე სულაც არ არის დამოკიდებული. ამას ვერ გარისკავენ და არჩევნებზე საერთო-საზოგადოებრივ ინტერესებს ვერ გაემიჯნებიან, გრძობად-სენტიმენტალურ მოტივაციას ცივ პრაგმატულ ანგარიშობაზე მაღლა ვერ დააყენებენ და „სუბიექტურ“ არჩევანს ვერ გააკეთებენ.

დიახ, თავიანთი პრეზიდენტის არჩევას ამერიკელები მთელი სერიოზულობით ეკიდებიან და ამაში არაფერია გასაკვირი. ისინი ხომ ჩვეულებრივი ყაიდის პრეზიდენტს კი არა, ამერიკული მესიანის დამამკვიდრებელ ნამდვილ მეფე-პრეზიდენტს ირჩევენ! სხვათა შორის, მრავალი ისტორიკოსი და სოციოლოგი სწორედ ამგვარად მოიხსენიებს შტატების მეტაურს. იგი მართლაც მეფური უფლებებითაა აღჭურვილი და მსოფლიოში ყველაზე ძლიერად მოსიყვარულნი არიან. გარდა იმისა, რომ პრეზიდენტი სახელმწიფოს კონსტიტუციურ მეტაურადაა აღიარებული, იგი არის მთავრობის თავმჯდომარეც და უმაღლესი მთავარსარდალიც, აქვს ნებისმიერ კანონპროექტზე ვეტოს დადების უფლება და სხვა მრავალი ისეთი პრივილეგია, რასაც დღესდღეობით მონარქებიც კი მოკლებულნი არიან ევროპულ სახელმწიფოებში.

მოკლედ, პრეზიდენტობა, როგორც კლვინი კულიჯი წერდა, — „რჩება უდიდეს პოლიტიკურ საიდუმლოებად მათთვისაც კი, ვინც თვითონ ყოფილა პრეზიდენტი... ეს თავად უნდა გამოსცადო; ამის გადმოცემა შეუძლებელია, ისე, როგორც შეუძლებელია, სიტყვებით გამოხატო მზის ამოსვლის მთელი მშვენიერება და სიდიადე“...

და სწორედ ძალაუფლების ამ ფანტასტიკური „მშვენიერებისა და სიდიადის“ გამო, როგორც ჯონ სტეინბეკი შენიშნავდა, „ჩვენ ვაძულებთ პრეზიდენტს, აკეთოს იმაზე მეტი, ვიდრე ერთ ადამიანს შეუძლია, ვაკისრებთ მას ერთ ადამიანზე აღმატებულ პასუხისმგებლობას, გამუდმებით ვახდენთ მასზე ზენოლას და ვაძულებთ, იშრომოს სულის ამოხდო-

მამედ. ჩვენ ის ავირჩიეთ — ჩვენ უფლება გვაქვს, იგი გავანადგუროთ“...

ძალაუფლების მშვენიერებითა და სიდიადით საქართველოს მეფე-პრეზიდენტი თუ არ აღემატება, არც არაფრით ჩამოუვარდება შეერთებული შტატებისას. როგორც ჩანს, სახელმწიფოებრივი მშენებლობის ევროპული გამოცდილება ჩვენს მონარქისტულ გაქანებას უკვე ვეღარ აკმაყოფილებს და ამიტომ ქვეყნის მოწყობა მამა ჯეფერსონის ფუძემდებლები იდეების შესაბამისად გადავწყვიტეთ. თავზე სუპერსახელმწიფოს საკადრისი ძლიერადმოხლებით აღსავსე ხელისუფალი დავისვით, გვირგვინი დავადგით, ქება შევასხით და მისი სახელი ცას მივაწვდინეთ. მაგრამ ვერ იქნა და მეფე-პრეზიდენტს პასუხისმგებლობა ვერ დავაკისრეთ, საქმის საკეთებლად ვერ მოვმართეთ, შრომა ვერ ვაძულებთ და განადგურებასაც, მგონი, აქეთ გვიპირებს!.. ახლა ვხვდებით, გამეფებისთანავე დავით აღმაშენებლის საფლავზე რატომ მიიბრინა. ამ ფარსევლური თვალთმაქცობის ნამდვილ აზრს ნელ-ნელა სწვდება ქვეშევრდომული გულუბრყვილობით შეპყრობილი ჩვენი საზოგადოება, რომელიც თანდათან იწყებს თეთრისა და შავის გარჩევას.

ის, დიდი მეფე-აღმაშენებელი თავს ბიბლიური დავითის შთამომავლად და „მესიის მახვილად“ მიიჩნევდა. იბრძოლა, იღვანა, იშრომა, აღადგინა, აღაშენა, ააღორძინა; მტერი შემუსრა, ქვეყანა გააერთიანა, განავრცო და განადიდდა. ამიტომ ერმა და ბერმა აღმაშენებელი უწოდა!

მაგრამ წუთისოფლიდან ისე წავიდა, რომ ნაამაგარზე სიტყვა არ დაუძრავს, სახელი და პატივი არ უთხოვია, ღვანლი და შრომა



ყველანი ემიგრანტებად ვიქცით: ზოგი — უცხოეთში, ზოგიც — შინ, სამშობლოში... უპარსპაქტივობის ტოტალურმა განცდამა მთელი საზოგადოების პარალიზება გამოიწვია.

არავისთვის დაუყვედრებია, აკლდამა და მავზოლეუმი არ მოუთხოვია... პირიქით — თავი დაიბდაბლა და ეკლესიის კარიბჭესთან მოკრძალებით განსვენება ისურვა, „გალობანი სინანულისანი“ დაწერა და თავი ყველა ამქვეყნიური სიბილნით დამძიმებულ ცოფივლად გამოაცხადა.

ეს კი, ჩვენი მეფე-პრეზიდენტი, ერთი ჭკუამხიარული ნაცარქექიაა; მთელი ახალგაზრდობა ცოდვილი უზურპატორის ფრთებქვეშ გაატარა; იცრუა, იორპირა, იცუღლუტა, თავზე ხელი აიღო და ეკლესია შემუსრა, მოხუცებს პატივი აპყარა, უმწეო ადამიანებზე იმძლავრა, ქვეყანა ააოხრა და ააფორიაქა... და მაინც თავი ნამდვილ აღმაშენებლად მოაქვს და ყოველ ჯერზე არნახულ წარმატებათა შესახებ საუბრობს; ამაყობს, იბღინძება, იფხორება და მუშტებს იქნევს; პატივსა და დიდებას მიეღვრის, გამუდმებით ტაშს ითხოვს, ზეიმებს, ტრიუმფებსა და ფოიერვერკებს ესწრაფვის.

სინამდვილე კი მეტად მძიმე და პირქუში სანახავია!

საქართველოს ისტორიის უახლესი წლები, საბედისწერო რყევებითა და ქარიშხლებით აღსავსე ეს მინიეპოქა, იმედის უკანასკნელ ნაპერკალს აქრობს ქართველთა გულეებში. ყველანი ემიგრანტებად ვიქცით: ზოგი — უცხოეთში, ზოგიც — შინ, სამშობლოში... უპერსპექტივობის ტოტალურმა განცდამ მთელი საზოგადოების პარალიზება გამოიწვია.

თუ ერის, საზოგადოების გა-

ბისა და წეს-ჩვეულებათა გადარჩენისა და შენახვის შეუშუსრეული სალარო, ციხესიმაგრე, რომელსაც დრომ ვერაფერი დააკლო“ (გრ. რობაქიძე).

დღეს ამ ციხესიმაგრის დასამხოზად ყველაზე ცინიკური და აღვირახნილი ძალა ილესავს კბილებს. ეს ძალა აქვეა, ჩვენ თვალწინ; დღეს იგი საქვეყნოდაა გამოჭენებული და თავლაფდასხმული, მაგრამ უკან არ იხევს, საგულდაგულოდ იხშობს ყურთასმენას, ხშირად ქირქილებს, ოხუნჯობს და ხანდახან ისე გულიანად ხარხარებს, კაცი იფიქრებს, რომ ეს ხალხი და ქვეყანა სრულიად უცხოა მისთვის. ერის წყლული, ასე თვალმისაცემად რომ მოჩანს ყოველი გადასახედიდან, თითქოს ოდნავადაც არ ეხებოდეს მას... პრეტენზიები და ამბიციები კი, იცოცხლეთ, უკიდევანო მასშტაბებისა გასჩენია. საველლო ნარცისიზმი, ძალაუფლების დაუოკებელი წყურვილი და გაუმაძღრობა მთლიანად სპობს მასში ადამიანურ მისწრაფებებს და აქცევს მას ჩვენში უკვე ცარიელი და შინაარსმოკლებული ცნების — „პოლიტიკოსის“ კარიკატურულ ნაირსახეობად.

„მეფეო, უფალი არ მოგკითხავთ მეფურ მოვალეობათა აღსრულებას, ადამიანურ მოვალეობათა აღსრულებას მოგკითხავთ“, — მისწერა დიდმა ლეე ტოლსტოიმ იმპერატორს და რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ხელმწიფემ მრავალი რამ შეცვალა ამ სიტყვების გამო.

ცხადია, სახელმწიფოებრივი აზროვნების ენციკლოპედია ბუნებაში არ არსებობს, მაგრამ სწავლის მოსურნეს წინ ვერავინ დაუღებება, რათა ყურადღებით წაიკითხოს და „ზეპირად მოიწუროთ“ სიბრძნით აღსავსე შეგონებანი, სადაც საბას პირით მართლაც შეშარიტება ღალადებს თავის უქვეყნობას!

— „მეფეთაგან სამს დამადლებს უფალი — სამართალსა უქრთამოსა, მონყალებასა და დიდსა სიყვარულსა ყოველთასა. — მეფეთაგან სამს ინატრიან ქუეყანანი: ზავსა მართებულსა, სიმართლესა უზაკველსა და სიუხვესა ყოველთასა. — მეფეთაგან სამს ითხოვენ მონანი: სავსესა ტაბლასა, ჯამაგირთა მოუკლებლობასა და მალე შეუბზებლობასა...“

ყოველივე ამას უპოვარ მეფეთაგან ითხოვდნენ ჩვენი წინაპრები. დღეს კი გაცილებით მკაცრად მოპკითხვენ ყოვლისშემძლე მეფე-პრეზიდენტს, რომელიც თავისი თავისთვის დაუსრულებელი დღესანაულების მოწყობით ისეა გატაცებული, რომ ვეღარც „უქრთამო სამართალი“ დაუშვიდრებია, ვერც „დიდი სიყვარული“, ვერც „ზავი მართებული“, ვერც „სიმართლე უზაკველი“, ვერც „სიუხვე ყოველთა“ და, რაღა თქმა უნდა, ვეღარც „ჯამაგირთა მოუკლებლობა“...

აი, ასე განსხვავდებიან ერთმანეთისგან მეფეები და მეფე-პრეზიდენტები!



ჯანდაცვა ქართულად, ანუ ნაშრომრობის მორიგი ტყუილი

თავად დასწავლული ჯანმრთელობის დარგი მომავლის იმედითა განაგრძობს არსებობას. მის გადასახალისებლად ბოლო წლებში ბევრი რამ გაკეთდა. მაგრამ საკითხავია, როგორ და რა სახით? დღევანდელი გადაწყვეტილებებით კი ჯანმრთელობის სფეროს განვითარების მცდელობა კიდევ უფრო გაძნელება და დროში გაინელება. ჩვენს ქვეყანაში არსებულ ყველა დარგს ერთი საერთო სენი სჭირს — არაკომპეტენტურობა, საქმეში ჩაუხედაობა, პარადოქსული მოგონილი სირთულეები, რეფორმების გაუთავებელი ციკლი.

ბოლო წლებში დარგის ცხოვრებაში იყო მოვლენები, რომლებმაც საზოგადოებაში უამრავი კითხვა დატოვა პასუხგაუცემელი. ერთ-ერთი მათგანი კი ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისებზე დარჩენილი ათასები, რომელიც გადაანგარიშებით ჯამში მილიონებს ითვლის. სად, ვისთან მიდის აღნიშნული თანხა, არავინ იცის. არსებობს არცთუ უსაფუძვლო ეჭვი, რომ პოლისების აღნიშნული ფული მავანთა და მავანთა ჯგუფებისა და კლანური ინტერესების გამო ქრება. ამ პრობლემის შეფარულ ასპექტებზე საზოგადოებაში უფრო და უფრო მეტს საუბრობენ, თუმცა იძულებით დადუმებულებსაც უხვდებით, გამოთქმული განსხვავებული აზრის გამო რომ არ დაზარალებდნენ.

აი, რას ვგვიბობს მოქალაქე, პროფესიით ფილოლოგი, დროებით უმუშევარი, 50 წლის მარტოხელა ქალბატონი **ნათელა ბუხრაძე** — ძნელია ხორცის ტკივილი, რომელსაც ვერ შევადრება ვერც მიმეფი ვიზიკური არანორმირებული სამუშაო დღე, ვერც უძილო ღამეები, ვერც შიმშილი, ვერც სიმიშველი, ვერც ცივი ზამთარი გათბობის გარეშე და ვერც ძნელბედობა, ვერც ქრონიკული უმუშევრობა და ზღვარგადასული ხელმოკლეობა. ვაი, რომ რიგით მოქალაქეს დღეს ავადმყოფობის უფლება არ აქვს, რადგან სამკურნალო თანხები და ძვირადღირებული მედიკამენტები მისთვის მიუწვდომელია. ამ დროს ცივ ლოგინში ჩანოლილს ხორცის ტკივილთან ერთად მძაფრი სულიერი ტკივილიც გიტყვას, რომ ამ ქვეყანაში შენი არსებობა არავის აინტერესებს. არსებულმა ყოფამ და არასწორმა მიდგომებმა ჩემი მსგავსი მოქალაქეები ზედმეტ ბარგად აქცია. ვაი, რომ უმწეოთა დასახმარებლად სახელმწიფო პოლისების სახით ათასებს გაიღებს, 100 ახალ საავადმყოფოს ააშენებს, ხალხს დაასაქმებს, წინასწარჩვენო კამპანიაში ნაციონალური მოძრაობის სასარგებლოდ აქტიურად ჩაებნის, რისთვისაც ქალაქ თბილისის მერიამ ჯანმრთელობის სადაზღვევო პოლისით დამასაჩუქრა.

დადგა ზამთარი და ქრონიკულმა კუჭის ტკივილმა შემომიტია. პოლისით გულმოცემულმა ოჯახის ექიმს მივმართე. ყველა ფორმალობის დაცვით ფორმა №100 შევავსე და პოლისთან ერთად ჩემს სადაზღვევო კომპანია „არქიმედს“ მივაბურე. აღნიშნული კომპანია მეტრო „დიდუბის“ ზედა მხარეს მდებარეობს. ჩემი საბუთები მენეჯერმა დიდხანს ათვალიერა. ახლა ვეჭვობ, რომ ნაკლს ეძებდა... ბოლოს მითხრა, რომ საბუთებს ვერ მიიღებდა, რადგან ფორმამი ერთიანი გადასწორებულია. არადა, ერთიანი ნუსხითან შედარებით მკრთალი იყო — მხოლოდ უხარისხო კალმის გამო ორჯერ იყო შემოხაზული. უკანვე დამბარუნეს უბნის ექიმთან. ქალბატონ ნათელას

(ექიმი) ძალიან გაუკვირდა და მიზეზიც უსაფუძვლო ეჩვენა, მაგრამ ფორმა შეცვალა. ავად გახლდით და მგზავრობაც მიჭირდა. ხელახლა მივაღიქე „არქიმედს“. ცივი ოფიციალურობით მითხრეს: —

„ერთი კვირის შემდეგ მოგვაკითხეთ“. საოცარი ტკივილით დაგბრუნდი სახლში, დავიღალე და გავცივდი. ტკივილს განცდილი თავგადასავლით გამოწვეული ნერვიულობაც დამატა. ერთი კვირის შემდეგ მიმართა მომცეს ბახტრიონის №10-ში მდებარე „ნეოკლინიკის“ მისამართით, რომელიც შეუთანხმებლად შემირჩიეს. პოლიკლინიკის თანამშრომლებმა საეჭვო სიცივით მიმიღეს და ამისხსეს, რომ რამდენიმე დღის სპეციალური დიეტის გარეშე პროცედურაზე არ დამიშვებდნენ. მერე კი შემომთავაზეს, რომ გამაგზავნიდნენ ჭავჭავაძის პროსპექტზე მდებარე მათსავე ფილიალში, საბურთალოდან ვაკისკენ გავსიყვარული. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ფილიალში ექიმმა მითხრა, რომ სადაზღვევო კომპანიიდან მიტანილ მიმართვაზე ბარიუმით გაშუქების პროცედურა იყო მითითებული. ფორმა №100-ში გარკვევით ეწერა, რომ აუცილებლად მესაჭიროებოდა გასტროსკოპია. გაოცება ვერ დავფარე, როცა „ნეოკლინიკის“ ფილიალში წარდგენილ სადაზღვევო კომპანიიდან მიტანილ მიმართვაში წავიკითხე, რომ ბარიუმით გაშუქების პროცედურა უნდა ჩამიტარებოდა. მე დაუფინანსებელი გასტროსკოპია მოვიტხოვე. ფილიალის თანამშრომლებმა შეცბუნება რომ შემატყვეს, მიჩივიეს, ერთი სართულით ქვემოთ ჩავსულიყავი, სადაც ჩამიტარებდნენ ჩემთვის საჭირო გამოკვლევას. პროცედურას 90-ლარიანი ქვითარიც მოაყოლეს და თან ღიმილით ამისხსეს, — ფული გადაიხადეთ, ქვითარი სადაზღვევო კომპანიაში მიიტანეთ და იქ გაემართლებინეთ. ქვითრის განაღდებაზე უარი მითხრეს იმ მიზეზით, რომ მათ „ნეოკლინიკაში“ გამგზავნეს და არა მის ქვემო სართულზე. ჯერ დავიბენი, მერე აღვფიქვინდი და საქმის გასარკვევად კომპანიის ხელმძღვანელთან შევსაუბრე, მაგრამ კომპანია „არქიმედის“ ხელმძღვანელობა „მიუწვდომელი“ აღმოჩნდა. მენეჯერმა მკაცრი ტონით მითხრა, რომ საკითხის გადაწყვეტა მისი კომპეტენციაა. მთხოვა, წავსულიყავი და პასუხისთვის კომპანიის ცხელ ხაზზე დამერეკა. მატერიალურად გაძარცვული, სულიერად შეურაცხყოფილი, კუჭის მწვავე ტკივილით ნორნამხდარი დავბრუნდი შინ. ვრეკავდი „ცხელ ხაზზე“, რომელიც ცივი და მდუმარე აღმოჩნდა. სიმართლის გარკვევის ნყურვილით ავადმყოფობას არ შევებუე და კვლავ წვეფი ზემოაღნიშნული კლინიკაში... მაგრამ იგივე გამეორდა. დღესაც არ ვიცი... პროგრამირებული აფერის მსხვერპლი ვარ თუ... სოციალური მოთხოვნილებების ძიებით გართული ბრიყვი მოქალაქე?!

სიმართლის ძებნაში ამხანაგს შევხვდი, რომელსაც ჩემი ამბავი ძალიან გაუკვირდა, რადგან თავად ჯანმრთელობის პოლისით რკინიგზის საავადმყოფოში გამოკვლევები ჩაიტარა, სადაზღვევო კომპანია „არქიმედს“ კი 250-ლარიანი ქვითარი უპრობლემოდ გაუნაღდა. რა კრიტერიუმებით ხელმძღვანელებზე, ჩემთვის გაუგებარია. 12000-ლარიანი ნაჩუქარი პოლისიდან ერთი თეთრიც ვერ მოვიხმარე. ახლა კი 1 თებერვლიდან პოლისები გაუქმდა.

ქალბატონმა ნათელამ საკითხის გარკვევა მოკრძალებით მთხოვა. ამ მიზნით ვენეფი მედიკოსთა და პაციენტთა ღირსების დაცვის ასოციაციის თავმჯდომარეს, მედიკობიოლოგიური და საქართველოს ჰუმანიტარული და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილ წევრს, №2 საავადმყოფოს ქირურგიული კლინიკის ხელმძღვანელს, პროფესორ სულხან ქემოკლიძეს.

სახელგანთქმული დასტაქარი სასაუბროდ ძლიერ დავითანხმე. მოგვიანებით გამომიტყდა, რომ ჟურნალისტებზე გამწვარალია. მან ინტერვიუ მისცა აშშ-ის გაზეთ „ვანგუარდ“ პოსტის „ჟურნალისტს, ზედმოკრატული და სამართლიან „ვანგუარდის“ კი მხოლოდ მისი ფერადი ფოტო დაიბეჭდა ინტერვიუს ძირითადი შინაარსის გარეშე. ჩემს შეკითხვაზე ჯანმრთელობის პოლისებთან დაკავშირებით კი ვრცლად მიპასუხა: — მითი ახალი 100 საავადმყოფოს შესახებ გაფრთხილებულია. დღეს საავადმყოფოთა უმრავლესობა მიტოვებული ან გაყიდულია. ინვა გრივობის გადაცემამი ჯანმრთელობის მინისტრის მოადგილესთან დებატებში მე ეს ვინინანსარმეტყველე. ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისები გაუქმდა. შემოტანილია ახალი იდეა 5-ლარიანი დაზღვევის შესახებ. ეს იდეაც ეფემერულია, როგორც 100 ახალი საავადმყოფო — პრაქტიკულად განუხორციელებადი. გახსოვთ უმწეოთა ფონდი? უმწეოთა დადგენაზე ასეულობით აგენტი მუშაობდა და მათზე უფრო დიდი ფული დაიხარჯა, ვიდრე თვითონ უმწეოებზე. აგენტებს ჩვენს ქვეყანაში უმწეოების გამოვლენა უჭირდათ, პარადოქსია არა?! ყველა ძველი



ბათონით დაშინებული ნათელა ბუხრაძე

ხელალებით ცუდი როდია. საბჭოეთში ჯანმრთელობის დაზღვევის შესანიშნავი მოდელი მოქმედებდა, რომლის მიხედვით ნაციონალური პროდუქტის 6% ჯანმრთელობის დარგს ხმარდებოდა. ყველა მოქალაქე ხელფასის შესაბამისად იხდიდა ე.წ. სამემოსავლოს, რითაც სამედიცინო დახმარება ფინანსდებოდა და უფასო გახლდათ. ამ მოდელის დადებით მხარეს თვით ზესახელმწიფოებშიც აღიარებდნენ.

სადაზღვევო კომპანიები სადაზღვევო ბიზნესი გახლავთ, რომელთა საქმიანობა ორიენტირებულია მოგებაზე. მათ მუშაობაში ანაქრონიზმი შეიტანა უმწეოთა დაზღვევამ, რაც მათ სრულიად შეუსაბამოდ დააკისრეს. თავისთავად დეგრადაცია, მამ საიდან დავაფინანსოთ უმწეოთა სამედიცინო დახმარება? ჩემი აზრით, ამისთვის არსებობს რეალური წყაროები, თუნდაც ფარმაცევტული ბიზნესის შემოსავლების გარკვეული პროცენტი, ასევე დიავნოსტიკური ცენტრებიდან შემოსული თანხების გარკვეული ნილი და სადაზღვევო ბიზნესის კორექტირება. ეს კი უნდა მოხდეს აღნიშნული დარგების საშემოსავლო გადასახადების შემცირების ხარჯზე.

სადაზღვევო მედიცინა მთელ მსოფლიოში აპრობირებული მეტოღია, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში სხვა რეალობაა. მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი არ მუშაობს. გალატაკებული ქვეყნის შვილს სადაზღვევო ფული არ აქვს. ამიტომ სადაზღვევო კომპანიების საპრონონედ აუცილებელია გონივრულად კონსტრუირებული უმწეოთა ფონდის შექმნა. უდიდესი ნაკლი დღეს ის არის, რომ ავადმყოფობას აღზევეენ და არა ავადმყოფს. მაგალითად, ავადმყოფს, როგორც თქვენ მიაბებთ, აქვს კუჭის ნყლული, ქრონიკულ სტადიაში მკურნალობა არ ფინანსდება, მაგრამ თუ კუჭი გაუსკდა, ოპერაცია ფინანსდება, ამ დროს კი სიკვდილის ალბათობა უფრო მაღალია. ხედავთ, რა ხდება, ავადმყოფი კუჭის გასკდომას უნდა ელოდოს! არც საავადმყოფოების დაფინანსება სწორი. ორივე შემთხვევაში ავადმყოფი უნდა ფინანსდებოდეს. ყველა და ყველაფერში, ყველაზე ნინ, უპირველესად, ადამიანის ფაქტორი უნდა იყოს. არსებული ნესი პაციენტის უფლებების უზე-

ში დარღვევა. სადაზღვევო კომპანიები პოლისის მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ შერჩეულ კლინიკებსა და საავადმყოფოებში აგზავნიან, ესეც პაციენტის უფლებების დამრღვევი ფაქტია, თუ სხვა არაფერი.

აღსანიშნავია, რომ წინასწარჩვენო პერიოდში პოლისები მშვენივრად ფინანსდებოდა. დღეს კი რამდენიმე ასეულ ოპერაციაზე სადაზღვევო კომპანიებიდან შესაბამისი თანხები გადმორიცხული არ არის. ექიმების ხელფასები დროზე არ რიგდება, ხოლო ავადმყოფები უმწეო მდგომარეობაში არიან. საგაზეთო ინფორმაციით, სადაზღვევო კომპანიებს რეალიზებისთვის 43 მილიონი გამოეყოთ, აქედან ავადმყოფებზე მხოლოდ 16 მილიონი დაიხარჯა. ამოცანა გვეკითხება — სად წავიდა დარჩენილი თანხა?

არ არის მორიტორინგი ამა თუ იმ დაავადების მკურნალობის ფასზე, ერთი და იგივე გამოკვლევა, ანალიზები და ოპერაციები სხვადასხვა საავადმყოფოებში სხვადასხვა ფასი ღირს. პრინციპულად მიუღებელია სადავანოსტიკო ცენტრების არსებობა საავადმყოფოს გარეთ. დიაგნოზს კი ნერენ, მაგრამ დიაგნოზზე პასუხისმგებლები არ არიან. არსებობს ფონდი უმწეოებისთვის, რომლის მისიაა, განსაკუთრებულად მძიმე მდგომარეობის მქონე ავადმყოფები სამკურნალო საზღვარგარეთ გაგზავნონ. არც ერთი უმწეო საზღვარგარეთ არ წასულა, მხოლოდ მაღალი პოლიტიკური ეშელონების წარმომადგენლები სარგებლობენ ამით (ბატონი სულხანის სიტყვებმა „უმწეო“ ბესო ჯუღელი და „ძმანი მისნი“ გამახსენა).

მედიკამენტები კატასტროფულად გაძვირდა. ფარმაცევტული ბიზნესი წარმატებულია. მთავრობამ ის მაინც იკისროს, წამლებიდან შემოსული მოგების ნაწილი სოციალურად გაჭირვებულ ავადმყოფებს მოახმაროს...

40 წელიაღზე მეტია, ქირურგიაში ვმუშაობ, მარტო შარშან 270 ოპერაცია გაგაკეთე, წლების მანძილზე კილიბით ვიცავ ექიმთა და პაციენტთა უფლებებს, ვიბრძვი. მყოფის პროფესიონალიზმი და მოქალაქეობრივი გამბედაობა, სიმართლეს ქომავად დავუდგე. არ მახსოვს, ვინმეს ეკითხოს აზრი დარგში დასაწერე ნოვაციების შესახებ.

კუბაში სამედიცინო დახმარება უფასოა, მაშინ, როდესაც ქვეყანა ეკონომიკურად სულაც არაა ძლიერი. უმწეოების სამედიცინო დახმარება ჩვენშიც უმტივენეულოდ შესაძლებელია, თუ ქვეყნის მესვეურთა კეთილი ნება ექნება და, ამასთან, ამ საკითხისადმი გონიერი მიდგომა.

აუცილებლად უნდა შეიქმნას უმწეოთა ფონდი, საიდანაც უშუალოდ თვითონ ავადმყოფს მიეცემა თანხა ყველა იმ პათოლოგიის სამკურნალოდ, რაც აწუხებს. საჭირო არაა ისეთი ფონდების შექმნა, საიდანაც, არავინ იცის, სად იკარგება მილიონები. პასუხისმგებელი, უფრო მეტიც, პასუხის გამცემიც არავინაა, როგორც ქალბატონი ნათელა ბუხრაძის შემთხვევაში.

ქეხვი და სოსიალიზმი

დემოკრატები თავიანთ ყვითელ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში სისტემატურად არწმუნებენ მოსახლეობას, რომ სოციალიზმს არ შეუძლია მთელი ქვეყნის გამოკვება, რომ მხოლოდ კაპიტალიზმი უზრუნველყოფს მას ყველაფრით, რომ მხოლოდ კაპიტალიზმის დროსაა მაღალიზში თაროები დახუნძლული, სოციალიზმის ეპოქაში კი ცარიელია და „ქეხვის ელმავლებს“ ჩააქროლებენ აქა-იქ, რომ ხალხი შიმშილით არ ამოწყდეს. ჩვენი პატრიოტული გაზეთები კი საპასუხოდ გაჰყვირის: „ჩვენთან არავინ შიმშილობს!“, „ქეხვი მაცივარში ყველას აქვს, ოღონდ არა ის, რომელიც ვიტრინაშია...“ მოჰყავთ ციფრები სტატისტიკიდან, რომ ჩვენს ქვეყანაში, სადაც პლანეტის მოსახლეობის 5% ცხოვრობს, აწარმოებდნენ მსოფლიო წარმოების სურსათის 15%-ს.

დროის რომელიღაც ვინო დიაპაზონში დემოკრატები მართლები არიან. უკანასკნელ წლებში ობიექტური თავად ხედავდა სიტუაციას ქვეყანაში-სურსათის თვალსაზრისით.

თუ უფრო კარგად გავანალიზებთ, თქვენ, მტრედო-დემოკრატებო, ხომ არ ემსგავსებით ქურდს, რომელიც თავად იპარავს, ხალხში კი გაჰყვირის — ქურდი დაიჭრეთო? სწორედ თქვენ გამოიწვიეთ დეფიციტი ვაჭრობაში, ისწრაფოდით რა ხელისუფლების მაღალი ეშელონებისკენ...

დროის უფრო ვრცელ დიაპაზონს თუ განვიხილავთ, მეორე მსოფლიო (ჩვენთვის — სამამულო) ომის შემდეგ პროდუქტების განაწილება მოსახლეობაში საბარათო სისტემით სსრ კავშირში (სოციალიზმის ქვეყანაში) უკვე 1947 წელს გაუქმდა, ხოლო კაპიტალიზმის ქვეყნებში — რამდენიმე წლის შემდეგ. თანაც ბარათების გაუქმება სსრ კავშირში ფორმალურ ხასიათს როდი ატარებდა — იგი არა მხოლოდ დიდ ქალაქებში განხორციელდა. იმ პერიოდში მე კურსკის ოლქის პენის დაბაში ვცხოვრობდი. საბარათო სისტემის გაუქმების მეორე დღესვე მშვიდად ვყიდულობდით ყველა სახის საქონელს, რაც ადრე ბარათებით ნაწილდებოდა. რასაკვირველია, ნაირ-ნაირ დაკონსერვებულ პროდუქტს არავინ გვთავაზობდა (ქვეყანა ნელ-ნელა იმართებოდა ნელში გამანადგურებელი ომის შემდეგ) მაგრამ ცხოვრებისათვის პირველადი და აუცილებელი ყველაფერი იყო.

მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტში სწავლისას, 1952 წელს, დედაქალაქის მაღალიზში თავისუფლად იყიდებოდა კიბორჩხალები (ქილებში), ნითელი და შავი ხიზილალა (თახახებში), რამდენიმე ხარისხის კარაქი, ხორცი, დელიკატესები და სხვა პროდუქტები. თანაც, ხორცი იყიდებოდა არა ისე, როგორც ახლა, კაპიტალიზმის დროს, ნაჭრებად და ხარისხებულად; ხორციულის სექციაში ეკიდა სქემა, რაზეც

მუშაობდნენ ლამის 3 საათამდე და ჩვენ, სტუდენტები, იქ ვვახშობდით). წარმოგედგინათ, სტუდენტი სავახშოდ მიდის რესტორან „ბერლინი“!

აი, ასეთი წესრიგი იყო საბჭოთა ვაჭრობაში. წესრიგი ყოველთვის არის იქ, სადაც არის მართვა. სტუდენტებიც ვმონაწილეობდით ვაჭრობის მუშაობის კონტროლში. მაღალიზები უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი საასორტიმენტო მინიმუმით. საქონლის ჩამონათვა-



მითითებული იყო შინაური ცხოველის ნაწილები აღნიშვნებითურთ და შეძენის შემთხვევაში ყასაბი დასაჭრელ კუნძზე მთლიანი მასიდან თავად მოგიჭრიდათ სასურველ ნაწილს. ქეხვის განყოფილებაში შეიძლება გეყავი ნებისმიერი ოდენობის ქეხვი — თუნდაც 100 გრამი. სულაც არ იყო საჭირო ქეხვის მაცივარში შენახვა, ახალი უფრო გემრიელია არ არის?. მყიდველის სურვილისამებრ, მას ჭრიდნენ კიდეც თხელ ნაჭრებად. ქეხვი, თანაც როგორი... დიაბეტური, ნედლად შებოლილი, ნახევრად შებოლილი... იყიდებოდა შაშხი, შებოლილი იხვი, ყველი, ცოცხალი თევზი, ნითელი თევზი, დამარილებული... ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე იყიდებოდა არაყი და ათასი სხვა სპირტიანი სასმელი. ჩვენში სასმელის გამოყენების შემდეგ შეიძლება გამოგეყენებინა გრაფინად. სახლის ქეხვი იყიდებოდა 3-ლიტრიან ქილებში ღორის ქონთან ერთად. ეჰ, ნერწყვი მომდის... ყველაფერი იყო ნორმალური ცხოვრებისათვის.

სტუდენტურ სასადილოში გვემსახურებოდნენ ოფიციალტები (როგორც რესტორანში), სტუდენტთა ბუფეტში შეიძლება შეგეკეთა ჭიქა არაყი. თუმცა ჩვენ, ძირითადად, დღესასწაულების დროს ვსვამდით. ალბათ, ამ დროს იყო ასეთი საერთო კულტურა (რესტორნები

ლი, რაც არასოდეს უნდა მოკლებოდა კონკრეტულ მაღალიზს (სასორტიმენტო მინიმუმი), განთავსებული იყო შესასვლელში, თვალსაჩინო ადგილას. დაუშვებელი იყო, რომელიმე დასახელების საქონელი არ ყოფილიყო დახლზე. თუ პროდუქტი აღმოჩნდებოდა მხოლოდ დახლქვეშ ან საწყობში, ითვლებოდა კრიმინალურად და დარღვევის გამო დგებოდა კომისიის აქტი. სასადილოებში ხდებოდა საკონტროლო შესყიდვები შემდგომი ლაბორატორიული ანალიზისათვის.

1958 წელს, მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, განაწილებით გამაგზავნეს სამუშაოდ მოსკოვის ოლქის ქ. კლიმოვსკში. დღემდე მახსოვს ნითელი ხიზილალა ქალაქის გასტრონომში. ქეხვეული, ყველი, კარაქი, თევზი, ბაკალეა — ყველაფერი უპრობლემოდ იყო მაღალიზაში. ასეთივე სურათი ვნახე გასტრონომში ქ. ვლადიმირში, სადაც მივიღინებთ გამაგზავნეს 1961 წელს.

უფრო მოგვიანებით კი, დაახლოებით 1962 წლიდან, საქონელი მაღალიზებიდან გაქრა. ჯერ — კიბორჩხალები, შემდეგ — ხიზილალა და ა.შ. რა მოხდა? ეს ბოროტება და უგუნურმა კალინოვიდან (ხრუმოვი) გააუქმა სავაჭრო ნერტილები-სათვის საასორტიმენტო მინიმუმი და მოხსნა კონტროლი მათ მუშაობაზე. „ახლა ყველა-

ფერი ფულმა უნდა გადაწყვიტოს“, — თქვა მან. იქ კი, სადაც ყველაფერს ფული წყვეტს, იწყება კაპიტალიზმი. ამის შემდეგ ვაჭრობა გახდა სხვაგვარი. ახლა სასტუმროს ბუფეტში დილით შეუძლებელი იყო ჭიქა ჩაის შოვნა (ამით რას გამოიმუშავებ?) — ბუფეტის გამყიდველი გთავაზობდა კომპოტს. სად წავიდა გემრიელი მაღალკალორიული პროდუქტები? ერთ ჩემს თანამშრომელს მეგობარი ჰყავდა, მოსკოვის ერთ-ერთი სასურსათო მაღალიზის დირექტორი, რომელსაც მანქანის შეკეთებაში ეხმარებოდა. როცა მან შეგვიყვანა თავისი მაღალიზის სარდაფში, იქ ვიხილე სტალინური საბჭოთა დროის მაღალიზების სიუხვე. ივაჭრო გემრიელი მაღალკალორიული პროდუქტებით სახელმწიფო ფასში, როცა მყიდველიც გყავს, რასაკვირველია, ხელსაყრელი არაა. აქ კი ყველა საბჭოთა კონტროლი გაუქმებულია.

არსებითად ამ დროიდან ქვეყანაში ხელისუფლებამ სტიქიურად დაუშვა უკონტროლო ვაჭრობა. აქტიურ კონტროლიორებს თავიდან იშორებდნენ.

ასე მოახდინა ვაჭრობამ მაღალიზებისაგან საოლქო კომიტეტების, რაიკომების, პარტიკომების, სანარმოთა დირექტორებისა და სხვა აქტივისტების იზოლირება. მათ უკვე აღარ აინტერესებდათ, რა ხდებოდა მაღალიზებსა და დახლებზე. დემოკრატებსაც ეს უნდოდათ. კონტრეველუციის მზადების დროს მათ იცოდნენ, რომ რეკოლუცია წარმატებული იქნებოდა, როცა „ზევით“ არ შეუძლიათ, „ქვევით“ კი არ სურთ. „ზევითები“ უკვე იყვნენ კონტრეველუციის ხელში გორბის მეთაურობით, „ქვევითები“ კი უნდა გამეღიზიანებინა არსებული „ზევითების“ წინააღმდეგ. ვინ დაუჭერს მხარს არსებულ ხელისუფლებას, თუ მაღალიზის თაროები ცარიელია?

აქ კი დემოკრატები ვაჭრობაში თავისას შეეცადნენ. ხალხმა, უკმაყოფილებით გაღიზიანებულმა, დაიწყო მოგზაურობა „ელექტრომატარებლებით ქეხვისათვის“. ცნობილია შემთხვევები, როდესაც ხორცი თვითმფრინავით მოსკოვიდან ტაშკენტში ჩაჰქონდათ.

ასე რომ, როდესაც მაღალიზების თაროები დაცარიელდა, სოციალიზმს ყალიბი გაუვიდა. ეს კონტრეველუცია ამზადებდა მის მეორე მონაწილეს — „ქვევითებს“.

ს.პ. პრიშინი
გაზეთი „ლეალი“ №7 (606),
თებერვალი, 2009 წელი.

რუსეთში პენსიები გაიზარდა

დღეიდან რუსეთში მოხუცებულების გამო შრომითი პენსიის საბაზო ნაწილი გაიზარდა. ახლა იგი შეადგენს 1950 რუბლს, ე.ი. გაიზარდა 8,7 პროცენტით.

ამის შესახებ იტყობინება „იტარ-ტასი“ რუსეთის საპენსიო ფონდზე მითითებით. რუსეთელთა შრომითი პენსიის საბაზო ნაწილმა ინდექსაცია კიდევ ერთხელ განიცადა (გასული წლის 1 დეკემბერს 26,5 პროცენტით). მიმდინარე წლის აპრილიდან პენსიის სადაზღვევო ნაწილი გაიზარდება 15,2 პროცენტით.

ბალტიის ქვეყნებს უარი უთხრას ევროს ზონაში ექსტრაპოლურ შესვლაზე

ევროკავშირმა ევროკომისიის ჩათვლით უარყო ევროს ზონაში ლატვიის, ლიეტუვის, ესტონეთისა და ბულგარეთის დაუყოვნებლივი მიღების ვარიანტი, რომელიც გულისხმობს, დაეხმაროს ევროკავშირის ამ წევრებს, მოახერხონ ეროვნული ეკონომიკის სტაბილიზაცია.

უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში ბულგარეთისა და ბალტიის რესპუბლიკების მაღალი თანამდებობის წარმომადგენლები აწარმოებდნენ ევროკავშირის ხელმძღვანელობასთან კონფიდენციალურ კონსულტაციებს ამ ქვეყნების ევროს ზონაში ექსტრაპოლური მიღების თაობაზე. ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი იყო ის, რომ ლიეტუვის, ლატვიისა და ესტონეთის ეროვნულ ვალუტას მჭიდრო კავშირი აქვს ევროსთან.

მაგრამ ევროს ზონის ნამყვანი სახელმწიფოები წინააღმდეგი წავიდნენ მის გაფართოებასთან დაკავშირებით საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის დღევანდელ პირობებში. მითუმეტეს, რომ ბალტიის ქვეყნებმა და ბულგარეთმა არ გაიარეს თავიანთი ეკონომიკის ევროს ზონის სტანდარტებთან მიხედვით შესაბამისი პროცესი.

შედეგად, ამჟამად ბალტიის რესპუბლიკების წინაშე წამოიჭრა უმძიმესი პრობლემა — განაგრძონ ეროვნული ვალუტის ევროს კურსთან მკაცრი დაახლოების პროცესი და ამით გაართულონ შინაგანი კრიზისი, ან უარი თქვან მასზე, — აღნიშნავს ევროკავშირის დამოუკიდებელი ექსპერტი, — მაგრამ ამ უკანასკნელ შემთხვევაში ბალტიისპირელთა ვალუტის კურსი კრახის წინაშე დადგება და დაიწყება ინფლაციის სწრაფი ზრდა.

„იტარ-ტასი“

გეგმანია ევროკავშირის აღმოსავლეთ ევროპის დახმარების ფონდის შექმნის წინააღმდეგობა

ბრიუსელში ევროკავშირის ქვეყნების ლიდერების ექსტრემალურ სამიტზე ეკონომიკურ კრიზისთან ბრძოლის ღონისძიებებს განიხილავენ.

გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა უარყო უნგრეთის პრემიერ-მინისტრის ფერენც დიურჩანის მოწოდება სპეციალური ფონდის შექმნის შესახებ 250 მილიარდი დოლარის ოდენობით ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის.

სამიტის ერთ-ერთი მთავარი თემაა დახმარება საავტომობილო მრეწველობისათვის. ავტოსამშენებლო კომპანიები ევროპის ბევრ ქვეყანაში გადააწყდნენ სიძინელებს. საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი არ გამოცხადებდა პროტექციონისტული ზომების შემოღების შესაძლებლობას, რისთვისაც მას კრიტიკა არ ასცდა ევროკავშირის ბევრ ქვეყანაში.

გაუხსნის თუ არა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია კარს აფხაზეთის ეპარქიას?

„აფხაზეთის მართლმადიდებლები ახალი პატრიარქის კირილისაგან რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიასთან შემდგომ დაახლოებას ელოდებიან. და კიდევ უკე-

თეს — აფხაზეთის ეპარქიის მიღებას რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის შემადგენლობაში“, — წერს „ჩეგემსკაია პრავდის“ ფურცლებზე დამოუკიდებელი ექს-

პერტიზის ფონდის თანამშრომელი ანტონ კრივენიუკი. იგი ასევე წერს, რომ ამ იმედებს თვალსაწიერ მომავალში ახდენა არ უნერია. რუსეთისა და საქართველოს პატრიარქა-

ტები, საერო ხელისუფალთაგან განსხვავებით, მოკავშირეები არიან და მათი კავშირი მკაფიოდ ემყარება უკრაინის ეკლესიის სეპარატიზმის წინააღმდეგ ბრძოლას.

ადვოკატს პროკურორის დაწყვეტილისათვის ასამართლებენ

„28 მაისის საპარლამენტო არჩევნების წინ მესტიის შს სამმართველოს უფროსმა ბესო გაბულდანიამ აიძულა თავისი ხელქვეითები, ხატზე დაეფიცათ, რომ მმართველ პარტიასა და მისი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს მისცემდნენ ხმას და ასევე არ გაამხელდნენ, რომ 2008 წლის 5 ნოემბერს საპრეზიდენტო არჩევნებზე ხმა მიხეილ სააკაშვილს მისცეს. მესტიის შს სამმართველოს სოფელ ბეჩოს განყოფილების თანამშრომელი მელიტონ პაკელიანი თანახმა იყო ყველაფერზე, გარდა ერთისა — ხმა მიეცა „ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატისთვის. „გაერთიანებული ოპოზიციის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ვიქტორ ჯაფარიძე მელიტონ პაკელიანის დისშვილი იყო და საარჩევნო ხმის უფლებას ახლო ნათესავის წინააღმდეგ ვერ გამოიყენებდა. ხატზე დაფიცებაზე უარის თქმის გამო მელიტონ პაკელიანი პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლი გახდა. სამეგრელო-ზემო სვანეთის შს მთავარი სამმართველოს უფროსის თენგიზ გუნჯავას ბრძანებით, 2008 წლის 22 მაისს იგი დაითხოვეს შინაგან საქმეთა პირადი შემადგენლობიდან...“ ეს სახალხო დამცველის მოხსენებაში მოყვანილი ფაქტია, რომელიც, ალბათ, სასაცილო იქნებოდა, ჩვენს ქვეყანაში და ჩვენს რეალობაში რომ არ ხდებოდა. ასეთი ტრაგიკომედიები, სამწუხაროდ, დღევანდელ რეალობაში იშვიათ შემთხვევას არ წარმოადგენს. მეტიც, ხშირად უფრო მძიმე შედეგებითაც სრულდება. ხმის მიუცემლობის გამო პაკელიანს სამსახურიდან გათავისუფლება აკმარეს, ადვოკატ თამუნა ქუთათელაძეს კი პროკურორის დაწყვეტის გამო (რაც, როგორც თავად აცხადებს, სიმართლეს არ შეესაბამება) გასამართლებას უპირებენ.

ადვოკატმა თამუნა ქუთათელაძემ, რომელიც ბრალდებულ გიორგი ალანის იცავდა, დასაცავი პირის საქმეში შემთხვევით აღმოჩინა დადგენილება, რომ, თურმე, საქმე მასზეც იყო აღძრული პროკურორის დაწყვეტილისა და გამოძიებისთვის ხელის შეშლის გამო. თამუნა ქუთათელაძე აცხადებს, რომ ამ აბსურდულ ბრალდებაში ისანი-სამგორის რაიონის პროკურორის დავით გაგნიძის პირადი ინტერესი დევს, რადგან მას არა ერთი „შეკერილი“ საქმე დაუშალა და მიიღწია, ბრალდებული სასამართლოს გაეთავისუფლებინა. რამდენად დამაჯერებლად და მალპროფესიულად გამოიყურება ადვოკატის წინააღმდეგ მიმართული საქმე, ამაზე თავად ბრალდებული ადვოკატი ისაუბრებს.

თამუნა ქუთათელაძე: — „ამ საქმის შეთითხვნას ისანი-სამგორის რაიონის პროკურორის დავით გაგნიძის პირადი ინტერესს ვუკავშირებ. პიროვნება, რომელიც იტყვის, მე კაცი კი არა, პროკურორი ვარო, იქ, ალბათ, ყველაფერზე საუბარი დამთავრებულია.“

გიორგი ალანის საქმეში ქუთათელაძემ მისი მშობლის თხოვნით ჩაერთო. ადვოკატის განცხადებით, საქმეში თავიდანვე უამრავი კანონდარღვევა შეინიშნებოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ალანის პატიმრობა მაინც შეეფარდა. ადვოკატისთვის მოგვიანებით გახდა ცნობილი, რომ, თურმე, პარალელურად, იმავე დღეს ალანიაზე კიდევ ერთი საქმე აღძრულა სხვა ფაქტობრივ დაკავშირებით. ბრალდების ვაცნობის შემდეგ ადვოკატმა მოიპოვა მუშების ჩვენებები, რომლებიც ადასტურებდნენ, რომ დანაშაულის ჩადენის დროს ალანია სამსახურში იმყოფებოდა.

თამუნა ქუთათელაძე: — „საერთოდ, ისანი-სამგორის პროკურატურა, გარდა ბრალის წარდგენისა, სხვა საგამოძიებო მოქმედებას არ სცნობს. დაკითხვა, ალიბის შემოწმება მათთვის უცხოა, რაც გასაჩივრებუ-

საგამოძიებო ოთახის საგუშაო საათების დასრულებას აკლდა 5 წუთი, რომდისაც შემოვარდა ნასვამ მდგომარეობაში მყოფი პროკურორი მიხეილ სორგუაშვილი და სიტყვა-სიტყვით ასე თქვა: — „რას გლათაოზ აძ, მე პროკურორი ვარ, მოანერა ხელი ბრალს, ღუმილის უფლება აირჩიე და დავემთავროთ ამით...“

ლი მქონდა პროკურორთან. ავუსხენი გამოძიებულს, რომ ველოდებოდი პროკურორის პასუხს. თუ ის დააკმაყოფილებდა ჩემს საჩივარს და დადასტურებდა, რომ დანაშაულის ჩადენისას ეს პიროვნება არ იმყოფებოდა დანაშაულის ადგილას, ბრალის წარდგენას აზრი არ ექნებოდა. თუ არ დადასტურებდა, ბრალს წაუყებდნენ კანონის ფარგლებში. მაგრამ გამოძიებული დაჟინებით ითხოვდა ბრალის წარდგენას. საერთოდ, კანონი, კოდექსი და კონსტიტუცია ისანი-სამგორის პროკურატურაზე არ ვრცელდება, ისინი რაღაც ავტონომიური კანონებით მოქმედებენ.

მეხუთე საპრობოლიემი ბრალის წარდგენისას ვთხოვე გამოძიებულს, მოეცა ჩემთვის ტექნიკური საშუალების გამოყენების უფლება, რაც კანონით მიღებულია. მან ვერ გაიგო, რა იყო ტექნიკური საშუალება და ამის გასარკვევად დაურეკა პროკურორს, რომელმაც უთხრა, რომ თავად მოვიდოდა მეხუთე საპრობოლიემში. **საგამოძიებო ოთახების სამუშაო საათების დასრულებას აკლდა 5 წუთი, რომდისაც შემოვარდა ნასვამ მდგომარეობაში მყოფი პროკურორი მიხეილ სორგუაშვილი და სიტყვა-სიტყვით ასე თქვა: — „რას გლათაოზ აძ, მე პროკურორი ვარ, მოანერა ხელი ბრალს, ღუმილის უფლება აირჩიე და დავემთავროთ ამით...“** შევატყვე, რომ ნასვამი იყო და მოვიტხოვე



ბრალის დადგენილება, სადაც შენიშვნის სახით შევიტანე, რომ პროკურორმა ვერ გააგებინა ვერც ბრალდებულს და ვერც ადვოკატს, რა უნდოდა და რას ითხოვდა. ამის შემდეგ მან დაყარა ეს ფურცლები და გავარდა გარეთ. იმ საღამოსვე პროკურორის მიერ დაყრილი ოქმები ისანი-სამგორის რაიონის პროკურორ დავით გაგნიძეს მივუტანე. ვუთხარი, რაც მოხდა, რისთვისაც ხორგუაშვილისგან ბოდიშის მოხდას ვითხოვდი. პროკურორმა ხორგუაშვილი კი დაიბარა, მაგრამ არავის მოუბოდიშებია. პროკურორის ოთახიდან გამოსულმა ხორგუაშვილმა კორიდორში მყოფთ დაგვცინა და წავიდა. ცოტა ხანში გაგნიძეც წავიდა, ისე, რომ ჩვენთვის აღარფერი უთქვამს. რაკი გაგნიძემ არანაირი რეაგირება არ მოახდინა, მე დავრეკე გენერალურ ინსპექციაში და შევატყობინე, რომ პროკურორი იყო ნასვამ მდგომარეობაში და შეურაცხყოფა მომაცინა, მაგრამ ჩვენება აღნიშნულთან დაკავშირებით არ მიმიცია, რადგან არ მინდოდა, ხორგუაშვილს ცხოვრება ჩემ გამო დამახინჯებოდა. იმ საღამოს ხორგუაშვილი ნარკოლოგიურში წაუყვანიათ, მაგრამ რატომღაც დასკვნა, რომელიც მეც გამომიგზავნეს, მის ნასვამ მდგომარეობაში ყოფნას არ ადასტურებდა. მშვენივრად ვიცი, რომ სისხლში ალკოჰოლი 48 საათის განმავლობაში რჩება. ამ პიროვნებისთვის

რაიმე ცუდი რომ მნდომოდა, ამ დასკვნას გავასაჩივრებდი და ხელახლა მოვიტხოვდი ექსპერტის დანიშვნას.

ამ ფაქტიდან რამდენიმე თვის შემდეგ, როცა ალანის საქმე სასამართლოში გადაიგზავნა და მის ქსეროასლს ვაკეთებდი, აღმოვაჩინე დადგენილება, რომელშიც ეწერა: — „გამოიყოს საქმე ქუთათელაძის მიმართ ბრალდებულ ალანის საქმიდან.“ თითქოს მე გამოძიებას ვუშლიდი ხელს და შეურაცხყოფა მიმიყენებია პროკურორისთვის. იმ კანონდარღვევების შემდეგ, რაც მათ ჩაიდინეს, ჩემი დევნის დაწყება უკვე კულმინაცია იყო.

— გამოდის, რომ ამის შესახებ შემთხვევით გაიგეთ, რატომ არ გაცნობათ აღნიშნული გამოძიება?

— რა გითხრათ?! ერთხელაც არ დავკითხულვარ აღნიშნულ საქმეზე, ჩემ მიმართ ბრალიც კი დაუსწრებლადაა წარდგენილი, რადგან, თურმე, მიმალვაში ვიყავი. ამ დროს მე ამოღებული მაქვს სასამართლოს სხდომის ოქმები, რითაც დასტურდება, რომ ვესწრებოდი პროცესებს. თუ სასამართლო, პოლიცია და პროკურატურა დასამალი ადგილია, მაშინ ყველა ძეხნილი მას შეაფარებდა თავს.

ალანის საქმე, ფაქტობრივად, დაშლილი იყო, როცა გადაიგზავნა სასამართლოში და ჩემივე მეშვეობით გაფორმებული საპროცესო შეთანხმებით იგი

გაათავისუფლეს. 6 თვის შემდეგ კი თავად წამეყენა ბრალი, თითქოს გამოძიებას ხელს ვუშლიდი. არადა, როგორ, დღემდე ვერ გავიგე, რადგან თავად პროკურატურა ამტკიცებს, რომ ბრალის წარდგენის პროცედურა კანონიერად ჩატარდა. აბა, რისთვის მასამართლებენ? ყველაზე სასაცილო კი ის არის, რომ პროკურორმა და გამოძიებლებმა, რომელთაც აქვთ უმაღლესი იურიდიული განათლება, თურმე, არ იცოდენენ, რომ დაზარალებულები იყვნენ და ეს გაიგეს ორი თვის შემდეგ — როცა გამოძიებელმა დაიბარა და აცნობა, რომ დაზარალებულად უნდა დაეკითხა. მაშინ განაცხადეს აბსურდული ბრალდების შესახებ, რომ, თურმე, მე გამოძიებელი დამინყველია და ამით მორალური ზიანი მიუღია, ხოლო პროკურორს დაეპირებოვარ, რომ ბიჭებს ვაცემინებდი მის თავს.

ნოემბრის აქციებზე მე გავაპროტესტე სასამართლოს არარსებობა, რომ პროკურატურის მიერ გამოცემული ნებისმიერი აქტი კონსტიტუციაზე მალა დგას, რის გამოც სასწრაფოდ წამოსწიეს ჩემი მივიწყებული საქმე... სასამართლოში პროცესი 10 ნოემბერს დაინიშნა. მათ გადაწყვეტილი ჰქონდათ ჩემი დაკავება, რადგან საგანგებო მდგომარეობა იყო და ადვილად შეიძლებოდა ამ ფაქტის მიჩუმება.


— გაქვთ იმედი, რომ გამამართლებენ და დაგებენ?

— ამ უკანონოებიდან გამომდინარე, რაც დღეს საქართველოში ხდება, შეიქმნა ადვოკატთა პროფკავშირები, სადაც ყველა კვალიფიციური ადვოკატია გაერთიანებული. ჩვენ ვცდილობთ და აუცილებლად მივალწევთ, რომ ამ სამარცხვინო საქმეზე დადგეს გამამართლებელი განაჩენი, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იქნება განაჩენი არა მხოლოდ ერთი ადვოკატის, არამედ — ადვოკატურის მიმართ. ეს იქნება ადამიანების უფლებაზე თვალის დახუჭვის, ადვოკატების მოთვინიერების, ფეხქვეშ გათელვის განაჩენი და ყოველი ადვოკატი, რომელიც შეეცდება ადამიანის უფლებების დაცვას, შესაძლოა, თავად გახდეს ბრალდებული. ადვოკატების ინტერესების დაცვა, ფაქტობრივად, საზოგადოების ინტერესების დაცვაა, რადგან თუ დაცვის უფლება არ არის უზრუნველყოფილი, მაშინ დაღუპულია ქართული საზოგადოება.

დარწმუნებული ვარ, რომ ჩემ წინააღმდეგ მიმართული ქმედებები პროკურორ გაგნიძის ხელწერაა. თუმცა ჩვეულებრივ ვანარმოვ საქმეებს, ჩემი შესაძლებლობები ჯერ არ ამომიწურავს და ახლაც მაქვს საქმე ისანი-სამგორის რაიონში. იმის გამო, რომ იქ გაგნიძეა, უკან წამდილად არ დავიხვე. საპროცესო შეთანხმების გაფორმება არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს ჩემთვის, მაგრამ ამას მხოლოდ იმიტომ არ ვაკეთებ, რომ მინდა სამართალმა იხეილოს.

რატომ შეარქვანა ოსეოლამ ამერიკის პრეზიდენტები

ძველი ხალხები, როდესაც მტარვალ ტირანებს ვერ ამარცხებდნენ, წყევლას მიმართავდნენ. იცოდნენ, რომ კრულვას ზებუნებრივი ძალა ჰქონდა. ისტორიული ფაქტებით დასტურდება, რომ წყევლა 7 თაობას გადაეცემა და დაწყებული გვარის შტო ნადგურდება. ამიტომ ყველა ხელისუფალი უნდა ფიქრობდეს, იმდენი წყენა და ტყვილი არ მიაყენოს თვისტომს, რომ საქმე სანყევლად გაიხადოს. როგორ ამბობს — „წყევლა მანყევარისააო!“ დიხ, ასეც ხდება, როდესაც ღვთიური კანონზომიერება უკიდურესი სამართლისა დარღვეულია, თუ არა და... წყევლის ზემოქმედებით უკეთურთა მოდგმა ნადგურდება.



მეცნიერებმა წყევლის მაგიური ძალის ასახსნელად სპეციალური აპარატი შექმნეს, რომელიც წყევლაში გამოყენებულ სიტყვებს ელექტრომაგნიტურ ტალღებად გარდაქმნის. შედეგი სენსაციური აღმოჩნდა. სიტყვების რენტგენული შუქი 30 000 რენტგენის ტოლია და რადიაციულ დასხვივებას უდრის. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ წყევლა მოიქცევა ინფორმაციულ ზემოქმედებას ახდენს, პირდაპირ ურტყამს გენურ სისტემას და მის ბიოლოგიურ უკურეაქციას იწვევს. (სოლომონ თეულაშვილი: „საბედისწერო ფაქტები გამოცენილ ადამიანებში“ („საქართველოს მაცნე“, თბილისი, 1999 წ. გვ.134)

პირველი წყევლა ღვთის წყევლის სახელით ბიბლიამ შემოგვინახა. უფალმა დაწყევლა ადამი და ევა სამოთხიდან განდევნისას: ევაშ შვილები შობოს და ეს იყოს მისი მარადიული განსაცდელი, ხოლო ადამმა ოფლითა მისითა მოიპოვოს პური არსობისა. ეს წყევლა ადამის მთელ მოდგმაზე გადმოვიდა. ევას მაცდურ გველს კი უთხრა: — „მტრობას ჩამოვადგე შენსა და დედაკაცის თესლს შორის, ის თავს გიჭყყავდეს, შენ კი ქუსლს უგესლავდე (დაბ. გ. 15). უფალმა დაწყევლა თავისი საზებუროერი: „მდგმურად იქნება შენი შთამომავლობა სხვის ქვეყანაში, დამორჩილებული და დაჩაგრული ეყოლებათ ოთხას წელს“... წყევლა ახდა.

ისტორიამ შემოინახა ფრანგი არისტოკრატის ჟაკ დე მოლის წყევლა საფრანგეთის მე-

ფე ფილიპე ლამაზის მიმართ. ფილიპე ლამაზს დიდი ზემოქმედება ჰქონდა პაპ კლიმენტი მეხუთეზე. პაპის დახმარებით ფილიპემ მოინდომა ტამლიერების ქონების უკანონოდ ხელში ჩაგდება. ამ დროს ჟაკ დე მოლი ბანკს ხელმძღვანელობდა. ინტრიგული ხლართებით და ცრუ ბრალდებებით ჟაკ დე მოლი ეშაფოტის კოცონზე დაწვეს, რათა ქონების მიტაცებაში მეფისთვის ხელი არ შეეშალა. **ეშაფოტზე ასვლისას უპატიოსნესმა მაგისტრმა მეფესა და პაპს მიმართა: — „ერთი წელიც არ გავა, რომ ღვთის სამსჯავროზე წარსდგებით და სამართლიან სასჯელს ვერსად გაექცევით, და მინყვლია თქვენი გვარი მე-13 მუხლამდე“.** ფილიპემ ჯალათებს ანიშნა, ნულარ ალაპარაკებოთ. აუტოდაფედან 40 დღის შემდეგ პაპი კლიმენტი V უეცრად გარდაიცვალა, ფილიპე IV კი ნადირობისას დაიღუპა. აღსარებისას ორივე გამოუტყდა მღვდელს, რომ ჟაკ დე მოლის წყევლა აუხდათ.

პეტრე პირველმა ღვიძლი შვილი — ალექსი შლისელბურგის ციხეში ჯალათებს დაახრჩობინა. უკანასკნელ წუთებში უფლისწული განწირული ყვიროდა, საკუთარ მამას წყევლიდა. წყევლა მარტო პეტრე პირველზე კი არა, მთელ მის 7 თაობაზე გადავიდა და რომანოვების დინასტიის აღსასრულით დამთავრდა. პეტრე II სამი წელი იმეფა და გარდაიცვალა, პეტრე III — კი მხოლოდ ერთი წელი — საკუთარი მეუღლის ბრძანებით მოკლეს, ივანე IV ბავშვობაში გარდაიცვალა. ნი-

კოლოზ II და უფლისწული დახვრიტეს. ეს უკანასკნელი პეტრე I მემვიდე თაობა იყო.

წყევლა „პულსა დენურა“ ძლიერი ზემოქმედებით ხასიათდება, მას კაბალისტები იყენებენ. იგი სწრაფმოქმედი და ერთ თვეში სრულდება. 1995 წლის 3 ოქტომბერს იცხაკ რაბინის მკვლელობას წინ „პულსა დენურა“ უძღოდა, რომე-

ლი კანდიდატი, თუ თარიღი წულით დაბოლოებულ წელიწადს დაემთხვეოდა, პოსტს ცოცხალი არ დატოვებდა. ინდიელთა წყევლა აღსრულდა: 1840 წელს ფილტვების მოულოდნელი ანთებით უილიამ ჰარისონი გარდაიცვალა, 1860 წელს აბრაამ ლინკოლნი თეატრში მოკლეს, 1881 წელს ჯეიმს პარფილი გარდაიცვალა, 1900 წელს მაკ კლინიც მოკლეს და ასე შემდეგ... 20 წლის ინტერვალით ამერიკის პრეზიდენტებზე თავდასხმა და მკვლელობა ხორციელდებოდა. ამ გამოთვლით, სიკვდილის საფრთხე არა ერთ პრეზიდენტს ემუქრება, ინდიელთა წყევლის ძლევამოსილება კი უცვლელი რჩება.

გრიმალდების სამეფო გვარის წყევლამ მსოფლიო ალაპარაკა. ლეგენდის თანახმად, VIII საუკუნეში მონაკოს პრინცმა უმშვენიერესი ქალიშვილი შეაქცინა, შემდეგ კი მიატოვა. ქალწულმა სამეფო ოჯახი დაწყევლა: — „დაე, ვერც ერთმა გრიმალდმა ქორწინებაში ბედნიერება ვერ პოვოს“... ფაქტების მიხედვით, ამ წყევლის მაგიური ძალა დღესაც მოქმედებს. 1955 წელს პრინცმა რენიემ და ჰოლივუდის ვარსკვლავმა გრისმა ზღაპრული ქორწინება გააფორმეს. მათ საქორწინო რიტუალს მილიარდული ონასისი ვერტმფრენიდან ყვავილებს აყრიდა... მაგრამ ისინი დაშორდნენ. პრინცესა კაროლინამ ფრანგი ფილიპო შეიყვარა, მაგრამ მალე გასცილდა და იტალიელ ბიზნესმენს გაჰყვა, რომელიც ავტოკატასტროფაში დაიღუპა. პრინცესა სტეფანამ ჯერ ჟან-პოლ ბელმონდოს ვაჟზე იქორწინა, შემდეგ — ენტონი დელონზე. ბოლოს დელონიც მიატოვა და პირადი მკვლელობის ორი შვილი გააჩინა, რითაც შეურაცხყო ცისფერი სისხლი. პრინცი ალბერტი მარტოსულად ცხოვრობს, რადგან წყევლის ემინა — გრიმალდების გვარს პირადი ცხოვრებაში არ უმართლებს.

ცხოვრების მწვერვალზე მდგომთ ხშირად ბრიყვულად სჯერათ, რომ მათ ვერავინ და ვერაფერი მოერევთ. მატერიალურ უზრუნველყოფაში ჩაფლულთ სიამაყითა და პატივმოყვარეობით „მოთრალბს“, მინიერ სიამოვნებებში გართულთ, ჰგონიათ, რომ ბუნებაში სამაგიერო არ არსებობს. ფაქტები კი მონიშნა, რომ უხილავი, მოუწოდომელი, მარადიული, ადამიანური გონისთვის აუხსნელი ძალა ჩვენს ყოფიერ შეცდომებს აკონტროლებს და გვსჯის კიდევ.

170 წლის განმავლობაში ამერიკის პრეზიდენტებს გაუგებარი ბედისწერა სდევნიდათ. მისტიკოსები, ტრადიციებისა და რელიგიის მკვლევართა არმია ამ უცნაურ საბედისწერო შემთხვევათა კრიალოსანზე მუშაობდნენ. ისინი საოცარ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ამერიკელ პრეზიდენტებს ინდიელთა წყევლა სდევნიდათ: **1830 წელს პრეზიდენტმა ჯექსონმა ინდიელთა გადასახლების დადგენილება მიიღო. ინდიელებმა უმაღლეს სასამართლოში იჩივეს და პროცესი მოიგეს. ამის მიუხედავად, პრეზიდენტმა მათი დეპორტაცია განაგრძო და 600 000 ინდიელი გადასახლა. 1832 წელს ამერიკის პრეზიდენტი შეიცვალა, მაგრამ ინდიელების მიმართ პოლიტიკა უცვლელი დარჩა. ამერიკელებსა და ინდიელებს შორის სისხლიანი შეტაკება მოხდა. ინდიელთა მეთაური — ოცეოლა ჩენერალმა ჯე-საჰმა ტყვედ ჩაივალა. იგი ციხეში გარდაიცვალა. მაშინ კი ინდიელთა უხუცესთა საბჭომ წყევლას მიმართა, რომელსაც უძველესი ტომი სპეციალური რიტუალით ასრულებდა. ამერიკის ყველა პრეზიდენტი შეაჩვენეს — არჩევნებში გამარჯვებუ-**

ლი კანდიდატი, თუ თარიღი წულით დაბოლოებულ წელიწადს დაემთხვეოდა, პოსტს ცოცხალი არ დატოვებდა. ინდიელთა წყევლა აღსრულდა: 1840 წელს ფილტვების მოულოდნელი ანთებით უილიამ ჰარისონი გარდაიცვალა, 1860 წელს აბრაამ ლინკოლნი თეატრში მოკლეს, 1881 წელს ჯეიმს პარფილი გარდაიცვალა, 1900 წელს მაკ კლინიც მოკლეს და ასე შემდეგ... 20 წლის ინტერვალით ამერიკის პრეზიდენტებზე თავდასხმა და მკვლელობა ხორციელდებოდა. ამ გამოთვლით, სიკვდილის საფრთხე არა ერთ პრეზიდენტს ემუქრება, ინდიელთა წყევლის ძლევამოსილება კი უცვლელი რჩება.

გრიმალდების სამეფო გვარის წყევლამ მსოფლიო ალაპარაკა. ლეგენდის თანახმად, VIII საუკუნეში მონაკოს პრინცმა უმშვენიერესი ქალიშვილი შეაქცინა, შემდეგ კი მიატოვა. ქალწულმა სამეფო ოჯახი დაწყევლა: — „დაე, ვერც ერთმა გრიმალდმა ქორწინებაში ბედნიერება ვერ პოვოს“... ფაქტების მიხედვით, ამ წყევლის მაგიური ძალა დღესაც მოქმედებს. 1955 წელს პრინცმა რენიემ და ჰოლივუდის ვარსკვლავმა გრისმა ზღაპრული ქორწინება გააფორმეს. მათ საქორწინო რიტუალს მილიარდული ონასისი ვერტმფრენიდან ყვავილებს აყრიდა... მაგრამ ისინი დაშორდნენ. პრინცესა კაროლინამ ფრანგი ფილიპო შეიყვარა, მაგრამ მალე გასცილდა და იტალიელ ბიზნესმენს გაჰყვა, რომელიც ავტოკატასტროფაში დაიღუპა. პრინცესა სტეფანამ ჯერ ჟან-პოლ ბელმონდოს ვაჟზე იქორწინა, შემდეგ — ენტონი დელონზე. ბოლოს დელონიც მიატოვა და პირადი მკვლელობის ორი შვილი გააჩინა, რითაც შეურაცხყო ცისფერი სისხლი. პრინცი ალბერტი მარტოსულად ცხოვრობს, რადგან წყევლის ემინა — გრიმალდების გვარს პირადი ცხოვრებაში არ უმართლებს.

ცხოვრების მწვერვალზე მდგომთ ხშირად ბრიყვულად სჯერათ, რომ მათ ვერავინ და ვერაფერი მოერევთ. მატერიალურ უზრუნველყოფაში ჩაფლულთ სიამაყითა და პატივმოყვარეობით „მოთრალბს“, მინიერ სიამოვნებებში გართულთ, ჰგონიათ, რომ ბუნებაში სამაგიერო არ არსებობს. ფაქტები კი მონიშნა, რომ უხილავი, მოუწოდომელი, მარადიული, ადამიანური გონისთვის აუხსნელი ძალა ჩვენს ყოფიერ შეცდომებს აკონტროლებს და გვსჯის კიდევ.

მოაზზადა
ლალი შაშიაშვილი

ეკონომიკური სიტუაცია რუსეთში გაზაფხულზე გაუმჯობესებას დაიწყებს

რუსეთის ეკონომიკის დაცემა იანვარში 2,4%-ით იყო საკარადო, მაგრამ სიტუაცია დაიწყებს შეცვლას უკეთესობისაკენ უკვე გაზაფხულზე, — მიიჩნევენ „რია-ნოვოსტის“ მიერ გამოკითხული ექსპერტები.

ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ელვირა ნაბიულინამ განაცხადა, რომ რუსეთის შინაგანი მთლიანი პროდუქტია იანვარში სეზონურობის (პირველ რიგში, იანვრის ხანგრძლივი არდადეგების გამო) გათვალისწინებით შემცირდა 2,4%-ით. მიმდინარე სიტუაციას ეკონომიკაში მინისტრმა უნდა საკმაოდ რთული და განაცხადა, რომ ასეთი ტენდენცია შენარჩუნდება პირველი კვარტლის ბოლომდე.

ამ დროს, ქვეყნის ეკონომისტები ერთსულოვნებით არიან იმაში, რომ მხოლოდ იანვრით არ დამთავრდება ეკონომიკური დაცემა. ბანკ „ტრასტის“ ანალიტიკოსის ევგენი ნედორშინის აზრით, შინაგანი მთლიანი პროდუქტის დაქვეითება არ შემოიფარგლება პირველი კვარტლით და გაგრძელდება რამდენიმე თვე, მაგრამ გარდატეხა შეიძლება დაიწყოს აპრილ-მაისში.

ირანის თავდასვინს საშინისტროს რუსეთის სამხედრო ტექნოლოგიები იმედი აქვს

მოსკოვში ჩასულმა ირანის თავდაცვის მინისტრმა მუსტაფა მოჰამედ-ნაჯარმა განაცხადა, რომ ისლამური რესპუბლიკის სამხედრო სიმძლავრე — ესაა ხალხის დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვისა და თერანის მიმართ მოქმედი სანქციების შედეგი.

„ისლამური რევოლუციის გამარჯვებამდე ირანში ქვეყანა მთლიანად იყო დამოკიდებული ამერიკის შეერთებულ შტატებზე, მათ შორის, თავდაცვის სფეროშიც, — აღნიშნა მან. — ოკუპანტების განდევნის შემდეგ მათ ჩვენ დაგვადეს სანქციები და ფიქრობდნენ, რომ ვერ შევძლებდით ჩვენი ეროვნული ინტერესების დაცვას. ირანელმა ხალხმა მხოლოდ საკუთარ ძალებზე დაყრდნობით შეძლო, მთლიანად უზრუნველყო თავისი მოთხოვნები სამხედრო სფეროში და შექმნა მნიშვნელოვანი თავდაცვითი სიძლიერე“.

მინისტრმა განაცხადა, რომ უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში ირანი არავის დასხმია თავს. მას განზრახული აქვს, გამოიყენოს რუსეთის მოწინავე სამხედრო ტექნოლოგიები. ჩვენ ორ ხალხს გვაქვს საერთო საფრთხე და შესაძლებლობანი რეგიონში, ზოგიერთ საკითხში კი „ჩვენი პოზიციები და ინტერესები მთლიანად ემთხვევა ერთმანეთს“, — გადმოგვცემს „იტარ-ტასი“.

ამასთან, რუსეთის მხარე უარყო ირანის გაზეთების მიერ გავრცელებული ცნობა იმის შესახებ, რომ რუსეთი აწვდის ირანს ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა C-300-ს.

რუსეთის ფედარაცია იმედს მაღალი სიზუსტის იარაღზე ამაყობს

ოპერატიულ-ტაქტიკური სარაკეტო კომპლექსების „ისკანდერიას“ და აგრეთვე მაღალი სიზუსტის საშუალებების წარმოება სამხედრო-საჰაერო ძალებისა და სამხედრო-საზღ-

ვო ფლოტისათვის რუსეთში გაიზრდება. ამის შესახებ განაცხადა რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების შეიარაღების უფროსმა, თავდაცვის მინისტრის მოადგილემ,

გენერალ-პოლკოვნიკმა ვლადიმერ პოპოვიჩმა.

„ჩვენ პრიორიტეტს ვანიჭებთ მაღალი სიზუსტის იარაღის შექმნას, რომელიც უძლებს ბალ-მასკარადს ბრძოლის ველზე... შეიარა-

ღებული ბრძოლის განვითარების დღევანდელმა ეტაპმა და, კერძოდ, ოპერაციამ საქართველოს სამშვიდობო იძულებისათვის მკაფიოდ წარმოაჩინა ის, რომ ჯარებს სჭირდებათ მაღალმანევრირანი მაღალი

სიზუსტის თანამედროვე შეიარაღება... საჭიროა, რომ დანაკარგები საერთოდ არ იყოს, ან იყოს მხოლოდ ერთეულები“, — აღნიშნა მან „კრასნაია ზეზუდასთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

სააკაშვილი — იუზენკო: დუეტი განდურაზე



„მომხერბა თქვენი აყროლებული გაზი“, — ასეთ რამეს ყოველ კომუნალურ სამზარეულოში როდი გაიგონებ. „როდესაც გვეუბნებიან, რომ საქართველომ უნდა გადაიხადოს კუბურ მეტრზე 235 დოლარი, ეს ისეა, როგორც „საფერავი“ — ყველაზე მომნამლავი ნივთიერება მსოფლიოში“.

ეს გამონათქვამები ეკუთვნის ორი დამოუკიდებელი ქვეყნის — უკრაინისა და საქართველოს ლიდერებს. ბატონი იუზენკო და ბატონი სააკაშვილი დიდად არ იწუხებენ თავს ამ საქმეში. სხვათაშორის, ეს ორი პრეზიდენტი მხოლოდ ერთ რამეში მსგავსება როდია, რომლებიც ხელისუფლებაში მოვიდნენ ორი ფერადი რევოლუციის ტალღაზე. თუმცა არც ქუჩიდან მოსულან პრეზიდენტების სასახლეებში. ერთ-ერთმა დაამთავრა ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტი, სწავლობდა სტრასბურგის ადამიანთა უფლებების ინსტიტუტში, ევროპული სამართლის აკადემიაში ფლორენციაში, კიევის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტში. მეორეს, რომელმაც შრომითი საქმიანობა დაიწყო კომუნურებში „ოქტომბრის 40-წლის თავში“ მთავარი ბულალტის თანამშემუნე, აქვს უკრაინის დამსახურებული ეკონომისტის წოდება. ორივეს „სახელმწიფო დებარტამენტის პროექტს“ უწოდებენ. ბუნებრივია, პოლიტიკაში ორივენი პროამერიკული კურსის მიმდევრები არიან. ორი ხელმძღვანელის უტყუარ სხვაობად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ სააკაშვილმა პრეზიდენტად ყოფნის დროს შეძლო ხუთი პრემიერის შეცვლა. იუზენკომ კი ნაიფორხილა მეორეზე. იულია ტიმოშენკო კი არ აღმოჩნდა მისი საკბილო. „გაზის ომში“ ბარიკადების სხვადასხვა მხარეს აღმოჩენილი თავისი ყოფილი თანამოაზრის გამო იგი მზადაა, „მყარალი გაზიც“ კი გასწიროს, და მხოლოდ იმისათვის, რომ მოახდინოს ტიმოშენკოს მთავრობის დისკრედიტაცია. მაგრამ პრეზიდენტის თავდასხმებს ყველა როდი უჭერს მხარს. მათმა

საჯარო დავამ ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომაზე კიდევ უფრო დაბლა დასწია პრეზიდენტის ისედაც დაბალი რეიტინგი უკრაინელთა თვალში (აი, უკვე ორი თვეა, იგი 5%-ის დონეზეა). ხელისუფლების შენარჩუნებისათვის სააკაშვილი მზადაა, გასწიროს თავისი მოქალაქეების ინტერესები. აგვისტოს ომის შემდეგ მოსკოვთან ურთიერთობის განყვეტით მან საგრძობი დარტყმა მიაცენა რუსეთს. თანაც, არა მხოლოდ ადამიანურობის თვალსაზრისით, არამედ ეკონომიკურადაც. მაგრამ როგორ აამაღლონ ამ ორი ადამიანის რეიტინგი? იქნებ ეს მათმა ცოლებმა შეძლონ? არა გვგონია. გინდ ის იყოს კატრინ კლერ ჩუმარჩენკო ფლორენცის შტატიდან, გინდ — სანდრა რულოვსკი, პოლანდიელი, არსებობდა ორივე უცხოელი, რომლებსაც არ შეუძლიათ, შეიგრძნონ აქ სამოქალაქო ცხოვრების პულსი. ჩიხიდან გამოსავლებს, სადაც ისინი მიიყვანა საკუთარმა პოლიტიკამ, უკრაინისა და საქართველოს პრეზიდენტები გასაოცრად ერთნაირად ნახულობენ. ცდილობენ, ეკონომიკური პრობლემები გადაწყვიტონ დასავლელ მსესხებელთა ხარჯზე. იუზენკო-საკაშვილის ქვეყნის სინქრონიზაციას მიყვარათ იმ აზრამდე, რომ მათი მოქმედებათა გეგმები შედგენილია ერთ ოკეანისგალმელ ცენტრში. რა უნდა ქნას მოსკოვმა? რუსეთი არ ერევა მათ სამინაო საქმეებში. მას აქვს ახალი შანსი, მხარი დაუჭიროს ნამდვილად ეროვნულზე ორიენტირებულ ძალებს მეზობელ ქვეყნებში.

პატარინა მურომცევა
რია ნოვოსტი

საქართველო ყვავის რუსეთთან ღვით

2006 წელს რუსეთის ბაზრის დაკარგვის შემდეგ საქართველომ დაიწყო თავისი საქონლის ხარისხის გაუმჯობესება და ახალი ბაზრების ძიება, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გამომცემლობა „ელ პაისთან“ ინტერვიუში. „ამჟამად ვანარმოებთ დვინის ექსპორტს სკანდინავიაში და იგი უკეთესი ხარისხისაა, ვიდრე ის, რომელსაც რუსეთში ვყიდდით“, — აღნიშნა სააკაშვილმა.

საქართველომ მიადნია შედარებით ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას და „მზადაა, დაუპირისპირდეს ნებისმიერ შანტაჟს“. სააკაშვილმა აღნიშნა, რომ „რუსეთი აგრძელებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაციას“, მაგრამ ამან გავლენა არ მოახდინა საქართველოს განვითარებაზე, სადაც, საერთაშორისო სავალუტო ფონდის აზრით, ეკონომიკური ზრდა 2009 წელს შეადგენს 2-3%-ს, რუსეთისაგან განსხვავებით, რომელიც რეცესიაში შევიდა.

კოსოვოში დაწყებული პროცესის შეჩერება შეუძლებელია

ერთი წლის წინათ, 2008 წლის 17 თებერვალს, სერბიის შემადგენლობაში შემავალმა მხარეებმა კოსოვომ და მეტოხიამ ცალმხრივი წესით გამოაცხადეს თავიანთი დამოუკიდებლობა, რომელსაც გაეროს უშიშროების საბჭოს ყველა რეზოლუციის დარღვევით, მხარი დაუჭირეს ნამყვანმა დასავლელმა სახელმწიფოებმა. ამ პროცესს კომენტარს უკეთეს ბელგრადის უნივერსიტეტის პროფესორი მიროსლავ იოვანოვიჩი. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და დასავლეთის ნამყვანმა

ქვეყნებმა, სხვადასხვა მხარის გაფრთხილების მიუხედავად, კოსოვოსაგან შექმნეს პრეცედენტი საერთაშორისო სამართალში. 1990-იანი წლების დასაწყისის სოციალისტური ფედერაციების (სსრკ, ჩსსრ და იუგოსლავიის ფედერაცია) დაშლისაგან განსხვავებით, როდესაც ეს დაშლა ხდებოდა რესპუბლიკების დონემდე, კოსოვოს საკითხი ერთი საფეხურიით დაბლაა. მაგრამ ისტორიის პროცესებს ვერაფერს შეაჩერებს. ამერიკის შეერთებული შტატების „კონტროლირებადი ქაოსის“ პო-

ლიტიკას აქვს საკმაოდ სერიოზული შეზღუდვები. ამ ქვეყნის დასუსტების კვალობაზე (ეს კი შექმნილი საფინანსო და ეკონომიკური კრიზისის ფონზე შეიძლება კიდევ უფრო გაღრმავდეს) ეს პროცესი მხოლოდ გაძლიერდება. ხოლო თუ გავითვალისწინებთ, რომ საზღვრები ევროპაში გვეჩვენება კიდევ უფრო მყარი, აფრიკის საზღვრებთან შედარებით, სადაც ეს საზღვრები სახაზავებით იქმნებოდა, შეიძლება წარმოვიდგინოთ კოსოვოს პრეცედენტის მასშტაბები.

რეზუმი

ბუჟინსკის ღარიბი ამერიკელების უშიშროება

ამჟამინდელმა საფინანსო კრიზისმა შეიძლება ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოიწვიოს მდიდრებისა და ღარიბების მასობრივი შეტაკებები. „კლასობრივი კონფლიქტების“ შესაძლებლობას ქვეყანაში არ გამოიციხავს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ყოფილი თანამშემუნე

ეროვნული უშიშროების საკითხებში ზიგნევი ზეჟინსკი. პოლიტოლოგი აღნიშნავს, რომ ეკონომიკური კრიზისი მალე გამოიწვევს მილიონობით ამერიკელის უმუშევრობას, რის შედეგადაც ბევრი ხალხი გადააწყდება სერიოზულ მატერიალურ გაჭირვებას. მას მიაჩნია, რომ სოცია-

ლური აფეთქების კატალიზატორად შეიძლება იქცეს ზოგიერთი კომპანიის არაეფექტური პოლიტიკა, რომლებიც ბიუჯეტიდან იღებენ უზარმაზარ სახსრებს და არ იყენებენ მათ ეკონომიურად.

პატარინა მურომცევა
რია ნოვოსტი

რუსეთი სიზმარით აღსავსე პარადოქსებით. ერთ-ერთ მათგანს ჩვენ ახლა ვაძვევებთ თვალყურს. კრიზისია. რუბლი ფეხზე ვეღარ დგება, როგორც წყლქიანი. საბრუნავი სახსრების უქონლობის გამო ქარხნები სულს ღაფავენ, როგორც ნაპირზე გამოიყვანილი ვეშაპები. ცარიელ ქილებში მრავლდება ობობები. ფინანსთა სამინისტრო შლის ბიუჯეტიდან მიზნობრივ პროგრამებს, როგორც ნარმატიული ქილერი — მის მიერ მოკლული მსხვერპლის სახელებს სიდან. ოცი წლის შემდეგ ქვეყნის თავზე ჩნდება გორბაჩოვის ბუმბერაზი ნიშანი. პატრიოტები სევდიანად იხსენებენ გათქვირებულ წლებს. მტრები უსტვენენ სამგლოვიარო მარშს. სასონარკვეთილებამდე მისული ხალხი ცდილობს, ამოხსნას კოსოვო-დი სამი სიტყვისაგან: „მომშილი“, „სილარბი“, „აბორტი“. და უეცრად ამ ტკბილ ხრწნილს ერთი-მეორის მიყოლებით არღვევს ოთხი საგარეოპოლიტიკური ინიციატივა. მოსკოვს მიყურადებელი ყირგიზეთი დევნის ამერიკელებს „მანასის“ ბაზიდან, ბელორუსია ერთიანდება რუსეთთან ცით, ქმნიან ერთობლივ რაკეტსანინალმდეგო თავდაცვას. დსთ-ს შეიდი წევრი ვარშავის ხელშეკრულების ნანგრევებზე ნატოსთან დაკავშირებით აგებს ახალ „მოსკოვის ხელშეკრულებას“ — ოპერატიული რეაგირების კოლექტიურ ძალებს. და ამასთან ერთად რუსეთი იწებებს ლოიალურ პოსტ-საბჭოთა რესპუბლიკებს, აძლევს მათ „გადარჩენის კრედიტებს“ რამდენიმე მილიარდი დოლარის ოდენობით. ნაკუნებად დაშლის პირას მყოფი უკრაინა მზადაა, ხუთ მილიარდად აღიაროს რუსეთი თავის მშობლად. მოლდავეთის პრეზიდენტი ვორონინიც აცხადებს, რომ უნდა გამოსვლა სუამიდან. გორბაჩოვიზმის პიკში ასე ჩვენ თვალწინ ახალი სახით ცოცხლდება რესპუბლიკათა



დადაინის ბეჭდული

კავშირი. ბალტიისპირეთის ბუნტებისა და უკრაინის დეფოლტის მუხისკის ქვეშ, კავკასიის ქედს იქითა ბრძოლებისა და გაზით მდიდარი შუა აზიის ფონზე, ზოგადსაკაცობრიო კრიზისის წინა პერიოდში იზადება ახალი გეოპოლიტიკური არსება ძველი ნომრით „1/6“. ეს რუსეთი ბრუნდება თავის საიმპერიო კალაპოტში. ამერიკის შუა აზიიდან გამოდევნით, ევროპის მილსადენებით შეზღუდვით, სააკაშვილისაგან ფოთის გათავისუფლებით, სომალში გემების, ვენესუელაში კი ბომბდამშენების გაგზავნით ქვეყანა იცავს თავის უფლებებს გადარჩენაზე „ისტორიის დასასრულს“ კატასტროფულ ფანტასმაგორიებში. რუსეთის შეტაკება სხვა სუპერსახელმწიფოებთან გარდაუვალია, როგორც მათი თანამგზავრების შეჯახება დედამიწის ორბიტაზე. რუსი ულტრანაციონალისტისათვის რუსეთის დაბრუნება განაპირა მხარეებში — ესაა ხელისუფლების დანაშაულებრივი ახირებულობა კრიზისის პირობებში, რის გამოც დაგროვილი ძვირადღირებული რესურსები „იყრება ეროვნულ უმცირესობათა შესანახად“.

მხოლოდ იმპერიად ყოფნის დროს შეუძლია რუსეთს ჰქონდეს საკუთარი თვითმფრინავების მშენებლობა და კინემატოგრაფი, ქალები იმიერპოლარეთში და პუშკინის მუზეუმი სოფლის სკოლასთან, მართალი რწმენა და „ნულოვანი მოსკოვის მერიდიანი“. იმპერიული კონტექსტის გარეშე რუსეთი არაა სუვერენული, რუსი ხალხი კი — რენტაბელი. ისტორიაში სწორედ რუსი ხალხის არსებობის იმპერიული ლოგიკა აწვდის მას ძალას, აკავშირებს ცასთან, ქმნის გამარჯვებულ ხალხად, შემოქმედ ხალხად, საკუთარი ბედის გამგებელ ხალხად. რუსული იარაღის გამარჯვებამ სამხრეთ ოსეთში უფრო მეტად განამტკიცა ერის სულისკვეთება, ვიდრე ასობით ზნეობის მასწავლებელმა ტელეგადაცემამ. რუსეთის დროშა სევასტოპოლის, ცხინვალის ან ნარვის თავზე უფრო ათბობს, ვიდრე ბუნებრივი გაზი. მედვედევმა დაარწმუნა რუსები, რომ დეველაცია დამთავრდა, ეკონომიკური სიტუაცია კონტროლქვეშაა, მაგრამ კრიზისი შეიძლება გაგრძელდეს გაისადაც. ვლადიმერ კოსტირაჰი „ინფოქს.რუ“

ახალ მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს შეიძლება ოთხი წლის შემდეგ კვლავ ველოდოთ

ამის შესახებ გვაფრთხილებენ საერთაშორისო ენერჯეტიკული სააგენტოს ექსპერტები. კრიზისის მიზეზს ისინი პლანეტაზე ნავთობის მარაგის უკმა-რისობაში ხედავენ.

თავისი მასშტაბით, მომავალი კრიზისი ამჟამინდელზე შეიძლება უფრო დიდი იყოს, — მი-აჩნია სააგენტოს დირექტორს ნობუო ტანაკას. მისი სიტყვებით, შესაძლო კრიზისის მიზეზი იმალება იმაში, რომ დიდი ნავ-თობის კონცერნებმა ამ ეტაპზე შეაჩერეს ინვესტიციების ჩადება პროექტებში ახალი საბადოების დასაძებნად. „თუ მოთხოვნა კვლავაც გაიზარდება, მაშინ არ არის გამორიცხული ნავთობის დეფიციტის წარმოქმნა. ჩვენ შეგვიძლია იმის წინასწარგანჭვ-რეტაც, რომ ასეთი დეფიციტი შეიძლება წარმოიქმნას 2013 წელს“, — განაცხადა მან.

ამჟამად ნავთობის მწარმოებელი ქვეყნები ამცირებენ ნავ-თობის მოპოვებას არასაკმარისი მოთხოვნის გამო. ოპეკის გენე-რალური მდივნის აბდულა ალ-ბადრის მონაცემებით, 130-დან 35 დიდი პროექტია გაყინული ახალი საბადოების დამუშავე-ბასთან დაკავშირებით.



ექსპერტები ვარაუდობენ მსოფლიო ეკონომიკის ამალე-ბას და მასთან ერთად ნავთობზე მოთხოვნის გადიდებასაც 2010 წლისთვის. ნავთობის დეფიცი-ტის წარმოქმნის შემთხვევაში

მასზე ფასები სასწრაფოდ გაიზ-რდება, რამაც, თავის მხრივ, შე-იძლება დააჩქაროს ინფლაციის ტემპები და გამოიწვიოს სტაგნა-ცია მსოფლიო ეკონომიკაში. სიტუაციის გამწვავებას შე-

იძლება ველოდოთ 2013 წლისათ-ვის, ვინაიდან ნავთობის მოპოვე-ბის შესაძლებლობა ყოველწლი-ურად მცირდება, სარეზერვო მა-რაგი კი იღვება. გამოკვლევების შე-დეგები მოწმობს, რომ ნავთობის 800 საბადოდან 580 მუდმივად ამცირებს ნავთობის მოპოვების მოცულობას.

დეფიციტის წარმოქმნის შემ-თხვევაში, ექსპერტების აზრით, მასზე ფასი გადააჭარბებს 2008 წლის ზაფხულის რეკორდულ მაჩვენებელს და შეიძლება გაი-ზარდოს ბარელზე 200 დოლა-რამდე. ამიტომ, — ხაზგასმით აღნიშნა ნობუო ტანაკამ, — ნავ-თობის კონცერნებმა უნდა გააგ-რძელონ კაპიტალდაბანდება ახალ პროექტებში.

ამას გარდა, იგი აღნიშნავს, რომ ინდუსტრიულმა სახელმწი-ფოებმა რადიკალურად უნდა შეცვალონ თავიანთი ენერჯეტი-კული პოლიტიკა. მისი აზრით, არ შეიძლება ეკონომიკური კრიზი-სის გამო შევჩეროთ ინვესტიცი-ები განახლებადი წყაროების გა-მოკვლევებში. ტანაკამ მოუწოდა აგრეთვე ენერჯეტიკის უფრო ეფექტიანად გამოყენებისაკენ.

„ლონი ვილი“

სააკაშვილმა გააფუჭა რუსების დამოკიდებულება ქართველებთან

რუსეთელებს თავიანთი უარ-ყოფითი დამოკიდებულება საქარ-თველოს ხელმძღვანელობისადმი გადააქვთ ქართველ ხალხზეც, — აჩვენებს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის ცენტრი. პოლიტო-ლოგებს მიაჩნიათ, რომ ასეთი და-მოკიდებულება გამწვავულია ომით და ელოდებიან, რომ რუსეთ-სა და საქართველოს შორის ოფი-ციალურ დამოკიდებულებათა გა-უმჯობესება რუსეთის საზოგა-დოებაში გადავა ხალხზეც.

საქართველოში ხელისუფლე-ბის სათავეში სააკაშვილის მოსე-ლამ რუსებს იმედი ჩაუსახა, რომ ის მოაწესრიგებს ურთიერთობას რუ-სეთთან. მაგრამ მოხდა პირიქით — ურთიერთობა კიდევ უფრო გამწ-ვავდა. ხუთდღიანი ომის შემდეგ კი რუსეთის მოქალაქეებმა თავიანთი განზილება სააკაშვილიდან ქარ-თველ ხალხზე გადაიტანეს.

საზოგადოებრივი აზრის გა-მოკითხვის ცენტრის დირექტორი ვალერი ფედოროვი აღნიშნავს, რომ „მიხილ სააკაშვილმა შეძ-ლო, გაეფუჭებინა რუსეთელთა დამოკიდებულება არა მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოს-თან, არამედ ქართველებთანც“, — რაც ადრე არ ყოფილა.

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალებმა კვლავ შეირხვენიან თავი

„ფინანსიკალ ტაიმსი“ ამ ფაქტს უწოდებს „მორიგ სირ-ცხვილს სამხედრო-საჰაერო ძალებისათვის“. 2006 წელს ამერიკის სამხედრო სარდლო-ბა განმარტავდა, ბომბდამშენ-მა შეცდომით როგორ გადაუფ-რინა მთელ ქვეყანას ექვსი ბირ-თვული რაკეტით ბორტზე.

ამერიკელ სამხედროებს არ შეუძლიათ აღმოაჩინონ ბირთვუ-ლი რაკეტების ასობით მნიშვნე-ლოვანი დეტალი. ამის შესახებ წერს გაზეთი „ფინანსიკალ ტაიმ-სი“.



როდესაც მიუთითებს მთავ-რობის ჩინოვნიკებზე, რომლე-ბიც იცნობენ პენტაგონის ანგა-რიშს ბირთვული უშიშროების სა-კითხზე. ინფორმაცია საბრძოლო მასალების დაკარგვის შესახებ პირველად იქნა ნახსენები ამერი-კელი ადმირალის კირკლანდ დო-ნალდის მოხსენებაში, რომელიც წარმოდგენილი იყო კონგრესის დახურულ მოსმენაზე.

გაზეთის წყაროს ცნობით, პენტაგონის „წიაღში“ არავითა-რი მონაცემები არაა იმის შესა-ხებ, რომ დაკარგული კომპო-ნენტები აღმოჩნდა იმ ქვეყნე-ბის განკარგულებაში, „რომ-ლებსაც ისინი არ უნდა მიე-ლოთ“. მიუხედავად ამისა, თავ-დაცვის სამინისტროს ოფიცია-ლურმა წარმომადგენლებმა უარი განაცხადეს ამ ცნობის კომენტარებზე იმაზე მითითე-ბით, რომ ადმირალის მოხსენე-ბა დახურული იყო.

2006 წლის აგვისტოში შეერ-თებულმა შტატებმა ტაივანში გადაიტანა ბალისტიკური რაკე-ტების ოთხი სათავო ნაწილი შეველმფრენების სააკუმულა-ტორო ბატარეების ნაცვლად. ამას გარდა, სარდლობამ დაუშ-ვა, რომ ბომბდამშენი „B-52“ სამ საათზე მეტ ხანს დაფრინავდა ამერიკის შეერთებული შტატე-ბის ტერიტორიაზე ბირთვული ქობინებით ბორტზე. რაკეტები ბირთვული მუხტებით ჩამოკი-დებული იყო ბომბდამშენების ფრთებზე.

ნაომი შვილს გაუჩინს რუს ოლიგარქს

„შავი გედი“ (ასე უწოდებენ დასავლეთში ნაომი კემპბელს) მოსკოვში ჩავიდა. თავის საქმ-როსთან, წარმოსადგე ოლი-გარქვლადისლავ დორონინთან ერთად, სახელგანთქმული მო-დელი თავისი აყვანილი ქალიშ-ვილის დაბადების დღეს აღნიშ-ნავს. უკეთეს შემთხვევას, გას-ცნობოდა მეუღლის ნათესა-ვებს მომავალი ქორნილის წინ, ვერავინ ინატრებდა.

ამ ბოლო ხანებში მოსკოვი ნა-ომისათვის მეორე სახლი გახდა. ჯერ კიდევ 2 წლის წინათ „პანტე-რასთვის“ რუსეთი წითელი მოე-დანი და ცნობილი სასტუმრო იყო ფუმფულა ბალიშებით. დღეს იგი რუსეთის დედაქალაქს საკმაოდ კარგად იცნობს. ცხოვრებაში ასეთ ცვლილებებს იგი მდიდარ საქმროს ვლადისლავ დორონინს უმაღლის. ისინი სულ უფრო და უფრო დიდი რწმენით იმედოვნე-ბენ, რომ მალე ექნებათ ერთი ოჯახი. ოლიგარქმა გადამწყვიტა, ნაომი გაეცნო ნათესავებისათ-ვის. ისტორიული შეხვედრა აყვა-ნილი ქალიშვილის ღიზას დაბა-დების დღეზე გაიმართა პატარა და მყუდრო რესტორანში, დედა-



ქალაქის ცენტრში. ჩვეულებრი-ვად, ამჟამ ნაომის თავი ეჭირა, როგორც მორჩილ ტყვე ქალს, რუსმა მსახიობმა დორონინამ მოხიზლა ნაომი.

მიუხედავად იმისა, რომ სტუმ-რები რუსულად ლაპარაკობდნენ, მოდელი ჩაერთო მათთან ურთი-ერთობაში: იგი სხვებთან ერთად დგებოდა სადღეგრძელოების წარმოთქმისას, იცინოდა მაშინაც კი, როცა ხუმრობის შინაარსი არ ესმოდა. ალბათ, იდეალური ატ-

მოსფერო შექმნეს რესტორანში „ნაშა რუსიას“ გირებმა, რომლე-ბიც ესწრებოდნენ დაბადების დღის ზეიმს სტუმრების სტატუ-სით. რაგანისა და ჯუმშუტის ხუმრობებს კემპბელისათვის თარგმნიდა მისი საქმრო.

სანამ უფროსები მხიარუ-ლობდნენ, ზეიმის მთავარი მიზე-ზი საჩუქრებით ერთობოდა. „დე-იდა ნაომიმ“ პატარა ლედის თო-ჯინა ბარბი აჩუქა. 38 წლის მანე-კენი ისეთი სიყვარულით უყუ-რებდა პატარას, უკვე გასაგები იყო, რომ მისი განცხადება ახალ ოჯახში ახალი წვერის შემატების შესახებ ცარიელი სიტყვები არ ყოფილა. ვარსკვლავი არაერთგ-ზის აღიარებდა, რომ იგი მზადაა საოჯახო ცხოვრებისათვის და, ბოლოს და ბოლოს, სურს, გააჩი-ნოს ბავშვი, მხოლოდ — ქორნი-ლის შემდეგ.

როგორც ცნობილი გახდა, ქორნილი 2009 წლის ზაფხულში გაიმართება. ვლადისლავ დორო-ნინმა საქორნილო ბექდით დაუშ-შენა მოდელს თითი. საპასუ-ხოვ, ნაომი თანახმაა, შეიცვა-ლოს რწმენა და გახდეს მართლ-მადიდებელი.

ახალი ყუმბარსატყორცნი

საზღვაო მეკობრეობის თე-მა არ ჩამოდის მსოფლიოს სი-ახლებების ლენტიდან. რუსე-თელმა თავდაპირველმა „ბა-ზალტის“ საწარმოდან წამოა-ყენეს წინადადება, ფლობს-ტიერებთან ბრძოლისათვის გამოიყენონ სპეციალური ყუმბარსატყორცნი. ახალი ყუმბარსატყორცნი წარმოად-გინეს არა საზღვაო, არამედ სახმელეთო პოლიგონზე პოდ-მოსკოვიში.

როგორც იარაღის შემქმნე-ლები ამბობენ, „ბაზალტის“ სპე-ციალისტები და მათი პროდუქ-ცია კარგადაა ცნობილი. დივერ-სიის საწინააღმდეგო ყუმბარ-სატყორცნი რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის შეიარაღებაში აქვთ 90-იანი წლების შუა პერიო-დიდან. ახლა ისინი მხოლოდ გაა-უმჯობესეს.

„ამ ყუმბარსატყორცნის განსხ-ვავება ისაა, რომ ის შეიძლება გა-მოიყენო როგორც ნებისმიერი

სასროლი იარაღი. ეს ნიშნავს, რომ შეიძლება ისროლო ნახევრად და-ხურული შენობიდან, რაც მეტად მნიშვნელოვანია, გემიდან, კატარ-ლიდან, წყალქვეშა ნავიდან და შეე-ულმფრენიდანაც კი“, — განმარტა „ბაზალტის“ მთავარმა კონსტრუქ-ტორმა ნიკოლაი სერედამ. დღეს რუსული ყუმბარსატყორცნი უნი-ვერსალური იარაღია, რომელიც, სპეციალისტების ინფორმაციით, დიდი მოთხოვნით სარგებლობს უცხოელ მყიდველთა შორის.

კეპელსოკრატია

საქართველოში ე.წ. სახელისუფლებო მედიის საქმიანობა მეცნიერულ ენაზე შეგვიძლია დავახასიათოთ როგორც საზოგადოების საზიანოდ მიმართული საინფორმაციო ზემოქმედება. საქმე ის არის, რომ ზემოქმედებას მაყურებლის ცნობიერებაში ტყუილისა და ილუზიის ჩანერგვის მცდელობა აქვს. ამ დაკვეთას ქართულ ტელევიზორებში პრაქტიკულად ყველა სახელისუფლებო არხი უნიხონში ასრულებს. გამოკვეთილია რამდენიმე ძირითადი პრიორიტეტი:

1. სააკაშვილის ხელისუფლებას სასურველ თემასთან მიმართებაში არასდროს აინტერესებს საზოგადოების აზრი და არ თვლის საჭიროდ დისკუსიის ფორმატის გამოყენებას. კონტროლირებადი ტელეარხებით ხელისუფლებისათვის სასურველი თემა შექმნება როგორც უალტერნატივო სიკეთე და ჭეშმარიტება. სინამდვილეში, საზოგადოებას წართმეული აქვს ობიექტური ინფორმაციის მიღების უფლება. მაყურებლის აზრი, შეფასება და დამოკიდებულება უგაფლავ ბელყოფილია!!! **დასაკვირვებელია — ხელისუფლებისათვის სასურველი თემა ჯერ ტელეარხების საშუალებით იმოსება, როგორც ჭეშმარიტება და პოზიტივი და ამის შემდგომ მკვიდრდება ქვეყნის ცხოვრებაში.** მაგალითისთვის შეგვიძლია გავისხენოთ განათლების განმათავსებელი რეფორმა, რომლის პოპულარიზაციის მიზნით სააკაშვილის რეჟიმმა საზოგადოების ცნობიერებაზე პირდაპირი TV-იერი მიიტანა. არავის გაუმართავს საჯარო დისკუსია, რატომ სჯობდა შემოთავაზებული გარდაქმნები არსებულს, ან იყო თუ არა უკეთესი პროექტი, რომელიც კი არ დაანჭვებდა, არამედ სრულყოფდა და განავითარებდა განათლების ეროვნულ პოტენციალს. ღომიას რეფორმის სასიცოცხლო მნიშვნელობასა და უალტერნატივობას სახელისუფლებო ტელეარხებმა 2004-2005 წლებში 1000-ზე მეტი სიუჟეტი მიუძღვნეს. ბოლოს კი გაირკვა, რომ ღომია-საკაშვილის რეფორმამ განათლების ეროვნულ სისტემა მინასთან შეგნებულად გაასწორა და უკეთესი არ შესთავაზა საზოგადოებას. — **ქართული ტელე-არხები მიზანმიმართულად ატყუებდნენ მაყურებელს, როცა განათლების რეფორმის სიკეთესა და ზარმატებულობაში არწმუნებდნენ.**

2. ხელისუფლებისათვის სასურველი თემის გარშემო სასურველი საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას წინ უძღვის ავტორიტეტული ადამიანების დისკრედიტაცია. კვლავ განათლების რეფორმის ისტორიას დავუბრუნდეთ. ღომიას პროექტის ხოტბის პარალელურად, სახელისუფლებო ტელეარხები შეგნებულად ეწეოდნენ სამეცნიერო და პედაგოგიური წრეების იმიჯის შელახვას, მოიხსენიებდნენ რა მათ ძველ კადრებად, წითელ პროფესორებად, კორუმპირებულ და ბოლოს — ხულიგან პედაგოგებად. იარლიყების მიწებების მაგალითად შეგვიძლია განვიხილოთ 2007 წლის ნოემბერში ოპოზიციის ლიდერების პირდაპირი ტელედადანაშაულება რუსეთის აგენტობაში.

3. სახელისუფლებო საინფორმაციო პოლიტიკის კიდევ ერთი პრიორიტეტი ტყუილის ტირაჟირება ხელისუფლებისა და პრეზიდენტის შეცდომების

თუ მარცხის გადაფარვის მიზნით. ამ პრიორიტეტის ქვეშ თამამად შეგვიძლია გავაანალიზოთ აგვისტოს ომის გაშუქების მაგალითი:

ა) ომი დაიწყო ქართულმა მხარემ და სახელისუფლებო ტელეარხები მაყურებელს შეგნებულად ატყუებდნენ, რომ პირველად შეტევაზე რუსული ტანკები გადმოვიდნენ!

ბ) აგვისტოს ომში საქართველომ განიცადა სამარცხვინო მარცხი, სახელისუფლებო არხები კი გვარწმუნებდნენ, რომ... ვაიმარჯვებოთ(!). ქვეყნისთვის უმძიმეს დღეებში სააკაშვილის რეჟიმში მაყურებლის ცნობიერებას მაქსიმალურად კვებავდა გამარჯვების ილუზიით. სხვათა შორის, ამ ილუზიის ფორმირებას „რუსთავი 2“-ის ოპერატორის სიცოცხლეც შეენირა, რომელიც ხელისუფლების პიარპოლიტიკის სასარგებლოდ ჰეროიკულ კადრებს იღებდა.

4. დავებრუნდეთ 2004-2005 წლების ქართულ რეალობაში. განმაურებული ტელედაპატიმრებებისა და სატელეფონო ჩანაწერების გამოშვებების ერთადერთი მიზანი იყო საზოგადოების დაშინება, ანუ **ტელეარხებს ხელისუფლება იყენებდა როგორც ხალხის გრძობების დათრგუნვისა და მართვის საშუალებას!**

უნდა ითქვას, რომ ხელისუფლებისათვის სასურველი თემა ერთდროულად 6 ტელეარხით იშლება („რუსთავი 2“, „პირველი არხი“, „იმედი“, „ალანია“, „საქართველო“, „აჭარის ტელევიზია“), ანუ მაყურებელს არ რჩება არჩევანი, მას წართმეული აქვს განსხვავებული აზრის მოსმენის საშუალება (გგულისხმობ ქვეყნის მასშტაბით!). საინფორმაციო გამოშვებების არქიტექტონიკა მხოლოდ პოზიტივის შემცველ სიუჟეტებზეა აგებული. ტკბილი ტყუილი საზოგადოებას არა თუ რიყავს რეალობიდან, არამედ ადამიანებს იზიდავს და სიამოვნებას ანიჭებს. საზოგადოების გონებაში იძინებს მოთხოვნა ობიექტურ ინფორმაციაზე. ამას აძლიერებს უმძიმესი სოციალური ფონი, როცა სანახაობა საკვები ხდება ათასობით გაღატაკებული ოჯახისათვის. ამ მიმართულებით **გააქტიურებულია საპნის ოპერებისა და უკბილო იუმორისტული შოუების ფორმატი და საეთერო მოცულობა. ქართველი ხალხი ვირტუალურად მექსიკასა და ბრაზილიაში ცხოვრობს.** ის დაკომპლექსებულია ხუანის სინდრომით. 2007 წელს ტელეკომპანია „იმედი“ კონკურსი გამოაცხადა. დილის გადაცემაში ათობით ქართველმა ყმანვილმა მიიღო მონაწილეობა, რომელიც სენიორ ხუანს გარეგნობითა და ქცევის მანერით ბაძავდა (აფსუს, ქართველო კაცო!)...

ცალკე განხილვის საგანია სააკაშვილის მრავალსაათიანი

ტელეგამოსვლები. რა თქმა უნდა, პირდაპირი ტრანსლაციის რეჟიმში. ტრიბუნა ვენახში, ტრიბუნა ტრასაზე, ტრიბუნა აეროპორტში, ტრიბუნა პატრიოტთა ბანაკში, ტრიბუნა ომში!.. მოკლედ, **ტრიბუნის კომპლექსი!**

თითქოს მარტივი ნივთი სახელისუფლებო ტელეანესთეზიის განუყოფელ ატრიბუტად იქცა. დავინახავთ თუ არა ეკრანზე, ვიცით, ვენახიდან თუ ბოსტინიდან გადმოფრქვეულ ტკბილ ტყუილში ჩაგვეძინება, არც ტაზეუამია საჭირო და არც დიაზეუამია... მართალია, **საკაშვილის უპრეცედენტო 4-საათიანი ტელეანომალიაში საყვარელი ტრიბუნა არ ფიგურირებდა, მაგრამ 240 წუთის მანძილზე 24 სიზმრის ნახვა მაიც მოვასწარით, სადაც საქართველო აყვავებული და ბედნიერი ქვეყანა იყო, ხოლო ჩვენ... არა ნაცემ-ნაცეკები და დაშინებული, არამედ თავისუფალი ამომრჩეველი!** ნიშანდობლივია, რომ სააკაშვილის მრავალსაათიანი ტელეგამოსვლებს არა ერთი ან ორი, არამედ ექვსივე სახელისუფლებო არხი გულმოდგინედ აშუქებს. მოკლედ, **ამას ჰქვია მძლავრი შეტევა ჩვენს ცნობიერებაზე!**

ქართული ელექტრონული მედიის ძირითადი პრიორიტეტების ზოგადი დახასიათების შემდეგ, თავს უფლებას მივცემ, ბოლო კვირის ტელეანესთეზიის სიმპტომები გავაანალიზო. ძველი ანეგდოტი მახსენდება: ორშაბათი დღეა, მონყენილობა...

ერთი სიტყვით, მიმდინარე კვირა მოსალოდნელი ომის საშიშროების თემით იხსნება. „რუსთავი 2“, „პირველი არხი“, „ალანია“, „იმედი“, „აჭარის ტელევიზია“, „საქართველო“ დარწმუნებით გვამცნობს, რომ კონფლიქტურ ზონებში ოკუპანტის ცოცხალი ძალისა და მძიმე ტექნიკის თავმოყრა ხდება.

აქტუალობას არ კარგავს ბორტი რუსეთის ფინანსური კრიზისის თემატიკაც. **ქართული ტელეარხები ისეთ არაადეკვატურ ინტერესს იჩენენ ჩრდილოელი მეზობლის ყოველდღიური ცხოვრებისადმი,** იფიქრებ, რომ რუსეთის საინფორმაციო სამსახურის გამოშვებას უსმენ. ნორჩი

ნამყვანები ომხანად გვამცნობენ, რომ მოსკოვის საქმე წასულია. იზრდება უმუშევართა რაოდენობა, კოტრდება ბანკები, განწვევებულია კრიმინოგენური ვითარება, სხვა ეროვნებების წარმომადგენლებს მოსკოვის ქუჩებში დანა-ჩანგლით დასდევენ... არ მესმის, რატომ ვხარჯავთ ძალისხმევას ოკუპანტის ყოველდღიური ცხოვრების ასახვაზე?! ჩვენთან ნაკლები პრობლემაა?! ამ კონტექსტში ქართული ტელეარხებისათვის სარწმუნო და საყურადღებოა მაინცა და მაინც რუსი ექსპერტების კომენტარი, რომლებიც ომის განახლების საშიშროებას რეალურად მიიჩნევენ. უბრალოდ, ამ **ექსპერტების კომენტარიდან მოჭრილია ფრაზა, სადაც პოლიტოლოგები შესაძლო ომის გამწაღებლად მიხეილ სააკაშვილს ასახელებენ.**

ომის საშიშროებისა და რუსეთის ფინანსური კრიზისის შემდეგ ქართულ ტელეარხებზე აქტუალობას ინარჩუნებს მხოლოდ პოზიტივი. აქცენტი კეთდება დასაქმებაზე, დევნილთა დახმარებაზე, საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე, სამშენებლო და სხვა სახის კომპანიებისათვის შეღავათების დაწესებაზე და ა.შ.

2009 წლის 27 თებერვალს „იმედის“ საინფორმაციო გამოშვებიდან ცნობილი გახდა, რომ ხელისუფლება ანტინარკოტიკული პროგრამის განხორციელებას იწყებს, თბილისის ვიცე-მერი შვილიან ოჯახს პატარა ამანათს გადასცემს, სოფლის მეურნეობის მინისტრი, რომელსაც სასუქი თვალთ არ უნახავს, კონფლიქტის ზონაში გვარჯილას არიგებს, ხოლო მაია ნადირაძის ალტერნატიული ნაცფეისი რუსუდან კერვალისმიერი ვარკეთილში გზების მოპირკეთებას განაგრძობს.


2009 წლის 28 თებერვლის ტელედილიაში კიდევ უფრო ნათელი ფერები ჭარბობს. **პირველი არხის საინფორმაციო სამსახურის ცნობით, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე საქართველოში სასწაულები ხდება.** პატარა გოგონამ, სახელად ნინო, დასაქმების საიტით ისარგებლა და საქართველოს ბანკის ნამყვანი მენეჯერი გახდა. ამ სენტიმენ-

ტალურად სევდიან სიუჟეტს მოჰყვა სასიხარულო ცნობა, რომ სამშენებლო კომპანიებისთვის მშენებლობის ნებართვის წესი გამარტივდა.

პოზიტიური მოვლენებითკიდევ უფრო დატვირთულია შემდეგი დღე, ანუ 2009 წლის 1 მარტი. ეროვნული საინფორმაციო სამსახურების ცნობით, რუსეთის პრემიერს საარბიტრაჟო სასამართლოში უჩივიან (მოკლედ, პირველ სიუჟეტად კვლავ რუსეთი რჩება), სააკაშვილი კი ამ დროს საზღვარგარეთი (ინვესტიციების მოზიდვის მიზნით) მოგზაურობს. ეჰ, დაუნახავო ქართველებო... პრეზიდენტს ეს ინვესტიციები, პირველი არხის მტკიცებით, ხალხის დასაქმებისთვის სჭირდება, თქვენ კი საპროტესტო აქციებისთვის ემზადებით?!... ბატონი მიხეილი ჯერ ესპანეთში, შემდეგ ემირატებში იყო. შედეგი? **შენ, საქართველოს მოქალაქე, რომელსაც შიმშილისაგან სული და სიძველისგან ფეხსაცმლის ქუსლი გჭერება, შეგიძლია აბუ-დაბიში უვიზოდ იმოგზაურო.** ამასობაში, მუხიანის დასახლებაში მაღალი ძაბვის სადენი ფეთქდება, ერთმა თანამშრომელმა სხეულის დამწვრობა მიიღო... აი, რატომ არის მნიშველოვანი 5-ლარიანი დაზღვევა... „თელასის“ თანამშრომელი დაზღვეული რომ ყოფილიყო, უნამლოხისაგან ხომ არ მოკვდებოდა?... მოკლედ, პირველი არხის საინფორმაციო სამსახურის მენეჯერთა ფანტაზია ძალზედ მდიდარია... ჯერ დამწვარ კაცს გვაჩვენებენ და მერე დაზღვევის მნიშვნელობაში გვარწმუნებენ. 2009 წლის 2 მარტს კი აბუ-დაბიდან დაბრუნებულმა სააკაშვილმა ტელეეთერი გაამცნო, რომ თურმე ამერიკაში მასაც ჰქონია დაზღვევის მსგავსი პაკეტი (ალბათ, როცა შიკრიკად მუშაობდა და ველოსიპედით დაქროდა! ველოსიპედიდან ჩამოვარდნის შემთხვევაში მაიკლს სადაზღვევო პაკეტი გადაარჩინდა და არავინ იცის, რამდენჯერ გადაარჩინა კიდევ!)

ამ ნოტაზე გემშვიდობებით. გაგრძელება იქნება!

ირაა ინაუზილი



რეკლამისათვის დარეკეთ: 92 37 58

გაზეთი ხელმძღვანელოვს თავისუფალი პრესის პრინციპებით გამოცემული ტარიელ ბაგნიკა თბილისი, ტაბიძის ქ. 23, ტელ.: 92 37 58 მკითხველთა კორესპონდენცია მიიღება ელექტრონულ მისამართებზე: info@geworld.net; geworld@mail.ru